ზოთა ვეშაპიძე

კაცობრიული ღირებულებები და ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტირები

თბილისი

2012

UDC (უაკ)33.01
3-436

წინამდებარე მონოგრაფია არის ჩვენი პირველი მცდელობა შევეხოთ კაცობრიული ღირებულებების როლსა და მნიშვნელობას. წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ განღმრთობილი ადამიანი ყველაზე უმაღლესი ღირებულებაა, რომლისკენაც ყველა უნდა ვისწრაფვოდეთ, რაც უნდა გვინდოდეს. მონოგრაფიაში ნათლად არის გადმოცემული, რომ ჩვენი პლანეტის თითოეული ინდივიდი არის ყველაზე უმაღლესი ღირებულება. სწორედ ეს განღმრთობა უნდა უნდოდეს თითოეულ ადამიანს. აღნიშნულ გზაზე ყველაზე მეტად ევროპა და ამერიკა დაწინაურდა. მათ პირველებმა უჩვენეს სამყაროს გზა უმაღლესი ფასეულობებისაკენ. სწორედ ამიტომ, წიგნში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ევროპულ და ევროატლანტიკურ ღირებულებებს.

ვფიქრობთ, განხილული საკითხები ერთნაირად საინტერესო იქნება თავის ქვეყანასა და საერთოდ კაცობრიობის ბედზე მოფიქრალი ყველა ადამიანისათვის, განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა, რასისა, პროფესიისა, ასაკისა და მსოფლმხედველობისა.

ISBN 978-9941-0-3972-0

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 4

კარი I. ღირებულების ძირითადი მიმართებანი 5

1.1. „ღირებულების“ და „ფასეულობის“ ცნებათა მიმართება და
კლასიფიკაცია 5

1.2. წყაროები. 22

1.3. ღირებულების ფორმირება. 35

1.4. თანამედროვე მიდგომები ღირებულების კვლევისადმი 45

1.5. ცივილიზაციის, კულტურის და ღირებულების ცნებათა მიმართება 63

კარი II. ღირებულებათა შემეცნების ფენომენი. 80

2.1. ცივილიზაციური რესურსები. 80

2.2. დიდი ქართველი მოაზროვნეები გლობალიზაციისა და ეროვნული
ეკონომიკური ფასეულობების შესახებ 95

2.3. ეროვნული ღირებულებების საერთო სათავეებთან 115

2.4. ღირებულებების გაუფასურება. 132

2.5 ღირებულებათა გაზიარების ისტორიული გაკვეთილები . . . . . .145.

კარი III. თანამედროვეობა და ღირებულებები 162

3.1. დემოკრატიის ლიბერალური ღირებულებები 162

3.2. ევროპულ-ქართული ღირებულებების სინთეზისაკენ 175

3.3. ეკონომიკური თავისუფლების ღირებულებითი საფუძვლები. 184

3.4. გლობალიზაცია და საზოგადოებრივ ფასეულობათა ტრანსფორმაცია. 195

3.5 კულტურა და ეკონომიკური განვითარება. 213

3.6. ღირებულების როლი ეკონომიკის მოდერნიზაციის საქმეში 221

დასკვნა. 229

შესავალი

მსოფლიოს ისტორიაში არ მოიძებნება არც ერი, არც ხალხი და თემიც კი არ არსებობს, რომელსაც დღემდე მოულწევია, რაიმე შეუქმნია დიდი თუ მცირე, და თავისი გენია, თავისი ღირებულებები არ ჰქონია. ღირებულებების გარეშე არც არაფერი მნიშვნელოვანი კეთდება და არც არაფერი იქმნება. ყოველი ერის თვითმყოფადობა მისი ღირებულებებს ეფუძნება, მისით მიიღწევა და მისით აისახება. თითოეული ადამიანიც იმის მიხედვით შეიცნობა, თუ რა ღირსების, რა ღირებულებების მატარებელია იგი. ღირებულებების ფენომენი ის კი არ არის რაც ხალხს უნდა, არამედ ისაა, რაც ხალხს უნდა უნდოდეს. ღირებულებები ჩვენი ცხოვრების მარადიული გზამკვლევი და მისი გასრულყოფილების სათავეა.

ნებისმიერი საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ ღირებულებათა სისტემას, რომელზეც მისი დიდი ნაწილი შეთანხმებულია, სახელმწიფო საზოგადოების ნაწილია და მისთვისაც ეს ღირებულებებია ამოსავალი, იგი მათ მეტ-ნაკლებად აცნობიერებს და ამთლიანებს და ამით საერთო-ეროვნული ცნობიერების დონეზე აჰყავს ისინი, ოღონდ, მას უჩნდება საკუთარი ღირებულებითი ორიენტირებიც, რომლებიც ეხამებიან და ავსებენ, განსხვავდებიან და, ბევრ შემთხვევაში, უპირისპირდებიან კიდეც საზოგადოების ღირებულებით ორიენტირებს.

თანხვედრა მეტია ლიბერალურ, დემოკრატიულ საზოგადოებაში, მისი ღირებულებათა სისტემა ამოიზარდა ტრადიციულ და მოდერნულ ღირებულებათა ძირიდან და დღეს პოსტმოდერნული შინაარსით ივსება. რაც შეეხება საქართველოს, რომლის ადაპტაცია გლობალურ სამყაროში ახლა მიმდინარეობს, ჩვენი საზოგადოება ღირებულებათა სისტემის მიხედვით გამოყოფილი ამ სამი სტადიიდან სამივეზე ერთდროულად იმყოფება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან საბაზრო სისტემაზე გადასვლა ღირებულებათა ტრანსფორმაციის ხანგრძლივ პროცესსაც გულისხმობს. როგორ უნდა შეინარჩუნოს მან ჩვენი ტრადიციული ღირებულებები როგორც ახალი სისტემის ქვაკუთხედი? ამ კითხვებს ერთი გამოკვლევა არ ეყოფა, მაგრამ კვლევა რომ საჭიროა, ამაში მკითხველი, დარწმუნებული ვართ, დაგვეთანხმება. წინამდებარე მონოგრაფია არის ჩვენი პირველი მცდელობა შევეხოთ ამ დიდი თემის ზოგიერთ ასპექტს.

კარი I. ღირებულების ძირითადი მიმართებანი

1.1. „ღირებულებისა“ და „ფასეულობის“ ცნებათა მიმართება და კლასიფიკაცია

ღირებულებათა სისტემა, რომელსაც საზოგადოება სახელმძღვანელოდ იყენებს, ადამიანთა დიდი ნაწილის ქცევის ჩვეულ ნორმად არის ქცეული. ეს ღირებულებები ყველასთვის ერთნაირად მისაღები არ არის, ზოგი ხელყოფს კიდეც მათ, მაგრამ საზოგადოებას გამომუშავებული აქვს ფორმალური (კანონები) და არაფორმალური (ადათები, წეს-ჩვეულებები) ინსტიტუტები მათ დასაცავად.

ნებისმიერი ნორმალური სახელმწიფო ხელს უწყობს იმ ინტერესთა რეალიზაციას, რომლებიც, ნორმალურ პირობებში, ამ ღირებულებებს ეფუძნება.

ღირებულებები გაყინულ სისტემას როდი ქმნიან. ეს სისტემა მუდმივად ახლდება და მის განახლებაში დიდ როლს ასრულებენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები.

დემოკრატიული მმართველობისას თვითონ საზოგადოებისა და პიროვნებების პრინციპებსა და ძალისხმევაზეა დამოკიდებული, როგორ გარემოში მოუწევთ მათ ცხოვრება. ლიბერალური, დემოკრატიული საზოგადოება ემყარება ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა: კანონის უზენაესობა, ადამიანის თავისუფალი პოლიტიკური და პირადი არჩევანის უფლება, სიტყვის თავისუფლება, რელიგიური (რწმენის) თავისუფლება, სქესთა თანასწორობა.

საზოგადოებისთვის მისაღებ იმ ჭეშმარიტ ღირებულებებთან ერთად, რომლებიც განამტკიცებენ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის საფუძვლებს, არსებობს აგრეთვე ცრუღირებულებები, უარყოფითი ღირებულებები, ან ფსევდოღირებულებები, რომლებიც საპირისპირო შედეგებს იწვევს. მაგალითად, ლიბერალიზმი თავისთავად ღირებულებაა, მაგრამ მისი უკიდურესი ფორმები, ფსევდოლიბერალიზმი ან ულტრალიბერალიზმი ხშირად სავალალო შედეგს იძლევა, განსაკუთრებით – საერთაშორისო (ტრანსნაციონალური კორპორაციების) პოლიტიკის შემთხვევაში.

საზოგადოების კულტურის, მისი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური აზროვნების განმსაზღვრელი ღირებულებების შემეცნება პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს. ამისათვის კი უწინარეს ყოვლისა თვით ცნება უნდა განვსაზღვროთ.

ღირებულებას ვუწოდებთ საზოგადოებრივ მოვლენათა სიმრავლის იმ საერთო ნიშანს, რომელიც ადამიანებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასურველია. ამ ზოგადი სოციოლოგიური (არა-ეკონომიკური) აზრით ღირებულება იდეალური მოვლენაა, რადგან

მნიშვნელობას ადამიანები ანიჭებენ მათთვის სასურველ (ან არასასურველ) საზოგადოებრივ მოვლენებს – ისინი მიიჩნევენ მათ მნიშვნელოვნად და სასურველად (საჭიროდ).

ცხადია, ყოველი სასურველობა როდია ღირებულება. ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის დიდიე ჟიულიას განმარტებით, ღირებულება საყოველთაო, მთლიანობაში წარმოდგენილი სასურველობაა (და არა უბრალოდ „სასურველობა“). ე.ი. ღირებულება არის ის, რაც მოსაწონი, ანუ საყოველთაოდ მისაღებია (ყოველ შემთხვევაში, მისი შედეგებიდან გამომდინარე მისაღები უნდა იყოს). ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ღირებულება იმას გულისხმობდეს, რომ ეს ნიშანი (ეს მოვლენა) ბევრისთვის არის მოსაწონი. ეს ასე არაა. ბევრი და ცოტა აქ არაფერს ნიშნავს. ესა თუ ის რამ იმის გამო კი არ არის ღირებულება, რომ ბევრს (მრავალს) ან ცოტას (თუნდაც ერთს) მოსწონს, არამედ იმიტომ, რომ მიუხედავად მოწონება-არმოწონებისა, მას შეუძლია დადებითი შედეგები მოიტანოს, წინ წასწიოს ერი და კაცობრიობა, ქვეყანა (რეგიონი) და მსოფლიო. თუმცა, ღირებულებები (ღირებულებითი ორიენტირები) შეიძლება მოძველდეს, დადებითიდან უარყოფითად გადაიქცეს და უკანაც დასწიოს საზოგადოება.

ზემოაღნიშნულს ავსებს განმარტება, რომელიც მოაქვს ქართველ მეცნიერს ლალი სურმანიძეს ბრიტანელი მეცნიერის ბერრის ნააზრევიდან: „ღირებულება უნივერსალური დადგენილებაა (ალბათ სჯობს – შეთანხმებაა. შ. ვ.) იმის თაობაზე, თუ რა არის მისაღები და რა – მიუღებელი“ (სურმანიძე ლ. ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები (თეორიული მოდელები და ემპირიული კვლევები), ფონდი „ღია საზოგადოება“ – საქართველო, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2001, გვ. 59.). ოღონდ, განსაზღვრებად ეს განმარტება არ გამოდგება, რადგან ღირებულებები, რომლებიც დღეს მოსაწონი და მისაღებია მხოლოდ ერთეულებისათვის, ხვალ შეიძლება ასეთად იქცეს საზოგადოებისათვის.

მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე შემდეგს წერდა: „გამხდარ თხას, დაკოჭლებულ ცხენს, ჩახმახდამტვრეულ თოფს ფასი ეკარგება; ადამიანს კი ერთი და იგივე ფასი აქვს ყოველთვის და ყველგან, იმერეთის მეფობას არგუნებს თუ დანელიას მეღორედ გააჩენს უფალი, დადიანის სასახლე ათას ფაცხაში არ გაიცვლება, ადამიანი კი იმდენივე ღირს, რაც მთელი კაცობრიობა, ადამიანის არც გაცვლა შეიძლება, არც დაფასება, არც გამრავლება, არც გამოკლება. იგი უფასოა. იგი ერთია, მუდამ ერთი. ადამიანი მუდამ ადამიანია – არც მეტი და არც ნაკლები“ („დადიანის ასული და მათხოვარი“). როგორც ვხედავთ, მწერლის ეს გამონათქვამებიც ღირებულების იდეალურ საწყისებზე მიგვანიშნებენ. როგორც დიდი მწერალი აღნიშნავს, თითოეული ადამიანი არის ერთადერთი უმაღლესი, უნიკალური ღირებულება. ვერავინ ვერ შეცვლის სხვა ადამიანს. თითოეული

პიროვნება შეუნაცვლებელი, უნიკალური ღირებულებაა. ამ აზრს მთლიანად იზიარებენ ცნობილი ქართველი ფილოსოფოსები: თ ბუაჩიძე, რ. გორდეზიანი და სხვები. აღნიშნულის შესახებ იხ.: ხიდეშელი ნ., აღმოსავლურ და დასავლურ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებათა მიმართებები. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2012). დაე, მკითხველი ნუ გამოედევნება მოტანილი ციტატის ცალკეული სიტყვების საკუთარ მნიშვნელობას– ისინი შეიძლება სადავოდაც ეჩვენოს. ჩვენთვის მთავარია მათი გამაერთიანებელი, შემკვრელი აზრი – ადამიანის, როგორც განსაკუთრებული ღირებულების, ზოგადი შეფასება.

შეუძლებელია შეფასდეს ენის მნიშვნელობა კულტურისათვის და ყოველმხრივაც, რადგან იგი ურთიერთობის საშუალებაცაა და აზროვნების ფორმაც. მაგალითად, დიალოგი მხოლოდ საუბარი კი არ არის, არამედ აზროვნების წესია. ენობრივი მსოფლხედვა ანუ ის, თუ როგორ ხედავს ქართული ენა იმ ჭეშმარიტებებს, რომლებიც ცივილიზაციისთვის უარსებითესია, უმთავრესი ღირებულების მომცველი ფენომენია (აღნიშნულის შესახებ ვრცლად იხ.: თ. ბოლქვაძე. იდეოლოგიზებული ღირებულებები, თბილისი, 2005, გვ. 239).

როგორც იოანე ზოსიმე ამბობდა: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს" (სოლ. ყუბანეიშვილის ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1, 1946, გვ. 416). „სიტყვაო, აღმსარებელსა მომხედენ" – შესთხოვს დავით აღმაშენებელი ენას (ქართული პოეზია. ტომი I, ძველი ქართული პოეზია, V-XII ს.ს. „ნაკადული", თბ., 1979, გვ. 164). ქართული ენა, როგორც სამყაროს შემეცნების საიდუმლოებათა მომცველი და მატარებელი, გვაწვდის სიტყვა „ღირებულების" მთავარ საწყისებსაც, მის გასაღებსაც. აზროვნების, მათ შორის, ეკონომიკური აზროვნების განმსაზღვრელი ღირებულებების, მისი მთავარი ორიენტირების არსში გარკვევა სიტყვა „ღირ"-ით შეიძლება დაიწყოს. „ღირ"-ი ნიშნავს: მნიშვნელობა აქვს, აზრი, გამართლება აქვს. აქედან წარმოდგება სიტყვები: „ღირს"-ი და „ღირს-ება". ღირს-ი ის არის, რაც, ვინც ვისიმე, რისიმე შესაფერისია; რასაც ვინმე, რამე იმსახურებს, – შესაფერი, დამსახურებული, საკადრისი. ამაში უკვე მოჩანს ღირებულების ფარდობითი ხასიათი, რაც ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში შეტოლებას ნიშნავს.

„ღირებულების" ზოგადსოციოლოგიური, ფილოსოფიური ცნების ახსნა ურთულესი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ქართველი ფილოსოფოსები ამას პირდაპირ აღიარებდნენ. მიიჩნევდნენ რა ღირებულების თეორიის შექმნას საუკუნის ერთ-ერთ უმთავრეს მინაღწევად ფილოსოფიაში, ისინი აღნიშნავდნენ: „მთელი ფილოსოფიის ისტორია თითქოს ღირებულების ცნების მომზადების ისტორიაა და მაინც

იგი საბოლოოდ აუხსნელი დარჩა“. (ქვაჩახია ვ., ნადირაშვილი შ., ბეჭვაია დ., ჭელიძე ვ. ღირებულება და განწყობა. იხ. წიგნში: სოციოლოგიური ნარკვევები, თბ., 1969, გვ. 50).

ყველაზე მარტივად თუ ვიტყვით, „ღირებულებაა ის, რაც შეესაბამება ადამიანის ადგილს სამყაროში“. ის ისეთი რამაა, რომელსაც დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია (იდეალურია) და ყოველი რეალურის განმსაზღვრელია. როგორც ქართველი ფილოსოფოსები მიიჩნევენ: „ღირებულების ცნება (შემდეგ – თეორია) მაშინ ჩამოყალიბდა, როცა აღიარებულ იქნა ისეთი იდეალური, რომელიც მნიშვნელობს და განსაზღვრავს ყოველ შეფასებას (თვითშემეცნებასაც კი)... პასუხი უპირველეს ყოვლისა მოგვეთხოვება იმაზე, შეიძლება თუ არა ვაღიაროთ ის, რაც მნიშვნელობს, იდეალურია (რეალური არსებობა არ გააჩნია) და განმსაზღვრელია ყოველი რეალური (ინდივიდუალური) ცნობიერებისათვის“ (იქვე, გვ. 50).

ღირებულების ცნების სამ ნიშანს გამოყოფენ: 1) ეს აუცილებლად არის ადამიანთა შეფასებითი დამოკიდებულება საგნისადმი; 2) ეს არის იმის აღიარებაც, რომ იდეალური მნიშვნელობს, როგორც ინდივიდუალურ-რეალურის განმსაზღვრელი; 3) ღირებულებაა ის, რაც საზრისის მიმცემია, რის გამოც რაიმეს საზრისი აქვს. ღირებულების ეს ნიშანი შეფასებების მიმართ გვაძლევს იმას, რაც ცხოვრების საზრისის უმაღლეს შეფასებით კატეგორიაში გამოითქმის და ეთიკური სამყაროს (უნდას სამყაროს) განმსაზღვრელია. (ღირებულების ფილოსოფიური ცნების დადგენის საკითხებს მნიშვნელოვანი გამოკვლევები მიუძღვნა ქართველმა ფილოსოფოსმა გერონტი შუშანაშვილმა (იხ.: ა) შუშანაშვილი გ. ი., ღირებულების ფილოსოფიური ცნება. თბ., 1986; ბ) შუშანაშვილი გ. ი. ზნეობრივი ღირებულების სპეციფიკა. თბ., 1980. თანამედროვე ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში ღირებულების პრობლემის შეჯამებას ეძღვნება გ. შუშანაშვილის მიერ ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულში გამოქვეყნებული ნაშრომი (იხ. ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, ტომი IV, თბ., 2003, გვ. 371-380).

ავტორი განიხილავს რა შემეცნებით და ღირებულებით მიმართებას ადამიანისა სინამდვილისადმი, მიიჩნევს, რომ შემეცნებითი მიმართება არის ზეპიროვნული, ღირებულებითი და პიროვნული. ე.ი. ადამიანი სინამდვილეს უდგება გარკვეული მიზნის მიხედვით. ამის მიხედვით მსჯელობებიც იყოფა ჭეშმარიტ და ღირებულებით მსჯელობებად. ჭეშმარიტი მსჯელობა გამოხატავს საგანს მის თავისთავადობაში, ხოლო ღირებულებითი მსჯელობა – ჯერარსობით, ანუ იმის მიხედვით, რაც საგნის (მოვლენის) იმ ნიშანს ეხება, რომელიც მთლიანად არ არის, ან ჯერ საერთოდაც არ არის რეალიზებული და ამიტომ არ არის არც დამკვიდრებული, როგორც ამ საგნის (მოვლენის) არსი (იმის მიხედვით, რაც მომავალში უნდა იყოს) ანუ ფრჩხილებში ჩაწერილ აზრს თუ

განვმარტავთ, ეს ნიშნავს იმას, რომ ობიექტი, რომელსაც ვაფასებთ, ის არ არის, რაც ღირებულების თვალსაზრისით უნდა ყოფილიყო.

შეიძლება ითქვას, რომ ღირებულებები არის ის იდეალური, რომლისკენაც მუდმივად უნდა ვისწრაფვოდეთ, რომელიც საზოგადოებას რაც უნდა ის კი არაა, არამედ ისაა, რაც საზოგადოებას უნდა უნდოდეს, რომელსაც ვერასოდეს მივაღწევთ, რადგან ღირებულებებისკენ სწრაფვა სრულყოფილებისკენ მუდმივ სწრაფვას ნიშნავს, იმას ნიშნავს, რომ არსებული გარემო არ უნდა გვაკმაყოფილებდეს, მუდამ უნდა გვინდოდეს უკეთესი, უკეთესის მარადიული წადილი უნდა გვამოძრავებდეს, რასაც მუდმივად უნდა განვიცდიდეთ, მუდმივად უნდა ვგრძნობდეთ, რისკენაც მუდმივად უნდა მივილტვოდეთ. შესანისნავად აქვს უმბერტო ეკოს ნათქვამი: მე ვწერ არა იმას, რაც ხალხს უნდა, ვწერ იმას, რაც მინდა, რომ ხალხს უნდოდესო.

სწორედ აღნიშნულის შესახებ ჯერ კიდევ 1885 წელს, ანუ იმის შესახებ, რომ ადამიანი ყველგან ადამიანია მათ ერთი და იგივე ღირებულებები უნდა ამოძრავებდეთ, რომ რაც ერთგან ერთისათვის ცოდვა და ბოროტებაა, მეორესთვისაც ცოდვა და ბოროტება უნდა იყოს, გენიალურად წერდა ილია ჭავჭავაძე: "კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი მარტო ადამიანის გულისხმის საქმეა. უტყვის ბუნების წინაშე არ არსებობს ეგ განსხვავება. ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის და რადგანაც ადამიანი ყველგან ადამიანია, მაშასადამე, რაც ერთგან და ერთისათვის ცოდვაა და ბოროტი, მეორესათვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ და დღე-მუდამ მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ეს არ არის. რატომ? "რატომაო"? საქმეც იმაშია, რომ მაგ "რატომს" ჯერ-აქამომდე ადამიანმა გულ-დაჯერებული პასუხი ვერ მოუპოვა" (ი. ჭავჭავაძე თხზ. სრული კრებული 10 ტომად ტომი V, სახელმწიფო გამომცემლობა თბილისი 1955, გვ. 327-328).

ღირებულების ფილოსოფიური ცნების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის რუსულ ენაზე დაბეჭდილი „ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონი", რომლის რედაქტორ-შემადგენლები არიან ე. ფ. გუბსკი, გ. ვ. კორაბლიოვა, ვ. ა. ლუტჩენკო (წიგნი გამოცემულია მოსკოვში, 2000 წ.). მისი თეორიული ბაზა არის გერმანიის, აშშ-ს და ინგლისის ფილოსოფიური ლექსიკონებიდან აღებული სტატიები, აგრეთვე ახალი სტატიები, რომლებიც სპეციალურად ამ ლექსიკონისთვისაა დაწერილი.

ახლა კონკრეტულად აღნიშნულ ლექსიკონში ღირებულების გაგების შესახებ. განმარტებულია, რომ ღირებულება არის ის, რაც ადამიანთა გრძნობებს კარნახობს აღიარონ იგი უფრო მაღლა მდგომად და რისკენაც უნდა ვისწრაფოდეთ, ვაპყრობდეთ მზერას, ვჭვრეტდეთ, ვეპყრობოდეთ პატივისცემით, აღიარებით, თაყვანისცემით (პ.

მენცერი). ღირებულება ცალკეული ნივთის თვისება კი არაა, არამედ ობიექტის სრულფასოვანი ყოფიერების არსია და, იმავდროულად, მისი პირობაცაა. ადამიანურ მოთხოვნილებათა და შეგრძნებათა განუსაზღვრელად დიდი სიმრავლე შეფასებათა მრავალფეროვნებას განაპირობებს: რასაც ერთისთვის დიდი ღირებულება აქვს, მეორესთვის იგი ნაკლები აქვს, მესამისთვის კი – საერთოდ არ გააჩნია. ფორმალური თვალსაზრისით ღირებულებები იყოფა პოზიტიურად და ნეგატიურად (მცირეფასიანობა, ღირებულების არარსებობა), შეფარდებითად და აბსოლუტურად, სუბიექტურად და ობიექტურად. შინაარსის მიხედვით განსხვავდებიან ნივთიერი ღირებულებები, ლოგიკური, ეთიკური და ესთეტიური ღირებულებანი: სიამოვნება, სარგებლიანობა და ვარგისიანობა; ჭეშმარიტება, სიკეთე, მშვენიერება. ფონ რინტელენი თავის ფასეულობათა ლოგიკაში შეეცადა დაპირისპირებოდა რელატივისტურ და ისტორიულ მიმდინარეობებს, რომლებიც ეფუძნებიან ასეთ გაგებას: ღირებულების რაიმე უცვლელი იდეის არსი, მაგალითად, სიყვარულისა, ის არის, რომ მას უნარი აქვს იცვალოს ინტენსიურობის ხარისხი და გამოვლინდეს სრულიად განსხვავებული სახით: ეროსი, აგაპე, ადამიანის სიყვარული, სოციალური სიყვარული. ნ. ჰარტმანმა მოახდინა კანტიანური აპრიორიზმისა და არისტოტელესეული, ღირებულებათა მატერიალური ეთიკის სინთეზი: იგულისხმება თავისთავად არსებულ ფასეულობათა სამეფო, ნამდვილი კოსმოს-ნოეტოს, რომელიც იმყოფება სინამდვილის მიღმა ისევე, როგორც ცნობიერების მიღმა. ღირებულებათა არსის შესახებ საკითხი მას მეტაფიზიკურად, ირაციონალურად, მარად გადაუწყვეტელ პრობლემად მიაჩნდა. ნიცშემ ცხადი გახადა ის უზარმაზარი მნიშვნელობა, რაც ღირებულებას და ღირებულებით შეფასებას აქვს მსოფლმხედველობისათვის. ღირებულებითი შეფასებანი მისთვის არის „ცხოვრების განსაზღვრული წესის შენარჩუნების ფიზიოლოგიური მოთხოვნა“; მასში გამოიხატება „ძალაუფლების ნება-სურვილი“. იგი მოითხოვდა და ცდილობდა განეხორციელებინა ყველა ღირებულების გადაფასება და „რანგების მიხედვით მათი დალაგება“ (რანჟირება). უმაღლეს ღირებულებას თავის თავში თავად განასახიერებს, ხორცს ასხამს, დიადი ადამიანი, რომელიც (ნიცშეს მიხედვით) ადგენს ღირებულებებს.

ბევრი ავტორი ერთმანეთისაგან ასხვავებს ტერმინებს „ფასეულობას“ და „ღირებულებას“. ჩვეულებრივ, ფასეულობის ცნებას ხმარობენ ისეთი მოვლენების აღსანიშნავად, რომელთა რაოდენობრივი შეფასება, „ფასის“ განსაზღვრა შედარებით ადვილია. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია: „ფასეულობა – ძვირფასი ნივთები; განძეულობა, სიმდიდრე, მატერიალური ფასეულობანი – კულტურული ფასეულობანი“. აქვე აღვნიშნავთ, რომ კულტურული ფასეულობანი სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა განათლების, მეცნიერების, ტექნიკის,

ხელოვნების, ყოფა-ცხოვრების სფეროში. მისგან განსხვავებით, „ღირებულების“ ცნებაში ისეთი მოვლენები იგულისხმება, რომელთა რაოდენობრივი შეფასება, ფასის განსაზღვრა ურთულესი პრობლემაა, თუკი იგი საერთოდ არის შესაძლებელი. ავიღოთ, მაგალითად, თანამედროვე ღირებულებები, რომლებიც უფრო მეტად დასავლურ ცივილიზაციებშია მიღებული (აღიარებული): ადამიანის უფლებები, თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, საყოველთაო კეთილდღეობა, ტოლერანტობა, პატრიოტიზმი და ა.შ. განა შეიძლება ამ ღირებულებათა რაოდენობრივი შეფასება? ასევე შეუძლებელია ისეთი დემოკრატიული ღირებულების რაოდენობრივი შეფასება, როგორიც არის, ვთქვათ, „სამოქალაქო საზოგადოება“, რომელიც კრებსითი მნიშვნელობის ცნებაა (ღირებულებაა).

შევეხოთ ეკონომიკურ ღირებულებებს. აქაც იმავე პრობლემას ვაწყდებით: მათი ზუსტი განსაზღვრა (გაზომვა) შეუძლებელია. თუმცა, გაცვლით ურთიერთობაში მოქცეული ეკონომიკური სიკეთეები ანუ საქონლები ერთმანეთში ასახავენ თავიანთ ღირებულებას, რომელსაც ამით ზუსტი რაოდენობრივი განზომილება ეძლევა ყოველ ცალკეულ მომენტში და ცალკეულ ადგილას, მაგრამ იგი განუწყვეტლივ იცვლება დროსა და სივრცეში და მისი გაზომვა შეუძლებელი ხდება. საზოგადოება მის შესახებ ინფორმაციას იღებს მხოლოდ ფასის მეშვეობით, რომელიც გამოხატავს მას, მაგრამ არასდროს არ ემთხვევა – ყოველთვის გადაიხრება მისგან.

თუ ტერმინებს – ღირებულება და ფასეულობა – ერთმანეთისაგან გავმიჯნავთ, შეიძლება ვთქვათ, რომ საქონელი ღირებულება კი არ არის, არამედ – ფასეულობა, რომლის საზოგადოებრივი მნიშვნელობა გამოიხატება სხვა საქონლების გარკვეული რაოდენობით, ხოლო თუ მიღებულ ტერმინებს გამოვიყენებთ – საქონლის ალტერნატიული ღირებულება არის იმ საქონელთა განსაზღვრული რაოდენობა, რომელთა მიღება შეგვიძლია მოცემული საქონლის სანაცვლოდ (ან რომლებზეც უარი ვთქვით). ღირებულების ფულადი გამოხატულება არის რაოდენობრივად განსაზღვრული სიდიდე – ფასი, – რომელიც, როგორც ვთქვით, მუდამ გადახრილიცაა მისგან. ფასი შეიძლება უცვლელი რჩებოდეს, საქონლის ღირებულება კი მუდამ იცვლება. ამიტომ საქონლის ღირებულებას კ. მარქსი გრძნობადი საქონლის ზეგრძნობად თვისებად მიიჩნევდა. ამ მიდგომას სხვადასხვაგვარად გამოხატავენ მისი შემდეგი დებულებები: „ღირებულება იმით განსხვავდება ქვრივი კვიკლისაგან, რომ არავინ იცის, საიდან ჩასჭიდოს მას ხელი“. „მიუხედავად იმისა, რომ სერთუკი ღილებშეკრული მოგვევლინა, ტილომ მაინც იცნო მასში მონათესავე ლამაზი სული ღირებულებისა“. „...შაქრისთვის წონის გამოხატულებაში რკინა წარმოადგენს ორივე სხეულისთვის საერთო ბუნებრივ თვისებას, მათს სიმძიმეს, – მაშინ, როდესაც ტილოს ღირებულების გამოხატულებაში სერთუკი წარმოადგენს ამ ორი

ნივთის ზებუნებრივ თვისებას: მათს ღირებულებას, რაღაც წმინდა საზოგადოებრივს“ (კ. მარქსი, კაპიტალი. ტომი I, თბ., 1954, გვ. 70, 77).

მკვეთრი ზღვარი ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ღირებულებებს შორის არ არსებობს. მ. გველესიანის აზრით, ყველანარი ღირებულებას აქვს თავისი რაოდენობრივ მხარე ანუ ეკონომიკური განსაზღვრულობა. „ადამიანისა თუ ადამიანთა ერთობის ყოველი ნაბიჯი, ხომ, – წერს იგი, – მარტივი არჩევანი კი არა, არჩევანთა მთელი წყების ნაერთია, ხოლო სადაც არჩევანია, იქ არის ეკონომიკური შეფასებაც: „უბრალო“ შეფასებიდან („ეს კარგია, ეს ცუდია“) იქ გადავდივართ ეკონომიკურ შეფასებაზე („ეს მირჩევნია – ეს იმას ამდენით სჯობს“).

... ველი მკითხველის დაეჭვებას: განა ეკონომიკურ არჩევანს აკეთებს ის, ვინც იმაზეა ჩაფიქრებული, ათხოვოს თუ არა მეგობარს მაგნიტოფონი ან მიჰყვეს თუ არა მას შეყვარებულის მშობელთან მისი თხოვნის გამხელაში „დასახმარებლად“? დიახ, აკეთებს. იგი ერთმანეთს უდარებს, ერთი მხრივ, ეფექტს, რომელსაც ჰქვია მეგობრის კეთილდღეობა, მისგან მომდინარე კეთილგანწყობა და მასთან მეგობრობის სიმტკიცე, მეორე მხრივ კი ამ ეფექტის მისაღებად საჭირო რესურსებს – „მსხვერპლად“ გასაღებ საკუთარ დროსა თუ სიამოვნებას და ა.შ. ხოლო ვინც არც კი შეყოვნდება, ისე გადაწყვეტს ამ საკითხს დადებითად, ამით იგი იმდენად მაღალ შეფასებას მისცემს მეგობარს და მასთან მეგობრობას, რომ ამასთან შედარებით წვრილმანად მიიჩნევს დროისა თუ სიამოვნების დანაკარგს.

მსგავსი ფასეულობები ისეთი ადამიანისეული ფასეულობებია, რომლებიც ერთობლივ ეკონომიკურ წრებრუნვაში თითქოს არ ერთვებიან და ისე ჩანს, თითქოს ეკონომიკის მიღმა დგანან. მაგრამ... ასეთი ფასეულობები ეკონომიკური წრებრუნვის თანამგზავრებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მის ფორმებსა და მიზანმიმართულებებს...“ (მერაბ გველესიანი. რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., „კომენტარი“, 2008, გვ. 108-109).

როგორც ვხედავთ, თავისი წიგნს ამ პარაგრაფში, რომლის სათაურიც არის „ეკონომიკის ადგილი საზოგადოებაში“, ავტორი აფართოებს ეკონომიკის გაგებას, ისეთი ღირებულებების ხარჯზე, რომლებზეც ზემოთ ითქვა, რომ ისინი რაოდენობრივ გამოხატულებას ნაკლებად ექვემდებარება. ეს შეიძლება უცხოდ ეჩვენოს მკითხველს, მაგრამ ავტორს აქვს წონადი არგუმენტები, აკეთებს რა რეტროსპექტიულ მიმოხილვას. „...მეცნიერების წარმოდგენა ეკონომიკის ფარგლების შესახებ, – წერს იგი, – საუკუნეების მანძილზე ფართოვდებოდა. ფიზიოკრატებისათვის (XVIII ს.) რომ გეკითხა, ეკონომიკა სად არისო, ისინი სოფლის მეურნეობისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე

მიგითითებდნენ. კიდევ უფრო შეზღუდული იყო ამ საკითხებზე მერკანტილისტების (ისტორიულად პირველი ეკონომიკური სკოლის) წარმოდგენები. ხოლო უფრო ადრე მასზე ვერც იარსებებდა რამდენადმე თანმიმდევრული, ჩამოყალიბებული აზრი, რადგან შრომა დამამცირებელ საქმიანობად ითვლებოდა, ტერმინების – „პოლიტიკა“ და „ეკონომიკა“ ავტორები საკუთარ შრომას შრომად არ თვლიდნენ და რაღა თქმა უნდა, ვერც ეკონომიკას განუსაზღვრავდნენ ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბოლო საუკუნეებში ეკონომიკის ცნებითი შინაარსიდან აღარ გამორიცხავენ ადამიანის საქმიანობის არცერთ სფეროს. მოგვიანებით ამას დაემატა მოხმარების სფეროც... მხოლოდ ბოლო რამდენიმე ათწლეულში ხდება, მეტნაკლებად, იმის გაცნობიერება, რომ ეკონომიკურ ფასეულობებს მიეკუთვნება ნებისმიერი ფასეულობა, რომელიც კი რომელიღაც მიმართებაში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ექვემდებარება არჩევანსა და, მაშასადამე, ეკონომიკურ შეფასებას“ (იქვე, გვ. 109-110).

ახლა კვლავ მოვიხმოთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. „ფასეულობა“ აქ განმარტებულია როგორც ძვირფასი ნივთები; განძეულობა; სიმდიდრე; მასში იგულისხმება როგორც მატერიალური, ასევე კულტურული ფასეულობანი.

„ღირებულება“ შემდეგნაირადაა განმარტებული: 1. საქონელმწარმოებელთა საზოგადოებრივი შრომა, საქონელში განივთებული; 2. რა ფასიც აქვს რასმე, რა ღირს რამე; 3. ფასი, მნიშვნელობა, ხარისხი.

ცხადია, რომ აღნიშნულ ორ ცნებას შორის უფრო მეტი მსგავსებაა, უფრო მეტი პარალელური გაგებაა, ვიდრე განსხვავება. „უფრო მეტი“ კი იმასაც მიგვანიშნებს, რომ მათ შორის რაღაც „მცირე“ ნიუანსებში განსხვავებას ჩვენი აზროვნების პროცესში, ალბათ, მაინც ვერ ავცდებით.

ამ ტერმინების ცნებითი შინაარსის სიახლოვის გამო მათ შორის მკვეთრი წყალგამყოფი ხაზების გატარება, აქედან გამომდინარე კი გადასინჯვა, საჭიროდ არ მიგვაჩნია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ინგლისურ ენაში ეს ორი ცნება სინონიმებადაა მიჩნეული. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ დავეყრდნობით OXFORD Advanced Learner's Dictionary-ს (2003), სადაც ვკითხულობთ: value – ღირებულება: 1) ფულადი ღირებულება ან არაფულადი, ანუ სხვა ნივთებით გამოხატული, რომელშიც შეიძლება გადავცვალოთ კონკრეტული საგანი; 2) რამდენად ღირებულია კონკრეტული საგანი ფასთან მიმართებაში, ანუ ღირს თუ არა აღნიშნულ თანხად; 3) მნიშვნელოვანი, გამოსადეგი – მნიშვნელობის ხარისხი (მაგ.: რეგულარული ვარჯიშების მნიშვნელობა); 4) რწმენა (ღირებულებები) იმის შესახებ, თუ რა არის სწორი და რა – არასწორი, აგრეთვე მნიშვნელოვანი ცხოვრებაში (მაგ.: კულტურული ღირებულებები, სოციალური

ღირებულებები, მორალური ღირებულებები); 5) მნიშვნელობა, რომელიც გამოისახება ასოებით ან სიმბოლოებით (მაგ.: ვთქვათ, y-ის მნიშვნელობა არის 33... y=33); 6) მნიშვნელოვნად მიიჩნევა (მაგ.: მე ნამდვილად მიმაჩნია იგი მეგობრად; ჯგუფის მნიშვნელოვანი წევრი; ტერიტორია მნიშვნელოვანია მისი ვაზის ნარგავებით); 7) კონკრეტული საგნის შეფასება გარკვეულ თანხად. ოქსფორდის განმარტებით ლექსიკონში, რომელიც ბიზნესს მოიცავს, განმარტებულია შემდეგი – Value (ფასეულობა, ღირებულება): ღირებულება, რომელსაც ვინმე ანიჭებს რაიმეს (Бизнесс: Оксфордский толковой словарь: Англо-ресский: Свышк 4000 понятий. – М.: Издательство «Прогресс-Академия», Издательство РННУ, 1995, с. 667).

ფასეულობის განსაზღვრა ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა, არსებობს პრობლემის გადაწყვეტისადმი ორი პრინციპული მიდგომა. კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში (Classical School) და მარქსისტულ ეკონომიკურ მეცნიერებაში (Marxist economics) ფასეულობა განიხილება როგორც ობიექტური რეალობა, რომელიც შეიძლება გაიზომოს შრომის რაოდენობით (labour), რომელიც განხორციელებულია საქონელსა და მომსახურებაში. ნეოკლასიკური სკოლა (neoclassical School) ფასეულობას მიიჩნევს სუბიექტურ თვისებად, რომელიც დამოკიდებულია იმის იშვიათობაზე, რაც მოცემულ დროს მოთხოვნილებების საგანია. ეკონომისტთა უმრავლესობა ამჟამად ფასეულობის ნეოკლასიკური გაგებისაკენ იხრება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ მიზნით, რომ თავიდან ავიცილოთ სხვადასხვა გაუგებრობები ქართულ ენაზე ამ ორი ცნების – „ღირებულებების“ და „ფასეულობების“ ხმარებისას შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ როგორც ინგლისურ ენაშია მიღებული, ისინი ჩვენც სინონიმებად მივიჩნიოთ.

ჩვენს მიერ განხილულ ცნებებში გარკვევის შემდეგ შეიძლება კვლავ მიუბრუნდეთ ღირებულებების კლასიფიკაციის გააზრებას, რომელსაც ჩვენ არსებითად უკვე შევეხეთ. ამისათვის აუცილებელია თანმიმდევრობით განვიხილოთ სხვადასხვა კატეგორიები. ამის საფუძველზე შესაძლებლად მიგვაჩნია რაღაც ზოგადი დასკვნის გამოტანაც.

ღირებულების კლასიფიკაციისათვის აუცილებელია მოვძებნოთ ის უმთავრესი ნიშნები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ამ კლასიფიკაციას. ჩვენი აზრით, ერთ-ერთ ასეთ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ ის უმთავრესი განსაზღვრულობანი, ის ცნებები და კატეგორიები, რაც ადამიანს აქცევს ღირსეულად.

სიტყვა „ღირსება“-ს აქვს თავისი მნიშვნელობები: დადებითი თვისება; მაღალი მორალური, ადამიანური ღირებულება, პატივდებული საზოგადოებრივ-მორალური მდგომარეობა; ავკარგიანობა.

„ღირსება“ ისეთი სიტყვაა, რომლითაც ადამიანის მთელი შინაგანი ბუნება, მისი სულიერი სამყარო შეიძლება შეფასდეს და ეს არსება თავის მთლიანობაში ხელისგულივით გადაიშალოს. ღირსეული ადამიანი კი ისეთი ადამიანია, რომელიც ახორციელებს, იცავს და ამკვიდრებს ამ „ღირსებისთვის“ აუცილებელ ღირებულებებს.

ჩვენი ტრადიციული წარმოდგენით: ღირსეული ხარ მაშინ, როცა სიმართლეს იცავ; ღირსეული ხარ როცა, თავისუფლებას იცავ; როცა სიტყვის უფლებას იცავ; სხვის ღირსებასაც იცავ; როცა სიცოცხლის უფლებას იცავ; როცა სამშობლოს იცავ; და სიყვარულის უფლებას იცავ; როცა უბრალოდ იცავ; შენი წინაპრების ადათ-წესს იცავ; როცა შვილების მომავალს იცავ და კიდევ ბევრ სხვას... იცავ.

ღირსებააყრილი, ღირებულებებისაგან დაცლილი ადამიანი საზოგადოებისათვის გამოუსადეგარი ხდება და, ცხადია, თავის თავსაც ვერანაირ სიკეთეს ვერ მოუტანს. სწორედ ამ საკითხებს ეხება ერთ-ერთ თავის ბლოგში[1] („MODUS VIVENDI“) პროფესორი ზურაბ მარშანია. იგი გმობს მანქურთიზმს. მანქურთი იდეალური მონაა, რომელსაც ყველაფერი დავიწყებული აქვს, პირველ რიგში კი – საკუთარი წარსული, ენა და ისტორია. იგი მთლიანად გადაჯიშებული ადამიანია და უსიტყვოდ ასრულებს თავისი ბატონის ბრძანებებს. ჩვენი წინსვლის ვერც ერთ საქმეში, ვერც ერთ უბანზე, მანქურთი სანდო პარტნიორი ვერ იქნება. ამიტომ საშურია ყველა იმ ქართველის გამხნევება, ვისაც ადამიანის სახე და ღირსება შერჩენია. ამისათვის ავტორი დიდ ადამიანთა სიტყვებს მოუხმობს. იგი აღნიშნავს:

„ჩემეულად გამოვიყენე და „ავკინძე“ ისეთ მოაზროვნეთა გამონათქვამები როგორებიცაა: ფ. ლაროფშუკო, ნ. მაკიაველი, გოეთე, ლევ ტოლსტოი, კ. ჰელვეციუსი, ჯ. გოლსუორსი, რ. დეკარტე, დ. იუმი, მარკ ტვენი, კ. კოლტონი, შ. მონტესკიე, ანატოლ ფრანსი, ი. გონჩაროვი, თომას მანი, დ. პეკი, ბენჯამენ ფრანკლინი, პ. კალდერონი, ლუკრეციუსი, უილიამ შექსპირი, რ. ემერსონი, ი. ცშოკე, ვოლტერი, თ. კარლეილი, სპინოზა, უ. ჩენინგი, არისტოტელე, აპულეუსი, ი. ბეჰერი, უ. ჯეიმსი, ივანე პავლოვი, უ.

---

[1] სიტყვა ბლოგი, შესიტყვება „ვებლოგი“-დან (weblog) წარმოებულია. თავად ვებლოგი კი ორი სიტყვის ერთობლიობაა – ვები (web) და ლოგი (log). რაც ითარგმნება როგორც ვებ ჩანაწერი, ან ვებ ჟურნალი. ბლოგი ძალიან ჰგავს ვებსაიტს, მაგრამ რამდენიმე მისთვის დამახასიათებელი ნიშანიც აქვს. ყველა ბლოგს აქვს სათაური. როგორც წესი, ბლოგში განთავსებული თითოეული ჩანაწერი დათარიღებულია და კომენტარების დატოვების საშუალება აქვს. როგორც წესი, ბლოგი რომელიმე კონკრეტული ინდივიდის მიერ არის შექმნილი, მაგრამ არსებობს კორპორატიული ბლოგებიც. ასეთ შემთხვევაში თითოეულ ჩანაწერს კონკრეტული ავტორი ჰყავს. კორპორატიულ ბლოგში, როგორც წესი, მითითებულია, რომ გამოთქმული მოსაზრებები კონკრეტულ ადამიანს ეკუთვნის და ამა თუ იმ ორგანიზაციის შეხედულებებს არ წარმოადგენს. ბლოგში გაკეთებულ ჩანაწერებს „პოსტი“ ჰქვია, ეს ტერმინი ინგლისური სიტყვიდან (post) არის წარმოებული, ქართულად ითარგმნება, როგორც შეტყობინება. ბლოგში პოსტები რეგულარულად ქვეყნდება და უკუქრონოლოგიურად არის განლაგებული (http://sandroasatiani.wordpress.com/2011/01/18/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98/).

ბეჯეთი, ჯავაჰარლალ ნერუ, ვ. კლიუჩევსკი, ჟან-ჟაკ რუსო და გუსტავ ფლობერი. სულ ცოტაოდენი ჩემი ნააზრევიც დავამატე და ასე გამოვიტანე მკითხველის სამსჯავროზე.

სტატიაში წარმოდგენილი იდეები ერთობ ბანალურ, მაგრამ სამარადისო ჭეშმარიტებებს ეხება. ისეთებს, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ცხოვრება ნამდვილი - ღირსეული ადამიანისა. ცხოვრება, რომელიც სიცოცხლის სინონიმია და არა უბრალო „არსებობა“. იმ ე.წ ადამიანებს კი, რომელებიც მხოლოდ „არსებობენ“ და არ ცხოვრობენ, დიდი მწერლის ი. კუპრინის ცნობილი რომანის სათაურში მოყვანილი სიტყვები შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ - „ცოცხალი გვამი“.

(http://www.for.ge/view.php?for_id=13958&f_cat=&a_title=MODUS+VIVENDI)

გარკვეული გაგებით, შეიძლება ითქვას, რომ ღირებულებათა კლასიფიკაცია უნდა დაეფუძნოს იმას, რაც ადამიანს გახდის ღირსეულს, ანუ უნდა დაეფუძნოს მორალის რიგის კატეგორიებს. ემანუელ კანტიც ხომ ამბობდა: ორი რამ მანცვიფრებს ამ ქვეყანაზე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალი ჩემშიო. „მორალი“ ღირებულებათა კლასიფიკაციის მნიშვნელოვან გასაღებს გვაძლევს.

მორალი (ლათ. moralis – ზნეობრივი) – ეთიკური ფასეულობების სამყაროდან ის დარგი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, აღიარებულია ყოველი ზრდასრული ადამიანის მიერ. ამ დარგის ზომა და შინაარსი იცვლება დროთა განმავლობაში და სხვადასხვანაირია სხვადასხვა ხალხსა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში (პრინციპი – მორალის სიმრავლე და ეთიკის ერთიანობა). მორალის ძირითადი პრობლემებია საკითხები იმის შესახებ, თუ რომელია „კარგი ზნე-ჩვეულება“, რა არის „რიგიანი“, რა ხდის შესაძლებელს ადამიანთა ერთობლივ ცხოვრებას, რომელშიც თითოეული უარს აცხადებს ცხოვრებისეული ფასეულობების სრულ განხორციელებაზე (საკვების მიღება, სქესობრივი ლტოლვა, უსაფრთხოების მოთხოვნილება, სწრაფვა ნიშნადობისა და ფლობისკენ) სოციალური ფასეულობების განხორციელების (ყველაზე ნაკლებად იმ გაგებით, რაც სწორად ითვლება) სასარგებლოდ (სხვათა უფლებების აღიარება, სამართლიანობა, თავშეკავებულობა, ერთგულება, შემწყნარებლობა, თავაზიანობა და ა.შ.); ყველა ხალხში და ყველა დროს გაბატონებულ მორალს, გარდა სოციალური ფასეულობებისა, მიეკუთვნება აგრეთვე ისინი, რომლებიც რელიგიის მიერ შეფასებულია როგორც კარგი საქციელი (მოყვასის სიყვარული, ქველმოქმედება, სტუმართმოყვარეობა, წინაპრების პატივისცემა, რელიგიური კულტების აღსრულება და ა.შ.). მორალი – ესაა ინდივიდუალური მიკროკოსმოსის შემადგენელი ნაწილი, იგი შეადგენს ერთ-ერთ მომენტს, რომელიც განსაზღვრავს პიროვნებისთვის სამყაროს სურათს.

„მორალთან“ განუყოფლადაა დაკავშირებული მისგან წარმომდგარ ცნებათა და კატეგორიათა მთელი რიგი, რომლებიც აგრეთვე განმარტებებს საჭიროებს, ამიტომ მათაც უნდა შევეხოთ.

ბატონთა მორალი და მონების მორალი (ბრბოს მორალი) – ნიცშე განასხვავებს მათ როგორც მორალის ორ ძირითად ტიპს. სუსტი და დაჩაგრული გაბოროტების გამო „ბატონთა“ წინააღმდეგ ქმნის მორალს, რომელშიც სისუსტე და დაჩაგრულობა უმაღლესი ფასეულობებია; ასე წარმოიშვა მორჩილება და თანაგრძნობა – ქრისტიანული ფასეულობები, ამიტომ ისინი უნდა იქნეს შეცვლილი ბატონთა მორალის შესაბამისი ფასეულობებით: დისტანციის გრძნობით, ძალის შეგნებით და ა.შ.

გრძნობაზე დამყარებული მორალი – მორალის მახასიათებელი, რომელიც ხედავს გრძნობებში, მიდრეკილებებში, აფექტებში ზნეობრივი ნების და ქცევის მოტივებს (ამ მიმართულების მთავარი წარმომადგენლები არიან: შეფტსბერი, ჰატჩისონი); მისი საპირისპიროა გონებრივი მორალი.

რეფლექსური მორალი – მორალი, რომელიც ითხოვს ზნეობრივი ნებისგან, რათა იგი აუცილებლობით განსაზღვრავდეს თავის თავს რეფლექსიის დახმარებით გონივრული გაგების და ფიქრის შედეგად. იმავდროულად გრძნობითი მორალი მიიჩნევს გარკვეულ გრძნობას (მაგ., თანაგრძნობა, სიყვარული) ზნეობრივი ნების მოძრაობის საფუძვლად.

მორალისტები – მწერლების და ფილოსოფოსების ჯგუფი, რომელიც მორალური უხამსობის თავიდან ასარიდებლად ისწრაფოდა გამოეკვლია ვნებათა არსი და მიუთითებდა ვნებების მართვისა და მათთან ბრძოლის მეთოდებს. „ალალმართლობის და მოუთმენლობის გამო ისინი უგულებელყოფენ სისტემატურ წესრიგს და ლოგიკას, ივიწყებენ რა მათ... გულწრფელობითა და მოუთმენლობით ისინი ერთგვარად ალამაზებენ თავიანთ შეხედულებებსა და გამოკვლევებს, პოულობენ მათთვის ინდივიდუალურ, უთანაბრო, მღელვარე სტილს, რომელსაც აფორისტულს უწოდებენ. მათში ჯერ კიდევ ცოცხლობს ანტიკური და შუა საუკუნეების დროიდან სკოლათა, აკადემიათა და ეკლესიათა კეთილზნეობა, სიყვარული შინაგანი ცხოვრების, სინათლის და სილამაზის მიმართ, რაც თავიდან აცილებთ არათანამიმდევრულობას და თვითნებობას“ (კ. ფოსლერი „ იე ფრანზოსისცჰენ ორალისტენ“-ის წინასიტყვაობაში, 1938). ფრანგ მორალისტებს მიეკუთვნებიან ლაროშფუკო, ვოვენარგი, მონტესკიე, შამფორი, რივაროლი; 1711 წელს შეფტსბერიმ გამოაქვეყნა შემდგომში სახელგანთქმული წიგნი „თჰე მორალისტს“. მის გარდა, ყველაზე ცნობილი ინგლისელი მორალისტები იყვნენ: კუმბერლენდი, ბატლერი, კლარკი, უილიამ ვოლასტონი, აჩესონი, ჰომი და ფერგიუსონი.

მორალურობა (ლათინ. moralitas – ზნეობრიობა) – კანტის მიხედვით, მოქმედებას მხოლოდ მაშინ ახასიათებს მორალურობა, როცა იგი უბრალოდ კი არ შეესაბამება ზნეობრივ კანონს, არამედ თავად გამომდინარეობს მოვალეობის იდეიდან. მ ო რ ა ლ უ რ ი – მიეკუთვნება მორალს, შეესაბამება მორალს, ზნეობრივი, აგრეთვე (განსაკუთრებით ფრანგებსა და ინგლისელებში) ფიზიკურის საპირისპირო, ანუ სულიერი.

მორალური პრინციპი – ყოველგვარი პრინციპი, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს ზნეობრივ ნებას, როგორებიცაა, მაგალითად, სიხარული (ჰედონიზმი), ბედნიერება (ევდემონიზმი), სარგებელი (უტილიტარიზმი), ბუნებრივ სურვილთა დაკმაყოფილება (ეთიკური ნატურალიზმი), სრულყოფილება (ევფორიზმი), ჰარმონია და ა.შ.

ახლა უკვე შეგვიძლია უფრო მეტი რამ გავიაზროთ მორალის შესახებ, რაც უკავშირდება ისეთ ფილოსოფიურ კატეგორიას, როგორიცაა „ეთიკა“.

ეთიკა (ბერძ. ethika, ethos-იდან – ჩვეულება, ზნეობრივი ხასიათი) – მოძღვრება ზნეობის, მორალის შესახებ. ტერმინი პირველად გამოიყენა არისტოტელემ როგორც კვლევის განსაკუთრებული დარგის – „პრაქტიკული“ ფილოსოფიის – აღნიშვნა, რადგან სწორედ ის უპასუხებს კითხვას: რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ? ეთიკა გვასწავლის შევაფასოთ ყოველგვარი სიტუაცია, რათა შესაძლებელი გავხადოთ ეთიკურად (ზნეობრივად) სწორი საქციელი. იგი აღზრდის ადამიანში მოწოდებას დაასრულოს სამყარო არსებულ სამყაროზე ანუ იმაზე რაც არის, იმ სამყაროს დაშენების გზით ის, რაც უნდა იყოს. ეთიკა იკვლევს, რას აქვს ფასეულობა ცხოვრებასა და სამყაროში, რადგან ეთიკური ქცევა მდგომარეობს ეთიკური ფასეულობების განხორციელებაში. ეს ფასეულობები უნდა ვეძებოთ როგორც ყველა სიტუაციაში, ასევე პიროვნებაში. ეთიკა ხელს უწყობს შემფასებელი ცნობიერების გაღვიძებას. ცხოვრებაში, რომელიც იძულებულია წარმართოს თანამედროვე ადამიანმა, ეთიკური განხილვა და რწმენა ძნელად პოულობს თავის ადგილს. თანამედროვე ადამიანი გამოთაყვანებულია და მუდმივად ჩქარობს. ეთიკური ადამიანისთვის, პირიქით, მისაწვდომია ფასეულობის გაგება, ის – ბრძენია (ლათ. sapiens – გემოვნების მქონე), დახვეწილი გემოვნებით, ნაზი ორგანოთი ცხოვრების ფასეულობის აღსაქმელად. არადიფერენცირებული შემფასებელი ცნობიერება აღმოჩნდება ხოლმე თითოეული ადამიანისთვის თავისი ნების ფუნქციად, ვინაიდან ნება შეიძლება იყოს ქმედითი მხოლოდ მაშინ, თუ იგი მიმართული იქნება ფასეულობაზე. ეთიკური ფასეულობები, რომელთა მნიშვნელობა იხსნება *აღზრდის* ან ეთიკური გრძნობის წყალობით, თავისთავად განლაგდება იერარქიულ კიბედ, ფასეულობათა თავისებურ „პირამიდად“, რომლის ბაზისს ქმნის არაცნობიერად განხორციელებული ცხოვრებისეული ფასეულობები (ნება ცხოვრებისთვის, საკვების

მოთხოვნილება, სქესობრივი მოთხოვნილება და ა.შ.), რომლის წვერზე განლაგდება უმაღლესი დასაშვები ფასეულობა. ეთიკური ფასეულობები – ესაა რწმენის და ქცევის ფასეულობები. ეთიკურად ფასეული რწმენიდან (განზრახვიდან) გამომდინარე მოღვაწეობას შეიძლება ჰქონდეს დამღუპველი შედეგებიც და გამოიწვიოს დამღუპველი რეაქციები. ყოველგვარი ეთიკური ფასეულობა, შეცნობილი როგორც ასეთად, წარმართავს ადამიანის ეთიკურ ენერგიას საკუთარ თავზე და მოითხოვს ადამიანისგან თავის განხორციელებას. ხდება არა ფასეულობათა გადაფასება, არამედ მათი შეცვლა შემფასებლურ ცნობიერებაში: „შემფასებლური ცნობიერების „შეზღუდულობა“ განაპირობებს იმას, რომ ყოველ ჯერზე შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ფასეულობათა შეზღუდული რიცხვი, ღირებულებათა სამყაროს შეზღუდული დარგი. ადამიანური არსებობის მოთხოვნილებები განაპირობებს შემფასებლურ ცნობიერებაში მუდმივად ახალი ფასეულობების გაჩენას, ხოლო სხვები ქრება იქიდან. ის, რაც ასი წლის წინ იყო მაღალზნეობრივი, დღეს შეიძლება იყოს უზნეო. ყოველ ადამიანს აქვს ფასეულობათა საკუთარი „პირამიდა“. ფასეულობათა „პირამიდას“, რომლის საფუძველიცაა რომელიმე ხალხის მიმართ კუთვნილება (როგორც, მაგ., ენის და აზროვნების ერთიანობა), აქვს საერთო ძირითადი არსი, რომელიც შეიცავს ღირებულებებს, რომელთა განხორციელება მოეთხოვება ყოველს და ყველასთვის ივარაუდება. ფასეულობათა ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია ამ ძირითად არსში, ქმნის ზნე-ჩვეულებას, გაბატონებულ *მორალს.* ფასეულობათა განხორციელება – ესაა ის, რომ მიჰყვე მოთხოვნას, რომელიც გამომდინარეობს ფასეულობიდან და დაუქვემდებარო ამ მოთხოვნას ყოველდღიური ცხოვრება; მაგ., პატიოსნებაა არა მარტო აღიარო ის, როგორც სათნოება, არამედ თანამიმდევრულად მოიქცე ამ ზნეობრივი ფასეულობის შესაბამისად. ყოველდღიური ცხოვრების სიტუაციებში ადამიანს ჩვეულებრივ შეუძლია აირჩიოს მრავალ ფასეულობას შორის. ეთიკა ვარაუდობს, რომ ადამიანს აქვს არჩევის შესაძლებლობა, ანუ *თავისუფლება.* ეთიკის თანახმად, ადამიანი ეთიკურად სწორად იქცევა იმ შემთხვევაში, თუკი იგი ახორციელებს იმ ფასეულობას, რომელიც მისი განხორციელებისთვის საჭიროებს უდიდეს ზნეობრივ ძალას (მაგ., თავდადება). საჭირო ძალისხმევა მოწმობს, რომ ეს ფასეულობა (მოცემული პიროვნებისთვის) იძენს უფრო მეტ მნიშვნელობას, ვიდრე სხვა ფასეულობები, რომელთაგან მას შეუძლია აირჩიოს. ფასეულობების განხორციელება, რომლებიც აღიარებულია გარემოებებისდა მიხედვით უმაღლესად, არის სიკეთე; რომელიმე ყველაზე დაბლა მდგომი ფასეულობის განხორციელება არის ბოროტება. ეთიკური მნიშვნელობის ფასეულობათა სამყაროში ასხვავებენ: 1) მთავარ ადამიანურ ფასეულობებს, რომლებიც მეტ-ნაკლები ხარისხით შედის ყველა სხვა ეთიკურ ფასეულობებში (ესაა ცხოვრების, ცნობიერების, მოღვაწეობის, ტანჯვის, ძალისხმევის, ნების თავისუფლების,

განჭვრეტის, მიზანსწრაფვის ფასეულობები); 2) სათნოებები (სამართლიანობა, სიბრძნე, გამბედაობა, თავშეკავებულობა, მოყვასის სიყვარული, სიმართლე და გულწრფელობა, ერთგულება და თავგანწირვა, ნდობა და რწმენა, მოკრძალებულობა და მორჩილება, სხვებთან ურთიერთობის ფასეულობა); 3) უფრო კერძო (პირადი) ეთიკური ფასეულობები (სიყვარული ყველაზე შორეულის მიმართ, უნარი, აჩუქო სხვებს შენი სულიერი მონაპოვარი, პიროვნების ფასეულობა, სიყვარული, რომელიც მიმართულია სხვა პიროვნების იდეალურ ფასეულობაზე) – ყველა ამ ფასეულობის დიფერენცირება კიდევ შეიძლება. ეთიკის ისტორია მოწმობს ეთიკურ სისტემათა დიდ მრავალფეროვნებას. თავისი შინაარსის და დასაბუთებულობის მიხედვით ეთიკა ჰეტერონომულია (აქვს გარეშე, უცხო კანონი: ზნეობრივი კანონი გვეძლება ღმერთის მიერ) ან ავტონომიური (აქვს საკუთარი შინაგანი კანონი), ფორმალური (რომელიც წარმოგვიდგენს ზნეობრივი ქცევის რაღაც საყოველთაო პრინციპს) ან მატერიალური (რომელიც ადგენს ზნეობრივ ფასეულობებს), აბსოლუტური (თუკი იგი განიხილავს ეთიკურ ფასეულობათა მნიშვნელობას, მიუხედავად მათი აღიარებისა) ან პირობითი (თუკი იგი ამტკიცებს ფასეულობებს როგორც ადამიანის მოღვაწეობის შესაბამისი მიზანმიმართულების ფუნქციას). ნების მიზნის და ქცევის მიხედვით ეთიკა არსებობს ევდემონისტური, ჰედონისტური, უტილიტარული, პერფექციონისტული. თანამედროვე ფილოსოფიაში ჭარბობს ეთიკური სისტემების სამი ძირითადი ტიპი: ფასეულობების ეთიკა (ზემომოყვანილი მაგალითის სახით), სოციალური ეთიკა და ქრისტიანული ეთიკა, რომელიც ემყარება ყოველივე არსებულის უცვლელი არსის და მიზანშეწონილი წესრიგის დებულებას და აღიარებს ღვთაებრივ მცნებას. მხოლოდ დადებით მცნებებზე დამყარებული ეთიკა წარმოადგენს უკეთეს შემთხვევაში მორალურ თეოლოგიას, მაგრამ არა ფილოსოფიურ ეთიკას.

ფასეულობათა ეთიკა – არისტოტელემდე აღმავალი ეთიკის ფორმა, რომელსაც სპეციალურად უპირისპირებენ კანტიანისეულ ფორმალურ ეთიკას, რის გამოც შელერმა უწოდა ფასეულობათა მატერიალური ეთიკა. კანტის მიხედვით, მორალური კარნახი **(ბრძანება, დავალება, იძულება)** ყოველთვის ფორმალური კანონია, რომელიც კი არ მიუთითებს, რა უნდა უნდოდეს ადამიანს, არამედ მხოლოდ იმას, როგორ უნდა უნდოდეს მას, ვინაიდან სიკეთის არსი თავისთავად წარმოადგენს ნების წმინდა ფორმალურ ხარისხს. ფორმის პრიმატობის იდეა შინაარსზე ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მოდის; არისტოტელესთან მიზნის ჩამოყალიბება იყო წმინდა ფორმა, პლატონთან – სიკეთე. კანტის მიხედვით, „მატერია“ გრძნობათა საქმე იყო, ყველა პრინციპი (კატეგორიები, იდეები, პოსტულატები და ა.შ.), პირიქით, „წმინდა ფორმებია“, გარდა ამისა, ისინი აპრიორულია, რის გამოც პრეტენზია აქვს საყოველთაო მნიშვნელობაზე. მ.

შელერი („Der Formalismus in der ETthik und die materiale Wertethik“, 1927), პირიქით, მიიჩნევდა: სწორი არაა არც ის, რომ ყველა აპრიორული ფორმალურია, არც ის, რომ ყველა მატერიალური აპოსტერიორულია. მატერიალურად განსაზღვრული ნება არ საჭიროებს, როგორც თვლიდა კანტი, იყოს განსაზღვრული ემპირიულად და არც ადამიანი ჩამოჰყავს „ბუნების არსების“ დონემდე. იგი აზროვნებას მიაკუთვნებს გრძნობადობას დაახლოებით ისევე, როგორც აპრიორულს – აპოსტერიორულს. ამის საპირისპიროდ ფენომენოლოგიამ დაამტკიცა, რომ ნებისმიერ აღქმაში არსებობს აპრიორულ ელემენტთა სიმრავლე. კანტის თანახმად, ნების ნებისმიერი მატერიალური განსაზღვრა დაკავშირებულია კმაყოფილებასთან ან უკმაყოფილებასთან, ხოლო სასურველი სიკეთის ფასეულობა განისაზღვრება მხოლოდ ამ კავშირის მეშვეობით. სინამდვილეში ცნობიერებას მიცემული აქვს მხოლოდ ფასეულობათა მატარებლები ფასეულობის ზომასთან ერთად, რომელიც გადააქცევს კიდეც მათ სასურველად. რომელიმე საგნის, როგორც ნამდვილი ფასეულობის, არსებობა მიიღწევა ემოციური და არა ინტელექტუალური აქტით. არსებობს წმინდა აპრიორული ფასეულობა. „სულისკვეთებით ემოციური გრძნობადობა, უპირატესობის მინიჭება, სიყვარული, სიძულვილი, მღელვარება აგრეთვე იმთავითვე აპრიორული შინაარსისაა, რომელსაც არ სესხულობს აზროვნებისგან და რომელიც განისაზღვრება ეთიკით, ლოგიკისგან სრულიად დამოუკიდებლად. არსებობს აპრიორული ორდრე დუ ცოეურ, ან ლოგიქუე დუ ჩოეურ, როგორც მოსწრებულად შენიშნა ბლეს პასკალმა. არსებობს ფასეულობის პირველადი გრძნობა, რომელზეც დაფუძნებულია ფასეულობის ცნობიერება, რომელიც ყოველთვის არის მატერიალური და ნივთიერი (საგნობრივი) ცნობიერება. თავად ფასეულობა არ არის კანონი ან ბრძანება და თუმცა იგი არ არის რეალური წარმონაქმნი, მაინც თავისი შინაარსით თავისთავად ობიექტური და მატერიალური წარმონაქმნია. თავისი მატერიალური ბუნების წყალობით მას უნარი აქვს, განსაზღვროს ბრძანების (კარნახის) შინაარსი.

ეთიკური თეოლოგია, აგრეთვე მ ო რ ა ლ უ რ ი თ ე ო ლ ო გ ი ა – კანტის მიერ ნაშრომში „პრაქტიკული გონის კრიტიკა“ გამოყენებული ცნება. კანტის თანახმად, ზნეობრივი კანონის არსებობა, ადამიანის ქცევების მორალურობას რომ განსაზღვრავს, არის ღმერთის, როგორც ამ კანონის პირველშემქმნელის და მისი გარანტის, არსებობის მტკიცებულება.

ეთიკური – ზნეობრივი, ზნეობის ან *ეთიკის* შესაბამისი.

ეტიოლოგია (ბერძ. aitia – მიზეზი და logos – მოძღვრება) – მოძღვრება მიზეზების შესახებ. ე ტ ი ო ლ ო გ ი უ რ ი – მიზეზობრივი.

საერთო ზოგადი დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს კატეგორიათა წარმოდგენილი რიგის, მათი შინაარსის გააზრების შედეგად ღირებულებების კლასიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, ის არის, რომ ღირებულებების კლასიფიკაცია შესაძლებელია მრავალი ნიშნის გათვალისწინებით. ამ კლასიფიკაციის მთავარ ნიშნად უნდა ავიღოთ ისეთ ცნებები, როგორიც არის მაგალითად, „მორალი" და სხვა კატეგორიები. საერთოდ კი, ასეთი კლასიფიკაცია ბევრნაირად არის შესაძლებელი. ღირებულებები შეიძლება დავყოთ ფორმალური თვალსაზრისით (პოზიტიური და ნეგატიური ღირებულებები); ღირებულებები ასევე იყოფა შეფარდებითად და აბსოლუტურად; სუბიექტურად და ობიექტურად; შინაარსის მიხედვით განსხვავდებიან ნივთიერი ღირებულებები, ლოგიკური ეთიკური და ესთეტიკური ღირებულებები; ეთიკური მნიშვნელობის ფასეულობათა სამყაროში ანსხვავებენ მთავარ ადამიანურ ფასეულობებს, სათნოებებს, უფრო კერძო (პირად) ეთიკურ ფასეულობებს. ფასეულობათა ყველა ამ ჯგუფების დიფერენცირება კიდევ შეიძლება. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსაც თავისი ღირებულებები აქვს.

1.2. წყაროები

ღირებულებითი ორიენტირების გარეშე ადამიანის ყოველი ქცევა და ყოველგვარი მსჯელობა აზრს დაკარგავდა, თუმცა, თვით ეს ღირებულებები მათში იშვიათადაა დასახელებული. სად, რომელ წყაროებში ამოვიძიოთ და ამოვიკითხოთ ისინი, სად მივაგნოთ ღირებულებებს. ბევრი ასეთი წყარო და საშუალება არსებობს. ღირებულებანი შეიძლება მოძიებულნი იქნენ ისტორიულ ქრონიკებში, ფილოსოფიურ ტრაქტატებში, ჰიმნებში, ლექსებში და თვით პირად წერილებშიც კი, უძველეს თუ უახლეს კანონებსა თუ კონცეფციებში... პრესის ფურცლებზე, ენციკლოპედიებში, წიგნებსა თუ ინტერნეტში... ცნობები ღირებულებათა შესახებ არა მარტო მატეანეებში, არამედ უძველეს რომანებშიც მოიპოვება, რომელთაც რომანი იმიტომ ჰქვია, რომ თავდაპირველად რომანულ-ლათინურად იწერებოდა... ყველაფრის სათავე მაინც არის ბიბლია. ბიბლიის ენციკლოპედიის ერთტომეულში, რომელიც ინგლისურიდან ითარგმნა და 1997 წელს გამოიცა (მთარგმნელი – უჩა ცინდელიანი; სამეცნიერო რედაქტორები: ზაურ კიკნაძე, მალხაზ სონღულაშვილი), აღნიშნულია: „დაიწყეთ დასავლური ცივილიზაციის საფუძვლების კვლევა და თქვენ მაშინვე ბიბლიას მიადგებით. მრავალი საუკუნის განმავლობაში მისი გავლენით ყალიბდებოდნენ დასავლური კანონები, განათლების სისტემა, დემოკრატიული იდეალები, ადამიანის უფლებების ჩვენეული კონცეფცია. დიდი ევროპელი

რეფორმატორების უმრავლესობა პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ სფეროში ბიბლიით იყო შთაგონებული. თუ ბიბლიას არ მივიღებთ მხედველობაში, უბრალოდ, შეუძლებელიც კია თანამედროვე დასავლეთის სულიერი წყობის გაგება. ბიბლია დღესაც კაცობრიობის კულტურის ცენტრში დგას“ (ბიბლიის ენციკლოპედია, ერთტომეული. მთ. რედ. პატ ალექსანდერი; რედაქტორები: ჯონ დრეინი, დავიდ ფილდი, ალან მარალდი. ქართული თარგმანი. გ. ბ. ს. საქართველოს წარმომადგენლობა, გვ. 86).

ცივილიზაციურ რესურსებს, მეცნიერებას, მხატვრულ ლიტერატურას, ხელოვნებას, როგორც ღირებულებათა შესახებ ინფორმაციის ამოუწურავ წყაროს, ჩვენ მეტ-ნაკლებად ვეხებით მთელ წიგნში. აქ ჯერ აღვნიშნოთ ის, რომ გამოჩენილ ადამიანთა მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ საზოგადოების შესახებ გამოკვლევებსა და ტრაქტატებში გამოთქმული მოსაზრებები და მიღწეული შედეგები ფართო მკითხველისათვის ხელმისაწვდომი ხდება მათი მოკლედ, სხარტად და მკაფიოდ გამოთქმული ანუ ლაკონური, ლაპიდარული აზრების სახით (ფორმით). სწორედ ამიტომ ექცევა ცხოველი ინტერესის სფეროში ამ მოსაზრებათა თხზულებებიდან ციტატების, აფორიზმების, ფრთიანი თქმების, მორალური ხასიათის დარიგებების შემცველი აზრის ანუ სენტენციების შესახებ ინფორმაციათა მოპოვება, შეკრება და წიგნებად გამოცემა. (იხ. მაგალითად: ილია ჭავჭავაძე, ამას ვამბობ და ვღაღადებ... რედ.-შემდგენლები: გივი ლობჟანიძე, გიორგი გაბუნია. ქუთაისი, 1997, გვ. 584; – წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე), შეგონებანი, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გია ტივიშვილმა. დაიბეჭდა ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსის სტეფანეს (კალაიჯიშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2003; – ვაჟა-ფშაველას აფორიზმები და გამონათქვამები, შემდგენელი მ. მთვარელიძე, თსუ გამომცემლობა, თბ., 1988; – აკაკი გელოვანი. აფორიზმები, ხატოვანი თქმები, რჩეული აზრები მსოფლიოს ხალხთა პოეზიასა და პროზაში, გამომცემლობა „ხელოვნება”, 1989, გვ. 816; გ. კალანდაძე. აფორიზმების ენციკლოპედია, ბრძნული აზრების საგანძური. გამომცემლობა „ოაზისი”, თბ., 2006, გვ. 712; – ღმერთი, ადამიანი, თავისუფლება: ნ. ა. ბერდიაევის „აზრები”. წიგნის შემდგენელი, გამომცემელი და რედაქტორი ნატო ციციშვილი, ტექსტი თარგმნა და მოამზადა რეზო კვესელავამ, თბ., 2004, გვ. 184. – ღვთიური სიბრძნის ენციკლოპედია ეკლესიის მამათა გამონათქვამები: უფლის სიბრძნე; წმინდა მამათა გამონათქვამები; ბერთა რჩევები; მოციქულთა დარიგებანი; წმინდანთა ცხოვრებანი, შემდგენელი გივი გაიოზის ძე კალანდაძე. თბილისი, 2007. ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ეკლესიის მამათა გამონათქვამები. შემდგენელი გივი გაიოზის ძე კალანდაძე, თბილისი, 2007. საქართველოს დიდება – ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ეკლესიის ქართველ მამათა გამონათქვამები, შემდეგენელი გივი გაიოზის ძე კალანდაძე,

თბ., 2009. სულიერი მეგზური. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს გამონათქვამების კრებული, 2012), ასევე განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვნია 2011 წელს ცნობილი ფლოსოფოსისა და მთარგმნელის ბაჩანა ბრეგვაძის მიერ გამოცემული ხატოვან აზრთა კრებული, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2011. ეს არის სხარტი აფორისტული გამონათქვამები, ანუ როგორც ევროპელები ამბობენ: „ყალყზე შემდგარი აზრი“. მასში მოცემულია მსოფლიოს 1986 გენიალური მოაზროვნის გამონათქვამები, რომელიც სულ 366 გვერდზეა გადმოცემული. ჩამონათვალის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება).

მართლაც, ფასდაუდებელი ღირებულების მატარებელნი არიან ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის აზრები. ისინი აადვილებენ თაობიდან თაობაზე ცოდნის გადაცემას. როგორც ცნობილი მკვლევარი და ლექსიკოგრაფი აკაკი გელოვანი აღნიშნავდა: „აფორიზმები, სენტენციები, ფრთიანი სიტყვები მარადიული ლურჯი ფრინველებივით დაჰქრიან საუკუნიდან საუკუნემდე, იჭრებიან სხვა ხალხთა ცხოვრებაში, იმკვიდრებენ ადგილს ეროვნულ საგანძურში და ხშირად კაცმა აღარ იცის, საიდან, ვისი და სადაურია, მაგრამ ყველასათვის ერთნაირად მახლობელია, რადგან ადამიანი მარად და ყველგან ერთნაირია, ერთნაირად ფიქრობს და განიცდის“ (ა. გელოვანი, აფორიზმები, ხატოვანი თქმები, რჩეული აზრები, მსოფლიოს ხალხთა პოეზიასა და პროზაში, გამომცემლობა „ხელოვნება“, 1989, გვ. 7-8).

აღსანიშნავია, რომ ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნის – ჰერაკლიტე ეფესელის ფილოსოფიური და თეოლოგიური აზრი სამყაროს და ღმერთების, ადამიანური ცხოვრების შესახებ მოძღვრებათა განვითარების თაობაზე „...მისი თხზულებებიდან სიტყვა-სიტყვით ამოკრეფილი და ჩვენამდე მიღწეული ფრაგმენტები დიდროს კრებულში 126 ძალზე მოკლე წინადადების სახითაა წარმოდგენილი”. (Die Fragment der Vorsokratiker, griechisch und deutsch von Hermann Diels, Berlin, 1934, s. 150-179). (წყარო: ბრეგაძე ბ. ახალი თარგმანები. თხზულებებისა და თარგმანების ორტომეული, II, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ. , 2006. გვ. 5).

უმაღლესი ღირებულებები – სიყვარული, მეგობრობა, სათნოება და სხვა – თვით ადამიანშია და ვლინდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობებში. მაშასადამე, ამ ურთიერთობებშიც, ჩვეულებრივ საუბრებშიც არის შესაძლებელი მათი მოძიება. გამოჩენილ თუ უბრალო ადამიანთა ცხოვრებაზე ხალხი ხშირად სწორედ იმიტომ საუბრობს და ეს იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ მაგალითებზე გაარკვიოს ჩვენი – საზოგადოების, ერის, პიროვნებების – სხვადასხვა ღირებულებები.

სწორედ ამიტომაც არის ის, რომ, როგორც კი ჩვენ საკუთარ ღირებულებებზე დავიწყებთ ლაპარაკს, უპირველეს ყოვლისა, გვახსენდება ისეთი შედევრები, მოვლენები და პიროვნებები, როგორიცაა: ვეფხისა და მოყმის ბალადა, თამარ დედოფალი, ქეთევან წამებული, ცხრა ძმა ხერხეულიძე, საქართველოს ბოლო დედოფალი მარიამი, რომელიც სვეტიცხოველში განისვენებს, წმინდა ილია მართალი, რაფიელ ერისთავი, ექვთიმე თაყაიშვილი, კახეთის აჯანყება, მთიულეთის აჯანყება, ანდრონიკაშვილები, დიმიტრი ყიფიანი, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე, ხიმშიაშვილების გმირობა, სამშობლოს ჯარისკაცი, გენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილი, გენერალი კოტე აფხაზი – ქართული მხედრობის ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, დიდი მხედართმთავარი – პეტრე ბაგრატიონი, ვახტანგ გოგრასალი, მეფე სვიმონ I, მეფე ერეკლე II – პატარა კახი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, ქართული მხედრობა მეფე თამარის ეპოქაში...

ასეთი ღირებულებებით განსაკუთრებით არის მდიდარი ქართული ტრადიციები. ესენია უფროსებისადმი პატივისცემა, მათი გამოცდილების დაფასება, ნათესაური, მეზობლური, მეგობრული თანადგომა და ა.შ. სამწუხაროა, რომ ეს ღირებულებები ბოლო ხანს, თანდათანობთ კარგავენ – განსაკუთებით, ქალაქად – საყოველთაო აღიარებას.

მოკლედ, შევჩერდეთ ქართული კაზმულსიტყვაობის – ხალხური თქმულებებისა და მწერლობის – მნიშვნელობაზე ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში მაღალ ღირებულებათა დამკვიდრების საქმეში. ხალხურმა შემოქმედებამ დიდად განსაზღვრა ჩვენი მწერლობისა და, მთლიანად, ერის ღირებულებითი ორიენტირები და მისი ტრადიციები.

თავის მხრივ, ხალხურ შემოქმედებაში აისახა ქართული ხასიათი და ერის ყოფა-ცხოვრება, განსაკუთრებით, მისი გამუდმებული ბრძოლა თავისუფლებისათვის. ყოველივე ამან ერის განსაკუთრებულ ღირებულებებად აქცია თავისუფლება, პატრიოტიზმი, მეგობრობა, ბოროტებასთან შეურიგებლობა (მასთან ბრძოლის წყურვილი), ტოლერანტობა, სახელიანობა.

ამას ემყარება რუსთაველის ცნობილი სტრიქონები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“, და სხვა. ხოლო „ვეფხისტყაოსანმა“ უდიდესი როლი შეასრულა მძიმე XIII-XVIII საუკუნეებში ქართული ცნობიერების შენარჩუნებასა და, ამით თვით ჩვენი ერის, როგორც ერის გადარჩენაში.

ქართველი ხალხისთვის მიუღებელია გმირის გაამპარტავნება. უძველესი ამირანის თქმულება ხომ იმით მთავრდება, რომ გმირმა ღმერთთან შეჭიდება მოისურვა და ღმერთმა იგი დასაჯა – კავკასიონს მიაჯაჭვა. მინდიას თქმულების ვარიანტის მიხედვით, გმირი

ბუნების ენის მცოდნე, ბრძენი, მისანი და მკურნალი – გაამპარტავნდა და ამიტომ დაკარგა თავისი ცოდნა. ამპარტავნობა უდიდესი ცოდვაა ქრისტიანული რელიგიის მიხედვით. ქართველმა ხალხმა კი უკვე ქრისტიანობის მიღებამდე გააცნობიერა იგი როგორც უარყოფითი ღირებულება. შედარებისთვის: უძველესი შუამდინარული ლიტერატურული ძეგლის, გილგამეშის ეპოსის გმირი ხალხს აწუხებს, პირველი ღამის უფლებასაც აძლევს საკუთარ თავს და ამით არაფერს არ კარგავს.

ქართულ მენტალობას იმთავითვე ახასიათებს ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების შეპირისპირება ნივთიერ სიმდიდრესთან, როგორც უფრო დაბალი რანგის ღირებულებასთან. კაცმა სახელიც კი არ უნდა ანაცვალოს სიმდიდრეს, ეს მოტივიც არის ამირანის თქმულებაში, სადაც ძმები ურჩევენ გმირს, რომ მიცვალებული ცამცუმის ანდერძის მიუხედავად, თან არ წაიყვანონ ცამცუმის ცოლი და ცხენი, რადგან მავანი ამას გაიგებს როგორც მკვდრის გაძარცვას.

ადამიანის, როგორც საზოგადოების უმაღლესი მიზნის, საკითხს „ვეფხისტყაოსანში“, ძალიან მნიშვნელოვანი კუთხით ეხება მეცნიერი ეკონომისტი გიორგი ქულაყიძე თავის წიგნში „ქართული იდეოლოგიის საფუძვლები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით“ (თბ., 1999). იგი ერთმანეთს უპირისპირებს ოქროს თაყვანისცემასა და ადამიანის პატივისცემას მსოფლიო ლიტერატურასა და ტარიელ-ავთანდილის ურთიერთობაში; მოჰყავს რუსთაველის ჯადოქრული ქართულით ნათქვამი „ნახე თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა“ და შემდეგ კი წერს: რუსთაველმა „იცის და ჩვენც გვასწავლის, რომ ყველაზე ძვირფასი ამ ქვეყნად ოქრო კი არ არის, არამედ ადამიანია, ის არის საზოგადოების უმაღლესი პროდუქტი და მიზანი. პოემაში ავთანდილი შეწუხებულია, რომ ტარიელი ოქროს სამხრეს არ იშორებს, განუყრელად ატარებს, ხოლო ასმათის მიტოვებას გამოქვაბულში არაფრად აგდებს. ამიტომ თითქოს გაბრაზებით ეუბნება იგი ტარიელს:

„სჯობს ასმათისა არ-ლევა მაგა სამხრისა ლევასა,
მიტომ არ გიქებ საქმისა უარესისა რჩევასა.
სამხრე გაბია ოქროსა, ოქრომჭედლისა დნობილი,
უასაკო და უსულო, არ სიტყვიერი, ცნობილი;
აღარად გინდა ასმათი, – ნახე მართალი ბრჭობილი!..“

ტარიელი ამ დარიგებით გონს მოეგო, უმართლე ხარ მეტისმეტადო უპასუხა. ამის შემდეგ წავიდნენ ისინი გამოქვაბულში ასმათთან შესახვედრად.

„ვეფხისტყაოსანში“ ყველაფერი ადამიანისთვის კეთდება, თვით ღმერთმა ადამიანისთვის გააჩინა ქვეყანა და მისცა მას იგი „უთვალავი ფერითა“.

ჩვენ გვახსოვს რუსთაველის დაბადების 200 წლისთავის ზეიმის დღეებში, 1966 წელს მწერლის და ისტორიკოსის, ლევან სანიკიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ რუსთაველმა ადამიანი გააღმერთა, ღმერთამდე აიყვანა, ჰომეროსმა კი ღმერთები გააადამიანაო. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ რუსთაველის ეპოქაში, თამარ მეფის კანონებით ადამიანის სიკვდილით დასჯაც კი აიკრძალა. ასეთი კანონების მიღება ყველა ქვეყანაში დღემდეც მიუღწეველი რჩება“ (გვ. 13-14).

ღირებულებათა საკითხს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ჩვენ არაერთხელ შევეხებით, მაგრამ აქ, ჩვენს მწერლობაში ამ საკითხის განხილვისას, არ შეიძლება არ ვახსენოთ მაინც მისი კლასიკური ფორმულირება სამერთიანი ღირებულებებისა – „მამული, ენა, სარწმუნოება“, რომელიც ყოველმა ჩვენგანმა იცის და რომელიც განსაზღვრულ გავლენას ახდენს ქართულ ცნობიერებაზე. აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ მაინც ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი სტრიქონები პოემიდან „ბედი ქართლისა“: „რახელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული“. ესეც კლასიკური ფორმულაა თავისუფლებისა და პატრიოტიზმის, როგორც უმაღლესი ღირებულებებისა. ან, აკაკის: „შენთვის ვარ, შენთვის მოვკვდები, ჩემო სამშობლო მხარეო“ და, ან, გალაკტიონის: „უსამშობლოდ დე ეს ღვინო გადამექცეს შხამად და სასიკვდილო გაზმორებად მოედოს ძარღვებს“. და რაოდენ სამწუხაროა, რომ ზოგჯერ დღეს გაიგონებ, თითქოს პატრიოტული თემები არაა მხატვრული ლიტერატურის საქმე.

განსაკუთრებული სიმძაფრით დაგვიხატა ღირებულებათა და ანტიღირებულებათა ბრძოლა ვაჟამ. მისი „გმირები – როგორც თ. ჩხენკელი წერს, – კვდებიან და კვლავ იბადებიან, როგორც თავის თავზე ზნეობრივად აღმატებული, მტრობისა და ბოროტების დამძლევი, ახალ ეთიკურ ღირებულებათა დამამკვიდრებელი, ღვთაებრივი ადამიანები“ (თამაზ ჩხენკელი. მშვენიერი მძლევარი. თბ., 1989).

სიკვდილ-დაბადებაში ავტორი აქ გულისხმობს რაიმე მოვლენის შემდეგ გმირის ფერიცვალებას, „გარდაცვალებას“, გარდასახვას.

თ. ჩხენკელი ფართოდ იხილავს „ალუდა ქეთელაურსა“ და „გველის-მჭამელს“, რომლებიც სწორედ გმირების ამ ხელახლა დაბადებას, ახალ ღირებულებათა დასამკვიდრებლად მათ ბრძოლას ეხება. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ეს ბრძოლა „გველის-მჭამელში“, რადგან გმირის ახალი ეთიკური ნორმები არის მის მიერ უზენაესი ღირებულების – ცოდნის – დაუფლებისა და ამ ცოდნით სიკეთეში გამოყენების პროდუქტი. ეს ცოდნა მინდიას არ მიუღია ეშმაკთან გარიგების შედეგად, როგორც ეს დასავლურ ფაუსტურ ვარიანტებშია.

ვაჟას მინდია არც გაამპარტავნებულა, როგორც ეს ხალხურ ვარიანტშია. მისი ტრაგედია – ცოდნის დაკარგვა – გამოიწვია ცხოვრების მოთხოვნებთან წინააღმდეგობამ, ამ მოთხოვნების გამაპიროვნებელ ადამიანებთან კომპრომისმა. ადამიანებთან წინააღმდეგობას მიჰყავს დაღუპვამდე გრ. რობაქიძისეული (დრამაში – „ლამარა“) და გამსახურდიასეული მინდიაც (ნოველაში – „ხოგაის მინდია“). ოღონდ, გამსახურდიასეულ მოდელში, სავარაუდოა – გოეთეს გავლენით, მინდიას მიერ ცოდნის დაუფლების პირობად ოჩოპინტრეს სახით მოვლენილ ეშმაკის სხეულთან შეკვრაა გამოყვანილი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სულ ახლახანს გამოჩნდა მინდიას ახალი ხედვა – მ. გველესიანის „მინდია“, რომელშიც ეშმაკი ისეთი სახით შემოდის გმირის ზმანებაში, რომ წინასწარაა განწირული მასთან დამარცხებისათვის. აქ ავტორის მიერ გატარებულია აზრი, რომ სიბრძნე იმარჯვებს ბოროტზე, რომელიც ამ შემთხვევაში შინაგანად გაორებული გმირის ერთი ნაწილია.

ღირებულებათა წყაროების კვლევისთვის უმთავრესი არის ის, რომ ღირებულების წყარო მარადიული ჭეშმარიტებაა, ასეთი კი მხოლოდ უფლის გზაა, ე.ი. რაშიც უფალი განსახიერდება და დამკვიდრდება, ისაა, ანუ წყარო ჩვენს რწმენაშია. შემდეგ, თუ წყარო უფლის გზაშია საძიებელი, რა თქმა უნდა, ის მხოლოდ უფლის მადლით არსებობს. უფალი რასაც მოგვმადლის ჩვენთვის მარადიული ის არის. და კიდევ, ყველგან მყოფმა და ყოვლისმცნობელმა უზენაესმა თუ არ მოგმადლა, ვერც ღირებულებების მატარებელი გახდები და ვერც მის წყაროდ გადაიქცევი, მას ვერ მიაგნებ. ამიტომ სწორედ ღვთივმომადლებული ადამიანები არიან უზენაესი ღირებულებების მქონენი, მისი განსახიერებანი, რომლებშიც ღვთის მადლი გამობრწყინდება და ჩვენი წინსვლის მარადიულ გზამკვლევად მოგვევლინება იმქვეყნიური და ამქვეყნიური სულიერი სამყაროდან.

„ღირებულება“ არის სიტყვა, ცნება, ტერმინი, რომელსაც ადამიანები საუბრისას და საგაზეთო მასმედიის მეშვეობით ინტენსიურად იყენებენ. ამის დასადასტურებლად უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ავიღოთ გაზეთ „24 საათის“ 2004 წლის 5 თებერვლის 29 (578)-ე ნომერი. მის 1,8 გვერდებზე მოთავსებულია ნინო ცინცაძის მიერ მომზადებული დისკუსია სათაურით „რუსეთის მდარე რელიგიური ლიტერატურის გამსაღებელ პროვინციად ვიქეცით“, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ ცნობილ პიროვნებებს. მათ საუბარში ასეთ ფრაზებს ამოიკითხავთ: „... რაც ამ წიგნში მნიშვნელოვანი და ღირებულია...“ (მამა ზაზა თევზაძე), „... ადამიანური ღირებულებების ხარჯზე...“, „... საქმე, უბრალოდ, ღირებულებების აღრევასთან გვაქვს...“. გაზეთის 2004 წლის 20 თებერვლის №42 (59). ნომერში კი ნახავთ მასალებს შემდეგი სათაურებით:

„სიტყვის თავისუფლება – მართლაც ღირებულება თუ შირმა?“ (ეკა კვესიტაძე – გვ. 1, 3); „მთავარია მენეჯმენტი, მონდომება და ღირებულებები“ (მაია ჭალაგანიძე – გვ. 1) უამრავი ასეთი მასალის დამოწმება შეიძლება, რომლებშიც ავტორები „ღირებულების“ ცნებას იყენებენ. ზემოაღნიშნულ მასალებში ჩამოთვლილია შემდეგი ღირებულებები: თავგანწირვა, სიყვარული, მეგობრობა, გამტანობა. ასევე დასახელებულია უარყოფითი ღირებულებებიც: სიძულვილი, სიხარბე, პატივმოყვარეობა, სიცრუე.

მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია თითოეულ მოქალაქეზე ფიქრი...“.

გარკვეული გაგებით, შეიძლება ითქვას, რომ ღირებულებების ჩამოყალიბება იგივე რწმენის ჩამოყალიბების საკითხია. ფსიქოლოგი მარინა ჭავჭანიძე, გაზ. „ჯორჯიან თაიმსში“ (№013 (276), გვ. 7, 01.04-08.04, 2004) გამოქვეყნებულ სტატიაში „რწმენა და ინტელიგენტურობა“, საინტერესოდ განიხილავს რწმენისა და ღირებულებების ურთიერთკავშირს. ღირებულებას იგი ტერმინით „ზეფასეულობა“ მოიხსენიებს. ავტორი, განმარტავს რა რწმენას, წერს: „რწმენა ეს არის ცოდნა, ფასეულობათა სისტემა, რომელიც ლოგიკურ არგუმენტებს არ ექვემდებარება. ეს სრულიად ირაციონალური, არაცნობიერად ჩამოყალიბებული შეხედულებაა ადამიანისა გარე სამყაროსა თუ საკუთარი თავის მიმართ. ყველაზე საინტერესო მასში ისაა, რომ, როგორც წესი, მისი შინაარსი დადებითი და ზეფასეულოვანი მოტივაციებითაა განპირობებული. მე ჯერ არ მინახავს ადამიანი, რომელიც იტყოდა: „მე მწამს, რომ კაცობრიობა უნდა ამოწყდეს, მე ამ მიმართულებით უნდა ვიმოქმედო“, მაგრამ სრულიად დასაშვებია ასეთი გამოთქმა: „მე მწამს, რომ ყველა ნაძირალა (ან კიდევ რაიმე განსაკუთრებული კატეგორია ადამიანებისა) უნდა დაიხვრიტოს (გასახლდეს, განადგურდეს, აღიგავოს პირისაგან მიწისა)“.

მ. ჭავჭანიძე სამართლიანად მიიჩნევს, რომ რწმენის ჩამოყალიბების პროცესი მთლიანად ინდივიდუალური და სუბიექტური მოვლენაა. იგი წერს: „ვაგლახ, რომ რწმენის ჩამოყალიბების პროცესი ადამიანის ფსიქიკაში ინდივიდუალური და სუბიექტურია და იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთი და იგივე რწმენის მქონესათვის ვერბალური ნაწილი ემთხვევა, მაშინაც კი ინტერპრეტაცია განსხვავდება. ადამიანს შეიძლება საკუთარ თავზე ჰქონდეს წარმოდგენა, რომ ის ძალიან კეთილი და შემწყნარებელია (ამას კარნახობს მისი რწმენა, როგორი უნდა იყოს ადამიანი) და განსხვავებული რწმენის ადამიანების მიმართ დაუნდობელი და სასტიკი იყოს. თუ გავიხსენებთ რელიგიურ ომებს, რევოლუციებს, გადატრიალებებს და გავაანალიზებთ შიდა მოტივაციებს, ყოველთვის მივადგებით რწმენათა შეჯახებას”.

ავტორის აზრით, ადამიანი თვითონ იქმნის ზეფასეულობებს (ღირებულებებს) და აყალიბებს რწმენის სისტემას. იგი წერს: „არსებობს პიროვნებაში დაუძლეველი ლტოლვა

შექმნას ზეფასეულოვანი წარმონაქმნები და ჩამოიყალიბოს რწმენათა სისტემა – ესაა მეგობრობა, ერთგულება, სიყვარული, პატიოსნება, სამართლიანობა და ა.შ.“.

ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ **ინტელიგენტობა სხვა ადამიანის რწმენითი სისტემის შეგრძნებას და მის პატივისცემას ეფუძნება.** „მასაც სტკივა, ისიც შეურაცხყოფილია“ – კარგი განცდაა – აგრძელებს იგი. თუ ამ განცდამდე გაიზრდებით, თქვენ დაფიქრდებით ფორმაზე, როგორ იმოქმედოთ ჰუმანიზმის სახელით, მთელი კაცობრიობის სახელით, ძალადობის გარეშე, და იგრძნობთ, რომ უფრო მიმტევებელი და კეთილი გახდით”.

დმანისის ეპისკოპოსი მამა ზენონი (იარაჯული) მიიჩნევს, რომ კაცობრიობის უმთავრესი ღირებულება არის „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის“ საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები. **ქრისტიანული მოძღვრების წიაღში განფენილია საზოგადოების უმთავრესი ღირებულებები.** მხოლოდ წმინდა წერილი განასახიერებს ღირებულებების პირველწყაროს, რომელთაგან უმთავრესი არის ერთი მხრივ – თავისუფლება, და მეორე მხრივ, – **სიყვარული**. „წმინდა წერილმა, რომელზეც მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესია აღმოცენდა, – აგრძელებს იგი, – გვამცნო რა იესო ქრისტეს მოწოდება – ყველა ადამიანის თანასწორობისა და ურთიერთსიყვარულის შესახებ, „ღვთის ხატებისა და მსგავსების“ ძველი აღთქმისეული კონკრეტიკა მოგვცა. მას შემდეგ, რაც პირველქმნილმა ადამიანმა თავისუფალი ნების არჩევანით, უარი თქვა შემოქმედთან მუდმივი კავშირის უწყვეტელობაზე, რომლითაც ის სიკვდილს დაუქვემდებარებელ სიცოცხლეს ინარჩუნებდა, ღმერთმა თავი რელიგიური კანონის მეშვეობით შეგვახსენა, როგორც სამართლის პირველწყარომ, რომელიც, როგორც შემოქმედი გონი, სამყაროსთან მუდმივ მიმართებაშია. ღმერთისგან, როგორც „მყოფისგან“, შეხსენება თავისთავად მოიცავს ერთი მხრივ მის თავისუფლებას და მეორე მხრივ – სიყვარულს. ეს ის თვისებებია, რომელთაც გოლგოთას მაცხოვარი ჯვარზე არა იძულებით, არამედ ნებით მიიყვანა და ხელით ქმნილ სამსჭვალზე ძლიერად მიმსჭვალა. ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით, სამართლებრივი რეჟიმის დანიშნულების აღსაქმელად, თვალსაჩინო ფორმულას წარმოადგენს მართლმადიდებული ქრისტიანული მოძღვრების წიაღში აღმოცენებული პრინციპი – „კანონი პირმშოა თავისუფლების“. ქრისტიანული გაგებით, კანონი წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო გზამკვლევს, ჭეშმარიტების ყველაზე ღრმა კრიტერიუმს და ცხოვრების სწორად წარმართვის საშუალებას, რომლის მიზანია, დაიცვას პიროვნება, მისთვის ღმერთისაგან თანდაყოლილი ღირსება – რაიმეს იძულებისაგან; თუმცაღა, სრულიად გამიჯნულია თავისუფალ არსებაში თვითნებობად ქცეული მანკიერებისაგან“. (დმანისის ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული), კანონი პირმშოა

თავისუფლების. მართლმადიდებლობა და ადამიანის უფლებები. იხ.: გაზ. „24 საათი“, 2004 წლის 7 აპრილი, №82 (631), გვ. 1.)

ეპისკოპოსი მიიჩნევს, რომ „ჩვენ ყოფიერების ორ პლანს განვეკუთვნებით – სულიერ და ბუნებრივ-სოციალურს, თავისუფლების და აუცილებლობისას“. მას მოჰყავს მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ 1986 წელს შემუშავებული პრინციპი ადამიანის უფლებათა შესახებ: „მართლმადიდებელი ქრისტიანები, ვინაიდან ყოველდღე ვიაზრებთ შთამოსვლას ღმრთისას, ვიბრძვით ყოველგვარი ფანატიზმისა და სიძულვილის წინააღმდეგ ადამიანებსა და ხალხებს შორის, იქიდან გამომდინარე, რომ ვქადაგებთ განკაცებას ღმრთისას და განღმრთობას ადამიანისას, ვიცავთ უფლებებს ნებისმიერი ადამიანისა და ნებისმიერი ხალხისა. ხოლო რაკი ქრისტეს მაცხოვნებელ ქმედებათა შემწეობით ვცხოვრობთ ღმრთის მიერ ნაბოძები თავისუფლებით, შეგვწევს ძალა და გვაქვს უფლება, კიდევ უფრო აღვამაღლოთ საყოველთაო ღირსება ნებისმიერი ადამიანისა და ხალხების“ (ციტირებულია იმავე წყაროდან).

გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებულ მაია ჭალაგანიძის მიერ მომზადებულ მასალაში „მისია, რომელიც დღეს გაცილებით დიდია“ (იხ. გაზ. „24 საათი“, №75 (624), გვ. 1, 2004), რომელიც ეკლესიის უპირველეს ამოცანებს ეძღვნება, ეპისკოპოსი ზენონი აცხადებს: „დღეს ეკლესიის მისია გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე აქამდე შეიძლება ყოფილიყო. დღეს მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციის, გლობალიზაციის პროცესები ჩვენს წინაშეც აქტუალურად დგას. მცირე ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, ისე უნდა დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი მსოფლიო კულტურათა და ცივილიზაციათა შორის, რომ უფრო ძლიერმა ქვეყნებმა, დიდმა კულტურამ და ცივილიზაციამ, ერთგვარი უხერხულობა არ შეუქმნას“.

საერთოდ, ამ ინტერვიუში ეპისკოპოს ზენონის საუბრის ტექსტი ერთ მთლიანობად აღიქმება და მისი ციტირება ამ მთლიანობის ჰარმონიას არღვევს. მიუხედავად ამისა, გვინდა გამოვყოთ აზრი იმის შესახებ, რომ **ყველაფერს თანამედროვე პოზიციებიდან უნდა მივუდგეთ.** როგორც ეპისკოპოსი აღნიშნავს: „დღეს ქრისტიანიზაცია უნდა მოხდეს, ეკლესიამ, შეიძლება ითქვას, თავიდან უნდა დაიწყოს სამისიონერო მოღვაწეობა”. და მართლაც, განა ქრისტიანობა ყოველწამიერი თავიდან დაწყება არაა? ამ დაწყებაში კი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გვმართებს სხვისა და საკუთარი თავის მიმართ. არავინაა სრულყოფილი და ჩვენც უნდა გავიზარდოთ. მეუფე ზენონი ასე გვმოძღვრავს: „ადრე, როცა პატარა ვიყავი, თითქმის გაფეტიშებულ ნაციონალიზმს ვუჭერდი მხარს. ეპისკოპოსი ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ მართლმადიდებლობა ყველა ეროვნებაზე და ეროვნულობაზე

მაღლა დგას“. როგორ გავს ეს სიტყვები არისტოტელეს სიტყვებს! პლატონი ჩემი მეგობარია, ჭეშმარიტება კი ყველაფერზე მაღლა დგასო.

ქართული სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესია ამ ჩვენი გადამრჩენი ღირებულებების მარადიული მცველია. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ტოპონიმებშია დაცული, რომლებიც ისევე ძველია, როგორც სამყარო, ნადირობის ქალღმერთის „დალის“ თაყვანისცემით იწყება და მთავრდება ქრისტეთი.

ახალი მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად სწორედ კულტურაა მიჩნეული. სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული იქნება ის, რომ ხელი შეუწყოთ ქართული კულტურული სივრცის მსოფლიო კულტურულ სივრცეში ინტეგრაციას. კულტურული მემკვიდრეობა დაცული იქნება მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად. საგანგებო ღონისძიებები გატარდება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის დასაცავად. ასევე, ქართული სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს თავისი ღირებულებები აქვს. სხვანაირად სახელმწიფოს დარგობრივი პოლიტიკა უმიზნო იქნება. დავსვათ, მაგალითად, ასეთი კითხვა: რა ღირებულებებს უნდა ეფუძნებოდეს კულტურის პოლიტიკა საქართველოში? ჩვენი აზრით, კულტურას ისინი უნდა განაგებდნენ, ვისაც ბევრი ცოდნა და გამოცდილება დაუგროვებია. აღნიშნული სფეროს ორგანიზაციები საჯარო სამართლის იურიდიული პირები უნდა გახდნენ. მათ უნდა ჰქონდეთ დამოუკიდებლობა, რათა სახელმწიფო დაფინანსების გარდა, გავიდნენ პირდაპირ კონტაქტებზე. დანარჩენი კარგი მენეჯმენტის საქმე იქნება. აუცილებელია კერძო ინიციატივის განვითარება და კონკურენტული გარემოს შექმნა, რადგან იქ, სადაც სახელოვნებო ბაზარზე კონკურენცია არსებობს, ჩინოვნიკებს არ უნდა ჰქონდეთ იმ არჩევანის გაკეთების საშუალება, თუ რა უნდა დააფინანსონ და რა – არა. სახელმწიფო საზღვრავს პოლიტიკას, აცხადებს პრიორიტეტებს, ამ პოლიტიკის საშუალებით და იმ თანხებით, რაც გააგაჩნია; ახორციელებს პოლიტიკას, მაგრამ გადაწყვეტილებას კონკრეტულ სატენდერო საკითხებზე საზოგადოება უნდა იღებდეს; ჩვენი პრიორიტეტი უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობა, სახელოვნებო განათლება, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც არ არის დასაკარგი, რაც არის ღირებული.

პროფესორი ალეკო ცინცაძე ყურადღებას მიაპყრობს ისეთ სფეროს, როგორიცაა **განათლება.** იგი ამტკიცებს, რომ არსებობს სწავლების ორიგინალური ქართული მეთოდოლოგია, რომელსაც ჯერ კიდევ კოლხეთის უმაღლეს რიტორიკულ სკოლაში (III-IV სს.) იყენებდნენ, სადაც სწავლება ემპირიულად მიგნებული ხერხით – „ერთიანი განწყობის შექმნის საფუძველზე ხდებოდა“ (იხ. „ჯორჯიან თაიმსი“, №013 (276), 01.04. – 08.04. 2004, გვ. 10). ამ თეორიის საფუძვლად მიჩნეულია ე.წ. **განსწავლადი**

სისტემების თეორია. ეს ნიშნავს იმას, რომ სწავლების ამ მეთოდოლოგიის თანახმად ისევე, როგორც მათემატიკურ ფორმულებში, „მხედველობაში მიიღება წინა ცოდნა (ინფორმაცია) და მისი დაზუსტება (გამდიდრება) ხდება თანდათანობით (ბიჯურად) ახალი სიტუაციის (ინფორმაციის) გათვალისწინებით“. (იხ. „ჯორჯიან თაიმსი“, №013 (276), 01.04. –08.04. 2004, გვ. 10). ქართულ მენტალობაში განათლებისაკენ მისწრაფების შემცველობა წონადია და იგი შესაბამის ისტორიულ გამოცდილებას ეფუძნება.

ეხებოდა რა **ეროვნულ ღირებულებებს**, ქართული სულიერების ერთ-ერთი განუმეორებელი გამოვლინება **ზვიად გამსახურდია** თავის წიგნში „საქართველოს სულიერი მისია“ და გროზნოდან გაზეთ „სამანის“ შეკითხვებზე გამოგზავნილ პასუხებში (იხ.: გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“, №008 (271), გვ. 17) მიიჩნევდა, რომ **„ქართული ცნობიერების საფუძველია ქრისტიანულ ღირებულებათა პრიორიტეტი, სულიერების მატერიალურზე მაღლა დაყენება, ღვთისა და ერისათვის თავგანწირვა და მარტვილობა, ქრისტიანული რაინდობა“. ზ. გამსახურდია ასაბუთებდა, რომ „მართლმადიდებლობა ქართული ცნობიერების საფუძველთა საფუძველია“. მას ასევე ღრმად სწამდა, რომ ქართველი ერი აუცილებლად დაიბრუნებს „კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიციას“ და „ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს მიდგომა იქნება მთავარი მატარებული სულიერებისა, ქრისტიანობისა...“**.

ვეხებით რა, ქრისტიანულ ღირებულებებსა და პრიორიტეტებს, მეტად მნიშვნელოვანია იმის გამორკვევა მაინც რა უდევს საფუძვლად ამ ღირებულებებს ან უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რა არის ყოველივე ამის სათავე, რომელია ყველაზე უმთავრესი ღირებულებები, რომელსაც შემდგომ ყველაფერი ეფუძნება.

ცნობილ ამერიკულ ფილმში „ათი მცნება“ ებრაელთა ბიბლიური წინამძღოლი მოსე, რომელსაც ღმერთი გამოეცხადება და ეუბნება: „მე ვარ რომელიც ვარ“-ო, შესთხოვს უფალს მის ხალხს ასწვლოს „წმინდა ადამიანებად“ გახდომა და სთხოვს, ამისათვის წესები მომეცი, როგორ უნდა იცხოვრონ, რომ ვისწავლოთო. უფალი მოძღვრავს: მაშინ ისე იმოქმედე, როგორც თავისუფალმა ადამიანმა. შენ თავს მიხედე და სხვის ქონებას ნუ მიითვისებო“.

ღმერთმა ისრაელიანები ეგვიტელთა მონობისგან იხსნა და მისცა მათ რჯული. ეს რჯული არა მარტო რელიგიას, არამედ ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავდა. მათი გულისგული კი ათი მცნება იყო.

„და თქვა ღმერთმა ეს სიტყვა: მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტელთა ქვეყნიდან, მონობის სახლიდან.

- ✓ ნუ გეყოლება სხვა ღმერთები ჩემს წინაშე.

- ✓ ნუ გააკეთებ კერპს, რაიმე გამოსახულებას იმისას, რაც მაღლა ცაშია და რაც დაბლა დედამიწაზეა და რაც წყალშია მიწის ქვევით. ნნუ სცემ თაყვანს მათ და ნუ ემსახურები, რადგან მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, შურისმაძიებელი ღმერთი, მამათა ცოდვის მომკითხავი შვიებისაგან მესამე და მეოთხე თაობამდე, ჩემი მტრებისაგან. წყალობისმყოფელი ათასი თაობის იქით ჩემს მოყვარულთათვის და ჩემი მცნებების შემსრულებელთათვის.
- ✓ ნუ ახსენებ ფუჭად უფლის, შენი ღმერთის სახელს, რადგან დაუსჯელი არ გადაურჩება უფალს თავისი სახელის ფუჭად მხსენებლი.
- ✓ გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმინდა ჰყო იგი. ექვს დღეს იმუშავე და აკეთე ყველა შენი საქმე. მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღმერთის შაბათია. არა საქმე არ აკეთო არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც შენმა ასულმა, არც შენმა ყმამ, არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა და არც შენმა მდგმურმა, სახლში რომ გყავს. რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია, და მეშვიდე დღეს შეისვენა; ამიტომაც აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმინდაჰყო იგი.
- ▪ პატივი ეც მამას და დედას, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელიც უფალს, შენს ღმერთს მოუცია შენთვის.
- ▪ არა ჰკლა.
- ▪ არ იმრუშო.
- ▪ არა იქურდო.
- ▪ არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი თვისტომის წინააღმდეგ.
- ▪ არ ინდომო შენი თვისტომის სახლი; არ ინდომო შენი თვისტომის ცოლი, არც მისი ყმა, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არც არაფერი მისი ქონებიდან.“ (გამ. 20:1-17, რჯლ. 5:6-18. ბიბლიის ენციკლოპედია, ერთტომეული, მეორე გამოცემა, თარგმილი ინგლისური ენიდან, თბილისი, 2003, გვ. 117).

ეს ისრაელის კანონების ყველაზე ცნობილი კრებულია. ცხადია, რომ მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ: გამოსვლათა წიგნში ამით იხსნება კანონთა მთელი კრებული, რომლებიც მოსეს მიეცა სინაზე, ხოლო მეორე რჯულის წიგნში ათი მცნების შემდეგ ნათქვამია: „ეს სიტყვები გითხრათ უფალმა მთელს თქვენს კრებულს... მეტი არ უთქვამს“ (რჯლ. 5:9,), – ე.ი. მნიშვნელობით ამათი ბადალი სხვა კანონი არც არსებობს.

ათი მცნება მთელს ისრაელს მიემართება (და არა რომელიმე ცალკეულ ჯგუფს, ვთქვათ, მღვდლებს) და იმავდროულად თითოეულ ისრაელიანსაც ცალ-ცალკე. ათი მცნება,

როგორც კანონთა კრებული, უნიკალურია, მით უმეტეს, რომ მისი ყოველი მცნებათაგანი ებრაული რჯულის სხვა ადგილებშიც მეორდება.

ათი მცნება იყო ღმერთის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება ისრაელიანებთან. იგი დაწერილი იყო ორი ქვის დაფაზე (ფიქალებზე). ერთი მათგანი ღვთის კუთვნილი ასლი იყო, მეორე კი – ისრაელის კუთვნილი ასლი. ისრაელში აღთქმა ღმერთსა და მის ხალხს შორის დაიდო. ორივე ასლი ათი მცნებისა ინახებოდა აღთქმის კიდობანში, რომელიც იყო ისრაელის უმთავრესი სიწმიდე. იმავდროულად ეს იყო ადგილი, სადაც ღმერთიც იმყოფებოდა. ამიტომ ორივე ასლი შეიძლება ერთად შენახულიყო. სასჯელად ათი მცნების დარღვევისთვის სიკვდილი იყო განსაზღვრული. ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ სასჯელი ყოველთვის სისრულეში მოჰყავდათ. ათი მცნება ყველაზე მთავარი იყო. ათი მცნება არის ღვთის „ხელშეკრულება-კანონი“ ისრაელისათვის. მათ ემატება ისრაელიანთა რჯულის წიგნები, რომლებიც შეიცავენ მრავალგვარ მითითებას სხვადასხვა შემთხვევისათვის. ათი მცნება არის უმთავრესი ღირებულება მთელი კაცობრიობისათვის.

1.3. ღირებულების ფორმირება

ყველა ადამიანი გარკვეული ღირებულებების მატარებელია. როგორ ყალიბდება მასში დადებითი ღირებულებანი? რა თქმა უნდა, ეს სიბრძნის მეშვეობით ხდება. ამიტომ უპირველეს ყოვლისა „სიბრძნის“ ცნებაში უნდა გავერკვეთ.

სიბრძნე – „ფასეულობის გრძნობის გამსჭვალვა (შეღწევა) ცხოვრებაში, საგნების ნებისმიერ გრძნობადობაში, ყოველგვარ მოქმედებასა და რეაგირებაში სპონტანურ „შეფასებამდეც“ კი, რომელიც ახლავს ყოველ განცდას; მთელი სინამდვილის ეთიკური ყოფიერების გაგება ამ ყოფიერების თვალსაზრისით; მუდამ საფუძვლად რომ უდევს პრაქტიკული მოქმედების შემეცნებას მის ფასეულობასთან კავშირში. მკაცრად ანტიინტელექტუალური თვალსაზრისით ამისთვის შეიძლება გვეწოდებინა ეთიკური სულიერება, ეთიკის გაბატონებული მდგომარეობა, როგორც ძირითადი სულიერი ფაქტორი კაცობრიობის მთელ ცხოვრებაში“ (ნ. ჰარტმანი, ეთიკა, 1935).

როგორც ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, სიბრძნე რწმენისა და მეცნიერების გარეშე არ არსებობს. ისინია ადამიანის ამაღლების, ღმერთთან მისი მიახლოების საშუალება, რაც მასში ავითარებს ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა სათნოება, სიყვარული, სიმართლე, ჭეშმარიტება, მადლი, მოწყალება... ამაზე მეტყველებს ილია ჭავჭავაძის მიერ გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს წარმოთქმული სიტყვა. მის მიხედვით, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი იყო „დიდ-ბუნებოვანი კაცი, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეიძლოს

საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწრთვნა და განმტკიცება...“ (ი. ჭავჭავაძე, სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს. იხ.: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. IV, თბილისი, 1955, გვ. 251). „თვითოეული წამი მისის ცხოვრებისა – მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის. ერთად-კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა...“ (იქვე).

ილია მიანიშნებდა იმ დიდი ღირებულების შესახებ, რომელსაც ფლობდა ეპისკოპოსი. როგორც იგი აღნიშნავდა, გაბრიელ ეპისკოპოსის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება ის იყო, რომ ობიექტური რეალობის შესაცნობად მეცნიერებასა და რელიგიას საუკეთესო, განუყრელ ერთიან საშუალებად მიიჩნევდა. ილია ამბობდა: „მე მსურს მხოლოდ აქ აღვნიშნო ერთი იმისთანა მხარე ამ დიდებულ კაცისა, რომელშიაც არის, ჩემის ფიქრით, სხვათა მრავალთა შორის, ერთი მისი დიდი მნიშვნელობაცა. მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, – საერო, თუ სამღვდელო, – რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად-მიწევნილი მეცნიერი იყო და იმდენადვე ღრმად-მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულობა, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა“ (იქვე, გვ. 252).

როგორც ითქვა, მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში მორიგებას ასეთი დიდი მნიშვნელობა იმიტომ აქვს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება ვეზიაროთ ჭეშმარიტ სიბრძნეს.

ილია ამბობდა: „ქვეყანა, ბატონებო, სავსეა ხილულითა და არა-ხილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალთათვის. ერთის ბრძნისა არ იყოს, „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი-კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე ვერ დაინახავ“. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთა-სწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად ორისავ გზით, და მით უფრო, რაც ადამიანი თვალ-ახილულია და გონება-გაღვიძებული. ნება-უნებლიეთ ამ ორს სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა, რომ იპოვოს ბინა და აქ დაღალული სული შეასვენოს ხოლმე გულთაძვრისაგან და მსოფლიო ღელვისაგან.

ამ ორ სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული

მღვდელმთავარი და რომელიც, ჩემის ფიქრით, სხვა არა არის-რა, გარდა მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა, ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორიც ნიუტონი და სხვანი მისებრი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი.

მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება – მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული“ (გვ. 252-253).

აქედანვე მომდინარეობს გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების დედააზრი –„კაცთათვის მსახურება“, რომლის შესახებაც ილია ამბობს: „რომ მარტო იგი ქება-დიდება შრომისა დაგვრჩენოდა, რომელიც მან გვიღაღადა ერთს თავისს დაუვიწყარ ქადაგებაში, და სხვა არა-რა, – აგრძელებს ილია, – ისიც საკმაო იქნებოდა, რომ მისი სახელი ქვეყანას მოჰფენოდა და ჩვენც გვეგრძნო, რა დიდებული და ბრძენი მღვდელმთავარი დავკარგეთ. „მე თითონ არ მინახავსო, – ამბობს იგი, – ხოლო გამიგონია სარწმუნო კაცთაგან, რომელ ერთს ძველად-ძველს ეკლესიაში კედელზედ არის დახატული, ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელი და მის წინ სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ჰქსოვს მატყლსა. ნეტამც ჩემის თვალით მენახაო!“ – ჰნატრულობს ამ საუცხოვო ხატით აღტაცებული მღვდელმთავარი: – „მაშინ მე გავიცნობდიო მეორესა კერძოსა საღმრთოისა მისის ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძალვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემიო! რა კარგი რამ იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი, ყოვლად-წმიდისა, რომ ერთს-კერძო მისსა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულის ღიმილითა ღვთაებრივი მისი ყრმა, ხოლო თვით ხელთ ეპყრას მატყლი და ტარი და სახესა ზედა ღვთაებრივსა გამოყვანილი იყოს ის ღვთაებრივი სიწმიდე, სიმშვიდე და სიყვარული, თვალთა შინა მისთა ბრწყინვიდეს ის უფსკრული გონიერებისა და კრძალულებისა, რომელნი წარიტაცებენ კაცის გულსაო. ესრეთი ხატი იქნებოდა ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო, ესე იგი ნიშანი ყოველის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისაო!“

ასე ათავებს სიტყვას ზეგარდმო-შთაგონებით მღაღადებელი მღვდელმთავარი. განა-ღა შეიძლება ამაზე მეტად გაპატიოსნება, ზე-აღწევა შრომისა და გამრჯელობისა, რომელიც ბევრსა გვგონია ვითომც წილად-ხდომილია მარტო მდაბიოსიო“ (იქვე, გვ. 253-254).

ილია დასძენდა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი ბიბლიური ღირებულებებით ზეშთაგონებული ღვთის მოციქული იყო, მისი ბაგით ღმერთი მეტყველებდა. გავაგრძელოთ

ისევ ილიას სიტყვა: „საკმაოა ეს მოკლე, მაგრამ ღრმად გაბძნობილი სიტყვა, მღვდელმთავრის ბაგეთაგან წარმოთქმული, რომ კაცმა წარმოიდგინოს მთელი სულიერი ახოვნება და სიბრძნე მისი, რომლის ბაგენი დღეს ჩვენთვის სამუდამოდ დასდუმდნენ ჩვენდა საუბედუროდ. ბევრი რამ არის ნათქვამი შრომისა და გარჯის გაპატიოსნებისათვის, მაგრამ ამისთანა ქებათა-ქება შრომისა შესაძლოა მხოლოდ იმისათვის, რომლის ბაგითაც თითონ ღმერთი მეტყველებს“ (იქვე, გვ. 254-255).

სიბრძნსთან ერთად ილია გამოკვეთს გაბრიელ ეპისკოპოსის კიდევ ორ ღირსეულ თვისებას – ორ ღირებულებას – საკუთარი ერის ცხოვრებით, მისი ტკივილებითა და სიხარულით ცხოვრებისა და მშობლიური ენით მოციქულობასა და ამ ენის ქომაგობას. მის საფლავზე ილია ამბობდა: „რით იყო ასე ძლიერ სახელოვანი ჩვენი მღვდელმთავარი, რომ გამოიწვია ასეთი დიდი გლოვა ერისა? ნუთუ მარტო სიბრძნითა? არა, სიბრძნესთან ერთად ორი სიკეთე კიდევ ჰქონდა მიმადლებული ღვთისაგან. ერთი ისა, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა, და, მაშასადამე, იცოდა რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს, და მეორე ისა, რომ მოციქულობდა ჩვენის სამშობლო სიტყვითა, იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვადიდებთ ღმერთსა, ვპატრონობთ ქვეყანასა და სულსა და გულს ვაწვდით ერთმანეთსა საუკუნიდამ საუკუნემდე. ღმერთმაც ვერ გაგზავნა მოციქულნი სხვა ქვეყნად, ვიდრე არ მოუვლინა ცოდნა იმ ქვეყნის ენისაო, – ამბობდა განსვენებული და ამიტომაც იგი ქრისტეს ჯვარით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად.

დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელის ხსენება მისი ჩვენდა საწრთვნელად“ (იქვე, გვ. 255).

დიდი მოღვაწეებისადმი პატივისცემის გრძნობა თვითონ არის ადამიანის ღირსება, მაშასადამე, ღირებულება, რომელიც აღზრდით მოდის. პატივს სცემ უფრო იმას, ვისაც უფრო აფასებ, დაფასება კი შეფასებასაც ითხოვს. ოღონდ, ქვეყნის ყველაზე დიდი ადამიანების ხუთეულების, ათეულების და ა.შ. დასახელება სარისკოც არის და ხშირ შემთხვევაში გაუმართლებელიც. ისინი ხომ თავიანთი მადლით და ღვაწლით ჩვენი მარადიული თანამედროვენი არიან. ნომრების მიკუთვნება არასასურველია, რადგან ეს ხელოვნურად დააკნინებს მათს ღვაწლს და ამასთან ერთად, გვაბნევს კიდევაც დიდი ქართველი მოაზროვნეებისა და მოღვაწეების შეფასებისას. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ 2002 წელს ჟურნალ „ომეგას“ მიერ ჩატარებული საინტერესო გამოკითხვის შედეგები, რომლითაც XX საუკუნის ხუთი საუკეთესო ჰუმანიტარი შეარჩიეს, თუმცა მხოლოდ ხუთეულით ვერ შემოიფარგლნენ და მომდევნო შვიდეულიც

წარმოაჩინეს. შერჩევის შედეგად მეოცე საუკუნის საუკეთესო ჰუმანიტარი მკვლევარები ასე განლაგდნენ („ომეგა“, №11 (37) ნოემბერი, 2002, გვ. 22-23):

ივანე ჯავახიშვილი – მან მთლიანობაში გაიაზრა საქართველოს ისტორია;

კორნელი კეკელიძე – მან მთლიანობაში გაიაზრა ქართული მწერლობა;

დიმიტრი უზნაძე – მან შექმნა „განწყობის თეორია“, რომელმაც საერთაშორისო რეზონანსი მოიპოვა;

აკაკი შანიძე – მან მთლიანობაში გაიაზრა ქართული ენის ბუნება;

პავლე ინგოროყვა – მან მთლიანობაში გაიაზრა ქართული ცივილიზაცია.

ექვთიმე თაყაიშვილი – საქართველოს განძეულობის მთლიანობაში აღმწერელი და გადამრჩენელი.

გრიგოლ წერეთელი – ანტიკური ცივილიზაციის ისტორიის მადლმოსილი მკვლევარი;

ვიქტორ ნოზაძე – საქართველოს კულტურულ ფასეულობათა უბადლო წარმომჩენი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კოჰორტის სრულუფლებიანი წევრი;

ნიკო ბერძენიშვილი – მან ისტორიაში მისი ორიგინალური გააზრების მყარი საფუძველი შექმნა;

არნოლდ ჩიქობავა – მან ენათმეცნიერებაში ჩაუყარა საფუძველი ჭეშმარიტ კვლევებს;

შალვა ნუცუბიძე – ბელეტარისტული ფილოსოფიის ისტორიის ფუძემდებელი და „ქართული რენესანსის თეორიის“ ავტორია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ეროვნული გრძნობების გამოღვიძებაში;

თამაზ ნატროშვილი – მან სამეცნიერო ბელეტრისტიკის საუკეთესო, ხელიხელ საგოგმანებელი, ნიმუშები დაგვიტოვა. მისი ფოლკლორისტული ძიებანი არის არა ერთი რომელიმე სფეროს კვლევა, არამედ კულტურ-ტრეგერული მოღვაწეობა, რაც მსოფლიო მნიშვნელობის ახალ მიმართულებას უდებს სათავეს.

ყველაფერი, რაც ჟურნალმა წარმოაჩინა, კარგი და სასურველია. ეს სია, რა თქმა უნდა, შეიძლება გაგრძელდეს, უმჯობესია ქრონოლოგიურად. განა მას არ შეიძლებოდა მიმატებოდნენ ლევან სანიკიძე, გრიგოლ რობაქიძე და სხვანი? მეტად საინტერესოა თუ თვითონ როგორ აფასებს გრიგოლ რობაქიძე თავის ღვაწლს წერილში: „მამულიშვილური მიზნებით და მისწრაფებებით“. ჩამოთვლის რა თავის დამსახურებებს, იგი წერს:

„გადაშალოს ქართველმა მკითხველმა ბროკჰაუზის მთელს ქვეყანაზე სახელგანთქმული ენციკლოპედიური ლექსიკონი. ნახავს იგი იქ რომელიმე ქართველს? იქ მე ვარ ნახსენები და მერე როგორ?!! რამოდენიმე თვის წინათ თქვენს ძმას კიტას დაავალეს აქ: ცნობები მიეცა გამომცემლობისათვის შვეიცარიის ენციკლოპედიურ

ლექსიკონში მოსათავსებლად ორი ქართველის შესახებ, ეს ქართველნი: შოთა რუსთაველია და გრიგოლ რობაქიძე.

აღარ გავაგრძელებ – არცაა საჭირო. მომყავს ეს ფაქტები არა იმისათვის, რომ ვისიმე წინაშე თავი „ვიქო“ – მართალი მოგახსენოთ, მე ეს არ მჭირდება. მომყავს იმისათვის, რომ: როცა ჩემი თანამემამულენი მე მეხებიან, ეს ფაქტები უნდა გაითვალისწინონ უპირველესად. გეცოდინებათ ალბათ, რომ „ქართულ საქმეში“ მე გამოვაქვეყნე „უცნობი საქართველო“ (ნაწილი ჩემი ახალი წიგნისა). ამ ნარკვევში მე გადმოვშალე – მე: პირველმა საუკუნეთა განმავლობაში – სწორუპოვარი მადანი ქართული გენიისა. თამამად შემიძლია: რომ ამ ნარკვევით, რომელიც ესსეისტური ფორმით სახავს მთავარ გეზს ჩემი შემოქმედებისა, ამ ნარკვევით შეუძლია საქართველოს წარსდგეს კაცობრიობის წინაშე არა როგორც უბრალო „ეტნოგრაფიული“ სინამდვილე, არამედ როგორც ერთ-ერთი გენიალური „ასპექტი“ მსოფლიოს ცნაურებისა. შესაძლოა ეს ვისმე კვეხნად მოეჩვენოს, მაშ დაუგდოთ ყური, თუ რას ამბობს ჩემზე ერთი ავტორი თავის გამოკვლევაში, რომელიც გამოქვეყნდა ომის წინ ცნობილ კათოლიკურ ჟურნალში „Haeheand“, (მთიანი მხარე). მოგვაქვს მისი ქართული თარგმანი:

„გრიგოლ რობაქიძე არის სულით არისტოკრატი. როგორც ბელადი, სულიერი წინამძღოლი თავის ხალხისა, ამ სწორ გზაზე ერთადერთი მათი ნამდვილი გადამრჩენელი, იგი არის სინამდვილეში სახალხო მწერალი: როგორც ესქილე, სოფოკლე, ჰომეროსი საბერძნეთისათვის, დანტე იტალიისათვის, ჰოლდერილი და კლაისტი გერმანიისათვის. ისინი იყვნენ სახალხო პოეტები არა ფსიქოლოგიური გაგებით, არამედ ამაღლებული სულიერი რელიგიური შემოქმედებით“ (გრიგოლ რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია... კრებული. თბილისი, 1996, შპს „ჯეკ-სერვისი“, გვ. 364-365).

სამწუხაროდ, ქართველ მკითხველს ხუთი ათეული წლის მანძილზე საშუალება არ ჰქონდა ზიარებოდა გრიგოლ რობაქიძის, ამ დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ღვაწლსა და შემოქმედებას. მისი უკიდეგანო ჰორიზონტები, პოეზიისა და პროზის გარდა, იგი მოიცავს წერილებს და ესსეებს საქართველოზე, დიდ ქართველ მოაზროვნეებზე და მოღვაწეებზე, პოლიტიკისა და სოციოლოგიის შესახებ ნაწერებს, წერილებსა და ესსეებს თეატრზე, მუსიკაზე, მხატვრობაზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურათმცოდნეობაზე, ლიტერატურულ პოლემიკაზე, უცხოელ და რუს ავტორებზე, ნაწერებს პოლიტიკური პორტრეტების შესახებ, თარგმანებს, ეპისტოლარულ მემკვიდრეობას და ა. შ. თუ მათ და თვით გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების მკვლევართა წერილებს გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ გრიგოლ რობაქიძე იყო ის ადამიანი, ვინც იცოდა და ვისაც

ყველაფერი ეკითხებოდა, რაც კი საქართველოს, მის კულტურასა და ცივილიზაციას, მის ბედს შეეხებოდა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მწერლობაში ღირებულებების ასახვის საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი მაინც არის და მისი განხილვა შედარებით უფრო ვრცლად და „საბუთიანად" ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

2009 წელს საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა განახორციელა პროექტი „საქართველოს დიდი ათეული". ქვეყნის დიდი ათეულის არჩევის იდეა 2002 წელს ბრიტანეთში, BBC-ში (ბრიტანეთის სამაუწყებლო კომპანია) დაიბადა და ტელეპროექტმა უდიდესი წარმატება მოიპოვა. პროექტი შემდეგ მსოფლიოს ოცდახუთ ქვეყანაში განხორციელდა. საქართველო ოცდამეექვსეა. თავდაპირველად შეირჩა 420 კანდიდატი, რომელთაგანაც ხალხს უნდა შეერჩია „დიდი ათეული". კანდიდატთა რიცხვი თანდათანობით მცირდებოდა. წესი ასეთია, რომ როდესაც 50 კანდიდატი აირჩევა, შემდეგ გამარჯვებულს უკვე ლობისტები („ადვოკატები") სატელევიზიო შოუში წარადგენენ. ცნობილი ადამიანები და საინიციატივო ჯგუფები შეეცდებიან, დაუმტკიცონ საზოგადოებას, რომ მათი ნომინანტი ყველაზე დიდი ქართველია. საბოლოო არჩევანი კი ისევ ხალხის გასაკეთებელია.

პროექტის შედეგების მიხედვით დიდ ათეულს სათავეში უდგას ილია ჭავჭავაძე, მეორე ადგილზე დავით აღმაშენებლია, მესამეზე – ზვიად გამსახურდია, მეოთხე ადგილი ვაჟა-ფშაველამ დაიკავა, მეხუთე – თამარ მეფემ, მეექვსეზე შოთა რუსთაველი გავიდა, მეშვიდეზე იაკობ გოგებაშვილია, მერვეზე – ექვთიმე თაყაიშვილი, მეცხრეზე – გიორგი ბრწყინვალე, მეათეზე კი – უცნობი გმირები.

შედეგების ანალიზი წარმოაჩენს ქართულ საზოგადოებაში არსებული განწყობებსა და მათ მიზეზებსაც. ეს შედეგები საინტერესოდ შეაფასა ჟურნალისტმა გიორგი უძილაურმა. მისი მთავარი დასკვნები არის შემდეგი: „ერი, როგორც იქნა, ცდილობს დაუბრუნდეს ფესვებს და გაარკვიოს, თუ რა დანიშნულება აქვს მას თანამედროვე ეპოქაში. არსებული ვითარების გათვალისწინებით, ამ ტენდენციებს აშკარად მოუხდებოდა გამოთქმა: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს" („ახალი თაობა", 5 მაისი, 2009, №118 (4860), გვ. 4,6).

ქართულ საზოგადოებაში მყარად გაძლიერდა ჩვენი ღირებულებების ტრანსფორმაციის, ეროვნულ ფესვებთან მათი დაბრუნების მოთხოვნა. გუბაზ სანიკიძე აღნიშნულთან დაკავშირებით ერთ-ერთ თავის ინტერვიუში სამართლიანად აღნიშნავდა: „საზოგადოებას მოყირჭდა უზნეობა და ცრუღირებულებები, რადგან ეს თავისი არსით უღმერთობასაც გულისხმობს. ადამიანი, რომ იცოდეთ, უღმერთობისგან ძალიან იღლება და

ყოველივე სიბოროტესთან ბრძოლის ჟინით აღივსება ხოლმე, სწორედ ამ უღმერთობისგან განთავისუფლების შემდეგ ეს 15-20 წლიანი უღმერთობა, ფსევდოღირებულებები და ფსევდოლიბერალიზმი, რაღაც გაუგებრობის იმპორტირება და იზმები, თანაც დამახინჯებული ფორმით მოწოდებული ჩვენი ეროვნული სხეულისთვის, ეროვნული ფასეულობებისა და მენტალობისთვის, რა თქმა უნდა, მოყირჭდა ჩვენს საზოგადოებას და ახლა მარადიული ღირებულებებისკენ მოტრიალებას იწყებს. ეს კი უფრო ზუსტად იმას ნიშნავს, რომ ტრიალდება უფლისკენ, სამშობლოსკენ, პატრიოტიზმისკენ, მამულიშვილობისკენ და ჭკუისკენ, იმიტომ, რომ გონება და ტალანტი ქართველთა თვისებაა ოდითგანვე. ახლა რომ გაიძახიან, – ქართველები ყოველთვის ასეთები იყვნენო, – ეს მცდარი შეხედულებაა, რადგან, მერწმუნეთ, მართლაც ასე რომ ყოფილიყო, ჩვენი ერი ერთ თაობაში გაწყდებოდა და დღეს ქართველთა სახსენებელიც კი აღარ იქნებოდა დედამიწაზე!“ („ქრონიკა“, 2009 წელის 5-11 იანვარი).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი წინაპრების წარმოჩენა და მათი ღირებულებების დაცვა თითოეული ადამიანის უწმინდესი მოვალეობაა. „ეს ბრწყინვალე იდეაა, თქვენ უკვდავება გარანტირებული გაქვთ“ – ასე გამოეხმაურა მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი პოლიტოლოგ ვაჟა შუბითიძეს „ყველა დროის 100 უდიდესი ქართველის“ გამოცემისათვის (ეს ნაშრომი საგამომცემლო სახლმა „ინოვაციამ“ გამოსცა 2009 წელს. 2011 წელს კი მეორედ გამოიცა). ვ. შუბითიძემ წიგნში წარმოდგენილი „ასეული“ ჩვენი ქვეყნის კულტურაზე დამჩნეული კვალის მიხედვით წარმოაჩინა.

ბოლო ხანს ასევე საინტერესო „დიდი ქართველები“ ორ ნაწილად გამოსცა ტარიელ ზოზრაშვილმა, ამ ქვეყნიდან ცოტა ხნის წინ წასულმა ლერი მუსხელაძემ შესანიშნავი წიგნი დაწერა „ვახტანგ გორგასალი“, დავით აღმაშენებლის წარმოჩენას და მისი დამსახურების შეფასებას დღევანდელი გადასახედიდან ეხება ვასილ კუკუნაშვილის „ჯვარ-პატიოსანი“... კიდევ შეიძლება გავაგრძელოთ ასეთი ჩამონათვალი. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ პროფესორი დენიზა სუმბაძე გამოსცემს შესანიშნავ გაზეთს „ერის ღირსება“. ასეთი საქმეების კეთება დიდი საქმეა.

დიდი გალაკტიონი მარადიულ თანამედროვეთა უკვდავ საგანძურში უპირველეს ადგილს მიუჩენდა შოთა რუსთაველს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, დავით გურამიშვილს, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთელს და ილია ჭავჭავაძეს. დედის გარდაცვალების შემდეგ გალაკტიონ ტაბიძეს უნახავს სიზმარი. იგი უიმედობასა და სასოწარკვეთაში ჩავარდნილი დედას შესთხოვს რა მეშველებაო. დედა იქიდან იმედს აძლევს და ამხნევებს, რომლის ნათქვამსაც მეფე-პოეტი შემდეგნაირად გამოხატავს:

„კედლით გიყურებს ექვსი, მგოსნის ძვირფასი ქნარი,

რუსთაველს, ბარათაშვილს, გურამიშვილს და ვაჟას,

წერეთელს, ჭავჭავაძეს, სურთ დაგიჭირონ მხარი,

და თანაც დედა შენის, ნანა არ გიცავს განა?!“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ღირებულებების წყაროების შესახებ ბევრი რამ აქვს გამოქვეყნებული დიდ შემოქმედსა და ეროვნული ღირებულებების დამცველს, გრიგოლ რობაქიძეს. „საქართველოს ხერხემალი”, ასე ეწოდება მის პუბლიკაციას, რომელიც ავტორმა ნიკოლო მიწიშვილის წერილის „ფიქრები საქართველოზე” საპასუხოდ 1924 წელს დაწერა (იხ. გაზ. „კვირის პალიტრა”, 21-27 ნოემბერი, 2005, გვ. 14).

ნ. მიწიშვილმა ასეთი „განაჩენი“ გამოუტანა თავის სამშობლოს: „საქართველო პასიური მოვლენაა. მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან, (ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ), საკუთარ შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც. მოკლებულია, აქედან, გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს”.

მიწიშვილის ამ პოზიციას გრიგოლ რობაქიძე სულის კრიზისის გამოვლინებადა და თვითმკვლელობად თვლის და ცდილობს გაარკვიოს, თუ რა არის და სად არის განფენილი ერის გენია, ჩვენი ერის ღირებულებები. ავტორი წყაროებად ასახელებს ქართლის ცხოვრებას, დავით აღმაშენებელს, ცოტნე დადიანს, შოთა რუსთაველს, გიორგი მერჩულეს „ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელის”, იაკობ ხუცესს, ექვთიმე მთაწმინდელის, იოანე მთაწმინდელის, გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირეს, მინდიას გენიალურ მითოსს, იმას, რომ საქართველომ შექმნა „ჯვარი ვაზისა“, ასახელებს ქართველი ქალის ფენომენს როგორც ქართული გენიის გამოვლინებას. გრიგოლ რობაქიძე ასევე ასახელებს ქართულ ცეკვას („ქართული გენია როკვით განფენილი”-ო, წერს იგი გენიალურ სტატიას), აკაკის, ვაჟას, ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილის გენიას და კიდევ სხვა მრავალს.

„აქვს თუ არა გენია საქართველოს?“, – კითხულობს გრიგოლ რობაქიძე და პასუხობს: „... ევროპაში თავი მოსწონთ მარკ ავრელით, რომელიც ომშიაც „ჭვრეტდა“ სამყაროს. ჩვენში დავით აღმაშენებელი ომის დროს „სამოციქულოს“ კითხულობდა – (ეს ზნე კინაღამ საბედისწერო გახდა მისთვის).

ან კიდევ სხვა. ევროპაში ლეგენდად არის გადაქცეული „კალეს მოქალაქეთა” რაინდობა. როდენმა ქვაც კი აამეტყველა მათი რაინდობით. ჩვენში – ასეთი მონუმენტალური სურათი: მონღოლთა ნოინნი სჯიან ქართველ შეთქმულებს. მათთან მიდის მაღალი და ნათელი კაცი: დადიანი ცოტნე. იგიც შეთქმულთაგანია, მაგრამ არ დაუჭერიათ (სხვაგან იყო). ცოტნე ამცნევს ნოინებს, რომ მისი ნდომაა – შეთქმულთა ბედი

გაიზიაროს, რადგან იგიც შეთქმულია. მონღოლებს უკვირთ ასეთი სიმართლე ქართველების – და შეთქმულებს ანთავისუფლებენ. რით არის ეს ამბავი ნაკლები „კალეს მოქალაქეთა“ ამბავთან შედარებით? არაფრით: შესაძლებელია მეტიც იყოს.

ნუთუ ავტორს ჰგონია, რომ რუსთაველით ამოიწურება ქართული გენია? (ეგებ სხვებსაც ჰგონიათ). 1902 წ. ნიკო მარმა იერუსალიმში იპოვა ხელნაწერი „ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელის“ ავტორი გიორგი მერჩული.

გამოდის: მეოცე საუკუნის თაურამდე არავინ იცოდა, თუ რა საუნჯე ჰქონდათ ქართველებს. ქმნილება ეკუთვნის მეათე საუკუნის ნახევარს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს ქმნილება ქართული გენიის ხალასი ნაყოფია. ქართული სიტყვა აქ მოცემულია ისე, თითქო პირველმიწას რძე სდიოდეს კვლავ ძუძუებიდან. თქმა – მოკლე, ნაკვეთი სიტყვა – თითქო შედედებული სუბსტანცია, რომელიც წარმოთქმის შემდეგ იშლება როგორც მდინარის სარკეული ზედაპირი, როცა ფრთებგაშლილი გავაზი დაეცემა მას. არავითარი ხორცმეტი, არავითარი მეჭეჭი, სიტყვა ისეთი, რომელსაც აქვს ქალწულური დარცხვენა და ამავე დროს მორკინალის შემართება: სწორედ ისეთი, რომლითაც ძველად წირვადს ჰქმნიდენ. არც გასაკვირია: გიორგი მერჩულს ჰყავდა წინამორბედი – იაკობ ხუცესი (მეხუთე საუკუნე), რომელმაც გასაოცარი აღწერა დაგვიტოვა „წმინდა შუშანიკის“ ცხოვრებისა, გიორგი მერჩულმა, ცხადია, ქართული „საგალობლებიც“ იცოდა, საცა ქართველი ავტორები ფსალმუნობაში დავით წინასწარმეტყველს ედავებიან.

მაგრამ ამით არ ამოიწურა მერჩულის ქმნილება. აქ არ არის მოცემული ჩვეული აღწერა ჩვეული წმინდანის, საცა სიცოცხლე მლაშეა და წუთხე. აქ მთელი მსოფლგზნებაა – სრულიად თავისებური, გრიგოლ ხანძთელი (მერჩულის აღწერით) – ისე დადის დედამიწაზე, თითქო უკანასკნელი სიმინდის ჯავარი იყოს, რომელიც დატაროებას ელის. მიწა მისთვის არ არის „ბერწი”. პირიქით, მისი ყოველი ნაყოფი „წყაროსთვალია“, რომელსაც მოაქვს ბუნების მადლი.

ამის შემდეგ რასაკვირველია, რუსთაველი აღარ არის „გაუგებრობა“.

მაგრამ რუსთაველამდე კიდევ იყვნენ სხვებიც, რომელთაც ქართულ სიტყვაში გენია გააღვიძეს, ექვთიმე მთაწმინდელი, იოანნე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე. თვითეულს მათგანს ცალკე მონოგრაფი სჭირდება. თუ გერმანელები ლუტერს „ბიბლიის“ გერმანულად თარგმნისათვის გენიალობას ანიჭებენ, რა დააშავეს ჩამოთვლილ მამებმა, რომლებმაც იგივე „ბიბლია“ ქართულად სთარგმნეს. და მერე როგორ? ლუტერის თარგმანი თუ არის ენის-ქმნა, მთაწმინდელების თარგმანიც ენის-ქმნაა ნამდვილი. თუ რომელი უფრო მძაფრი ქმნაა, ეს კიდევ სადაოა.

ასეთია მაგისტრალი, რომლის ბოლოს რუსთაველი მოსჩანს, როგორც დამთავრება და როგორც ასეთი – ხანდახან როგორც გადახრაც (ოდნავი დეკადანსი), ამის შემდეგ რა აზრი აქვს ასეთს დილემას. „ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნი საქმეა?“

რუსთაველი ქართველია და მის პოემას უდიდესი სიტყვის კულტურა უძღვის წინ. რასაკვირველია, „ადვილად შოვნაზე“ ლაპარაკი ამ კულტურის არცოდნაა. (მაინც წამცდა პოლემიკური სიტყვა).

კიდევ სხვა მაგალითი. მთელი ლათინური ევროპა ამაყობს ფრანსის ასიზელით. ფრანსის ასიზელს დარჩა ოცი სტრიქონი. ამ სტრიქონებიდან იტალიელებს გამოჰყავთ მთელი იტალიური პოეზია. განსაკუთრებით უყვარს ეს სტრიქონები დ’ანუციოს. რასაკვირველია, მარტო ამ ოცი სტრიქონისათვის არ არის ფრანსის ასიზელი საოცარი. იგი ბავშვია და თან ბრძენი. იგი „ჩიტის გულშია“ გადასული და ცოცხლობს ჩიტის გულით. იგი ბუნების ძალთა მხილველია და მათი დამურვებელი, (ხოლო – არა ძალადობით).

საკმარისია აქ წერტილი დავსვა, რომ ქართველმა იმავ წამს მინდია გაიხსენოს და მართლაც მინდია იგივ ფრანსის ასიზელია, მხოლოდ საქართველოს მთებში აღმოცენებული, როგორც იშვიათი ყვავილი ალპების, განა მინდიას მითოსი გენია არ არის თვითონ? განა აქ არა სჩანს „ღმერთის ხელი“?

კიდევ შეიძლება გავაგრძელოთ გრიგოლ რობაქიძის ნააზრევთა ციტირება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ესეც საკმარისია იმისათვის, რათა ჩვენთვის უმთავრესი დასკვნები გამოვიტანოთ. ეს უმთავრესი კი ის არის, რომ მწერალი ქართველთა ცივილიზებულობას მსოფლიო ცივილიზაციასთან შედარებითი ანალიზის მოშველიებით იკვლევს, გვაწვდის და ასაბუთებს, რომ ქართველი ერი მსოფლიო კულტურის უძველესი შემოქმედი, ზოგადსაკაცობრიო დონის გენიის მატარებელი, მისი თვითმყოფადი მკვიდრია დასაბამითგანვე.

გრიგოლ რობაქიძე მიიჩნევს, რომ ქართული რენესანსის სიძნელეთა დასაძლევად საჭიროა ქართველმა ხელოვანმა, შემოქმედმა მთელი ქართველობის ისტორია ყოველმხრის გამოიკვლიოს და მისგან ნამდვილი ქართული ღირებულებები გამოჰკვეთოს. იგი აღნიშნავდა: „არის ერთი რამ ჩვენთვის აუცილებელი, რომელიც ყოველს წამს უნდა გვახსოვდეს. ჩვენ უფრო იმპულსის ხალხი ვართ, ვიდრე გრძნობის, გრძნობა კი, ნამდვილი, შეურყეველი, ღრმაა, სასტიკი, გრძნობა უკანასკნელს წვეთამდე – აი რა არის ჩვენთვის თავი და თავი. განსაკუთრებით ახლა. ქართველმა უნდა იგრძნოს რაინდული შემოქმედებით საქართველო. მხოლოდ ამ შემთხვევაში აყვავილდება ქართული რენესანსი.

ასეთ გრძნობას, ხან და ხან მისტიურობამდე აყვანილს, ვერა სიძნელე ვერ გადაეღობება წინ, იგი ყოველს ზღუდეს გადალახავს. განსაკუთრებით ეს ჰმართებს ქართველ ხელოვანს: იგი მთელი ქართველობა ამოსწუროს მის ისტორიულობაში და გამოჰკვეთოს მისაგან ნამდვილი ქართული სტილი". (გაზ. „საქართველო". 1917, №257). ასეთია გრიგოლ რობაქიძის იმედისმომცემი, დამრიგებლური და ომახიანი მოწოდება დღევანდელი საქართველოსადმი.

1.4. თანამედროვე მიდგომები ღირებულების კვლევისადმი

ღირებულებათა გაგება კითხვის განსაკუთრებულ წესს მოითხოვს. ცნობილი ქართველი მწერალი და მოღვაწე, მთარგმნელი და კრიტიკოსი, ფილოსოფიის მეცნიერბათა დოქტორი ბაჩანა ბრეგვაძე დიდებულად შენიშნავს იმის შესახებ, თუ „როგორ ვიკითხოთ ფილოსოფიური ტექსტი" ამ მიზნით. ამისათვის პროფესორს მოჰყავს ხოსე ორტეგას ი გასეტის „რეცეპტი": „ფილოსოფიის კითხვა შეუძლებელია – სწორედ კითხვის საპირისპიროდ უნდა მოიქცეთ, ესე იგი, გაიაზროთ ყოველი ფრაზა, რაც იმას ნიშნავს, რომ ცალკეულ სიტყვებად დაანაწევროთ იგი, აიღოთ თვითოეული მათგანი და მისი მიმზიდველი გარეგნობის ჭვრეტით კი არ დაკმაყოფილდეთ, არამედ გონებით ჩასწვდეთ მის სიღრმეს, ჩაეშვათ მისი მნიშვნელობის ფსკერამდე, გამოიკვლიოთ მისი ანატომია, მისი საზღვრები, და მხოლოდ შემდეგ, როცა უკვე მოიხელთებთ მის ფარულ საიდუმლოს, კვლავ ამოყვინთოთ ზევით. თუ ასე მოიქცევით, ფრაზის ყოველი სიტყვის მიმართ, მაშინ ისინი კვლავინდებურად კი აღარ განაგრძობენ უბრალოდ გვერდი-გვერდ დგომას, არამედ იდეების ფესვებით გადაეჭდობიან ერთმანეთს აზრის სიღრმეში, და მაშინღა შეადგენენ ფილოსოფიურ ფრაზას. ბწკარის გასწვრივ მცურავი, ჰორიზონტალური კითხვიდან და ციგურებით გონებრივი სრიალიდან უნდა გადახვიდეთ ვერტიკალურ კითხვაზე და განძის საძებნად უსკაფანდროდ ჩაყვინთოთ თვითოეული სიტყვის ციცქნა უფსკრულში" (ბრეგვაძე ბ. ბოლო წლების ჩანაწერებიდან. იხ. „ჩვენი მწერლობა", სალიტერატურო ჩანართი, №4 (185) გაზეთისა „ახალი ეპოქა", 30.01.–05.02. 2004, გვ. 3).

ღირებულებათა გარეშე ჩვენს ცხოვრებაში არც არაფერი არსებობს, არც იწერება, არც იქმნება. მის შინაარსს სრულყოფილად ვერ გაიგებ, თუ არ გაირკვა რა მთავარ აზრს შეიცავს იგი როგორც ცნება. ჩვენი აზროვნების უმთავრესი ფასეულობითი კონტექსტები სწორედ ამ ტერმინით გადმოცემულ შინაარსში აისახება. „კონტექსტი" ლათინური contextus-გან მომდინარეობს, რაც სიტყვასიტყვით შეერთებას, მჭიდრო კავშირს ნიშნავს.

უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, კონტექსტი არის წერილობითი ტექსტის შინაარსობრივად დასრულებული ნაწყვეტი, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მასში შემავალი ცალკეული სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობა. ე.ი. კონტექსტი ცალკეული სიტყვის ღირებულებით დატვირთვას გვიხსნის.

ღირებულებათა კვლევა სათანადო მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას საჭიროებს. ილია ჭავჭავაძემ მისი ორიგინალური სისტემა შეიმუშავა. ამჟამად ჩვენ ამ სისტემის მხოლოდ ერთ, ღირებულების საფეხურებრივი კვლევის პრინციპს შევეხებით. ილიას მიხედვით, ეს პრინციპი მოითხოვს ამა თუ იმ მოვლენის, საქმის შინაგანი ავკარგიანობის გამოკვლევას, „რომ საზრისს თავისი ჭეშმარიტი და უეჭველი საბუთი ქონდეს“. ამას კი მაშინ მივაღწევთ, თუ გვექნება საქმის ვრცელი, გამოწვლილვითი „გამონაძიები და გამონარკვევი“. საქმისადმი ამ მეთოდით მიდგომის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ილიას წერილი „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიკური მიზეზები“ (1897 წ.) ილია პირდაპირ საქმეზე გადადის, დასაწყისშივე ახასიათებს შესასწავლ მოვლენას, საქმეს, ლაკონურად გამოჰყოფს მის საფეხურებს და ლაპიდარულად გადმოგვცემს მის ყველა ძირითად დამახასიათებელ ნიშანს. მოვუსმინოთ თვითონ ილია ჭავჭავაძეს: „წლევანდელი წელიწადი განსაკუთრებით შესანიშნავია მით, რომ მეტად გახშირდა ჩვენში ავაზაკობა ძარცვა-მტაცებლობისათვის, არამცთუ დიდს შარაგზებზე, არამედ შიგ სოფლებშიაც, ქურდობას და ქურდბაცაცობას ხომ ნუღარ იტყვით. ავაზაკობამ, ზოგჯერ კაცისკვლამაც, შეერთებულმა ძარცვა-მტაცებლობასთან, ისე გაბედვით გამოიდო თავი ჩვენში, რომ არც ერთი კუთხე არ დარჩა ამიერ-კავკასიაში, – ავაზაკთა სარბიელად არ გამხრადიყოს. ძნელად გადის ისე დღე, ან იქიდამ, ან აქედამ, ამბავი არ მოდიოდეს, რომ ავაზაკები დახვდნენ, გაძარცვეს მგზავრად მოდენილები შარაგზაზე, ან ამასა და ამას შეუცვივდნენ სოფლად სახლში, წაიღეს რაც შეეძლოთ და ზოგჯერ დახოცეს კიდეც, ვინც-კი გაბედა და დააპირა თავს როგორმე უშველოსო. ესეთს თამამს და კადნიერს ავაზაკობას, ძარცვა-გლეჯას, როგორც ეხლაა, ესე ყველგან მოდებულს და თავაღებულს, ძნელად თუ ვინმე მოსწრებია უწინ“ (ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. 6, გვ. 201).

ამით ნათლად ჩანს კვლევის პირველი ანუ საწყისი საფეხურის შინაარსი, კერძოდ ის, თუ რას ვიკვლევთ, რა მოვლენასთან, ანუ რა საქმესთან გვაქვს შეხება. საბოლოო მიზანიც ნათელია: უნდა გავიგოთ გახშირებული ავაზაკობის გამომწვევი ეკონომიკური მიზეზები და დავსახოთ მისი წამლობის გზები. როგორ გამოვარკვევთ ამ მიზეზებს? ესეც კვლევის ილიასეული მეთოდის შემადგენელი ნაწილია. ამას მაშინ მივაღწევთ თუ გვექნება ცნობები იმის შესახებ, „... თუ სად და როგორ მოწყობილნი არიან მკვიდრნი საშინაოდ და საგარეოდ, რა აიძულებთ საავაზაკოდ და რა არა, რა აქეზებს და ხელს უწყობს

ავაზაკობის თარეშობასა, რომელი ადგილი და თესლი ერისა იძლევა ავაზაკსა და მძარცვავ-მტაცებელს“ (ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. 6, გვ. 202). თუ ეს არ გვეცოდინება, გამოურკვეველი დარჩება ავაზაკობის როგორც მიზეზი, ასევე მისი წამალი.

ამას მოსდევს კვლევის შემდეგი საფეხური. შესასწავლ საკითხზე სხვათა მიერ მოკვლეული და გამორკვეული მასალების მოძიება და გამოკვლევა იმისა, თუ რამდენად გვაკმაყოფილებს იგი, შეესაბამება თუ არა იგი პირველ საფეხურზე დასმულ ამოცანებს.

ამის შემდეგ იწყება კვლევის უმთავრესი საფეხური, დასახული მთავარი პარამეტრების მიხედვით მისი შესწავლა, საკუთარი კვლევა-ძიების ჩატარება. როგორც ავტორი წერს: „აქ საჭიროა ნამდვილი შინაგანი ავკარგიანობა საქმისა, რომ საზრისს თავისი ჭეშმარიტი და უეჭველი საბუთი ჰქონდეს, და რაკი ამ გზით მიზეზი აიხსნება, წამლის პოვნაც შესაძლოდ გახდება“ (ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. 6, გვ. 202).

ილია ყველა საკითხის შესწავლას ცალ-ცალკე მიჰყვება, მის უმნიშვნელო ნიუანსსაც შეუსწავლელს არ ტოვებს, რასაც მოსდევს „გრძლად თქმულის მოკლედ გამონასკვა“, „რომ შესაძლებელი იყოს ნასკვი საქმისა უფრო ცხადად გავითვალისწინოთ“ (ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ. 6., გვ. 202).

ზემოაღნიშნულის დამადასტურებლად, მაგალითის სახით გამოგვადგება დასახელებული ნაშრომის VI თავი, სადაც ავტორი აკეთებს დასკვნას და სახავს იმ გზებს, რომლებითაც შესაძლებელია ეკონომიკური ცხოვრების წინსვლა-გაჯანსაღება.

ამის დამადასტურებლად ასევე მოვიტანთ ერთ ამონარიდს „ცხოვრება და კანონიდან“. ეს არის იმის ნიმუში, თუ როგორ აკონკრეტებს ავტორი დასკვნის სახით, წინა დაახლოებით ერთ თაბახზე (16 გვერდი) ნაკვლევი მასალის დედააზრს ერთ აბზაცში. ეს დასკვნა ასეა ფორმულირებული: „ჩვენ წინა წერილებით ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, რომ წილზედ-ჭერა მამულისა: 1. მიზეზიანი და სადავიდარაბო უფლება-მოვალეობაა ორთა წოდებათა შორის; 2. ჩვენის ხალხის ჩვეულებაზედ არ არის აღმოცენილი, იმ სახით მაინც, რა სახითაც იგი გლეხთა განთავისუფლების დებულებამ ჩვენში შემოიტანა; 3. ეკონომიურის მხრით, თუმცა ყმობაზედ ბევრად უკეთესია, მაგრამ მაინც მავნებელია; 4. მიწის-ჭერაში ჩვეულება ყველა სხვა ძალაზედ მტკიცეა, თვითრჯულია, და 5. ამის გამო პირველი და უპირატესი ყურადღება მიქცეულ უნდა იქნას ჩვეულებაზედ, როცა მიწის-ჭერის შესახებ რაიმე ცვლილება საჭიროდ დანახულია“ (ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ. 6, გვ. 20).

ასეთია კვლევის ძირითადი საფეხურები, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე განუხრელად მიჰყვებოდა და იცავდა. ასეთი მიდგომებით ილია ჭავჭავაძე აღწევს იმას, რომ ყოველი მისი დასკვნა დაფუძნებულია დაფიქრებაზე, ფაქტების ცოდნაზე და მეცნიერულ

ჭეშმარიტებაზე. მეცნიერული კრიტიკის საშუალებით იკვლევს იგი გზას. „არის კრიტიკა, რომელსაც მეცნიერული კრიტიკა ჰქვიან. იგი „ჰოს“ სათქმელსაც და „არას“ სათქმელსაც ერთნაირის სიფრთხილით, ერთნაირის აწონდაწონით ეპყრობა. იგი იმითაა ღირსეული, რომ „ჰოს“ საბუთსაც ისეთისავე გულმოდგინებით იძიებს, როგორც „არას“ საბუთსა, რადგანაც სახეში მარტო მართალი აქვს და სხვა არარა. ამისთანა კრიტიკა მართლმოყვარე გამომძიებელია და მართლგამკითხავი სასწორი: თუნდა რომ „ჰოს“ გზით შეუდგეს თავის საქმეს, თუნდა „არას“ გზით, ორმავე გზამ მართალთან უნდა მიიყვანოს. ამიტომაც კრიტიკა ერთს გზასაცა ჰხმარობს და მეორესაც, იმისდა მიხედვით, თუ – რა საქმეში რომელი უფრო უტყუარად და ადვილად აპოვნინებს მართალს“ (ჭავჭავაძე ი. აი ისტორია. იხ. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 4, გვ. 69).

კვლევის პირველ საფეხურზე გაკეთებულ დასკვნას ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს. სწორედ ამ საფეხურზე ისახება მარადიული იდეალი – ის ჭეშმარიტება, რის მიღწევასაც ვისახავთ მიზნად. ამის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს „ცხოვრება და კანონში“ იმის დახასიათება, თუ როგორი სამართალი სჭირდება ხალხს. ილია წერს: „ამ სახით, ეხლა ჩვენ ვიცით, რა აზრი ჰქონია უმაღლესს მთავრობას, რომ მომრიგებელი მოსამართლობა დაუწესებია, და რა ღონისძიება მიუღია, რომ ის აზრი უნაკლოდ აღსრულებაში მოსულიყო. მოკლედ განვიმეოროთ ზემოთქმული, რომ უფრო გარკვევით გზა გავიგნოთ და უფრო ცხადი აზრი წავიმძღვაროთ წინ ჩვენს გამოკვლევაში.

უმაღლესმა მთავრობამ უარ-ჰყო უწინდელი განსამართლების წესი და მის მაგიერ საჭიროდ დაინახა, რომ უფრო მომეტებულ ხალხს სახელმწიფოსას იმისთანა სამართალი უჭირს, – 1. რომელიც მახლობლად უნდა იყოს ხალხზედ; ასე რომ ყველამ ყოველს ჟამს, რაც უნდა პატარა გაჭირვება ჰქონდეს, მიჰმართოს ხოლმე და დაუყოვნებლივ სწრაფად განსამართლდეს; 2. რომელსაც ისეთი მარტივი წესი წარმოებისა ჰქონდეს, რომ უცოდინარმა კაცმაც თავისი საქმე აწარმოოს; 3. რომელსაც, რამოდენადაც შესაძლოა, ფორმალობა არ უშლიდეს, რომ ნამდვილი სიმართლე აღმოაჩინოს; 4. რომელსაც წინ უნდა მიუძღოდეს ადგილობრივის ვითარების ცოდნა, ცოდნა ხალხის ზნისა, ხალხის ჩვეულებისა და ერთმანეთზედ დამოკიდებულებისა; 5. სამართალი უნდა იყოს იმისთანა კაცის ხელში, რომელსაც ხალხი იცნობს, ხალხი ენდობა და ხალხი პატივსა სცემს, და რომელსაც, როგორც ადგილობრივს მოსახლეს და მცხოვრებს, თითონაც გული უნდა შესტკიოდეს, რომ უწესობა, ურიგობა არ იყოს მის სახელოში; მშვიდობიანობა, უშიშროება არ იქნას დარღვეულ; ყველა დარწმუნებული იყოს, რომ დანაშაულობა, ბრალი, დაუსჯელად არ ჩაივლის, წანახედი, ზიანი უზღვევლად არ დარჩება; ხოლო უკეთესი მხარე, უმაღლესი მნიშვნელობა ამგვარის მოსამართლობისა მორიგებით გათავებაა

საქმისა. აქაც დანახულია და ცნობილი, რომ თუ მოსამართლე ხალხის თვალში სანდო, სარწმუნო კაცი არ არის, მოსამართლე ამ მომრიგებელ შუაკაცობას ვერ აღასრულებს. როგორც ამის გამო, ისე იმ მიზეზებით, რომელნიც ზემოთ მოგვიხსენებია, მტკიცე და მიუცილებელ საჭიროებად აღიარებულია და დადგენილი, რომ მომრიგებელი მოსამართლე თითონ მცხოვრებლებმა აღმოირჩიონ ხოლმე თვის შორის“ (ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ. 6, გვ. 78-79).

ღირებულების კვლევის ურთულეს საკითხებში გარკვევისათვის საჭიროა ვიცოდეთ განვითარების ზოგადი თეორიის საფუძვლები, რომელსაც მისმა შემქმნელმა, XIX საუკუნის უდიდესმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა ჰეგელმა უწოდა დიალექტიკა. მან გამოყო დიალექტიკის სამი მთავარი კანონი.

დიალექტიკის წამყვანი კანონი – „დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი“ – განვითარებას ხსნის ორი საპირისპირო, მაგრამ ურთიერთშემავსებელი ძალის ბრძოლის არსებობით: სითბო და სიცივე, სიბნელე და სინათლე, სიკეთე და ბოროტება, მდედრი და მამრი – ყოველი ბუნებრივი და ისტორიული პროცესისათვის შეიძლება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისის პოვნა, რომელთა ბრძოლით აიხსნება მისი განვითარება. ამაშია დიალექტური მიდგომის არსი. დაპირისპირებულობანი იმავდროულად ერთიანია ამ პროცესში, ე.ი. ერთის მოწყვეტა მეორისაგან შეუძლებელია. დიალექტიკა აღწერს არა იმდენად რეალურად მიმდინარე პროცესებს, რამდენადაც კაცობრიობის ცხოვრების კანონზომიერებებს და ამ პროცესების შემეცნების შესაძლებლობებს.

გამარტივებულად თუ ვიტყვით, აღნიშნული კანონი შემდეგ თანმიმდევრულ აზროვნებას მოითხოვს. ჯერ განსახილველ პროცესში უნდა გამოვყოთ ორი ურთიერთდაპირისპირებულობა, უკიდურესობა და აღვწეროთ პროცესი, როგორც თანდათანობითი სიჭარბე, დომინირება ხან, ერთი უკიდურესობის, ხან მეორესი.

ადამიანისათვის დამახასიათებელია ნებისმიერი დინამიკური პროცესის განლაგება უკიდურეს, ურთიერთსაწინააღმდეგო შემადგენლებად. თითოეული მათგანის გამოკვლევა, ხოლო შემდეგ პროცესის ნებისმიერი მსვლელობის წარმოდგენა, როგორც შეთავსება, ანუ ჰეგელის მიხედვით, ბრძოლა.

დიალექტიკის მეორე კანონი – „რაოდენობის გადასვლა თვისებრიობაში“ – ბევრად მარტივია გასაგებად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროებში. უფრო რთულია მათში გარკვევა საზოგადოებათმცოდნეობაში. ეს კანონი უბრალოდ გვეუბნება, რომ ყოველი თვისებრიობა, დაფიქსირებული ჩვენი გრძნობათა ორგანოების მიერ, რომელმაც ასახვა ჰპოვა ენაში, განმტკიცებულ სტატიკურ ცნებებში, იცვლება

განსაზღვრული რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით. მაგალითად, წყალი უარყოფითი ტემპერატურის აწევისას გადადის აირის მდგომარეობაში. სინათლეს 500 ანგსტრემის სიგრძის ტალღით აღვიქვამთ როგორც მწვანეს, ხოლო ტალღის სიგრძის გაზრდისას იგი თანდათანობით გადადის წითელში და ა.შ. ასე რომ, ყოველ პროცესში შეიძლება და საჭიროა ვიპოვნოთ ზოგადი რაოდენობრივი პარამეტრები, პასუხისმგებელნი ხარისხობრივ ცვლილებებზე.

დიალექტიკის მესამე კანონი, რომელიც ლამაზად და ბუნდოვნად წოდებულია „უარყოფის უარყოფად", ლაპარაკობს განვითარების ყველა პროცესის განსაზღვრულ განმეორებაზე. ეს, ვფიქრობთ, კაცობრიობის მიერ მიღწეული ყველაზე ღრმა განზოგადებაა სისტემების განვითარების პროცესების შესწავლისას. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, კანონი „უარყოფის უარყოფა" განვითარების ყველა დინამიკური პროცესის ტალღისებური ქანქარის მსგავსი ხასიათის დეკლამირებას ახდენს.

დღეს მეცნიერები ყველაზე მისაღებად მეთოდოლოგიურ პლურალიზმს მიიჩნევენ. ამიტომ არ შეიძლება ხელაღებით რომელიმე მეთოდისათვის უპირატესობის მინიჭება. უნდა გამოვიყენოთ ყველა ის მეთოდი, რომელიც მოპოვებული მასალების ანალიზს ხელს შეუწყობს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შედარებითი ანალიზის მეთოდი, მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდი, გრაფიკული გამოსახვის მეთოდი, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი და სხვ. როგორც იტყვიან, მეხსიერება თარიღებითა და ფაქტებით უნდა გააჯერო და მაშინ შეძლებ შენი წინა ისტორიის შეფასებას, უფრო ზუსტად კი – გადაფასებას. წიგნში – „ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია" (თბილისი, 2003) – ცნობილი მეცნიერი გიორგი ნადარეიშვილი აღნიშნავს: „ისტორიულ-სამართლებრივი ხასიათის მასალას თუ თეორიის ნისლით დავაბნელებთ, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. როგორც ი. გოეთე იტყოდა, უფერულია აქ თეორია, მაგრამ ცხოვრების ოქროს ხე კი მარად მწვანეა. თეორია ფაქტებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს".

დიდი სისტემების, მათ შორის მთლიანად საზოგადოების, ეკონომიკის, მაკროეკონომიკის, მსოფლიო ეკონომიკის საგნების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსოფლიო მეურნეობრივი მოვლენებისა და პროცესებისადმი სისტემურ მიდგომას. ამ მეთოდის თანამედროვე ენითა და მიდგომებით გაგებას ეძღვნება აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის სტატია – „სისტემური მიდგომა, სისტემური აზროვნება და მართვის საკითხები" (იხ. ჟურნ. „კომენტარი", №1, ზამთარი, 2003-2004) სისტემური კვლევის მეთოდების გასაგებად მოგვყავს ვრცელი ამონაწერი ზემოთ აღნიშნული ნაშრომიდან:

„სისტემური მიდგომა არის სამყაროს და მისი ობიექტების მოვლენებისა და პროცესების შესწავლა სისტემური კვლევის მეთოდებით, მათი მთლიანობისა ან მათში მიმდინარე იმ პროცესების საერთო თუ სპეციფიურ კანონზომიერებათა ინტეგრირებულობის კუთხით, რომლებიც მათ წარმოგვიდგენს როგორც სისტემას. სისტემურ მიდგომას, ჩვეულებრივ, ვიყენებთ შედარებით რთული და ეფექტიანი სისტემების ანალიზის, შეცნობისა და სინთეზისათვის.

სხვადასხვა პრობლემის მიმართ სისტემური, მთლიანობითი მიდგომა ეფუძნება ფაქტორთა არსების, როლის, მნიშვნელობისა და ურთიერთდამოკიდებულების გააზრებას მათს ერთიანობაში, ანუ კომპლექსში. ეს შესაძლებლობას გვაძლევს კომპლექსურად და ყოველმხრივ შევისწავლოთ პრობლემა, გამოვყოთ პრიორიტეტები და მოვახდინოთ სისტემის ძირითადი პარამეტრების ოპტიმიზაცია...

დღეს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სისტემური კრიზისების ხანაში, სისტემური მიდგომის მნიშვნელობა იზრდება, ვინაიდან ამ კრიზისებს შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ მათთან ბრძოლის სისტემური მეთოდები. ეს მიდგომა არის საშუალება იმისა, რომ ამოვიცნოთ სისტემურ წინააღმდეგობათა ხასიათი, გამოვავლინოთ ურთიერთკავშირების სირთულე და შევიმუშავოთ პრობლემების გადაწყვეტის სტრატეგია.

ქვეყნის ეროვნული ინტერესების მიმართ სისტემური მიდგომა ქვეყნის აღორძინებისა და მისი ეკონომიკური და სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი პირობაა. ამ მიდგომის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გლობალური პრობლემების შესწავლისას. ამ პრობლემებს (ეკოლოგიურს, სოციალურს, ეკონომიკურს, სამხედროს, ტექნოგენურს, უშიშროებისას) და მათს სისტემურ გააზრებას ზოგადასაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. ისინი იმდენად კომპლექსური ხასიათისაა, რომ მათი გადაწყვეტის მცდელობა დადებით შედეგს არ მოგვცემს, თუ ერთდროულად არ მოვახდინეთ ზემოქმედება ამ სისტემის მრავალ პარამეტრზე.

სისტემური აზროვნების მიზანია სწორად და მთლიანობაში (სისტემურად) აღიქვას გარემო, მთლიანობაში გაიაზროს დაკვირვებით მოპოვებული ინფორმაცია, შეიმეცნოს მატერიალური და არამატერიალური სამყაროს კანონები და კანონზომიერებები, ისწავლოს ადამიანის საქმიანობაში – უწინარესად, რთული სისტემების შექმნასა და მართვაში – ამ კანონთა და კანონზომიერებათა გამოყენება.

ბევრ ძლიერ სპეციალისტს, ჩვენთანაც და სხვაგანც, ჩამოუყალიბდა განსაკუთრებული სისტემური აზროვნება, – ჩვევა იაზროვნოს ისე, რომ მთლიან სურათად ხედავდეს ობიექტს თუ პროცესს. სისტემურ აზროვნებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადამიანის ინტუიცია და ფარული (მიღმური) ცოდნა.

თუ ახალ ობიექტს ვიკვლევთ და ამისათვის არ გვყოფნის არსებული მოდელები, მაშინ სისტემური აზროვნება, მთლიანობითი მიდგომა, ინტუიცია და ფარული (მიღმური) ცოდნა გვეხმარება შევიმუშაოთ ახალი, უფრო ეფექტიანი მოდელები. მეცნიერებას არ გააჩნია საზომი, რომლითაც სისტემური აზროვნების დონეს გაზომავდა, მაგრამ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სისტემურმა აზროვნებამ უკვე მიაღწია განვითარების იმ საფეხურს, როდესაც ადამიანი მის ხელთ არსებული კოგნიტური მოდელების გამოყენებით ახერხებს ჩასწვდეს რთული ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქიკური თუ სხვა პრობლემების არსს (თვისებრიობას).

სისტემური აზროვნების პარადოქსებია მთლიანობის და იერარქიულობის პარადოქსები. მთლიანობის პარადოქსთან გვაქვს საქმე, როდესაც სისტემის აღწერა შესაძლებელია მისი დანაწევრებით ისეთ „მთლიანობებად“ – ისეთ ნაწილებად, რომელი ნაწილებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ სისტემის მთლიანობით თვისებებს. ანუ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მთლიანობის თვისებებს, რომლებსაც სისტემა ატარებს, გარკვეულ ზღვრამდე მისი დანაწილებისას ინარჩუნებენ გამოყოფილი ნაწილებიც. მეორე მხრივ, ნებისმიერი მთლიანობითი სისტემა უფრო მაღალი რანგის სისტემის – ზესისტემის ელემენტია, ანუ მისი ქვესისტემაა და მისი აღწერა შესაძლებელია ამ კუთხით (როგორც ქვესისტემისა). იერარქიულობის პარადოქსი ამაში მდგომარეობს.

რაც უფრო რთულია სისტემა და რაც უფრო სუსტად არის იგი ფორმალიზებული, ნათელია, რომ მით უფრო მაღალი იქნება სისტემური აზროვნების ეფექტიანობა. სისტემურმა აზროვნებამ ყველაზე უფრო მეტად ასახვა ჰპოვა პროგრამირების თანამედროვე მეთოდებში, ინფორმატიკასა და ტელეკომუნიკაციაში, ფსიქოლოგიაში, ბიოლოგიაში, ფილოსოფიაში“.

სისტემური კვლევის მეთოდთან დაკავშირებით საინტერესო თეორია შემოგვთავაზეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, არჩილ ფრანგიშვილმა და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ოლეგ ნამიჩეიშვილმა (იხ. ფრანგიშვილი ა., ნამიჩეიშვილი ო., საუბრები მეცნიერების ფილოსოფიის შესახებ, თბილისი, 2009).

ავტორები ამ ფუნდამენტურ ნაშრომში განიხილავენ მეცნიერების, როგორც ცოდნის სისტემის სპეციფიკას, სულიერი წარმოებისა და სოციალური ინსტიტუტის ფორმას; აანალიზებენ მეცნიერების განვითარების კანონზომიერებებს, მის სტრუქტურას, მეცნიერული შეცნობის დონეებსა და მეთოდოლოგიას; ავლენენ განსხვავებებს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის, მათი ფორმირების ეტაპებსა და სათანადო მეთოდების თავისებურებებს. უჩვენებენ, თუ როგორ წყდება მოცემული

პრობლემები მეცნიერების თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის მიერ. ნაშრომი პასუხობს შემდეგ ძირითად კითხვებს: რა არის მეცნიერული ცოდნა, როგორაა იგი მოწყობილი, როგორია მისი ორგანიზაციისა და ფუნქციონირების პრინციპები, რას წარმოადგენს მეცნიერება, როგორც ცოდნათა საწარმო, როგორია სამეცნიერო დისციპლინათა ფორმირებისა და განვითარების კანონზომიერებანი, რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან და როგორ ურთიერთქმედებენ ისინი. თუ შევაჯამებთ, უნდა ითქვას, რომ ეს არის სახელმძღვანელო გამოკვლევა მეცნიერების მეთოდოლოგიაში.

ეს შესანიშნავი წიგნი არის ჭეშმარიტი მეცნიერება მეცნიერების შესახებ. ისეთი განზოგადებანი, როგორიც მასშია, ჩნდება მას შემდეგ, რაც მეცნიერება გაიცნობიერებს თავის თავს როგორც მთლიანს. თავდაპირველადაც მეცნიერება გაჩნდა როგორც მთლიანი.

ავიღოთ მაგალითად ეკონომიკა და განვიხილოთ ეს პროცესი ეკონომიკური მეცნიერების განვითარების მიხედვით. ვინაიდან ეკონომიკა მოიცავს ადამიანის საქმიანობის მნიშვნელოვან მხარეებს, ეკონომიკურ პრობლემებზე თეორიული მსჯელობანი უყვარდათ ჯერ კიდევ ძველებს, რომელთაც თანამედროვე ადამიანისაგან საერთოდ განასხვავებდა ბევრად დიდი სურვილი შეეცნოთ გარემომცველი სამყაროს რეალობა. უკვე დიდმა ბერძნებმა პლატონმა და არისტოტელემ ჩაუყარეს საფუძველი ეკონომიკას, როგორც მეცნიერებას. პლატონის ცნობილ „სახელმწიფოში“ შემოტანილი იყო ისეთი დღემდე განსჯის საგნად ქცეული ზომები ბაზრის რეგულირებისა, როგორიცაა „ფასის მერყეობის საზღვრები“, ხოლო არისტოტელემ, განჭვრიტა რა შემდგომ ათასწლეულთა პაექრობანი, ჩათვალა, რომ გაცვლა ათანაბრებს მოთხოვნილებებს და არა დანახარჯებს. ეს პოსტულატი გახდა საფუძველი მარჟინალისტური რევოლუციისა ეკონომიკურ მეცნიერებაში მხოლოდ XIX საუკუნის შუახანებიდან. რა თქმა უნდა, ძველ მოაზროვნეთა ეკონომიკური შეხედულებანი შეიცავდა მრავალ ისეთ დებულებასაც, რომელთაც დღეს შეუძლია მხოლოდ ღიმილი გამოიწვიოს. რაც არ უნდა იყოს, გავიდა 23 საუკუნეზე მეტი.

შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ყოველ დიდ მოაზროვნეს, დაწყებული თომა აქვინელიდან კალვინამდე, ჰქონდათ თავისი შეხედულებები ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, ვინაიდან მათ გარეშე ფილოსოფიური და რელიგიური სისტემები ცხოვრებისგან მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა.

თუმცაღა პირველი წმინდა ეკონომიკური თეორიები და ეკონომიკური სკოლები გაჩნდა მხოლოდ XVII ს-ის ბოლოს. შემდეგ კი მოხდა მათი დიფერენცირება, უამრავი ცალკე დისციპლინის სახით მათი დანაწევრება, რომელთა რიცხვის ზრდა დღესაც გრძელდება. ამიტომ, ასეთ პირობებში, დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების ინტერდისციპლინარულ გააზრებას, მის მთლიანობაში შეცნობას, იმ ხიდების დანახვას,

რომელთა მეშვეობით ცალკეული დისციპლინები არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ასეთი ხედვა, ანუ იმის დანახვა, როგორ გამოიყოფა ცალკეული მეცნიერებანი და ამასთან ერთად როგორ მიიზიდებიან ისინი ერთმანეთისაკენ, ანუ მათი მთლიანობაში გააზრება, სხვადასხვა მეცნიერებათა კავშირების ხედვა არის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც სათანადო სახით არის წარმოჩენილი გამოკვლევაში „საუბრები მეცნიერების ფილოსოფიის შესახებ".

ღირებულების კვლევის მეთოდოლოგიურ არსენალში თავისი წვლილი შეიტანეს მღვდელმა ბასილ ახვლედიანმა, პროფესორმა გიორგი შიხაშვილმა და პროფესორმა ნიკოლოზ ბაკაშვილმა. მათ მიერ გამოცემული წიგნი (მღვდელი ბ. ახვლედიანი, გ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი, მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები, თბილისი, 2009) მართლმადიდებლური ეკონომიკური ღირებულებების მწყობრი დალაგებას, მისი კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლებში წვდომას, მის მთლიანობაში გააზრებას, მისგან ჩვენთვის ასე საჭირო პრაქტიკული დასკვნების გამოტანას და ჩვენი გადამრჩენი პრაქტიკული საქმეების კეთებას ეხება, რაც დღევანდელი საქართველოსთვის აქტუალური საკითხია.

ღირებულებათა შესწავლის პროცესშიც აუცილებელია გამოვიყენოთ ლოგიკის ძირითადი კანონები და დასკვნები. როგორც ცნობილი ქართველი ფილოსოფოსები, დევი ბეჭვაია და ეთერ ღვინერია თავიანთ ნაშრომში – „თანამედროვე პედაგოგიური თეორიების ფილოსოფიური საფუძვლები" – აღნიშნავენ, არსებობს მოთხოვნები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ ყოველგვარ მსჯელობას, მარტივად რომ ვთქვათ, რომელთა მიხედვითაც უნდა აზროვნებდეს ნორმალური ადამიანი. ასეთ კანონებს აზროვნების ძირითად კანონებს უწოდებენ. მათი დაცვა აუცილებელი, თუმცაღა, არასაკმარისი პირობაა ბჭობის მართებულობისა თუ სისწორისათვის. განსჯის სისწორეს, მათ გარდა, საკუთარი კანონებიც აქვს.

იგივეობის კანონი. იგი მსჯელობისას აზროვნების, ბჭობის გარკვეულობის მოთხოვნაა. განსჯის პროცესში ყოველი ცნება, ყოველი სიტყვა უნდა ვიხმაროთ ერთი და იმავე მნიშვნელობით. საგნების აღნიშვნის გარეშე სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა, თუნდაც იგი შესაბამისი საგნის შეცვლით იყოს განპირობებული, დაუშვებელია. მოკლედ რომ ვთქვათ, ცნების შინაარსის იგივეობა, გარკვეულობა, მისი ერთი აზრით ხმარება მსჯელობის პროცესში – აი, როგორ გამოიხატება იგივეობის კანონის აზრი.

წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. იგი თანმიმდევრული აზროვნების, ბჭობის, თავისთავადობის, თავის თავთან თანხმობის მოთხოვნაა. ჩვენს აზრებს შორის, მსჯელობაში შემავალ წინადადებებს შორის არ უნდა იყოს

წინააღმდეგობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ რომელიმე საგნის თაობაზე რაიმეს ვამტკიცებთ, იგივე იმავე საგნის სესახებ არ უნდა უარვყოთ (იმავე დროს, იმავე აზრით), ე.ი. აზრთა კავშირი არ შეიძლება იყოს სწორი, აზრთა მსჯელობა არ შეიძლება იყოს თანამიმდევრული, თუ ის წინაარმდეგობას შეიცავს.

გამორიცხული მესამის კანონი. ეს კანონი, განსჯის, ბჭობის თავის თავთან თანხმობის მოთხოვნაა. გამორიცხული მესამის კანონის თანახმად, დაუშვებელია ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო წინადადებიდან უარვყოთ ერთიც და მეორეც, რადგან ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო წინადადებიდან ერთი აუცილებლად ჭეშმარიტია. მაგალითად, ეს ვარდი ან წითელია, ან არ არის წითელი, მესამე შემთხვევა გამორიცხულია.

საკმაო საფუძვლის კანონი. როგორც მკვლევარები ამტკიცებენ, არისტოტელემ ეს კანონი იცოდა, მაგრამ რატომღაც არ ჩათვალა საჭიროდ მისი კანონად გამოცხადება. ამ კანონის მიხედვით, არც ერთი წინადადება არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, თუ არ არსებობს საკმაო საფუძველი იმისა, რატომ არის ამ წინადადებაში აღწერილი სწორედ ასეთი ვითარება და არა სხვაგვარი. ხშირად ეს კანონი გაგებულია როგორც მოთხოვნა – ჭეშმარიტად არ მივიჩნიოთ წინადადება მისი დასაბუთების გარეშე. საკმაო საფუძვლის კანონი დაუფიქრებელი და ზერელე ბჭობის წინააღმდეგ არის მიმართული. განათლების ფილოსოფიის წარმომადგენლები ლოგიკის კონსტრუქციებსა და კანონებს ეყრდნობიან.

სინამდვილის შემეცნების პროცესში იყენებენ აგრეთვე დედუქციურ და ინდუქციურ დასკვნებს. ტრადიციული ლოგიკის მიერ მიღებულია დედუქციური დასკვნის ის განსაზღვრება, რომელიც არისტოტელედან მომდინარეობს. დედუქციური დასკვნა, რომელიც ზოგადიდან კერძოსაკენ (ან მეტად ზოგადიდან ნაკლებად ზოგადისაკენ) გადადის. ისეთ დასკვნას, რომლის წანამძღვრების ჭეშმარიტება აუცილებლობით განაპირობებს დასკვნის ჭეშმარიტებას, დედუქციური დასვნა ეწოდება.

რაც შეეხება ინდუქციურ დასკვნას, მისი რამდენიმე ფორმა არსბობს (სრული, არასრული). განასხვავებენ არასრული ინდუქციის ორ სახეს – პოპულარულს და მეცნიერულს. მეცნიერული ინდუქცია არის რამდენიმე საგნისა თუ მოვლენისაგან გაკეთებული დასკვნა საგანთა ან მოვლენათა მთლიანი კლასის ცოდნაზე; ერთეულიდან, კერძოდან გამომდინარე ზოგადზე მიღებულ დასკვნას, რომლის წანამძღვრებიდან დანასკვნი ლოგიკურად არ გამომდინარეობს, მაგრამ რომლის წანამძღვრებიც გარკვეული ხარისხით ადასტურებენ დანასკვნს, ეწოდება ინდუქციური დასკვნა. ლოგიკოსთა აზრით, ინდუქციასა და დედუქციას შორის დაპირისპირება არსებობს, მაგრამ მას (დაპირისპირებას) აქვს გამონაკლისიც. ლოგიკის, როგორც ბჭობა სისწორის, გამართულობის პირობებისა და

კანონების შემსწავლელი მეცნიერების მიზნები და ამოცანები სხვადასხვგვარია. იმისდა მიხედვით, თუ როგორ ჩამოყალიბდება და დაკონკრეტდება იგი, განისაზღვრება კვლევის მეთოდები. ამის გამო ლოგიკა იყოფა ორ ნაწილად დედუქციურ და ინდუქციურ ლოგიკად.

ღირებულებათა კვლევის ორიგინალური მეთოდები აქვს შემუშავებული ცნობილ გერმანელ თეოლოგს ჰანს კიუნგს. თავის წიგნში „მსოფლიო ზნეობა" ამ მეთოდს იგი შემდეგნაირად ახასიათებს: „ჩვენს მიერ შემუშავებული ვიზიონერული ხედვა უბრალოდ კი არ იქნება გაცხადებული და ნაქადაგევი, იგი გამაგრებული იქნება არგუმენტებით. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მოვხაზავთ, **არგუმენტებით გავამაგრებთ ეთიკურად ორიენტირებულ საერთო სურათს,** რომელიც გამორჩეული იქნება

- დიდი ისტორიული კავშირების დიაქრონული და სინქრონული ანალიზით,
- რეალურად არსებული საზოგადოებრივი ვითარების მიუკერძოებელი კრიტიკით,
- რაციონალურად მონიშნული კონსტრუქციული ალტერნატივებით,
- მათი რეალიზაციისათვის საჭირო კონკრეტული ალტერნატივების სადისკუსიოდ გამოტანით.

ამგვარ განჭვრეტას (პრობლემათა გადაწყვეტის მცდელობას) მარტივ წინადადებათა და იაფფასიანი რეცეპტების გარეშე შეუძლია ბიძგი მისცეს სპეციალისტებს და სხვადასხვა დარგის პასუხისმგებელ პირებს ადეკვატური **გრძელვადიანი სტრატეგიების** ჩამოყალიბებასა და დამუშავებაში." (ჰანს კიუნგი, მსოფლიო ზნეობა მსოფლიო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკისათვის, გერმანულიდან თარგმნა ზურაბ აბაშიძემ, 1998, გვ. 14).

ზემოაღნიშშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე სხვა ქვეყნების და, საერთოდ, მსოფლიო მოწინავე გამოცდილების ჩვენს სასარგებლოდ გამოყენება. როგორც ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, ამისათვის ვიდრე ჩვენი საკუთარი ჭირისათვის სხვისა ნაცად წამალს შევარჩევდეთ, ჯერ დიაგნოზი უნდა დავსვათ. ამისათვის ჯერ უნდა ყოველმხრივ შევისწავლოთ ჩვენი „ავადმყოფობის" ნიშანთვისებები, დიაგნოზის დასმის მეთოდები და პრინციპები. მხოლოდ ამის შემდეგ, ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად უნდა განვსაზღვროთ ჩვენი ავადმყოფობა. თუ ასე მოვიქცევით, ნაცად წამალსაც ზუსტად შევარჩევთ. მაგრამ როგორ შევარჩიოთ ეს ნაცადი წამალი? ილია ამის შესახებაც თავისი მეთოდებით გვმოძღვრავს. მან ჩამოაყალიბა ის მეთოდოლოგია, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ სხვა ქვეყნების შინაური ცხოვრების გამოცდილება.

ილიას მთავარი დასკვნა ის არის, რომ ყველა ქვეყანას არც ერთი და იგივე საკითხის ერთი და იმავე გზით გადაწყვეტა გამოადგება, და მითუმეტეს, არც ერთმანეთის გამოცდილების შაბლონის სახით გადატანა. ასეთი პრობლემების მოგვარება სხვადასხვა

ქვეყნებში განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს. სხვების მიერ უკვე განვლილ გზას, მათ გამოცდილებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს და მას უეჭველად უნდა ვიყენებდეთ ადგილობრივი თავისებურებების შესწავლისა და ყოველმხრივ დასაბუთებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

თავის მეცნიერულ გამოკვლევებში ილია ჭავჭავაძემ მოგვცა კლასიკური ნიმუშები იმისა, თუ როგორ უნდა გავითვალისწინოთ მოწინავე ქვეყნების გამოცდილება, რას უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება. 1889 წელს დაწერილ სტატიაში – „აზია წინათ და ეხლა“, იგი იკვლევს, თუ რას მიჰყავს მსოფლიო წინ, რომელი ქვეყნები ჩამორჩნენ და დაწინაურდნენ და რატომ; ზოგადად რას უნდა ვითვალისწინებდეთ მოწინავე ქვეყნების გამოცდილებიდან. როგორც ილია აღნიშნავს, აზია წინათ ცივილიზაციის აკვანი იყო და „ერთს დროს მთელის ქვეყნის ბედის წარმატებას სათავეში ედგა“, ახლა კი აზიელობა უფრო დამამცირებელი („საბიაბრუო“) სახელია, ვიდრე თავმოსაწონებელი. ამას ავტორი ლოგიკურად მიიჩნევს, რადგან აზიამ თავის წარსული და დღევანდელობა კრიტიკულად არ შეაფასა და ვერც მომავალი განჭვრიტა. ილია წერდა: „ესეც უნდა მომხდარიყო. ისტორია და წარმატება იმისი – კი არ არის, ვინც მარტო თავის-თავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდელობას – ავია თუ კარგი – ჰკმარობს, ვითარცა ხელშეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს – რაც დღეს არის, და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტოს, როგორც სამუდამო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელ-დასაკრებად და მოსასვენებლად. ტყუილად-კი არა სთქვა ტურგენიევმა, რომ ეს ქვეყანა ტაძარი-კი არ არის, საცა კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდესო“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 9, გვ. 113-114).

ილიას აზრით, მსოფლიო ასპარეზზე ევროპის დაწინაურება განაპირობა მეცნიერებამ და მხნეობამ, ჭკუამ და ხელმა, დღევანდელობით დაუკმაყოფილებლობამ და უკეთობის წყურვილმა. იგი აღნიშნავს: „ისტორია და წარმატება – მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელი, და ბურთი და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერებისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ევროპიელიღა იღებს ქვეყნის სკისაგან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აქეთ, იმისდა მიხედვით, როგორც და საითაც უჯობს, რადგანაც ამისათვის ბარიც ხელში აქვს და ნიჩაბიც, ესე იგი, მეცნიერება და მხნეობა, ჭკუა და ხელი. ამ მეცნიერებასა და მხნეობას ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავი უკმარობა დღევანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძლევამოსილი

წინმსვლელობა, ის დიადი წარმატება, რომელიც ყარამანსავით ყაფის მთას მხრებზედ დაიყენებს, რომ ქვეშ ჯარმა მშვიდობით და უწყინარად გაიაროს (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 114).

ასე დაწინაურდა ევროპა. აზია კი ჩამორჩა. მიზეზი უძრაობა და თავის ნაჭუჭში ჩაკეტვა იყო. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „რამ დაჰმართა ეს ამბავი აზიას? რამ დაუხუთა მუხლი მსვლელობისა და ერთს დროს წინმავალი ქვეყანა, ეხლა ასე უკან რომ დააყენა? იმან თუ – რომ თავისი საკუთარი ძარღვები დააწყდა, თავისი საკუთარი საგზალი წინმსვლელობისათვის შემოაკლდა, თუ სხვა რამ მიზეზმა მოსჭრა სულიერი და ხორციელი მუხლი, – ამის გამოძიებას ჩვენ არ შევუდგებით. ეს-კი აშკარაა, რომ მისი წარმატება შესდგა, შეჩერდა, და აზია დღევანდელს დღეს ანგარიშში მოსატანი არ არის, როცა ქვეყნის წინმსვლელობაზე ლაპარაკობთ. ამასთან აზიის უბედურება ის იყო, რომ ეს შედგომა, შეჩერება, თითქო ვერ იგრძნო, ვერ იცნო, – პირიქით, რაცა ჰქონდა, სასულიერო თუ სახორციელო, იმას დასჯერდა და თავმოწონებული შეჰხაროდა, თითქო იმაზე უკეთესი სხვა აღარა ეგულება-რაო ქვეყნიერებაზედ. ამით კმაყოფილმა ცალკე შეიკეტა და გარედამ აღარ მიიკარა არც ამაყვავებელი შუქი მზისა, არც გამაცოცხლებელი სიო. ამ ყოფაში ჩავარდა ჩინეთი, მისი მიმყოლი იაპონია, რომელთაც არავინ აღარ მიიკარეს და ამისათვის მაგარი ზღუდე შემოავლეს თავის არემარეს. თითქმის ამ ტყუილს თავმოწონებასა და კმაყოფილებას მიეცა სპარსეთიცა, საცა სასულიერო წოდებამ მოსლემინებისამ შეჰკრა და შეჰბოჭა გონება და გული მთელის ერისა და თვალები აუბა იმდენად, რომ თავისზედ უკეთესს სხვას არავის ხადიდა“ (ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. 9. გვ. 114-115).

ასე შეარყია აზია „ტყუილ თავმოწონებით ყოფნამ“. ილია ჭავჭავაძე გამოსავალს სხვისგან ჭკუის სწავლებაში ხედავდა. ამ სხვაში კი ევროპას მიიჩნევდა.

რა უნდა გადმოიღოს ამა თუ იმ ქვეყანამ უფრო მოწინავე ქვეყნებიდან, კერძოდ კი ევროპიდან? ილია ამ კითხვებს პასუხობდა და მიიჩნევდა, რომ ჩინეთს, იაპონიას, ირანს ევროპიდან უნდა გადმოეღოთ „ევროპის განათლება“, „მმართველობა და გამგებლობა“, მისი „წესი და რიგი“ და თითქმის ყველაფერი. იგი იწონებდა იაპონიის მაგალითს და წერდა: „იაპონია ამ მხარით უფრო გაბედულად ირჯება. მისი ახალი ხელმწიფე დიდი მომხრეა ევროპის განათლებისა და ლამის დაუცხრომლად – ყოლისფერი, ნამეტნავად მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესსა და რიგს შეუფეროს. დღეს იაპონიას ბევრი ევროპიულად განათლებული, ევროპაშივე სწავლამიღებული ახალგაზრდობა ჰყავს. შინაც დიდად მოცადინენი არიან სწავლისა და განთლებისათვის. მწერლობა, ცოტად თუ ბევრად, ფრთაასხმულია და გავრცელებული, და ვინ იცის, – იქნება იაპონიამ პირველი

მესვეურობა გაუწიიოს აზიას ევროპის ცივილიზაციის ზემოქმედების ქვეშ წარსამატებლად და განთიადმა განათლებისამ თავისი სხივოსანი შუქი პირველ იქიდამ მოჰფინოს მთელს აზიასაც. ამბობენ, იაპონელი ამისათვის არც ნიჭს არის მოკლებული და არც უნარსო“ (ჭავჭავაძე ი, თხზ., ტ. 9, გვ. 115-116).

შემდეგ იგი იწონებს აგრეთვე, რომ სპარსეთმაც კარი გაუღო ევროპის ცივილიზაციას და დაასკვნის: **ზოგადად მოწინავე ქვეყნიდან ყველაფერი უნდა გადმოვიღოთ რასაც მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება**. ილიას მთავარი მეთოდოლოგიური დასკვნა გამოხატულია შემდეგ სიტყვებში: „არც სპარსეთი დარჩა უიმისოდ, რომ ევროპის ცივილიზაციისთვის კარი არ გაეღო. ეხლანდელის შაჰის მეფობის დროს ბევრს ძველს ჩვეულებას, რომელიც სულსა და ხორცს სპარსეთისას ასე თუ ისე ჰხუთავდა, კბილი მოეჭრა. შაჰმა, რომელმაც რამდენჯერმე მოიარა ევროპა, ბევრს რასმეზე აახილა თვალი და დაინახა თავის ქვეყანაში ბევრი უმსგავსობა და შეუფერებლობა. იგი სცდილობს ბევრი რამ ძველი განსდევნოს, ბევრი რამ ახალი შემოიღოს. ამისათვის იგი თურმე არც იმის წინაშე უკუდგებაო, რომ თავისი ნება-უფლება შეიხუთოს, თუ ამას მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება“ (ჭავჭავაძე ი, თხზ., ტ. 9, გვ. 116).

სპარსეთის თემას ილიამ მიუძღვნა აგრეთვე ცალკე სტატია – „დღევანდელი სპარსეთი“. ეს არის იმის სრულყოფილი ნიმუში, თუ როგორ უნდა ისარგებლო იმ ქვეყნის გამოცდილებით, რომელიც ჯერ თვითონაც ვერ დაწინაურებულა, მაგრამ ამისთვის სწორი გზა, სწორი გეზი აურჩევია. სტატიაში ნაჩვენებია, რომ ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ იმის გამორკვევას, თუ რა არის მისაღები ან მიუღებელი. ილია წერდა: „დღევანდელი სპარსეთი ის სპარსეთი არ არის, რაც აქამომდე იყო. დღეს სპარსეთში იქაური სასულიერო წოდება, რომელიც აქამომდე მარტო გუნდრუკს უკმევდა ყველაფერს სპარსულს და უკადრისად იხსენიებდა სხვას ყოველს, რაც სპარსული არ იყო, ცოტად თითონაც გამოფხიზლდა და დაინახა, რომ თუმცა ევროპა ურჯულო ქვეყანაა, მაგრამ იქ ბევრი იმისთანა წესი და რიგია, რომელსაც კაცმა ცხვირის მაღლა აწევით გვერდს არ უნდა გაუაროს, პირიქით, უნდა დინჯის თვალით დაუკვირდეს და აწონ-დაწონვით მოსჩხრიკოს, – რა არის იქიდამ კარგი მისაღები და შემოსატანი და რა არის უარსაყოფელი განსადევნი.“ (ჭავჭავაძე ი. თხზ., ტ. 9, გვ. 117).

ილიას აზრით, მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებისათვის ჩვენთვის პრიორიტეტული უნდა იყოს ევროპულად სწავლება და ევროპული განათლების მიღება, რადგან მხოლოდ ასე შევძლებთ სწორად შევაფასოთ ყველაფერი, სწორი დიაგნოზი დავსვათ და ჩვენს სატკივარს მისი წამლით ვუშველოთ. აქედანაც ჩანს, რა მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ადამიანს, როგორც ღირებულებას. განათლებისა და მეცნიერების

განვითარებასთან ერთად ილია საჭიროდ თვლიდა საკანონმდებლო და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, მრეწველობის გაძლიერებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ილიას მიაჩნდა, რომ ჭკვიანური მიდგომით ჩვენ შევძლებთ ჩვენი ცოდნა გავამდიდროთ და ჩვენთვის სასარგებლო დასკვნები გამოვიტანოთ არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნების გამოცდილებიდანაც.

ეხებოდა რა ბრაზილიის რესპუბლიკად გამოცხადებას, ილია შენიშნავდა, რომ ბრაზილიაში, დონ-პედროს მმართველობის პერიოდში დიდი ძვრები მოხდა. თითქმის ყოველმხრივ სრულყოფილი გახდა ერის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური თავისუფლება, სრული იყო სიტყვის და პრესის თავისუფლება.

ილია ჭავჭავაძე შენიშნავდა, რომ „არც გზები და სხვა სასარგებლო საქმენი დარჩნენ წარუმატებლად. რაც 1870 წელს რკინისგზები იყო – 1887 წლამდე ერთი-ათად მიემატა. წინათ თითქმის არაფრის გამსყიდავი ბრაზილია იმოდენად გაძლიერდა დონ-პედროს ხელში, რომ ამ ბოლო ხანებში ყოველწლივ 700 მილიონის საქონელსა ჰყიდის გარეთ. რამოდენად აიწია მკვიდრთა სარჩო-საბადებელმა, რამოდენად იმატა მათმა ქონებამ – ეს, სხვათა შორის, შემდეგიდამაცა სჩანს. 1860 წელს პირველად დაარსებულ იქმნენ სასოფლო ბანკები. ათის წლის შემდეგ დაარსების დღიდან ამ ბანკებში მისაბარებლად და შესანახავად შეტანილ იქმნა მკვიდრთაგან თხუთმეტ მილიონამდე. გავიდა კიდევ ათი წელიწადი და ამ ფულმა აიწია ორმოცდახუთ მილიონამდე“ (ჭავჭავაძე ი, თხზ., ტ. 9, გვ. 254).

ამ ქვეყნის უდიდეს წარმატებად, დონ-პედროს უდიდეს საქმედ ილიას მიაჩნდა მონობის მოსპობა ბრაზილიაში. 1871 წელს მიღებული იქნა კანონი, რომელმაც გამოაცხადა მონათა ყველა ბავშვის თავისუფლება. „1888 წელს, როცა დონ-პედრო ევროპაში იყო, მისმა ასულმა იზაბელამ, რომელიც მის მოადგილედ დარჩა, სრულად ამოჰკვეთა მონობა“ (იქვე, გვ. 254). ასე აღადგინა იმპერატორმა ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობა და ადამიანური ღირსება. როგორც ვხედავთ, ილიას აქაც მიაჩნია, რომ „კაცთმოყვარეობა“ და „ღირსება“, უმთავრესი ადამიანური ღირებულებანი და ქვეყნის წინსვლის ორიენტირებია.

ბრაზილიისადმი მიძღვნილ სტატიაში, რომელიც ოთხი გვერდიც კი არ არის, ამ უზარმაზარი პერსპექტივის მქონე ქვეყნის დაწინაურების ამბავი ისე ნათლად არის წარმოჩენილი, რომ შედარებით ჩამორჩენილმა ქვეყანამ, ვისაც აქამდე ჯერ არ მიუღწევია, იგი შეიძლება თავის მომავალი გზის სანიმუშო ეტალონად მიიჩნიოს. ასეთსავე მოსაწონ ნიმუშად მიაჩნია დიდ ილიას ის, რომ მონობის გაუქმების გამო გულნატკენ

პლანტატორებს „რევოლუცია მოუხდენიათ უსისხლო, წყნარი და მშვიდობიანი“ და ასე დაუწესებიათ რესპუბლიკა. ე.ი. აქაც ილია ისეთ უმთავრეს ღირებულებებზე, მის ნაყოფისმომცემ ძალაზე მიგვანიშნებს, როგორიც არის „მშვიდობა“.

უმთავრესი ეკონომიკური საკითხი, რომელიც ქვეყანამ შეიძლება გაიზიაროს სხვათა გამოცდილებიდან, ეს არის საკუთრების, მისი ფორმების თანაფარდობის საკითხი. ეს კარგად ჩანს ილიას წერილიდან – **„ირლანდია და ინგლისი“**. ავტორი ირლანდიისდათვის ყველაზე დიდ საქმედ მიიჩნევდა მამულების თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის დაშვებას.

რატომ იყო აუცილებელი მამულების ყიდვა-გაყიდვის დაშვება? ეს აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მამულები მის არმქონეებსაც დარიგებოდათ და გზა გახსნოდა ფერმერობის განვითარებას. საჭირო იყო, რომ უმამულოდ დარჩენილი ხალხისათვის სასახლეები და ცოტაოდენი საკომლო მამულები მაინც მიეცათ, რადგან მიწის უზომოდ უთანაბრო განაწილება მცხოვრებთ მეტად გაჭირვებულ ყოფაში აყენებდა. ამიტომ საჭირო იყო „თანასწორუფლებიანობის“, „სამართლიანობის“ დამყარება დაწყებულიყო უმთავრესი საარსებო საშუალებიდან, მიწიდან.

ილიას უმნიშვნელოვანეს საკითხად მიაჩნდა ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა მიწის მითვისებაში და მის განსაზღვრა-ფორმირებას სათანადო კანონის საფუძველზე განსაზღვრული ზომით („ფარგლებით“) მიიჩნევდა.

აანალიზებდა რა ინგლისის გამოცდილებას, ილია მიიჩნევდა, რომ ინგლისის მინისტრის გლადსტონის კანონი „დიდს არაფერს წარმოადგენს“, მაგრამ მისით საფუძველი ჩაეყარა მიწათმფლობელობის ძველი წყობის ცვლილებებს და სიტყვა საქმედ იქცა. ილია იმასაც აღწერს, რომ ეს კანონი ეფუძნება ოლსტერის ჩვეულებას და ამით კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ადგილობრივ ჩვეულებათა შესწავლისა და მის მიხედვით კანონმდებლობის შედგენის აუცილებლობას.

გლადსტონის კანონმა შეცვალა ინგლისში მანმადე არსებული „ძლიერი მოძღვრება საკუთრების ხელშეუხებლობისა“, რითაც მისი ავტორის დიდება და სახელი მთელს ქვეყანას მოეფინა. „რაც იყო“, იმ რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ეს „უწყინარი კანონი“, „დიდი გაბედული და თამამი ბიჯი“ იყო. რატომ ჰქონდა ამ კანონს ასეთი მნიშვნელობა?

გლადსტონის კანონის უდიდესი მნიშვნელობა ის იყო, რომ მან მთელს ევროპას და შეიძლება ითქვას მთელს მსფლიოს „ქონებრივი წყობილების“ სამართლიან საფუძველზე აშენების გზა გაუხსნა. კანონმა გზა გაუხსნა მიწაზე, მამულზე სრული საკუთრების დაფუძნებას. ილია ჭავჭავაძე ამის შესახებ წერდა: „მაგ კანონს, თუმცა სიფრთხილით, მაგრამ აშკარად დიდმნიშვნელობიანი საგანი უდევს სარჩულად – არა მარტო

ინგლისისათვის, არამედ მთელ დასავლეთ ევროპისათვისაც. ქონებრივი წყობილება ეხლანდელის საზოგადოებისა დასავლეთს ევროპაში... უნდა იმ საფუძველზედ აშენდეს, რომ ფერმერმა, ღალით მიწების მჭერელმა, უმამულო მუშაკაცმა საკუთრებად შეისყიდონ მამულნი, რომელზედაც დროებით და ვადით დგანან.“ (ჭავჭავაძე ი, თხზ., ტ. 9, გვ. 45).

ამის შემდეგ ილიას მოჰყავს ერთი ინგლისელი მეცნიერის სიტყვები, რომელსაც აღუნიშნავს, „რომ მაგ კანონს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვსო მთელის ინგლისისათვის...“ რადგან იგი არის მთელი ერის საჭიროება, „-ბიჯი, მართალია, მოკლედ გადადგმული, მაგრამ ძლიერი და უკუ დაუბრუნებელიო“... ამ სიტყვების წარმოთქმიდან ათი წლის შემდეგ, 1886 წელს, გლადსტონმა „1872 წელს ცოტად გაღებული მის მიერვე კარი ახალის აზრის დასაბინავებლად, ეხლა თითქმის მთლად გააღო, უშიშრად“. ილიას მიჩნდა, რომ ეს კანონი ჭეშმარიტ სამართლიანობაზე ეფუძნებოდა და მომავალში აუცილებლად გზას გაიკაფავდა. იგი წერდა: „წააგებს ამაში გლადსტონი, თუ მოიგებს, დამარცხდება, თუ გაიმარჯვებს, – ამას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დღევანდელის დღის სატკივარისათვის, ხოლო ეს კი უეჭველია, რომ მერმისი მისი მოძღვრებისაა და მოედანს მიწათმფლობელობისას მისი მოძღვრება დაიჭერს.

აი, რა მიზეზით დასავლეთი ევროპა ესე გულმოდგინედ შეჰყურებს დღეს ინგლისის შინაურს საქმეს და თვალს არ აშორებს მოხუცებულს კაცს გლადსტონს, რომელმაც სიჭაბუკის სითამამით და მხნეობით დღეს ჭიდილი გაუბედა... წყობასა, და მოხუცებულობისაგან დღემიწურული არ შეუშინდა არც კიცხვას, არც ლანძღვას, არც მუქარას, მარტო იმის გამო, რომ სიმართლე თავის მოძღვრებისა სწამს და ამ სიმართლით სურს ჩავიდეს საფლავში.“ (ჭავჭავაძე ი, თხზ., ტ. 9, გვ. 46).

დიდი ილიას ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, თუ რა გზას უნდა დასდგომოდა ჯერ კიდევ მაშინ ჩვენი ქვეყანა. ეს იყო მიწაზე კერძო საკუთრების დაფუძნების, მისი ყიდვა-გაყიდვის დაშვების და ამ სრული საკუთრების ხელშეუხებლობის მტკიცე გარანტირებული დამკვიდრება.

1.5. ცივილიზაციის, კულტურის და ღირებულების ცნებათა ურთიერთმიმართება

საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების სრულყოფილი შესწავლა თანამედროვე ეტაპზე ინტერდისციპლინარულ მიდგომას მოითხოვს, ვინაიდან ცალკეულ სფეროთა ფუნდამენტური საკითხების ცალცალკე გამოკვლევის შედეგებს სჭირდება განზოგადება და

მთლიანობაში გააზრება, როგორც ცივილიზაციის, კულტურის და ღირებულების პრობლემებს.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კარგად გავერკვეთ „ცივილიზაციისა" და „კულტურის" ცნებებში. როგორც ცნობილია, ჰუმანიტარული აზროვნების ადრეულ ეტაპზე გაჩნდა ტერმინი „ცივილიზაცია" და მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან civitas, რაც ნიშნავს საზოგადოებას, აქედან წარმოსდგება civis – მოქალაქე, civilis – სამოქალაქო; ადრეულ ისტორიულ ეტაპზე ეს ტერმინი გაჩნდა ლათინურ საზოგადოებაში და გამოხატავდა ლათინური სოციუმის, სახელმწიფოებრივი მოდელის უპირატემობას ბარბაროსების ცხოვრების წესთან შედარებით. მეორე ტერმინი, „კულტურა", წარმოსდგება ლათინური „კულტურა"-დან. აღსანიშნავია, რომ იგი თავდაპირველად ნიშნავდა დამუშავებას, მოვლას, აღზრდას, განვითარებას, გამომუშავებას (http://ru.wikipedia.org/wiki/Культура).

კაცობრიობის ისტორიული განვითარების დღევანდელ ეტაპზე ცივილიზაციისა და კულტურის ცნებების შინაარსი გლობალიზაციას დაუკავშირდა. „შუა საუკუნეების ევროპელ განმანათლებლებთან თანდათანობით ხდება ცივილიზაციისა და კულტურის ცნებათა დაახლოება, რომლებიც უკვე უკავშირდებიან ისტორიულ პროცესებს (ავალიანი ე. კულტურა და ცივილიზაცია, ზოგადი მიმოხილვები, თბ., „ლომისი", 1997, გვ. 5).

კულტურის ცნების უნივერსალური განსაზღვრება, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნებოდა, ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა. ეს ეხება ცივილიზაციის ცნებასაც. ამ ტერმინების მოკლედ განმარტება საყოველთაოდ ცნობილმა მკვლევარებმაც ვერ მოახერხეს. ამიტომ პროფ. ე. ავალიანი სამართლიანად ეხება ამ ცნებათა მხოლოდ ზოგად პარამეტრებს და აღნიშნავს: ამით „მხოლოდ ნაწილობრივ წარმოვაჩენთ „კულტურისა" და „ცივილიზაციის" რთულ ბუნებას:

1. ზოგადად, კულტურა, ცივილიზაციისაგან განსხვავებით, კაცობრიობის ვიწრო, შემოქმედებით-ინტელექტუალური, პარამეტრებით განისაზღვრება. იგი მოიცავს, ძირითადად, ადამიანის შემოქმედებით საწყისებს, შეზღუდულია სივრცესა და დროში.

2. თავისი ბუნებით კულტურა ნაკლებად კოსმოპოლიტური მოვლენაა. იგი ემყარება მონათესავე ეთნოსების ურთიერთშეხების შედეგად მიღებულ გამოცდილებას, ხოლო კომუნიკაციის საშუალებად იყენებს ვიწრო, ეთნიკურ-ენობრივ ჯგუფში გაერთიანებულ ლოკალურ ენებსა და დიალექტებს. ლოკალური კულტურების მსოფლაღქმის სისტემა ძირითადად რელიგიურ ორიენტირზეა მიმართული, ხოლო აღნიშნული საზოგადოების მხატვრული, ანალიტიკური და პრაქტიკულ-გამოყენებითი კატეგორიები, თავის მხრივ, სულიერ-ირაციონალურ პლასტზეა გათვლილი.

3. ცივილიზაცია თავისი ბუნებით კოსმოპოლიტური და კომუნიკაბელური საზოგადოების ფორმაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში თავის საზღვრებს შიგნით აერთიანებს სხვადასხვა ეთნოსებსა და ენობრივ ოჯახებს.

4. ცივილიზაცია განფენილია დიდ სივრცესა და დროის ხანგრძლივ მონაკვეთში. იგი მოიცავს საზოგადოების შემოქმედებით-ინტელექტუალური მიღწევების საფუძველზე მიმდინარე ტექნოლოგიურ და სოციალურ პროცესებს. ცივილიზაციის მსოფლაღქმის, ცნობიერების მოდელი თავისი სპეციფიკით ნაკლებადირაციონალურია. ცივილიზაციის ეტაპზე სხვადასხვა რელიგიათა სინთეზი ირელიგიურობასა და რაციონალური აზროვნების ტიპს ნერგავს". (იქვე, გვ. 6-7).

ავტორის დასკვნები ასეთია: „საერთო ჯამში, ცივილიზაცია, ალბათ, გაგებულ უნდა იქნეს როგორც პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ინტელექტუალურ ტრადიციათა ერთობლიობა, მაშინ, როცა კულტურა უკავშირდება ადამიანის შემოქმედებით, შემეცნებით და სულიერ საწყისებს. იგი ნაკლებად მატერიალიზებულია ცხოვრების ისეთ ფორმებში, როგორიც არის პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ურთიერთობები. ზოგადად, კულტურა წარმოადგენს საზოგადოების სულიერი ძალებისა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის სფეროს. კულტურის როგორც ისტორიულ-ფილოსოფიური კატეგორიის შიგნით შესაძლებელია გამოიყოს სამი ძირითადი ფორმა: მხატვრული, ანალიტიკური და პრაქტიკულ-გამოყენებითი. ამ ფორმათა არსებობა და მათი ერთობლიობა აყალიბებს კაცობრიობის ისტორიაში ე. წ. „მაღალი" ანუ „განვითარებული" კულტურების მოდელს.

და ბოლოს, ჩვენის აზრით, კულტურის ისტორია (ფართო გაგებით) არის ზოგადსაკაცობრიო გამოცდილება ყოფისა და აზრისა, გაკვეთილები წარსულისა, რომელიც გვეხმარება აწმყოსა და მომავლის გაცნობიერებაში. ცალკეულ ლოკალურ კულტურათა თუ ცივილიზაციათა მიღწევები, რომლებიც ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებად იქცევიან, აღნიშნული სოციუმების სულიერ და მატერიალურ მიღწევათა ერთიანობას წარმოადგენენ.

ისტორია ცალკეული კულტურებისა და ცივილიზაციების ერთობლიობაა, ეს არის კრებითი ცნება – ტერმინი, რომელიც აღნიშნული ერთეულების გამოცდილებას ერთ ზოგადსაკაცობრიო ისტორიად, ცოდნად და გამოცდილებად აყალიბებს. მაშასადამე, თავად ისტორია ჯამია ისტორიული ცნებებისა (ცივილიზაცია + კულტურა = ცივილიზაციის/კულტურის ისტორია), სადაც „კულტურა" და „ცივილიზაცია" თავისთავად ისტორიულ-ფილოსოფიური კატეგორიებია" (იქვე, გვ. 7).

კულტუროლოგიის მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევა-დაზუსტებაში დიდი წვლილი შეიტანა ზიგმუნდ ფროიდმა. სწორედ მას ეძღვნება პროფ. მ. ქუმსიშვილის გამოკვლევა –

„რა დაუშავა კულტურამ ფროიდს?“ ავტორი ტერმინ „კულტურას“ ფროიდისეული გაგების შესახებ შენიშნავს შემდეგს:

„ფროიდის აზრით, ტერმინი „კულტურა“ აღნიშნავს მიღწევებისა და ინსტიტუტების მთელ ჯამს. კულტურა გულისხმობს ადამიანის დაცულობას ბუნებისაგან და ადამიანის ბატონობას ბუნებაზე. კულტურას ევალება ადამიანთა შორის ურთიერობების რეგულირება. კულტურაში შედის ინტელექტუალური, მეცნიერული და მხატვრული მიღწევები: რელიგია, ფილოსოფია და იდეალები, ანუ ცალკეული პიროვნების, მთელი ხალხის ან მთელი კაცობრიობის წარმოდგენები სრულყოფის შესაძლებლობების შესახებ. რადგან ფროიდი არ ასხვავებს ერთმანეთისაგან კულტურისა და ცივილიზაციის ცნებებს, ამიტომ როდესაც კულტურის ან ცივილიზაციის ფროიდისეულ გაგებაზე ვლაპარაკობთ, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ კულტურა ან ცივილიზაცია, არამედ თავისებური „კულტურა-ცივილიზაცია”. მაგრამ ჩვენ შეიძლება ამ ორი ცნების გამიჯვნა ვცადოთ; ფროიდისეულ „კულტურა-ცივილიზაციას” ცივილიზაცია არის ყველაფერი ის, რაც შეუქმნია ადამიანსა და კაცობრიობას დასაბამიდან დღემდე, ანუ ყოველგვარი დადებითი და უარყოფითი, მთავარი და არამთავარი, მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო, მდაბალი და ამაღლებული ღირებულებები, ხოლო კულტურა არის ცივილიზაციის მხოლოდ საუკეთესო ნაწილი, მხოლოდ დადებითი, უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ღირებულებები, მხოლოდ უმაღლესი რანგის დადებითი ღირებულებები. ეს ღირებულებებია: სიკეთე, ჭეშმარიტება, მშვენიერება, სამართლიანობა, სიყვარული, თავისუფლება, მშვიდობა, ხელოვნება, შემოქმედება და სხვა...

კულტურასა და ცივილიზაციას შორის ნაწილისა და მთელის მიმართებაა და ამიტომ ყველაფერი ის, რაც მიეკუთვნება კულტურას, ამავე დროს მიეკუთვნება ცივილიზაციასაც, მაგრამ ცივილიზაცია უფრო ფართო და ტევადი ცნებაა, კულტურა კი უფრო ვიწროა მოცულობის თვალსაზრისით, მაგრამ უფრო ღრმა და წონიანია შინაარსის თვალსაზრისით“ (ქუმსიშვილი მ. რა დაუშავა კულტურამ ფროიდს? თბ., 2003, გვ. 12).

იმისათვის, რომ „კულტურის“ გაგება უფრო ნათელი გახდეს, განვიხილოთ ქართველი ფილოსოფოსის ნიკო ჭავჭავაძის მოსაზრებანი. 1984 წელს მან რუსულ ენაზე გამოსცა გახმაურებული ნაშრომი: „კულტურა და ღირებულებები“.

პროფ. მ. ქუმსიშვილი აღნიშნავს, რომ: „ნ. ჭავჭავაძისეული განსაზღვრების მიხედვით, კულტურა არის განხორციელებულ ღირებულებათა სამყარო. და, ამავე დროს, კულტურა არის იდეალურ-ღირებულებითი მიზნების რეალიზაცია, ღირებულებების გადასახლება ჯერარსის სამყაროდან არსებულის სამყაროში და იდეალის განხორციელება, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ კულტურა ყოფილა არა მხოლოდ განხორციელებულ

ღირებულებათა სამყარო, არამედ ჯერ განუხორციელებელი ღირებულებებისაც იმის გამო, რომ ამ ღირებულებებში იგულისხმება ადამიანის იდეალებიც და ოცნებებიც, რომლებიც კულტურის მამოძრავებელ მიზნებს წარმოადგენენ. ამიტომ, კულტურაში პოტენციურად, შესაძლებლობის სახით ყოველთვის უნდა ვიგულისხმოთ იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ის არის. მართალი იყო ფროიდი, როდესაც კულტურას იდეალებიც მიაკუთვნა. ჩვენ შეიძლება დავაზუსტოთ კულტურის განსაზღვრება და ვთქვათ, რომ კულტურა არის არა მხოლოდ განხორციელებული უმაღლესი რანგის დადებითი ღირებულებები, არამედ კულტურა არის ადამიანის და კაცობრიობის კეთილი ნების მისწრაფებაც ამ უმაღლესი რანგის დადებითი ღირებულებების განხორციელებისაკენ. „მისწრაფება“ იმიტომ, რომ, მაგალითად, ბრძოლა და ძალისხმევა უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ უკვე უნდა ჩაითვალოს კულტურულ პროცესად. „მისწრაფება“ იმიტომ, რომ კულტურული რევოლუცია თუ კულტურული ღირებულებების აბსოლუტური და სრული განხორციელება შეუძლებელია და ადამიანი არასოდეს არ იქნება სავსებით კმაყოფილი არსებული კულტურული მიღწევებით (იქვე, გვ. 12-13). ზიგმუნდ ფროიდის და ნიკო ჭავჭავაძის აზრებზე დაყრდნობით მ. ქუმსიშვილი კულტურას განიხილავს როგორც ეთიკური შინაარსის მისწრაფებას ესთეტიკურ ფორმაში დასრულებისაკენ.

„კულტურა“ რომ სრულყოფილად გავიაზროთ, კიდევ ბევრი რამის გაცნობიერებაა საჭირო. მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია „სინდისის“ ცნება. მ. ქუმსიშვილი წერს: „ფროიდის აზრით, სინდისი არის ადამიანის მიერ სხვების ნაცვლად საკუთარი თავისაკენ, საკუთარი მე-ს წინააღმდეგ მიმართული აგრესია. მაგრამ ამ აგრესიაში ფროიდი გულისხმობს ზედამხედველობა-აკრძალვებსაც, დანაშაულის გრძნობასაც, სასჯელის მოთხოვნილებასაც და ცოდვების მონანიებასაც. ფროიდის აზრით, სინდისი არ არსებობს „ზე-მე“-მდე. უფრო მეტიც, სინდისი არის „ზე-მე“-ს ანუ სუპერ-ეგოს ფუნქცია და მას ევალება „მე“-ს ანუ ეგოს განზრახვებსა და მოქმედებებზე თვალყურის დევნა, მათი შეფასება, კონტროლი და მორალური ცენზურა. „ზე-მე“ არის პიროვნების თავისებური თვითცნობიერება და თვითდაკვირვების უნარი. და ამავე დროს „ზე-მე“-ში შედის მორალური, რელიგიური და სოციალური მოთხოვნები და იდეალები, რაც ამავე დროს კულტურის ძირითადი შემადგენელი ნაწილებიცაა. სინდისი თავისებური კრიტიკული ინსტანციაა. „მე“-ს მისწრაფებები იძულებულნი არიან, რომ დაემორჩილონ „ზე-მე“-ს მოთხოვნებს და მათი გავლენით ბევრ რამეზე თქვან უარი, თავი შეიკავონ და სურვილები მოთოკონ. ამიტომ, სინდისი არის პირველადი მისწრაფებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შედეგი. ფროიდი კულტურასაც ხომ ამაში ადანაშაულებს.

ფროიდის აზრით, ინდივიდის „ზე-მე“-ს მსგავსად კულტურასაც გააჩნია თავისი „ზე-მე“. კულტურის იდეალები და მოთხოვნები, რომლებიც ეხებიან ადამიანთა შორის ურთიერთობებს, ერთიანდებიან ეთიკაში. ეთიკის დახმარებით კი კულტურა ცდილობს, რომ მოიშოროს ისეთი დიდი დაბრკოლება, როგორიცაა აგრესიისადმი მიდრეკილება. ამიტომ, კულტურის „ზე-მე“-ს უპირველესი მოთხოვნაა: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითრცა თავი შენი“ (იქვე, გვ. 27-28).

სწორედ კულტურა და სინდისი ხელმძღვანელობენ იმ უმაღლესი რანგის დადებითი ღირებულებებით, რომლებიც ადამიანის და კაცობრიობის მიერაა შექმნილი. სწორედ მათით უნდა მოწმდებოდეს ჩვენი ქცევის სისწორე. ჩვენ ასევე მთლიანად ვიზიარებთ ფროიდის უარყოფითი დასკვნებიდან გამოტანილ პროფ. მ. ქუმსიშვილის შემდეგ დადებით დასკვნებს: „ფროიდი დიდად არაა აღტაცებული და უფრო მეტად უკმაყოფილოც კია, როგორც კულტურის, ასევე სინდისის გამო, რომლებიც მას ადამიანის და კაცობრიობის მჩაგვრელებად წარმოუდგენია. ფროიდი სინდისსაც და კულტურასაც უარყოფითი ნიშნით აფასებს, მაგრამ თუ ამ უარყოფით ნიშანს დადებითით შევცვლით, მაშინ ფროიდის ნააზრევი მიგვანიშნებს და შეგვახსენებს, რომ კულტურაც და სინდისიც „ზე-მე“-დან გვითვალთვალებენ კაცობრიობის უმაღლესი ეთიკური მონაპოვრების, ღირებულებების და იდეალების სახით; კულტურაც და სინდისიც ის შუქურებია, რომლებისკენაც გეზი უნდა გვქონდეს აღებული და რომლებისკენაც უნდა ვისწრაფვოდეთ მთელი ჩვენი კეთილი ნების ძალისხმევით; კულტურაც და სინდისიც ის კამერტონებია, რომელთა დახმარებითაც ჩვენი ქცევის სისწორე უნდა მოწმდებოდეს. კულტურაც და სინდისიც იმ უმაღლესი რანგის დადებითი ღირებულებებით, რომლებიც ადამიანის და კაცობრიობის მიერაა შექმნილი ისევ და ისევ ადამიანის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ. კულტურა, როგორც სინდისი არის სიამაყე ადამიანის და კაცობრიობის მიღწევების გამო და სირცხვილი ადამიანისა და კაცობრიობის წინაშე ადამიანის მიერვე ჩადენილ დანაშაულობათა გამო. კულუტრა არის ყველაზე წმინდა და ნათელი, ყველაზე მშვენიერი და ამაღლებული, ყველაზე ძვირფასი და საუკეთესო, რაც კი შეუქმნია კაცობრიობას. კულტურა – კაცობრიობის სინდისია.

მელიმება ამას როს ვწერ, მაგრამ გამახსენდა და არ შემიძლია, რომ არ ვთქვა. კომუნისტებს ძალიან უყვარდათ ლოზუნგი: „პარტია ხალხის გონება, ღირსება და სინდისია“. ამ ლოზუნგის წაბაძვით ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კულტურა კაცობრიობის გონება, ღირსება და სინდისია“. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს სიტყვები კულტურას უფრო უხდება და შეეფერება“ (იქვე, გვ. 28).

ბოლოს, მ. ქუმსიშვილი გვთავაზობს ანგარიშგასაწევ დასკვნას, რომელიც, მისი აზრით, უფრო სრულად წარმოაჩენს კულტურის ფენომენს. იგი წერს: „ძალიან ძნელია

კულტურის სრული, ყოველმხრივი და დამაკმაყოფილებელი განსაზღვრების მოცემა, უფრო ადვილია პატარ-პატარა განსაზღვრებებით კულტურის ფენომენის სხვადასხვა კუთხიდან ჩვენება. ფროიდის კულტურის თეორიაზე მუშაობისას კულტურასთან დაკავშირებით გაკეთებული დასკვნები რომ შევაჯამოთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

1. კულტურა არის უმაღლესი რანგის დადებითი ღირებულებები.

2. კულტურა არის კაცობრიობის კეთილი ნების მისწრაფება ისეთი უმაღლესი რანგის დადებითი ღირებულების განხორციელებისაკენ, როგორიცაა სიკეთე, ჭეშმარიტება, მშვენიერება, სამართლიანობა, სიყვარული, ბედნიერება, მშვიდობა, თავისუფლება და ა. შ.

3. კულტურა არის ეთიკური შინაარსის მისწრაფება ესთეტიკურ ფორმაში დასრულებისაკენ.

4. კულტურა არის აუცილებელი და სასარგებლო ღირებულებების მისწრაფება თავისთავადი მშვენიერებისაკენ.

5. კულტურა არის ხელოსნობის მისწრაფება ხელოვნებისაკენ.

6. კულტურა არის აუცილებელი, სასარგებლო, პრაქტიკული და სახმარი ღირებულებების სუბლიმაცია ანუ გადაქცევა-გარდაქმნა-შეცვლა და ამაღლება-აღმასვლა უანგარო, ამაღლებულ და თავისთავად მშვენიერ ღირებულებებით, ღირებულებებად და ღირებულებებზე.

7. კულტურა კაცობრიობის სინდისია.

კულტურის თითოეული ეს განსაზღვრება დამოუკიდებელ განსაზღვრებადაც შეიძლება გამოდგეს და ერთობლიობაში კი ისინი კულტურის ფენომენის შედარებით დასრულებულ აღწერილობას ქმნიან. კულტურის ამ განსაზღვრებათა უმეტესობაში კულტურა წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც უკვე განხორციელებულ დადებით ღირებულებათა ერთობლიობა, არამედ მათში ნაჩვენებია კულტურის დინამიურ-განვითარებადი და ევოლუციურ-პროგრესული ბუნებაც. ამ განსაზღვრებათაგან პირველს პირობითად შეიძლება მოკლე განსაზღვრება ვუწოდოთ, ბოლოს – პოეტური, ხოლო დანარჩენებს კი – დინამიური“ (იქვე, გვ. 29-30).

კულტურისა და ცივილიზაციის შესახებ, ვფიქრობთ, მისაღები მიდგომებია ჩამოყალიბებული ერთ-ერთ საინტერესო რუსულ სახელმძღვანელოში (Социально-экономическая география зарубежного мира/ Под. ред. В. В. Вольского. – 2-е изд., с. 69. испр. – М.: Дрофа, 2003). მისი ავტორები სამართლიანად მიუთითებენ, რომ თანამედროვე მსოფლიოს მაკრორეგიონების ფორმირების ფესვები ღრმად მიდის კაცობრიობის უძველეს წარსულში. მათი ემბრიონები ადამიანურ კულტურათა და ცივილიზაციათა ჩასახვის, განვითარების და გავრცელების პოლუსებზე გაჩნდა. ისინი ღებულობდნენ თავის

თანამედროვე საზღვრებს ეთნოსების, ხალხების, სახელმწიფოთა, კულტურების, ცივილიზაციების ინტენსიური ურთიერთობების შედეგად კონტინენტთა უზარმაზარ სივრცეებზე ან განსაზღვრულ, ბუნებრივი ბარიერებით ძნელად დასაძლევ სუბკონტინენტებზე. ხალხების მჭიდრო კონტაქტები, კულტურათა ურთიერთგამდიდრება და ამის საფუძველზე რეგიონული ცივილიზაციების წარმოშობა ყოველთვის მშვიდობიანი ურთიერთობების, სავაჭრო გაცვლის, იერარქების დანათესავების გზით კი არ ხორციელდებოდა, არამედ მიწების, რესურსების, რეგიონში ბატონობისთვის გამძაფრებული ბრძოლის პირობებში. რეგიონულ ომებში გამარჯვებულნი ყოველთვის ის ხალხები ვერ გამოდიოდნენ, რომლებსაც მაღალი კულტურა ჰქონდათ. მაშინ დამარცხებული ხალხის კულტურა უკუგდებული ხდებოდა. ხშირად გამარჯვებულები და დამარცხებულები როლებს იცვლიდნენ, ადგილი ჰქონდა გარერეგიონულ შემოსევებს და ძალადობას, ქრებოდნენ და ჩნდებოდნენ სახელმწიფოები და ხალხები, მაგრამ ეს ყველაფერი უკვალოდ კი არ ქრებოდა, არამედ ესა თუ ის თავისი წვლილი შეჰქონდა თანამედროვე ხალხთა მემკვიდრეობაში, მათ კულტურასა და ხასიათის ფორმირებაში, მათს სიწმინდეებსა და იდიოსინკრაზიაში.

კულტურა შეიძლება განხილული იქნეს როგორც ფართო გაგებით, ასევე მხოლოდ ეთნოსის, ხალხის, ერის დონეზე. ამასთანავე, ერთიანი ზოგადეროვნული კულტურის პირობებშიც კი, ერს შეიძლება ჰქონდეს კულტურული პროვინციები თავისი თავისებურებებით და სპეციფიკით. როგორი გავლენაც არ უნდა განიცადოს კულტურამ გარედან, ის ყოველთვის არის ეროვნული, კონკრეტული, განუმეორებელი, აქვს საკუთარი ისტორია, გამოხატავს მის საერთოისტორიულ და ეროვნულ ეტაპებს. ხალხების გაქრობასთან ერთად მათი კულტურებიც ქრებოდა და მხოლოდ მისი რაღაც ნაწილი ხდებოდა ხელმისაწვდომი არქეოლოგთათვის.

პროფ. ვ. ვოლსკის აზრით, „ჩვეულებრივ კულტურა მოიცავს შემდეგ ქვესისტემებს და კომპონენტებს:

მატერიალური კულტურა:

საწარმოო ძალები (წარმოების იარაღები, ტექნოლოგიები, კომუნიკაციები, კადრების კვალიფიკაცია, მეცნიერება და ა. შ.);

წარმოებითი ურთიერთობანი;

მოხმარების საგნები (საცხოვრებელი ბინა, ტანსაცმელი, კვება და ა. შ.);

ადამიანის მიერ გარდაქმნილი (კულტურული) ლანდშაფტი.

სულიერი კულტურა:

ენა, დამწერლობა, ლიტერატურა;

ხასიათი, ზნე-ჩვეულება, ეთიკა;

რელიგია;

იდეოლოგია, ფილოსოფია, სამართალი,

ხოლოვნება;

განათლება.

საზოგადოებრივი ინსტიტუტები:

ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა;

პოლიტიკური ჯგუფები, პარტიები;

საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

ხელისუფლების მართვის სისტემა.

საბოლოოდ, კულტურა – ესაა ადამინის ნასწავლი ქცევა საზოგადოებაში, რაზედაც დამოკიდებულია ამ საზოგადოების მატერიალური და სულიერი განვითარება" (იქვე, გვ. 17).

კულტურის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს უნდა მივაკუთვნოთ წარმოების კულტურა. იგი მჭიდრო კავშირშია მთელ ეკონომიკასთან, სამეწარმეო საქმიანობასთან, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტების, რ. გრიფინის და მ. პასტეის წიგნში „საერთაშორისო ბიზნესი" კულტურის მახასიათებლები სწორედ ამ ასპექტშია განხილული. (Ricky W. Griffin, Michael W. Pustay. International Business, Fourth Edition, p. 157-158). ავტორთა აზრით, სამეწარმეო საქმიანობა, ისევე როგორც ადამიანის მოღვაწეობის მრავალი სხვა სახე, ხორციელდება კონკრეტული საზოგადოების კონტექსტში. კულტურა – ესაა ფასეულობათა, რწმენათა, ქცევის მოდელთა, წეს-ჩვეულებათა და მიზანდასახულობათა ერთობლიობა, რაც განასხვავებს ერთ საზოგადოებას მეორისგან. საზოგადოების კულტურა ადგენს წესებს, რომელთა შესაბამისადაც კომპანიები წარმართავენ თავიანთ საქმიანობას ამ საზოგადოებაში. ქვემოთ ჩამოთვლილია კულტურის ზოგიერთი მახასიათებელი, რომელთაც კავშირი აქვთ საერთაშორისო ბიზნესთან.

*კულტურა განსაზღვრავს **ქცევის წესს, რომელიც ყალიბდება სწავლების შედეგად** და გადაეცემა საზოგადოების ერთი წევრიდან მეორეს; კულტურის ზოგიერთი ელემენტი თაობიდან თაობას გადაეცემა (მაგალითად, სიტუაციები, როცა მშობლები შვილებს ასწავლიან ქცევის წესებს მაგიდასთან). სხვა ელემენტები გადაეცემა მხოლოდ ერთი

თაობის ფარგლებში (მაგალითად, როცა უფროსკლასელები ასწავლიან ახალბედებს სასკოლო ტრადიციებს).

*კულტურის ელემენტები **ურთიერთდაკავშირებულია.** მაგალითად, იაპონიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანხმობასა და ლოიალურობას, რაც გამოიხატება მუშაკთა ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამუდამო დაქირავებასა და მათ მინიმალურ მობილურობაში.

*ვინაიდან კულტურა განსაზღვრავს ქცევის სტილს, რომელიც სწავლების შედეგად ჩამოყალიბდა, იგი ადაპტურია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კულტურა იცვლება გარე ფაქტორების ზემოქმედებით, რაც მთელ საზოგადოებას ეხება. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია გაყვეს ორ ნაწილად: დასავლეთ გერმანიად, რომელიც ორიენტირებული იყო თავისუფალ ბაზარზე, და აღმოსავლეთ გერმანიად, რომელსაც კომუნისტები აკონტროლებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ახლად წარმოქმნილ ქვეყნებს ჰქონდათ საერთო კულტურული მემკვიდრეობა, რაც საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა, ამ გაყოფამ მნიშვნელოვანი კულტურული განსხვავების წარმოშობა განაპირობა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანელებს შორის (გერმანულ ენაში – „Ossis“ და „Wessis“ – შენიშვნა). ეს განსხვავება გახდა აღმოსავლეთ გერმანიის კულტურის ადაპტაციის შედეგი შრომითი საქმიანობის პრინციპებისადმი, რისკისა და შრომის ანაზღაურების სისტემასთან დამოკიდებულებისადმი, რაც კომუნისტური იდეოლოგიით იყო თავს მოხვეული.

*საზოგადოების ყველა წევრი ამ საზოგდოების კულტურულ ფასეულობებს **იყოფს;** ერთსა და იმავე კულტურაზე მიკუთვნება განსაზღვრავს გარკვეულ საზოგადოებაზე მიკუთვნებას. ინდივიდები, რომლებიც ამა თუ იმ კულტურის კულტურულ ფასეულობებს იყოფენ, არიან საზოგადოების წევრები, ხოლო ის ინდივიდები, რომლებიც არ იყოფენ ამ საზოგადოების ფასეულობებს, არ შედიან მის წევრთა რიცხვში.

თანამედროვე საზოგადოებაში კულტურა იწყება განათლებიდან და თავის პროგრესს აღწევს მეცნიერების, ტექნოლოგიების, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარების ზომის კვალდაკვალ. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საფუძველი კულტურის განვითარებისა არის საწარმოო ძალების მუდმივი განახლება უფრო მაღალ დონეზე, ტექნიკური და ტექნოლოგიური ინოვაციების გენერაცია და დანერგვა.

ინდუსტრიულამდელ საზოგადოებაში ინოვაციები მწიფდებოდა ან ხანგრძლივი გამოცდილების, ან შემთხვევითი გაბრწყინების (ევრიკა!) შედეგად, მათგან ყველაზე მნიშვნელოვნების დანერგვა კი კულტურული რევოლუციების ხასიათს იძენდა. დასრულებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ინოვაციების დამუშავება სპეციალურად

ორგანიზებული მეცნიერების ამოცანა გახდა და სისტემატურ ხასიათს ატარებს, რასაც მათ დანერგვასთან ერთად ყველა საწარმოო ძალთა პერიოდულ განახლებასთან მოვყავართ, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის (მტპ) ეტაპებს მოასწავებს. პოსტინდუსტიალურ საზოგადოებაში მეცნიერება გადაქცეულია მთავარ საწარმოო ძალად, ინოვაციების დამუშავება კი ღებულობს მნიშვნელოვანწილად წინასწარმეტყველურ და გეგმიან ხასიათს.

როგორც წესი, დასაწყისში ინოვაციები იბადება ერთი კულტურის ფარგლებში და მათი შემდგომი გავრცელება (დიფუზია) მიმდინარეობს კულტურათაშორისი ურთიერთობების განვითარების პროცესში. კულტურათა კონტაქტები საბაზრო ეკონომიკის წარმოშობამდე შემთხვევით, არალეგალურ, ან საგანგებო (ომის) ხასიათსაც კი ატარებს და ჩვეულებრივ, ბატონობა-დამორჩილების სისტემად გადაიქცევა. ინოვაციების დიფუზია დაქვემდებარებულ კულტურებში ნელა, მაკრორეგიონის დანარჩენი სამყაროსგან იზოლირებულ მასშტაბებში მიმდინარეობს. რეგიონთაშორისი გარღვევები იშვიათია და, როგორც წესი, ეხება არა წარმოებას, არამედ მოხმარებას (მაგალითად, ევროპაში აღმოსავლური სუნელ-სანელებლების, აბრეშუმის ადრიანი შეღწევა).

სამრეწველო რევოლუციამ ევროპაში და მსოფლიო ბაზრის ფორმირებამ კულტურათა კონტაქტების მკვეთრი გააქტიურება, მათი რეგულარულობა და მთელი მსოფლიოს მასშტაბებამდე გავრცელება გამოიწვია. სწრაფად იზრდება ინოვაციათა დამუშავების ტემპი. თვითონ ინოვაციები პირველ რიგში მიმართულია მათი გავრცელების გზაზე ბარიერების დაძლევისაკენ. სატრანსპორტო და კომუნიკაციური ტექნიკის განვითარებასთან ერთად მინიმუმამდე დადის ფიზიკურ-გეოგრაფიული ბარიერების (მთები, ტროპიკული ტყეები, უდაბნოები, ოკეანეები და ა. შ.) და მანძილების (მაგალითად, იაპონიის დაშორება ინოვაციების ევროპული და ამერიკული ცენტრებისგან) მნიშვნელობა. უფრო ძნელად დასაძლევი რჩება სულიერ-კულტურული ბარიერები – ენობრივი, რელიგიური, ცხოვრების წესის და ა.შ. განსხვავებანი. გართულდა კულტურათაშორისი ურტიერთობების ხასიათი. განასხვავებენ პროცესების არა უმცირეს სამ ტიპს: კულტურათა ასიმილაცია (შთანთქმა), ამალგამირება (შერევა, შეწყობა) და თანაარსებობა.

კულტურებს შორის ურთირეთობათა განვითარებას პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მივყავართ მათს სულ უფრო ფართო ინტერნაციონალიზაციამდე, კულტურათა კონვერგენციამდე. ინოვაციათა სირთულის უწყვეტ ზრდას და მათი დამუშავების კიდევ უფრო მზარდ დანახარჯებს საერთაშორისო თანამშრომლობისა და კოოპერაციის აუცილებლობამდე მივყევართ.

ტერმინი „ცივილიზაცია“ მეცნიერებაში XVIII საუკუნიდან შევიდა ძველი ისტორიის მესამე, ყველაზე განვითარებული პერიოდის აღსანიშნავად, რომელიც მოიცავს ველურობას,

ბარბაროსობა და ცივილიზაციას. ამ პერიოდიზაციის თანახმად, რომელიც ყველაზე უფრო სრულყოფილად და დამაჯერებლად დაასაბუთა ამერიკელმა არქეოლოგმა და ეთნოგრაფმა ლუდვიგ მორგანმა თავის წიგნში „უძველესი საზოგადოება“ (1877 წ.), ხალხთა ისტორიის ეპოქების ცვლა დაკავშირებული იყო ძალიან მსხვილ, რევოლუციურ ინოვაციებთან. ველურობიდან ბარბაროსობაზე გადასვლა მიმდინარებდა სამონადირო-შემგროვებლური მეურნეობის მიწათმოქმედებით და მეცხოველეობით შეცვლის ძალით, ე.ი. უშუალოდ ბუნებისაგან საარსებო საშუალებათა მოპოვებიდან მატერიალური დოვლათის წარმოებაზე გადასვლით. ქვის და ხის ჭურჭლის ნაცვლად ჩნდება სამეთუნეო ნაწარმის სულ უფრო მეტი მრავალფეროვნება, ტყავი იცვლება ქსოვილით.

ცივილიზაციის ეპოქაში შესვლა თარიღდება დამწერლობის გაჩენით, ე.ი. შემდგომი თაობებისადმი გამოცდილების გადაცემის შესაძლებლობის მოპოვებით, ფიქსირებული ისტორიის დაწყებით. კულტურის განვითარების ცივილიზაციური სტადიის სხვა ნიშნებს მიეკუთვნება: მეტალურგიის, მათემატიკის და ასტრონომიის გაჩენა, შრომის დანაწილება და სოციალური სტრატიფიკაცია, ქალაქების წარმოშობა, სახელმწიფოებრიობის და მმართველობის ფორმალიზაცია, შორეული სავაჭრო კავშირები.

ახლა ტერმინ „ცივილიზაციას“ ხმარობენ როგორც კულტურის სინონიმს, რომლის განვითარების დონე შეიძლება გაიზომოს და შედარდეს. მაგრამ საზოგადოებრივ მეურნეობებში ეს ტერმინი დიდი ხანია დამკვიდრდა და სულ ურო ფართოდ გამოიყენება ერთგვარი მეგაკულტურების არსებობის ციკლების აღსანიშნავად, რომლებმაც ითამაშეს საკვანძო როლი ისტორიაში და ახლაც თამაშობენ მას. ცივილიზაციებს, ისევე როგორც კულტურებს, განვითარების თავისი სტადიები აქვთ – ისინი ჩნდებიან, განიცდიან აყვავებას და კვდებიან, მაგრამ „ჩვეულებრივი“ ეთნოკულტურებისგან განსხვავებით, ცივილიზაციები ღრმა კვალს სტოვებენ ისტორიაში, ავსებენ რა კაცობრიობის მემკვიდრეობას. კარგად უთქვამს პოეტს: „როგორ შემოვიდა ჩვენს დროში წყალსადენი, ჯერ კიდევ რომის მონათა მიერ ამოქმედებული“.

ცივილიზაციის „კლასიკური“ ან საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს, როგორც მათი გამოყოფის „მყარი“ კრიტერიუმები. რუსმა მეცნიერმა ნ. ი. დანილევსკიმ (1822-1885 წწ.) მსოფლიო ისტორიაში 13 ცივილიზაცია მოიძია, გერმანელმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა ო. შპენგლერმა (1880-1936 წწ.) სულ სრული ციკლის 7 და 4 დაუსრულებელი ცივილიზაცია გამოყო, ინგლისელმა ისტორიკოსმა და კულტუროლოგმა ა. ჯ. ტოიბნიმ (1889-1975 წწ.) თავისი 14-ტომიანი შრომის „ისტორიის გაგების“ დასაწყისში ადამიანურ საზოგადოებებს შორის თავიდან 21 ცივილიზაცია განსაზღვრა, ნაშრომის ბოლოს კი – 33. თანამედროვე ამერიკელმა

გეოპოლიტიკოსმა სამუელ ჰანთინგთონმა გააგრძელა ცივილიზაციური თეორია და 1998 წელს, თავის წიგნში „ცივილიზაციათა შეხლა“, 8 თანამედროვე წამყვანი ცივილიზაცია გამოყო: დასავლური, მართლმადიდებლური, ჩინური, ისლამური, ინდუისტური, იაპონური, ლათინოამერიკული და აფრიკული ცივილიზაციები (წყარო: [Мовсесян А. Г., Огнивцев С. Б. Мировая экономика: Учебник. – М.: Финансы и статистика, 2001, с. 53).

ვ. ვოლსკი ტერმინ „ცივილიზაციას“ შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ცივილიზაცია – ესაა წესი ადამიანთა ცხოვრების, ხასიათი, მათი ურთიერთობების ისეთი თავისებურებანი, რომელთა შედეგები ხდება მატერიალური და სულიერი კულტურის მიღწევები, რომლებიც გადიან მათი წარმოშობის კერის ფარგლებს გარეთ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გარშემომყოფ ხალხთა ცხოვრებაზე და მათი კულტურების განვითარებაზე“ (Социально-экономическая география зарубежного мира/ Под. ред. В. В. Вольского. – 2-е изд., с. 69. испр. – М.: Дрофа, 2003 с. 18).

ცივილიზაციათა ტერიტორიული გავრცელების განსაზღვრის კრიტერიალურ ნიშნებს მიეკუთვნება:

- ენა, ცივილიზაციის ცენტრის და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენების ჩათვლით;
- რელიგიები, მათი განფენის ცენტრების ჩათვლით;
- ცივილიზაციათა ექსპანსიის საზღვრები (იმპერიები ან კონტროლის სხვა ფორმები);
- ცენტრისა და პერიფერიების ტექნოლოგიური განვითარების დონე;
- მეურნეობათა საზღვრები, ცენტრები და ურთირეთკავშირები ცენტრსა და პერიფერიებში;
- სტილთა თავისებურებანი და გავრცელების საზღვრები – ტანსაცმელში, მწერლობაში, ხელოვნებაში და ა. შ.

ისტორიულად და გეოგრაფიულად ცივილიზაციების ფარგლები დამოკიდებულია კულტურათა ერთობლიობის მასშტაბებზე, რომელზედაც ისინი ვრცელდება. პირველ დონეზე მთელი კაცობრიობის მასშტაბით, ყველა ადამიანი, რომლებიც ამჟამად დედამიწაზე ცხოვრობენ, მიწიერი ცივილიზაციის წარმომადგენლები არიან. მათი ყველაზე უფრო დიდი მიღწევები, მთელი მისი ხელმისაწვდომი ისტორიის მანძილზე, მათი ჩასახვის კონკრეტული ადგილისა და დროისაგან დამოუკიდებლად, მსოფლიო კულტურის საგანძურში შევიდნენ. კულტურათა ერთობლიობის მასშტაბების შემცირების შესაბამისად მათი განსხვავების დეტალიზაციის დონეც მატულობს: შეიძლება გამოვყოთ მსხვილი რეგიონების (ევროპული ცივილიზაცია, სამხრეთაზიური და ა. შ.), სუბრეგიონების

(დასავლეთი, სამხრეთი, ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი ევროპა და ა. შ.), ქვეყნის, ერის (ბრიტანული ცივილიზაცია, ფრანგული და ა. შ.) ცივილიზაციები.

კულტურისა და ღირებულების ურთიერთკავშირისა და მიმართებათა შესახებ საერთოდ, განსაკუთრებით კი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის ნიკო ჭავჭავაძის ნააზრევი (იხ.: მაგალითად Чавчавадзе Н. З. Культура и ценности, Тб., 1984), რომელიც უმაღლეს ღირებულებად და კულტურის უმთავრეს კრიტერიუმად თავისუფლებას მიიჩნევდა. დიდი ბეთჰოვენიც ხომ ასე უმღერდა თავისუფლებას:

„მხოლოდ სიკეთეს მსახურებდე სადაც კი ძალგიძს,
ყველაზე მეტად შეიყვარე თავისუფლება,
და თვით მონარქის ტახტის წინაც არ მოიდრიკო,
ჭეშმარიტებას არასოდეს არ უღალატო“.

ნიკო ჭავჭავაძე ღირებულებებს ობიექტურად არსებული ურთიერთობების გამოხატულებად თვლიდა, ადამიანს თავადაც ქმნადობის პროცესში მყოფად განიხილავდა და მიაჩნდა, რომ მისი წარმოშობით უნივერსუმის განვითარება კი არ მთავრდება, არამედ ახალ თვისებრივ საფეხურს აღწევს. იგი აგრეთვე თვლიდა, რომ კულტურა არა მარტო კულტურული შემოქმედების პროდუქტთა ერთობლიობაა, არამედ – თვით ეს შემოქმედებაც, ადამიანის თვითშექმნის და თავისი სამყაროს შექმნის პროცესიც. მან, ადამიანი, კულტურა და ღირებულებები თანამედროვეობის სტრატეგიული მიმართულების ცნებებად აქცია. ნიკო ჭავჭავაძის თანახმად, ადამიანური მოღვაწეობის ყველაზე ღრმა იმანენტური აზრი მხოლოდ ადამიანის მიერ თავისუფალ-შემოქმედ პიროვნებად თვითჩამოყალიბება, მთელი ისტორია კი ადამიანურად – ადამიანური სამყაროს შექმნაა. იგი კულტურას განსაზღვრავდა როგორც ადამიანური მოღვაწეობის ისეთ სფეროს, რომელშიც მჟღავნდება და რომლის წყალობითაც მტკიცდება და ვითარდება თავისუფლება. ადამიანის, ერისა და კაცობრიობის თვითშემეცნების პრობლემის განხილვისას მან აჩვენა, რომ სწორედ ადამიანია ამოსავალი პრინციპი ერისა და კაცობრიობის ერთიანი გააზრებისათვის.

კულტურისა და ღირებულებების შესახებ ნიკო ჭავჭავაძის ნაფიქრალი თავადაა ჩვენი დროის ღირებულებანი. მისი ნააზრევი იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველია, რომ ისინი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ფასდაუდებელ სახელმძღვანელოს წარმოადგენს. ამის დამადასტურებლად მის გამონათქვამებს, მის ნაკვლევ-ნაძიებ მოკლედ გამონასკვულ გრძლად სათქმელ ღირებულებებს მოვიყვანთ. ამ მიზნით დავეყრდნობით ნიკო ჭავჭავაძის

მეცნიერული შემოქმედების საინტერესო მკვლევრის, დოდო ლაბუჩიძის ერთ გამოკვლევას (იხ.: ლაბუჩიძე დ. მოაზროვნე ნიკო ჭავჭავაძე, თბ., გამომცემლობა „სანი“, 2004).

***

ისეთი რეალობების მეცნიერული შემეცნება, როგორიცაა ღმერთი, სულის უკვდავება და თავისფულება შეუძლებელია.

***

მორწმუნის თვალში ღმერთი უმაღლესი ღირებულებაა, ათეისტის თვალში კი უარყოფითი ღირებულება.

***

ყველაფრის დასაბამი, თანაც ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული, მაინც საკუთარ თავან დიალოგია; ყველა ნამდვილი და დიდი ფილოსოფოსი დაეჭვებული და ნიადაგ თავის თავთან მოდავე კაცია.

***

პიროვნებები მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწეოდნენ ღირსეულ ცხოვრებას ღირსების გრძნობის შესაბამისად, როცა მათი ცხოვრების წესი განსაზღვრულია არა უბრალოდ ბუნებისა და საზოგადოების ობიექტური კანონებით, არამედ რელიგიური და ზნეობრივი პრინციპებით.

***

თავისთავად ის ფაქტი, რომ ადამიანს აქვს ცნობიერება, მას ბუნების მოვლენათა იერარქიაში უმაღლეს საფეხურზე აყენებს და რაკი იერარქიული წყობა ღირებულებრივ საფუძველს გულისხმობს, შგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ცნობიერებაში, ადამიანის სულიერ სამყაროში უნდა ვეძებოთ ის ადგილი, სადაც ღირებულებანი იბადებიან.

***

სულიერი ცხოვრება ღირებულია იმდენად, რამდენადაც იგი მიმართულია ჭეშმარიტებაზე, სიკეთეზე, მშვენიერებაზე, რამდენადაც იგი ემსახურება მათ, რამდენადაც ამყარებს ადამიანის კავშირს ამ ღირებულებებთან.

***

მხოლოდ ადამიანს შეუძლია შეიცნოს ღირებულება ფაქტების სამყაროში... მხოლოდ ადამიანის მიერ აგებულ კულტურის სამეფოში ხდებიან ღირებულნი რეალური მოვლენები.

***

მხოლოდ მაშინ, რომდესაც რელიგიური და ზნეობრივი პრინციპები დაედება საფუძვლად პიროვნებებს შორის ურთიერთობებს – მეგობრობას, სიყვარულს, კანონს, პოლიტიკას და ა.შ., განხორციელდება პრაქტიკული გონების პრიმატი ადამიანთა ცხოვრებაში.

***

წმიდა პრაქტიკული გონება არის კეთილი ნება, ანუ ზნეობრივი ქცევის ნება.

***

სათნოება გულისხმობს კეთილ ქცევას, რომელიც არის კეთილი ნების გამოხატვა.

***

მხოლოდ ღირსების მქონე არსებას აქვს უნარი ჩასწვდეს თავისთავადი ნივთების სფეროს ღირებულებას და აირჩიოს ისინი ღირსეული, ზნეობრივი ქცევის მოტივებად, ე. ი. იმოქმედოს როგორც ჯერარს.

***

ზნეობრივად რომ მოიქცე, უნდა იცოდე რა არის სიკეთე და ბოროტება ცალკეულ შემთხვევაში; უნდა განასხვავო ერთმანეთისაგან ნამდვილი და მოჩვენებითი სიკეთე.

***

სიკეთე სიკეთისათვის უნდა განხორციელდეს, ჭეშმარიტება ჭეშმარიტებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ იქნებოდნენ აბსოლუტური ღირებულებანი და დაკარგავდნენ ჯერარსული იდეალური მიზნების მიშვნელობას.

***

ზნეობრივი პიროვნება ის არის, ვინც თავის ადამიანურ მოვალეობას ამ მოვალეობისადმი პატივისცემით ასრულებს და არა მარტო ამა თუ იმ მოტივით. ეს არის ნამდვილი ადამიანური ღირსება.

***

პრაქტიკული გონების ჭეშმარიტება არის კეთილისმყოფელი, განმათავისუფლებელი, უკვდავმყოფი; ის პიროვნებას ჭეშმარიტ ადამიანურ პიროვნებად ხდის და ამზადებს მას მარადიული ცხოვრებისათვის. ეს ასეა, რადგან ეს ჭეშმარიტება თავისუფლად შეიძლება იქნეს არსეული და არა თავს მოხვეული ემპირიული რეალობის ობიექტური წესებით; ეს არის ჭეშმარიტება, რომელიც უმაღლესი ღირებულებებისადმი სიყვარულსა და პატივისცემაში სრულდება.

***

აზროვნება საშუალებაა, რომლითაც ადამიანი აღწევს ჭეშმარიტებას და, როგორც საშუალება, იგი, რა თქმა უნდა, ღირებულებაა.

***

მორალური ქცევის სუბიექტი არის ადამიანი, როგორც (და მხოლოდ როგორც) ნებისყოფის მქონე არსება.

***

თავისუფლების არსებითი მომენტი არჩევანის და მოქმედების თავისუფლებაა, ამა თუ იმ გზით წასვლის წყალობით ადამიანს არჩევა შეუძლია და შექმნა როგორც სიკეთის, ასევე ბოროტების.

***

სიკეთე კეთილ ქცევებში გვეძლევა, მაგრამ სიკეთის ღირებულება რომ გაიგოთ, სიკეთეს, როგორც ღირებულებას რომ ჩავწვდეთ, იგი ამ ქცევიდან უნდა გამოყოთ და მის „ეიდოსში“ – იდეაში უნდა განიხილოთ.

***

ეთიკური საწყისი უნდა იყოს კულტურის ბირთვი და სული და ეს საწყისი შიგნიდან უნდა აცისკროვნებდეს ყველა გამოვლინებაში კულტურას.

***

ჰარმონიული ადამიანის განვითარება მხოლოდ ჰარმონიულად განვითარებად კულტურას შეუძლია.

***

მხოლოდ მაღალზნეობრივი, სუფთა ტრადიციებზე დამყარებული ცნობიერებაა გზა ჭეშმარიტებისაკენ. ინფანტილური, ყალბი ცნობიერება კი კულტურის სრული დაცემაა.

***

ადამიანი თუ უზნეოდ იქცევა, ეს დასაძრახისად მიგვაჩნია, მაგრამ თუ ერი ადგას უზნეობის გზას, ქვეყანას თუ ზნეობრივი პოლიტიკა არ წარმართავს, ეს არ მიგვაჩნია სათაკილოდ, ამას ვეგუებით. ზნეობა ერთია ყველგან და ყველასთვის.

***

თუკი ამა თუ იმ საზოგადოების კულტურა ამა თუ იმ რეგიონში ესთეტიკური საწყისი დამცირებულია, ანდა თუკი კულტურის სხვადახსვა დარგებს შორის დარღვეულია ესთეტიკური ჰარმონია, – ეს გარემოებები კულტურაში არსებულ სერიოზულ დეფორმაციებს ადასტურებს და მდგომარეობის გამოსასწორედლად სასწრაფო ზომების მიღების აუცილებლობას.

***

ფილოსოფია, რომელიც არ ითვალისწინებს ღირებულებათა სფეროს, იმას, რომ ღირებულებებთან მიმართებათა ახლებურად და ახალი კუთხით ჰფენს შუქს ადამიანსა და მის ადგილს სამყაროში, ცხადია, ამომწურავად ვერ დაახასიათებს ვერც ადამიანს და ვერც სამყაროს.

***

თვით უკანასკნელი ნაძირალას სულშიც კი არსებობს ღმერთისადმი, ადამიანურობისადმი, ჭეშმარიტებისადმი სწარფვის მიძინებული უნარი და სიყვარულის გაუშლელი კოკორი. ადამიანში სწორედ ამ კოკორს უნდა ელაპარაკო, მიძინებული ადამიანურობა გაუღვიძო, თვალი აუხილო და ადამიანად აქციო.

კარი II. ღირებულებათა შემეცნების ფენომენი

2.1. ცივილიზაციური რესურსები

საზოგადოების განვითარება, მისი კეთილდღეობის უზრუნველყოფა სათანადო რესურსების გარეშე შეუძლებელია. რაოდენობრივი რესურსების მაგალითებია დრო, ადამიანი, მატერიალური რესურსები, ხოლო ხარისხობრივი რესურსებია: ქვეყნის ისტორია, ტრადიციები, საზოგადოებრივი მიღწევები, საზოგადოებრივი ღირებულებები. სწორედ ეკონომიკის ღირებულებით ორიენტირებს მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება ცნობილმა პროფესორებმა: ა. გ. მოვსესიანმა და ს. ბ. ოგნივცევმა თავიანთი „მსოფლიო ეკონომიკის“ სახელმძღვანელოში, რომელიც ქართულადაც ითარგმნა და 2003-2004 წლებში ორ ტომად გამოიცა.

პროგრესის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა არის, რომ საზოგადოებას უნდა გააჩნდეს ღირებულებათა სისტემა, ის მიზანდასახულობანი, რომლებიც სტიმულს მისცემენ ეკონომიკისა და, მთლიანად საზოგადოების განვითარებას.

სწორედ გაბატონებული ცივილიზაციური იდეოლოგია, განხილული როგორც ღირებულებების, ქცევის ნორმებისა და მსოფლიო აღქმის საშუალებების სისტემა, განასხვავებს ერთ ცივილიზაციას მეორისაგან. ისტორიულ მასშტაბში სულ ახლახან შექმნილი თანამედროვე ევროპული ცივილიზაცია სავსებით უნიკალურია. ჩვენი თანამედროვე რომ შეხვედროდა ძველეგვიპტური, ძველრომაული ან ძველჩინური ცივილიზაციის წარმომადგენელს, ისინი ვერ გაუგებდნენ ერთმანეთს მეცნიერების, ტექნიკისა და ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა დონის გამო. ეს კიდევ შეიძლება სწრაფად გადაგველახა, მაგრამ სრული გაუგებრობა წამოიჭრებოდა საზოგადოების განვითარების მიზნებისა და კაცობრიულ ღირებულებათა სისტემის განხილვისას.

ძალაუფლებისაკენ სწარფვას განსხვავებული გამოხატულება აქვს სხვადასხვაგვარ ცივილიზაციურ გარემოში. ცივილიზაციები, როგორც ცნობილია, მუდმივად ებრძვიან ერთმანეთს მსოფლიო ძალაუფლებისათვის. ეს ბრძოლა წარმოადგენს ცივილიზაციური განვითარების „ზამბარას“. ცივილიზაციათა ერთი ნაწილი კვდება, მკვდართა ადგილზე ჩნდება ახალი. მათი ევოლუცია გვაგონებს სახეობათა ევოლუციას ბუნებაში: თითოეული იბრძვის თავისი ეკოლოგიური ადგილის გასაფართოებლად, სასიცოცხლო სივრცის გასაზრდელად. როგორც სახეობათა ბრძოლის დროს, ცივილიზაციური ევოლუციაც მიდის გარე სამყაროსთან შეგუების გზით, ასევე გავრცელების საკუთარი არეალის გაფართობისკენ. ცხოველთა ყოველი სახეობა ან კლასი ბრძოლაში იმედებს ამყარებს თავის იარაღზე – წვეტიან ეშვებზე, მძლავრ რქებზე, სწრაფ სირბილზე და ა. შ.

ზოგიერთი სახეობა, ვეშაპთა მსგავსად, თავის ადგილს პოულობს წყლის სტიქიაში, სხვები, როგორიც, მაგალითად, თხუნელაა, მიწის ქვეშ იმალებიან, მესამენი ჰაერს იპყრობენ. ამრიგად, ევოლუციის მსვლელობისას ჩნდება ურთიერთშემავსებელი სახეობების გაერთიანება. ცივილიზაციურ ბრძოლაში ყოველი ცივილიზაცია ცდილობს გააფართოვოს თავისი გავლენა (ძალაუფლება) მსოფლიოში, მოძრაობს რა იმ მიმართულებით, რომელიც ძალაუფლების მის მიერ ამორჩეული ფორმის ფასეულობათა სისტემას შეესაბამება. სხვაობა ძალაუფლების ფორმებში, რომლისკენაც ისწრაფვიან ინდივიდები სხვადასხვა ცივილიზაციაში, საშუალებას აძლევს თითოეულ ცივილიზაციას ევოლუციის მსვლელობაში დაიკავოს თავისი ადგილი მსოფლიოში. გარე პირობების არსებით ცვლილებას შეუძლია ძალთა თანაფარდობა რადიკალურად შეცვალოს და ამ შემთხვევაში სათავეში მდგომი ცივილიზაცია ადგილს უთმობს სხვას. როგორც წესი, ამ დროს თავად იგი იღუპება, ვინაიდან, ისევე როგორც ეს ცხოველთა სამყაროში ხდება, სხვებზე ნაკლებად ეგუება არსებობის ახალ პირობებს, მართლაც, ისეთი დიდი ცივილიზაციები, როგორებიც იყო ძველი ეგვიპტის, შუმერების, აცკეტების, ინკების და მრავალი სხვა გაქრნენ ისევე, როგორც 150 მილიონი წლის წინ მსოფლიოში გაბატონებული დინოზავრები.

მხოლოდ XVI ს-დან დაიწყო დომინირება ევროპულ-ამერიკულმა ცივილიზაციამ, ორიენტირებულმა ეკონომიკურ ძალაუფლებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე. დღეს ფიქრიც კი ჭირს იმაზე, რომ მან ოდესმე შეიძლება მარცხი განიცადოს, რადგან მის მიერ აღიარებულ ღირებულებებს საყოველთაო ხასიათი აქვს, მაგრამ შეიძლება ჩვენ ეს მხოლოდ გვეჩვენება – ცივილიზაციათა ბრძოლას ჩვენ თვალყურს ვადევნებთ თითქოს შიგნიდან, სადღეისოდ გაბატონებული ცივილიზაციის ჩარჩოებიდან. იქნებ თავის დროზე დინოზავრებსაც ეჩვენებოდათ, რომ მათი ძალაუფლება მსოფლიოზე მუდმივი და ურყევი იყო. და მაინც, უკვე უახლოეს მომავალში ამა თუ იმ ცივილიზაციის კონკურენტული უპირატესობანი, როგორც ჩანს, დაკავშირებული იქნება ძირითადად იმასთან, რამდენად უნარიანია იგი მიაღწიოს ეკონომიკური განვითარების სტაბილურობას. ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლა კიდევ დიდხანს იქნება განატონებული ძალაუფლების სხვა ფორმებზე, რომლებიც ჯერჯერობით ჩრდილში რჩება.

ვინაიდან, როგორც ჩანს, ჩვენი სიცოცხლის პერიოდში ცივილიზაციათაშორისი ბრძოლა კვლავაც ძირითადად ეკონომიკურ სფეროში განვითარდება, შევეცადოთ გავაანალიზოთ დღევანდელი გაბატონებული ცივილიზაციის კონკურენტები ამ ბრძოლაში. ცივილიზაცია არ არის გაქვავებული კონსტრუქცია და მას აქვს უნარი ისესხოს სხვა ცივილიზაციური სისტემებისაგან იდეოლოგიის ინსტიტუტები და ელემენტები, რომლებიც მათ აძლევს კონკურენტულ უპირატესობას ევოლუციურ ბრძოლაში. ამ ელემენტების

შემოტანით და მათი გონივრული შეხამების პოვნით საკუთარ კულტურასთან და წეს-ჩვეულებებთან, მან შეიძლება გაზარდოს საკუთარი კონკურენტუნარიანობა და შეეცადოს მოიგოს ბრძოლა ეკონომიკური ლიდერობისათვის.

არის კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც განგვაწყობს სხვადასხვა მოქმედი ცივილიზაციის კულტურული და იდეოლოგიური საფუძვლების შესწავლისათვის. მსოფლიო ეკონომიკა დღეს აღარაა მხოლოდ თეორია, ბევრი ადამიანი უშუალო კონტაქტშია სხვა ქვეყნებისა და ცივილიზაციის წარმომადგენლებთან. მეგაეკონომიკურ გარემოში ადამიანები ახლოვდებიან. ისინი ეწევიან საერთო ბიზნესს, ერთობლივ გამოკვლევებს, მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყანაში, და, ბოლოს, ურთიერთობა აქვთ ინტერნეტით. ყოველივე ამისათვის საჭიროა იცნობდე შენს პარტნიორს. ხოლო იმისათვის, რომ უკეთ გაუგო და მისი ქცევის პროგნოზირება მოახდინო, უნდა იცოდე მისი ღირებულებათა სისტემა და მსოფლმხედველობის საფუძვლები, რომლებიც იმ ეროვნულ კულტურაში, ცივილიზაციურ იდეოლოგიასა და რელიგიაში ძევს, რომელსაც იგი ეკუთვნის. თანამედროვე ეკონომიკურ ცხოვრებაში ეს ცოდნა შეიძლება გამოვიყენოთ საქმიანი მოლაპარაკებების წარმართვის დროს, მარკეტინგული კვლევების პირველ ეტაპებზე, საქონლის წინ წასაწევად საზღვარგარეთულ ბაზრებზე და სხვა მრავალი ამოცანის გადაწყვეტის დროს.

აქ არ განვიხილავთ სხვადასხვა რელიგიათა დოგმატებს, მაგრამ მნიშვნელოვანია გამოვყოთ რელიგიების ის იდეოლოგიური ელემენტები, რომლებიც შედარებით უფრო მეტად მოქმედებენ ეკონომიკურ განვითარებაზე, ახდენენ მათ სტიმულირებას ან ანტისტიმულირებას. ცივილიზაციური იდეოლოგიის ძირითად ელემენტს არსებული ცივილიზაციების უმეტესობისათვის დღეს სწორედ რელიგიური სისტემები წარმოადგენენ.

ამჟამად მოქმედი ცივილიზაციური რელიგიებიდან უძველესია **ინდუიზმი**. იმის იმედად ნუ ვიქნებით, რომ კარგად გავერკვევით თანამედროვე მილიარდიანი ინდოეთის ეკონომიკაში, თუ არ გვეცოდინება მისი მსოფლმხედველური საფუძვლები. სხვა რელიგიებისაგან განსხვავებით, ინდუიზმი არ წარმოადგენს დასრულებულ რელიგიურ სისტემას. ისევე, როგორც თავად ინდოეთის სუბკონტინენტი აერთიანებს მრავალ სხვადასხვა ერს, ინდუიზმი წარმოადგენს ურიცხვი სექტების ერთობლიობას, გაერთიანებულს მხოლოდ საერთო მიდგომით რელიგიურ მსოფლაღქმასთან და გამოხატულს ძირითადად წმინდა წერილებში, ინდუსების ვედებში. ინდუიზმის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს დედამიწასა და ცას შორის გადაადგილების თავისუფლება. ადგილობრივ ღვთაებებს და ეპოსის გმირებს, როგორიცაა რამი, შეუძლიათ გახდნენ ზეცაში მცხოვრებნი, ხოლო უმაღლესი ღმერთი ვიშნუ მუდმივად გარდაისახება

უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან ღმერთებში და გმირებში. ინდუიზმის ასეთი თავისებური სტრუქტურა აძლევს მას საშუალებას შეისიხლხორცოს თავისთავში სხვა რელიგიური კულტები. ასე მაგალითად, ღმერთ კრიშნას მიმდევრებთან შეჯახებისას ინდუისტებმა გამოაცხადეს იგი თავიანთ ღმერთ ვიშნუს ერთ-ერთ განსახიერებად. ასევე მოიქცნენ ბუდას მიმართაც, რის წყალობითაც ამ მძლავრი რელიგიის გამარჯვება ინდოსტანში შეუძლებელი გახდა. ინდუიზმი ზეცისკენ გზას უხსნის ყველას. ყველას აქვს შანსი შეერწყას ღმერთს. სხვათაშორის, სწორედ ეს შეადგენს მართლმორწმუნე ინდუისტის ცხოვრების მიზანს. ღმერთთან შესაერთებელი გზა ძევს ღვთისმოსაობაზე და ღრმა ფიქრებზე, ხოლო პრაქტიკაში, ასკეტიზმზე. ინდუსის მუდმივი მისწრაფებები თვითჭვრეტისკენ, ბუნებრივია, ხელს არ უწყობს ეკონომიკურ ინიციატივას. ინდუიზმი ცუდად ესადაგება ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს. კომპიუტერულ სახეთა სამყარო კი ძალზე ახლოა ინდუსთან. ფორმათა გარდამავლობა და სიმსუბუქე, დამახასიათებელი კომპიუტერული სამყაროს ვირტუალური რეალობისათვის, განსაცვიფრებლად ემთხვევა ძველ ვედურ წარმოდგენებს. ალბათ სწორედ ამიტომ ინდოეთმა შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია ინფორმატიკაში, ინდოელი პროგრამისტები ითვლებიან მსოფლიოში საუკეთესოდ, ხოლო კომპიუტერული პროგრამების ექსპორტი სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს საგარეო ვაჭრობის ოპერაციებში. შეიძლება პროგნოზირება, რომ ინდუსური მსოფლგაგება მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას საინფორმაციო საზოგადოების საერთოპლანეტარულ ჩამოყალიბებზე.

ჩვენს ერამდე V საუკუნეში წარმოშობილი **ბუდიზმი** (სანსკრიტულიდან – გაღვიძება) როგორც ერთ-ერთი რელიგია დღეს აზიის 18 ქვეყანაში არსებობს. მიმდევრების რიცხოვნობა ინდოეთის პრინც გუატამისა (560-480 წწ. ჩვ. ერამდე), რომელიც გადმოცემის თანახმად, გახდა ბუდა, 2 მილიარდია ოდენობით, თუმცა მხოლოდ 300 მილიონი ადამიანი მონაწილეობს რეგულარულად ბუდიზმის რელიგიურ წეს-ჩვეულებებში.

ამ რელიგიაში არაა ერთი ღმერთი. ბუდიზმის თანახმად, არსებობს მრავალი სამყარო და სივრცე, რომლებშიც სიცოცხლე მუდმივად განიცდის ევოლუციას – დაბადებიდან სიკვდილამდე და ახალ აღდგომამდე და ასე უსასრულოდ. მუდმივი გარდასახვის იდეაზე დაყრდნობილია მთელი ბუდისტური მსოფლმხედველობა. ბუდა ასწავლიდა, რომ ჟინი და დაუკმაყოფილებლობა ითრევს ადამიანს ყოფიერების წრებრუნვაში, „ცხოვრების ბორბალში“. ამ წრებრუნვიდან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ ბუდიზმით მითითებული საშუალო გზით, რომელიც დაკავშირებულია ლოგიკური აზროვნების გადასვლით სახეთა ირაციონალურ აღქმაში. ასეთი გადასვლა მიიღწევა მუდმივი ვარჯიშით, მედიტაციით,

კონცენტრაციით და ნირვანას ღვთიურ მდგომარეობაში გადასვლით, რომელშიც ადამიანი, ისევე როგორც ინდუისტურ ტრადიციაში, ერწყმის ღმერთს.

ბუდა პირდაპირ ამბობს, რომ ტანჯვისაგან განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ ძალაუფლების ნება-სურვილზე უარის თქმითა და სურვილების მოთოკვით. ბუნებრივია, ძალაუფლებისაკენ სწრაფვის სურვილის და ჟინის აღმოფხვრა მთლიანად ხსნის ყველა სტიმულს ეკონომიკური საქმიანობისათვის. გეგონებათ, რომ ბუდიზმი ცუდად არის შეთავსებადი ეკონომიკურ განვითარებასთან. თუმცა იგი მკაცრია მხოლოდ ბერებისათვის. საეროთათვის მისი მცნებები იოლად შესასრულებელია და ახალი გაცნობისას მთლიანად სავსებით ემთხვევა ქრისტიანობის ცნობილ ათ მცნებას. ყურადღება მივაქციოთ ამ რელიგიის მნიშვნელოვან პრაქტიკულ რეკომენდაციას მისი მიმდევრებისათვის. თურმე სვლა ღვთისმოსაობის გზაზე შეიძლება, თუკი შეასრულებთ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ სამუშაოს. უბრალოდ აუცილებელია ყოველ საქმეში ვისწრაფოდეთ სრულყოფილებისაკენ – იქნება ეს ჩაის სმის ცერემონია თუ მიკროსქემის აწყობა. ბუდიზმის ეს აღთქმა ძალიან ფართოდ გამოიყენება აზიური ქვეყნების კომპანიებში. იქნებ სწორედ ამ რელიგიურ დოგმაში, რომელიც ცივილიზაციური იდეოლოგიის ნაწილი გახდა, არის საჭირო ვეძებოთ აზიური „ვეფხვებისა“ (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის „ვეფხვებს“ უწოდებენ მალაიზიას, ტოლანდს, ინდონეზიას და ფილიპინებს, რომლებსაც ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფს მიაკუთვნებენ) და „დრაკონების“ („დრაკონ“ ქვეყნებს უწოდებენ განვითარებულ ქვეყნებს – სამხრეთ კორეას, ჰონგ-კონგს, სინგაპირს და ტაივანს) ეკონომიკური წარმატებების საიდუმლო? ასე რომ, ეკონომიკისაგან გარეგნულად შორეული, ბუდიზმი აღმოჩნდა სავსებით გამოსადეგი იდეოლოგიური პლატფორმა ეკონომიკური განვითარებისათვის.

უკვე V საუკუნეში ჩვენს ერამდე ჩინეთში წამოიშვა **დაოსიზმის** მოძღვრება, რომლის ფუძემდებელი გახდა ლაო ცზი. წიგნში „დაოსა და დეს შესახებ“ იდუმალი აფორიზმული ფორმით მოკლედაა გადმოცემული ამ სწავლების საფუძვლები, რომლის თანახმადაც „ადამიანს მართავს დედამიწა, დედამიწას მართავს ცა, ცას მართავს დაო, ხოლო დაო თავის თავს მართვას. დაო არის საყოველთაო საწყისი, კანონი და წესი, რომელიც თავის თავში მოიცავს სამყაროს, ბუნებას და ადამიანთა საზოგადოებას“. შეიმეცნოს დაო, მიჰყვეს მას, შეერწყას მას – ამაშია ცხოვრების ერთადერთი აზრი დაოსის მოძღვრების მიმდევართათვის. დაოს კანონების ახსნით შესაძლებელია უკვდავების მიღწევა. ამ მოძღვრებას არ შეიძლება ვუწუდოთ რელიგია. მასში ბევრად მეტია ნათქვამი სამყაროს მეცნიერული აღქმის შესახებ. მთლიანობაში, ჩვენი აზრით, დაოსიზმი ყველაზე მეტად გვაგონებს დაახლოებით 2500 წლის შემდეგ ევროპაში წარმოშობილ ჰეგელიანობას.

სხვათა შორის, ეს ორივე მოძღვრება გადმოცემულია ნაკლებად გასაგები ენით. დაოსიზმის მნიშვნელოვანი ნაწილი წავიდა ამ ფილოსოფიური სისტემის, ალქიმიისა და ოკულტიზმის შემდგომი თეორიული გართულების გზით, ხოლო მეორე შეერწყა ჩინეთში ჩვ. წ. აღ-ით I ს-ში ინდოეთიდან მოსულ ბუდიზმს.

მეორე მოძღვრება, რომელმაც კოლოსალური გავლენა მოახდინა ჩინურ ცივილიზაციაზე – **კონფუციანელობა** – აგრეთვე არ შეიძლება რელიგიად ჩავთვალოთ, ამ სიტყვის ევროპული გაგებით. ლაო ცზის თანამედროვე – კუნ ფუ ცზი (თარგმანში – ღირსეული (ფუ) ბრძენი (ცზი კუნი), ტრანსკრიფციით გადმოცემული ევროპაში რომაული მანერით როგორც კონფუცი (551-479 ჩვ. ერამდე), სთავაზობს ქვეყანას უდიდეს მორალურ-ეთიკურ მოძღვრებას, რომელსაც ჩინელები მისდევენ უკვე 2500 წელია. კონფუციანელობის მოძღვრების ყურადღების ცენტრშია ადამიანი და მისი მორალურ-ეთიკური პრობლემები. კონფუციანელობის უმნიშვნელოვანეს კატეგორიას წარმოადგენს რიტუალი – ადამიანის ქცევის წესების ნაკრები სხვადასხვაგვარ ცხოვრებისეულ, მათ შორის ეკონომიკურ, სიტუაციებში. ჩინეთში დღემდე იგივე ღირებულებები და ორიენტირებია მტკიცედ შენარჩუნებული. ყოველი ადამიანი ვალდებულია შეასრულოს თავისი მოვალეობა თავის ადგილზე. „მმართველი უნდა იყოს მმართველი, მამა – მამა, ხოლო შვილი – შვილი“. ოჯახიც და სახელმწიფოც უნდა იყოს აგებული უფროსებისადმი პატივისცემაზე და შვილთა მოწიწებაზე. ადამიანი ერთნაირი გულწრფელობით და ერთგულებით უნდა ეპყრობოდეს ზეცასაც, მმართველსაც და თავის ოჯახსაც. სწორედ ეს არის ერთიანი ურთიერთკავშირის სისტემა კანონის ანუ რიტუალის საფუძველზე. კონფუციანელობა – არის წესრიგი და ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტის მკაცრი იერარქიული აგებულება.

როცა კონფუცის სთხოვეს თავისი მოძღვრება გამოეხატა ერთი ფრაზით, მან თქვა: „ჩემი გზა – შემეცნების მთლიანობაა“, ე.ი. მთელი ცხოვრება დაუქვემდებარო რიტუალის დაცვის და დაოს გზის გაყოლის ერთიან იდეას.

ჩინური მსოფლმხედველობისთვის ნიშანდობლივია მრავალი რელიგიური საწყისის რთული გადახლართვა. ჩინელთა უმეტესობა მისდევს კუნ ფუ ცზის აღთქმებს, ამასთან, სჯერათ დაოსი და იცავენ ბუდისტურ რიტუალებს. ძირითადად ამ სამ საწყისზეა დაფუძნებული თანამედროვე ჩინური ცივილიზაცია. თუმცა მისთვის უცხო არ არის არც სხვა რელიგიები. ჩინურ ტაძრებში კონფუცის სტელების გვერდით, გაღმერთებული ლაო ცზის გამოსახულებებთან და ბუდას სტატუეტებთან ერთად შეიძლება შევხვდეთ ქრისტიანულ ჯვარცმას და მუსლიმანურ სიმბოლიკას. ჩინეთი უზარმაზარი და

მრავალსახოვანია. იგი სიამოვნებით და ორგანულად ითვისებს უცხო კულტურის ელემენტებს. ამაშია მისი, თუ გნებავთ, კონკურენტული უპირატესობა.

აზიის ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული ქვეყნის, იაპონიის ცივილიზაციაში კონფუციანელობა და ბუდიზმი შერწყმულია ძველ ეროვნულ რელიგიასთან – სინტოიზმთან (სინტო-სგან – „ღმერთების გზა“). ამ რელიგიის თანახმად, სამყაროში ყველაფერი სულიერია – მთები, ყვავილები, ქვები, მათ გააჩნია საკუთარი ღვთიური სული – კამი. მათთან ერთად კამის მიაკუთვნებენ იაპონელთა ღვთიურ წინაპრებს: ხელოსნობის მფარველ ღვთაებას, სხვადასხვა ქველმოქმედთა ღვთაებებს, გარდაცვლილთა სულებს და ა. შ. ამბობენ, რომ იაპონიაში 8 მილიონი ღმერთია. სინტოიზმი ძალიან ეროვნული რელიგიაა, მიმართული არა მთელი კაცობრიობისაკენ, არამედ მხოლოდ იაპონელებისკენ. იაპონიის ისტორიაში იყო პერიოდი, როცა სინტო იყო სახელმწიფო რელიგია იაპონელი მილიტარისტებისათვის. მასში გამოიყო კოკუტაის („სახელმწიფოს სხეული“) მოძღვრება, რომელშიც დასაბუთებული იყო ყველა იაპონელის ღვთიური წარმოშობა და მმართველი იმპერატორის ღვთიურობა. ამ იდეოლოგიით აწარმოებდა იაპონია მეორე მსოფლიო ომს, რომელშიც დამარცხდა. ახლა კი სინტოიზმი კვლავ მშვიდობიანი რელიგიაა, რომელიც ლამაზი ლეგენდების და წეს-ჩვეულებების ნაკრებს წარმოადგენს. სინტოისტს შეუძლია ერთდროულად ნებისმიერი სხვა რელიგიის არიარებაც.

იუდაიზმი თვითონ არ გახდა მსოფლიო რელიგია, მაგრამ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოს მუსლიმანურ და ქრისტიანულ რელიგიებზე, რომელიც თავის არსით აღიარებს ბიბლიას თავის წმინდა წიგნად. იუდაიზმის არსი XII ს-ში ჩამოაყალიბა ცნობილმა ფილოსოფოსმა მაიმონიდმა. მან წარმოადგინა იუდაიზმის 13 პრინციპი:

1) ღმერთი არსებობს; 2) ღმერთი ერთია; 3) ღმერთი არ არსებობს სხეულის ფორმით; 4) ღმერთი მუდმივია; 5) იუდეველები უნდა თაყვანს სცემდნენ მხოლოდ მას – ერთს; 6) ღმერთთან ურთიერთობა ხდება წინასწარმეტყველების საშუალებით. 7) მოსე უდიდესია წინასწარმეტყველთაგან; 8) თორას (მოსეს ხუთი წიგნი) აქვს ღვთიური წარმომავლობა; 9) თორა არასოდეს დაკარგავს თავის მნიშვნელობას; 10) ღმერთმა იცის ადამიანთა ყველა საქციელი; 11) ღმერთი სჯის ბოროტებას და აჯილდოებს სიკეთეს; 12) ღმერთი გამოგზავნის თავის მესიას; 13) ღმერთი მკვდრებს აღადგენს.

თალმუდი მოგვითხრობს ადამიანის ისტორიას, რომელმაც გადაწყვიტა მიეღო იუდაიზმი. იგი მივიდა ძალიან ცნობილ რაბინთან – გილელთან – და სთხოვა აეხსნა მისთვის მთელი თორა, სანამ ის იდგებოდა ცალ ფეხზე. გილელმა უპასუხა: „არ გაუკეთო შენს მეზობელს ის, რაც არ გინდა, რომ სხვამ გაგიკეთოს შენ. აი, შენ მთელი თორა.

დანარჩენი – ეს კომენტარებია“. ამ სიტყვებს ეჭვსგარეშეა, სიამოვნებით მოაწერენ ხელს მართლმადიდებელი მღვდელი, ქსენძი, პასტორი და მოლა.

იუდეველი, ისევე როგორც ქრისტიანი და მუსლიმანი, პრინციპში, შეუძლია გახდეს ნებისმიერი, ვინც მიიღებს იუდაიზმის პრინციპებს. როცა თალმუდი საუბრობს იუდეველთა ღვთისრჩეულობაზე, მხედველობაში აქვს რელიგია და არა ეთნიკური წარმომავლობა. ამავე თვალსაზრისით ღვთისრჩეულად თვლიან თავს ქრისტიანები და მუსლიმანები. თუმცა რეალურად იუდეველებს წარმოადგენენ მხოლოდ ეთნიკური ებრაელები, რომელთა ეროვნულ რელიგიად დარჩა იუდაიზმი.

ამ რელიგიის თავისებურებაა მისი მძაფრი ისტორიულობა. ბიბლიის პირველი სიტყვები „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა...“ ტონს აძლევს თხრობას, რომელსაც სადღაც მივყავართ. ბიბლია – ხალხის ისტორიაა, რომელიც ისტორიული განვითარების ყოველ ეტაპზე ღებულობს (და მუდმივად მზადაა მიიღოს!) სულ ახალახალ ღვთაებრივ ზეშთაგონებას. იუდეველებს სჯერათ, რომ მათი საკუთარი ისტორია ბიბლიურის გაგრძელებაა, რომ ისინი მუდმივად ქმნიან ისტორიას. მათ რელიგიას აქვს პრინციპულად დაუსრულებელი ხასიათი. უნდა გამოჩნდნენ ახალი წინასწარმეტყველები, ახალი ჭეშმარიტებანი და, ბოლოს და ბოლოს, უნდა მოვიდეს მესია. უდიდეს ისტორიულ მოვლენებთან თანამონაწილეობის შეგრძნება, ახლის დაძაბული მოლოდინი და მისი მიღებისათვის მზადება – მნიშვნელოვანი თვისებებია, იუდაიზმის მიერ მოტანილი. ამავდროულად იგი საკმაოდ კონსერვატიულია და მკვეთრად უარყოფს ცრუმოძღვრებებს და ცრუსიახლეებს. ეს იცავს რელიგიის ერთიანობას და ებრაელ ხალხს. იუდაიზმი ერთგვარად ქმნის პირობებს ახალი იდეების და მოძღვრებების ინკუბაციისთვის, მაგრამ ხშირად აღიარებს მათ ცრუდ, აცხადებს რა მის მატარებლებს ცრუწინასწარმეტყველებად. ასე იყო ქრისტესთან და მუჰამედთან დაკავშირებით.

იუდაიზმმა დიდი გავლენა მოახდინა პროტესტანტობაზე და მისი საშუალებით თანამედროვე ამერიკულ ცივილიზაციაზე. ადამიანის დამოუკიდებლობა ღმერთთან ურთიერთობაში, პირდაპირი პასუხისმგებლობის გრძნობა თავის მოქმედებების გამო, ყოველივე ახლის მიღებისათვის მზადება – აი, საფუძვლები იმ წვლილისა, რომელიც შეაქვს იუდაიზმს კაცობრიობის ცივილიზაციურ რესურსებში.

მუსლიმანური ცივილიზაცია აღმოსავლურთაგან ყველაზე ახალგარზდაა (VI ს.). გარკვეული წარმოდგენა მისი იდეოლოგიის შესახებ აუცილებელია. პარადოქსულია, მაგრამ ზოგიერთი თავისი დოგმით მუსლიმანობა საკმაოდ ახლოსაა ქრისტიანობის ძირითად პრაქტიკულ რეკომენდაციებთან, განსაკუთრებით მის მართლმადიდებლურ ტრადიციებში. ეს რელიგია მსოფლიოში ყველაზე უფრო თანმიმდევრულად ატარებს

ერთღმერთიანობის იდეას. ითვლება, რომ იყვნენ წინასწარმატყველები აბრაამიდან (იბრაჰიმი), მოსედან (მუსი) და იესოდან (ისი) ყველაზე უფრო დიდ მუჰამედამდე, რომელმაც მსოფლიოს ამცნო ერთ ღმერთზე – ალაჰზე. ახლა ისლამს („ალაჰისათვის თავის დადება“) მისდევს 800 მლნ ადამიანი. 120 მუსლიმანური თემის ქვეყნებიდან – ალაჰისათვის თავდადებული) 35 ქვეყანაში მუსლიმანები (არაბულად „მუსლიმი“) შეადგენენ უმრავლესობას (ჩრდ. აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, თურქეთი, ირანი, პაკისტანი, ავღანეთი და სხვ.). მათ შორის ბევრში ისლამი სახელმწიფო რელიგიაა.

მუსლიმანთა მთავარი წიგნია ყურანი, რომელიც თუ გადავთარგმნით, ნიშნავს: „ის, რასაც კითხულობენ“. იგი შევსებულია მოთხრობების კრებულით – მუჰამედის მოქმედებებითა და გამონათქვამებით – „სუნით“. ის მუსლიმანები, რომლებიც აღიარებენ მას ყურანთან ერთად, იწოდებიან „სუნიტებად“. მორწმუნეთა საერთო რაოდენობიდან ისინი დაახლოებით 90 %-ია. სუნიტების აზრით, უმაღლესი ძალაუფლება უნდა ეკუთვნოდეს მთელი თემის მიერ არჩეულ ხალიფებს. მეორე მუსლიმანური შტოა შიიტები; ისინი თვლიან, რომ ხალიფთა ძალაუფლება უნდა გადაეცემოდეს მხოლოდ მუჰამედის ბიძაშვილის ალის შთამომავლებს.

თუკი მიუკერძოებლად წავიკითხავთ ყურანის ძირითად დებულებებს, მასში აღმოვაჩენთ უბრალო და სავსებით მისაღებ წესებს ყოველი წესიერი ადამიანისათვის: მორწმუნე უნდა ზრუნავდეს თავისი ოჯახის კეთილდღეობაზე; არ ეძიოს საქმეებში ანგარება; ისწრაფვოდეს სიკეთისაკენ, არ მიმართოს ძალადობას; დაემორჩილოს თემის მიერ არჩეულ კანონიერ ხელისუფლებას.

მუსლიმანთა აზრით, საერო და რელიგიური ძალაუფლება უნდა იყოს თავმოყრილი ერთ ხელში. მუსლიმანთა ქცევის წესებისა და პრინციპების კომპლექსი „შარიათია“ („მართალი გზა“), რომელიც მორწმუნეთა ყოველდღიური ცხოვრების მკაცრ რეგლამენტირებას ახდენს, ეს იქნება ოჯახური ურთიერთობები, ვაჭრობის წესები, მემკვიდრეობის უფლება, გადასახადთა ნორმები, სამეურნეო სამართალი თუ საგარეო პოლიტიკის საფუძვლები. ისლამური სამართალი დაფუძნებულია წმინდა წერილზე და საჯარო და სამოქალაქო სამართლის პრობლემებს აერთიანებს.

შეიძლება ითქვას, რომ მუსლიმანური იდეოლოგია ყველაზე სახელმწიფოებრივია მთელ მსოფლიოში. სახელმწიფოს და ბაზრის მუდმივ და საყოველთაო ბრძოლაში იგი ძირითადად სახელმწიფოს მხარეზეა. გარდა ამისა, ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სათემო პრინციპებს. ამიტომ მის ბაზაზე წარმატებით ვითარდება სახელმწიფო კაპიტალიზმი და სპეციფიკური ისლამური სოციალიზმი.

ისლამი აცხადებს, რომ ადამიანი საწარმოო რესურსების მესაკუთრე კი არაა, არამედ მათი განმკარგველი ალაჰის დროებითი რწმუნებულია. მაშასადამე, ადამიანისათვის მინდობილი რესურსები უნდა გამოიყენებოდეს გულდასმით და უზრუნველყოს რეალური საქონლისა და მომსახურების ნამატი. მათი გამოყენება არ შეიძლება მევახშეობისთვის, მას ისლამი გმობს. ამიტომ მუსლიმანურმა ბანკებმა შეიმუშავეს გასაოცარი ქცევის მოდელი. ისინი არ იღებენ სასესხო პროცენტს, სამაგიეროდ ხდებიან თავისი კლიენტების მონაწილეები ბიზნესში და მათთან ერთად იყოფენ საერთო მოგებას. განსხვავებით მევახშეობისაგან, რომელსაც ზიზღით ეკიდება, ისლამური მორალი ვაჭრობას მიაკუთვნებს პრესტიჟულ და პატივსაცემ საქმიანობას.

ქრისტიანობა დღეს გაყოფილია სამ მსხვილ მიმართულებად ანუ საეკლესიო ტრადიციად: კათოლიკობა, მართლმადიდებლობა და პროტესტანტობა. ყველა ამ ტრადიციას აერთიანებს რწმენა ქრისტესადმი და ძირითადი წმინდა წიგნები: ბიბლია, რომელიც აღწერს მსოფლიოს წარმოშობასა და შექმნას, და სახარება (ახალი აღთქმა), რომელიც ქრისტეს ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

კათოლიკურ (გადმოთარგმნით – „უნივერსალურ“) რელიგიას დღეს ქრისტიანთა დიდი უმრავლესობა მისდევს. მისი მიმდევრების რიცხვი 900 მილიონია. ეს რელიგია ძირითადია საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, ლათინური ამერიკის უმეტეს და სხვა მრავალ ქვეყანაში. ძირითადად იგი აერთიანებს ლათინურენოვან ქვეყნებს. მის ოფიციალურ ენას წარმოადგენს ლათინური, რომელზეც სრულდება საეკლესიო მსახურება და წეს-ჩვეულებები. ამიტომ კათოლიკობას ზოგჯერ ეძახიან ლათინურ ტრადიციას.

კათოლიკური ეკლესიის ნიშანდობლივ თვისებად ითვლება ცენტრალუზაციის უკიდურესი ხარისხი. იგი მიიჩნევს, რომ მთელი სასულიერო ძალაუფლება თავმოყრილი უნდა იყოს რომში. კათოლიკობა ავტორიტეტების რელიგიაა. ბიბლიასთან ერთად დაკანონებულია ეკლესიის წმინდა მამათა გადმოცემები, პირველი მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები და ოფიციალური დოკუმენტები, მომზადებული პაპის და საეკლესიო ძალაუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ.

რომაულ-კათოლიკური ტაძარი გამოირჩევა წეს-ჩვეულებათა სიმრავლით და საერო საქმეების მიმართ განსაკუთრებული ყურადღებით. ადრე იგი ცდილობდა სახელმწიფოსა და ეკონომიკის საქმეებში ჩარევას. დღეს, ბუნებრივია, მისი ეს სწრაფვა შენელდა, მაგრამ დღესაც ვატიკანი არა მარტო რელიგიური ცენტრია, არამედ – დედაქალაქიც ძლიერი ფინანსური იმპერიისა. კათოლიციზმს მიდრეკილება აქვს ცენტრალიზაციისაკენ და იერარქიისაკენ. ეს პრინციპები ღრმად შეიჭრა მისი აღმსარებელი ხალხის შემეცნებაში, ამიტომ კათოლიკურ ქვეყნებში სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში მნიშვნელოვნად უფრო

აქტიურია, ვიდრე პროსტესტანტულში. ეკლესიის იერარქიულმა სტრუქტურამ ანალოგიური ძალაუფლების რთული საერო იერარქიის შექმნა განაპირობა, სადაც დიდ როლს თამაშობს ჩინოვნიკობა. იმავდროულად კათოლიკური რელიგიის სოციალური, სათემო მიმართულება ქმნის კარგ ნიადაგს სოციალურ-დემოკრატიული მიმდინარეობების განვითარებისათვის, რომლებიც მრავალ კათოლიკურ ქვეყანაში იკავებენ წამყვან ადგილებს ძალაუფლების სისტემაში. კათოლიკური ეკლესია გამოდის ლიბერალური დოქტრინების კრიტიკით. იგი თვლის, რომ კერძო საკუთრება შედის წინააღმდეგობაში ყოველი ადამიანის უფლებასთან ისარგებლოს „მთელი სამყაროს დოვლათით". ამიტომ მესაკუთრეს უნდა გააჩნდეს განსაზღვრული, სოციალური ვალდებულებები და თავს არიდებდეს „საგნების ისეთ ფლობას, რომელიც შემოტრიალდებოდა შრომის წინააღმდეგ".

მართლმადიდებლური, ან ორთოდოქსალური, რელიგია ცდილობს შეინარჩუნოს რწმენა და წეს-ჩვეულებები პირველ ქრისტიანთა პირველქმნილი სიწმინდით. მხოლოდ ერთი შეხედვით ატარებს წმინდა საწესჩვეულებო ხასიათს მისი განსხვავება კათოლიკობისაგან და პროტესტანტობისაგან: ჯვრის გადასახვა მარჯვნიდან მარცხნივ, თანასწორობა მამა-ღმერთის, ძის და სული წმიდის, სხვადასხვა კალენდრები, ზეიმები, წმინდანები და ა.შ. სადავო არაა, რომ უწინარეს ყოვლისა, მართლმადიდებლობა მიიჩნევს ერთადერთ გარანტად ბიბლიის ერთიან გაგებას, შესაბამისად, სარწმუნოების ჭეშმარიტების გაგებაში ერთიანობის უდავო გარანტად თვლის მხოლოდ ტრადიციების და გადმოცემების, ღმერთის შემეცნების რეალურ გამოცდილებას გადმოცემულს მოციქულთაგან თავის მოწაფეებზე, თაობიდან თაობაზე. მართლმადიდებლობის მნიშვნელოვან ტრადიციას წარმოადგენს ეპისკოპოსთა, მღვდელთა და საეროთა კრების უმაღლესი ინსტანციად აღიარება. კრებების გადაწყვეტილება ქმნის დემოკრატიული თემის სულს, სრულიად საწინააღმდეგოს ცენტრალიზებული კათოლიკობისა. დასავლეთის ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი ცხოვრების საბოლოო მიზნის გაგება მდგომარეობს ღვთიური სასუფევლის მოპოვებაში, როგორც უსასრულო ნეტარების ადგილისა. მართლმადიდებლობა კი მოუწოდებს ადამიანს არა ნეტარების ძიებას, თუნდაც დამსახურებულს და სულიერს, არამედ სულიერი სრულყოფილებისკენ სვლას. მართლმადიდებლობის თვალსაზრისით, ღმერთის სუფევა სულის მდგომარეობაა და არა ჯილდო კეთილი საქმეებისათვის. მართლმადიდებლობა ძალაუფლებისკენ სწრაფვას თვლის სულის ავადმყოფობად, რომლისგანაც საჭირო‍ა განთავისუფლება. და წამალი აქ ერთია – სიყვარული და საყოველთაო პატიება.

„გიყვარდეს ახლობლები" – მოგვიწოდებს ყველა რელიგია; მოეპყარი სხვებს ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგეპყრონ – არის ლოზუნგი იუდაიზმის, კონფუციანელობის

და მრავალ სხვათა. შეიყვარო მტერი შენი, როგორც საკუთარი თავი – ბევრად ძნელია და სწორედ რწმენის ამ ასპექტზე ახდენენ აქცენტირებას მართლმადიდებლები. იგი ეწინააღმდეგება ეგოიზმს, ამპარტავნებას და უბიძგებს მორჩილებისაკენ, რამეთუ „ღმერთი ამაყებს ეწინააღმდეგება, ხოლო მორჩილებს უბოძებს წყალობას“. ჯერ კიდევ ბიზანტიურ მიწათმფლობელობის კოდექსში იყო ნათქვამი, რომ „სხვის ვენახში შესულნი, რათა დანაყრდნენ, დაე ნუ დაისჯებიან“. როგორ არ ჰგავს ეს დასავლეთევროპულ გამოთქმას: „ჩემი სახლი – ჩემი ციხე-სიმაგრეა“.

ა. გ. მოვსესიანისა და ს. ბ. ოგნივცევის აზრით, მართლმადიდებელი თავისი ხასიათით ისწრაფვის კონსერვატიზმისა და ტრადიციონალიზმისაკენ, რომლებიც უთუოდ სასარგებლოა ისტორიის „თანაბარ“ ევოლუციურ ეტაპებზე, მაგრამ შეიძლება სარგებლობა ვერ მოიტანოს გარდაქმნათა პერიოდში. ყველა ზემოთ განხილული ცივილიზაცია ჩაისახა უძველეს დროს და ვერცერთი მათგანი ვერ იქნებოდა იმ იდეოლოგიური საწყისის მატარებელი, რომელიც წაადგებოდა საზოგადოების საბაზრო კაპიტალისტურ ორგანიზაციას. მხოლოდ XVI საუკუნეში წარმოშობილი პროტესტანტული რელიგია გახდა ერთადერთი, რომელიც აშკარა ფორმით ქებას ასხამდა წმინდა ბურჟუაზიულ ზნეობას: დაუღალავ შრომას, მოკრძალებულ მოხმარებას, პატიოსნებას საქმეებში, სიმდიდრის და კაპიტალის დაგროვებას. შუა საუკუნეებში ანგარება ითვლებოდა ყველაზე უარესად ცოდვათა შორის, ხოლო ვაჭარი არ იყო ღმერთისათვის სასურველი. წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო შეიქნა იდეოლოგია, რომელშიც ანგარება გადაიქცეოდა სათნოებად, ხოლო ვაჭარი გახდებოდა განსაკუთრებით მისაღები პირი ღმერთისათვის. საჭირო იყო რწმენა, რომლის მიხედვითაც ადამიანი არა მარტო უფლებამოსილი, არამედ მოვალეც იქნებოდა ეშოვა რაც შეიძლება მეტი ფული. ამ ორი საუკუნის წინ დასავლურ საზოგადოებაში გაბატონდა წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც ინდივიდის კეთილდღეობა ნიშნავს უპირველეს ყოვლისა მისი პირადი მოხმარების მაქსიმიზაციას. ამ წარმოდგენის გარეშე კაპიტალისტური მოტივაციის მთელ სტრუქტურას ეკარგება აზრი, ხოლო ეკონომიკურ ზრდას – მიზანი.

პროტესტანტობა თავისი არსით წარმოადგენს რამდენიმე საერთო პრინციპით დაკავშირებული მრავალი ეკლესიის ან სექტის კრებულს. პირველი პრინციპია – „მხოლოდ ბიბლია“ (SOLA SCRIPTULA). საღმრთო წერილი აღიარებულია რწმენის ერთადერთ საყრდენად. ყველა შემდგომი წყარო უარყოფილია. მეორე პრინციპია – „მხოლოდ პირადი რწმენით“ (SOLA FIDE). ყოველი მორწმუნე – მღვდელი, მიმართავს ღმერთს ეკლესიის შუამდგომლობის გარეშე. მესამე პრინციპია „დიდება მხოლოდ ღმერთს“ (SOLI DEO GLORIA). არც პაპი, არც ადამიანის მიერ შექმნილი საეკლესიო

ინსტიტუტები არ არიან უფლებამოსილნი განაცხადონ პრეტენზია ღმერთის სიბრძნესა და ძალაუფლებაზე. ყოველივე ამან წყალი შეუყენა კათოლიკურ ცენტრალიზმს.

ეკლესიის თავდაპირველი რეფორმაცია მიმდინარეობდა მარტინ ლუთერის ხელმძღვანელობით. მის მიმდევრებს უწოდებენ რეფორმატორებს ან ევანგელისტებს. მოგვიანებით რეფორმატორები გაიყვნენ ოთხ მიმდინარეობად, წოდებულნი მათი სულიერი ბელადების სახელების მიხედვით: ლუთერანები, კალვინისტები – ჟ. კალვინის მიმდევრები, ცვინგლიანელები – ულრიხ ცვინგლის მიმდევრები, არმიანელები – იაკობ არმინიას მიმდევრები. ყველაფერი ეს ხდებოდა XVI საუკუნეში. XVII ს-ის დამდეგს ცვინგლიანელები ნაწილობრივ შეერწყნენ კალვინისტებს, ხოლო მეორე ნაწილმა სათავე დაუდო ანაბაბტიზმს, რომელიც გამოდიოდა საეკლესიო პრივილეგიების და კოლექტიური მიწათსარგებლობის გაუქმების მოთხოვნით. ზომიერი ანაბაბტისტები გახდნენ მენონიტები, ინგლისმა აგრეთვე გაწყვიტა კავშირი კათოლიკურ ეკლესიასთან და შექმნა ანგლიკანური ეკლესია, რომელსაც ეკავა შუალედური მდგომარეობა პროტესტანტიზმსა და კათოლიციზმს შორის. მას ტრადიციულად მეთაურობს თავად მეფე. ანგლიკანური ეკლესიიდან გამოიყვნენ უფრო რადიკალური პურიტანები (პურუს – სუფთა), რომლებიც იმყოფებიან კალვინისტებისა და ანაბაბტისტების იდეების გავლენის ქვეშ. ისინი მოიცავენ პრესვიტერიანებს, კოგრეგაციონალებს, კვაკერებს და ბაპტისტებს. სწორედ ამ ეკლესიებმა ან სექტებმა (როგორც გნებავთ) მოახდინეს უზარმაზარი გავლენა აშშ-ის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე და დღემდე იმყოფებიან მისი სულიერი ცხოვრების ცენტრში.

მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს – აშშ-ს – თანამედროვე ცივილიზაციურ იდეოლოგიაზე, გარდა რელიგიისა, ძლიერ ზეგავლენას ახდენს **სპეციფიკური ამერიკული ფილოსოფიური მიმდინარეობები**. პრატიკული ამერიკელები აღმოჩნდნენ აბსოლუტურად გულგრილნი რთული ევროპული ფილოსოფიური სისტემების მიმართ. წმინდა ამერიკულ ფილოსოფიად იქცა უ. ჯეიმსის პრაგმატიზმი. მან დახატა მრავალსახოვანი მსოფლიოს სურათი, რომელშიც ადამიანებს შეუძლიათ შეიმეცნონ მხოლოდ ნაწილობრივი და შეზღუდული ჭეშმარიტებანი – ჭეშმარიტებანი, რომელთაც მათთვის მოაქვთ პრაქტიკული სარგებელი. ამ სამყაროში არავის შეუძლია მოიპოვოს მონოპოლია ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებაზე. ის გამოვიდა ერთიანი ურთიერთდაკავშირებული დოგმების წინაშე კაპიტულაციის წინააღმდეგ, მოკლედ რომ ვთქვათ, ერთიანი იდეოლოგიის წინააღმდეგ.

ამერიკული ეროვნული ხასიათი იმყოფება ორი დიამეტრულად ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისის – ღრმად დამუშავებული, სისტემური და ყოვლისმომცველი კალვინის იდეოლოგიის და პოზიტივიზმის ანტიიდეოლოგიის გავლენის ქვეშ. შესაძლებელია ამიტომაც, ამერიკელთა იდეები, როგორც ეს მოსწრებულად შენიშნა

XIX საუკუნის 30-იან წლებში ტოკვილმა, ან ყველა საოცრად ვიწრო და მკაფიოა, ან საკმაოდ ზოგადი და ბუნდოვანი.

როცა ვსაუბრობთ არარელიგიურ იდეოლოგიებზე, რომელთაც გავლენა მოახდინეს მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაზე, არ შეიძლება არ ვახსებოთ მარქსიზმ-ლენინიზმი. ძირითად ეკონომიკურ დებულებებში მარქსიზმი მშვენივრად ესადაგება თითქმის ყველა მსოფლიო რელიგიას და, შეიძლება ითქვას, თავადაც არის რელიგია, ყოველ შემთხვევაში არანაკლები ხარისხით, ვიდრე, ვთქვათ, კონფუციანელობა. მარქსიზმის დებულებანი სულ უფრო მეტად გადაიქცევა გაქვავებულ, ნახევრადრელიგიურ ფორმულებად და არ ვარგანან სახელმძღვანელოდ პრაქტიკული საქმეების გადაწყვეტისათვის. ამასთანავე მარქსიზმის ორიენტაციამ XX საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიო გავლენასა და მსოფლიო რევოლუციაზე მოახდინა უეჭველი ზეგავლენა საერთოპლანეტარული აზროვნების და იდეოლოგიური გლობალიზაციის ჩამოყალიბებაში. პარადოქსულია, მაგრამ სწორედ მსოფლიო კომუნიზმის ტალღისათვის წინააღმდეგობამ იდეოლოგიურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში გამოიწვია შესაბამისი მძლავრი ტრანსეროვნული მიმდინარეობანი დასავლეთის ქვეყნებში. აშშ იძულებული შეიქნა მიეღო კომუნიზმის გამოწვევა და პრეზიდენტმა რ. რეიგანმა მოუწოდა საპასუხოდ მსოფლიოს ,,ბაზარზე ორიენტირებული... დემოკრატიული რევოლუციისაკენ".

ზოგჯერ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ცივილიზაციური იდეოლოგიების და წეს-ჩვეულებების შესწავლა წარმოადგენს მხოლოდ განსაკუთრებულ შემეცნებით ინტერესს, რომელიც აფართოებს თვალსაწიერს. სინამდვილეში სხვადასხვა ხალხების ეთიკის ცოდნა საშუალებას იძლევა, რომ უკეთ წარვმართოთ საკუთარი ბიზნესი. მაგალითად, როდესაც იცი ჩვევები, არ უნდა გაბრაზდე ფრანგის ან ესპანელის ნახევარსაათიან დაგვიანებაზე მოლაპარაკებების დროს, მშვიდად შეხვდე ინგლისელის მეტისმეტ თავდაჭერილობას და ამერიკელის გადაჭარბებულ ძმაბიჭობას. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არაა მთავარი. პარტნიორის ან კონკურენტის რელიგიური აღმსარებლობის ან იდეოლოგიის ცოდნა ზოგჯერ ყველა ეკონომიკურ-სადაზვერვო მონაცემებზე უკეთ გვაძლევს საშუალებას ვიწინასწარმეტყველოთ მისი ქცევა სხვადასხვა სიტუაციაში.

ეთიკურ ღირებულებათა და, მთლიანად ეთიკის როლი ეკონომიკაში ბოლომდე არაა გარკვეული და ალბათ არც სათანადოდ არის შეფასებული. უწინარეს ყოვლისა, ეთიკური ნორმები საიმედო ინსტიტუციურ ბაზას ქმნიან ეკონომიკური მოღვაწეობისათვის.

სხვათა შორის, ამ თუ იმ ცალკეულ მოცემულ შემთხვევაში თითქმის არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი რელიგიის აღმსარებელია რელიგიური ეთიკური ნორმების მქონე პირი. მთავარია, რომ ნაკლებია ალბათობა, რომ იგი დაარღვევს შეთანხმებას.

ოპორტუნისტული (გამყიდველობა) ქცევის რისკი მისი მხრიდან ბევრად ნაკლებია, და შესაბამისად ნაკლები ფულია საჭირო გარიგების დაზღვევის საშუალებებზე დასახარჯად და კონტროლისათვის. ტრანსაქციური დანახარჯები – ეს საბაზრო ეკონომიკის ჭირი – მცირდება. ამ აზრით, ეთიკა და იდეოლოგია ეკონომიურია და ეკონომიკურად ეფექტიანიც.

მეგაეკონომიკის როგორც ერთიანი პლანეტარული მთლიანის ჩამოყალიბება სტიმულს აძლევს ერთიანი, საყოველთაო ცივილიზაციური იდეოლოგიის შექმნას. საუბრობენ იმაზე, რომ ის უნდა შეიქმნას ძირითადი ცივილიზაციური რელიგიების შეთანხმების ბაზაზე. იმოწმებენ ლ. ნ. ტოლსტოის იმაზე, რომ მათ შორის განსხვავება არც ისე დიდია. რელიგიის ერთიანობისაკენ მოგვიწოდებს დღეს სულ უფრო გავლენიანი მიმდინარეობა „ეკუმენიზმი". ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მოწოდება და ეს ტენდენცია გლობალიზაციური პროცესების დადებით გამოვლინებად ვერ ჩაითვლება და რომ უფრო სწორია ევროკავშირის გზა, სადაც ერთიანობა სულაც არ მოითხოვს საერთო რელიგიას.

ორი-სამი თაობის სიცოცხლის მანძილზე კაცობრიობის საქმიანობამ და მასზე დაფუძნებულმა სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა იმდენად რადიკალურად შეცვალა მსოფლიო, რომ იდეოლოგიის და ფილოსოფიის საგნობრივმა სფერომ დიდი ხანია გადაინაცვლა ობიექტური სინამდვილის ასახვიდან წარმატებულ პრაქტიკულ მოქმედებაზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებაზე ყველაზე ეფექტიანი რეაქციების პროექტირებისაკენ, ზემოქმედებაზე, შედეგის მაქსიმიზაციისაკენ. სწორედ წარმატების მექანიზმების უზრუნველყოფის ერთგვაროვნებამ, აგრეთვე გლობალიზაციამ და მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციამ განაპირობა ცივილიზაციური იდენტურობის მოთხოვნილება.

ამ მიზნებსა და მოთხოვნილებებს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები: კაცობრიობა სულ უფრო აღიქვამს თავის თავს ერთიან ორგანიზმად. ქვეყნები და კონტინენტები სულ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, თანდათან ქმნიან ერთიან კულტურასაც, ბიზნესის საერთო წესებს, ქცევის სტერეოტიპებს და განათლების სტანდარტებს. ამ ქვეყნების ხალხები, უფრო მეტ იდენტიფიცირებას ახდენენ რაღაც ახალი ცივილიზაციური ერთიანობის დონეზე დამკვიდრებული და შემუშავებული „თამაშის წესებით", რომლებიც საშუალებას იძლევა თავისუფლად და თვითდაჯერებულად იმოქმედონ პლანეტის თითქმის ყველა მსხვილ ქალაქში, მაგრამ ისინი ინარჩუნებენ საკუთარ კულტურულ ტრადიციებსაც, საკუთარ ღირებულებით ორიენტირებსაც. მათი რაციონალური მხარეების შენარჩუნება და განვითარება უნდა გახდეს მომავალი მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი პირობა.

2.2. დიდი ქართველი მოაზროვნეები გლობალიზაციასა და ეროვნული ეკონომიკური ფასეულობების შესახებ

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ქვეყნის წინსვლა ეროვნული ეკონომიკური ღირებულებების გარეშე წარმოუდგენელიც არის და მიზანშეუწონელიც. საკითხის სირთულის გამო ჩვენი ინტელექტუალური მინაღწევრის მხოლოდ რამდენიმე შტრიხით შემოვიფარგლებით. კერძოდ, შევეხებით ზოგიერთ უმთავრეს ღირებულებას, რომლებიც ჩვენმა დიდმა მოღვაწეებმა ჩამოაყალიბეს. ისინი იმ მთავარ ორიენტირებს მიგვანიშნებენ, საითკენაც უნდა ვისწრაფოდეთ, რათა მივაღწიოთ ოპტიმალურ სინთეზსს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებებს შორის. ეს კი ნიშნავს, ჩვენი საკეთებელი ისე ვაკეთოთ, რომ გავითვალისწინოთ და დავნერგოთ მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევები და თანაც ეს ისე განვახორციელოთ, რომ ჩრდილი არ მივაყენოთ, არ დავკარგოთ ჩვენი ტრადიციები, შევინარჩუნოთ ჩვენი თვითმყოფადობა. ამისთვის კი, უპირველესი ყურადღება უნდა მივაპყროთ ქვეყნის **ძირითად ეროვნულ ღირებულებებს, მის სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, მშვიდობას, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას, მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობას.**

მოკლედ თუ ვიტყვით, გარდუვალი გახდა ერის განვითარების კარდინალური პრობლემების, მისი კეთილდღეობის გლობალურ კონტექსტში განხილვა და ლიბერალური ეკონომიკური ორიენტირების გონივნული განსაზღვრა. ამისათვის კი, თანამედროვე ეკონომიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს ღრმა მეცნიერულობა, რეალისტურობა, მასშტაბურობა, სისტემურობა და მოქნილობა. ახალი აზროვნება უნდა დაფუძნდეს ობიექტურ კანონზომიერებათა ღრმად შემეცნებაზე, რომელიც ახლანდელ რეალობებს ითვალისწინებს. უნდა შეგვეძლოს წარსულის სამართლიანი შეფასება. საჭიროა გონივრულად მივუდგეთ საქმეს, არ შემოვიფარგლოთ ამწუთიერი ამოცანებით. ყოველი საკითხი კომპლექსურად უნდა გადავწყვიტოთ. გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციის მსვლელობისას დროულად უნდა გავითვალისწინოთ ახლად წარმოშობილი გარემოებები, ახალი მოვლენები და პროცესები. ასეთია მეცნიერული აზროვნების ლოგიკა. ილია ჭავჭავაძის მოძღვრება, მისი ტრაქტატები სამართლის და ფილოსოფიის, ეკონიმიკის და სოციოლოგიის, პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების, ისტორიის და ბიბლიოლოგიის, მართლმადიდებლური ქრისტიანობის და საერთოდ, ცხოვრების ყოველგვარი ,,კუთხე-კუნჭულის'' შესახებ, სწორედ ასეთ

აზროვნებას გვიხსნის, განმარტავს, აყალიბებს მის პრინციპებს და ამით გვეხმარება ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში.

მაინც რა არის ის უმთავრესი ღირებულებანი, რომელთაც დღენიადაგ უნდა ვესწრაფვოდეთ და როგორია ის მეთოდები, გზები და უმთავრესი პრინციპები, რომლებსაც თანამედროვე გლობალურ სამყაროში უნდა ვიყენებდეთ ჩვენი მიზნების მისაღწევად?

უმთავრესი ჩვენთვის ის უნდა იყოს, რომლის გარეშეც „ჩვენ", „ჩვენ", არ ვიქნებოდით. ასეთებად ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა მამული, ენა და სარწმუნოება, რომლებსაც „სამ ღვთაებრივ საუნჯეს" უწოდებდა. იგი აღნიშნავდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?" (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ.3, გვ. 26-27).

ამ მარადიულ ღირებულებებს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ჩვენი მთლიანობა და თვითმყოფადობა არ დავკარგოთ. მთავარია ასევე ვიცოდეთ როგორ, რა გზებით უნდა დავიცვათ ჩვენი მამული, ენა და სარწმუნოება.

„მამულის" შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ ეს ცნება ჟამთა ვითარებამ ქონების სახელამდე დააქვეითა, დაამდაბლა და დააკნინა. ამიტომ მისი ბრწყინვალება უნდა ავამაღლოთ და განვადიდოთ. ილია წერდა: „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული", მთელის თავის გულთმიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც-კი რაიმე ნიშანწყალი ჰქონდა ღმერთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსხონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას" (ტ. III, გვ. 225).

სარწმუნოება ჩვენთვის – ქართველებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს კარგად ჩანს ილიას შემდეგი სიტყვებიდან „ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი" (ტ. V, გვ. 12). ილია ასევე დასძენდა, რომ ქართველი ერი უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც თავის შინაგან ღირსების გარდა დულაბობას უწევდა ერთობას (ტ. IV, გვ. 65-66). „ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება" (ივერია, №9, 188, 2).

ილია ჭავჭავაძის აზრით, თანამედროვე სამყარო, მისი შემადგენელი ნაწილები ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ისეა ურთიერთგადაჯაჭვული, რომ ერთი ქვეყნის ჭეშმარიტი სარგებლობა იმაზეა დამყარებული, რომ მეორეც, სხვებიც კარგად იყვნენ. ქვეყანა მით უფრო მეტ სარგებელს ნახავს თვითონ, რაც უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს სხვებს. აღსანიშნავია, რომ იგი მსოფლიოს ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნის, ინგლისის „სარგებლობას", მის „კარგად ყოფნას" დამოუკიდებლად, ცალკე აღებულად კი არ განიხილავს, არამედ რეგიონულ, გლობალურ კონტექსტში. ასევე უდგება იგი საქართველოსაც. 1879 წლის იანვრის შინაურ მიმოხილვაში, ეხებოდა რა რუსეთისა და ინგლისის მეტოქეობას აზიაში „მფლობელობისათვის", ავტორი ერის საყოველთაო კეთილდღეობას მსოფლიო მასშტაბით განიხილავდა და შენიშნავდა, რომ ინგლისი „ეცდება ძალაუნებურად იმათ კარგამყოფობასაც, ვინც მას აზიაში ბინადრად დახვდება..." – ო და დასძენდა: „აზია საერთოდ და ჩვენ თითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისთვისაც. თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც". (ი.ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 18).

ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ მიწათმოქმედების, საფაბრიკო და საქარხნო წარმოების გასაძლიერებლად გვჭირდება დავაგროვოთ „საჭირო ცოდნა და გამოცდილება", აუცილებელია სხვამ არ დაგვასწროს და ჩვენ თვითონ დავიკავოთ ჩვენი „ნიში" – „მოცლილი და სხვისგან დაუჭერელი ადგილი". ეს იყო და არის უმთავრესი გზა, ეპოქის მოთხოვნა. სწორედ ამიტომ, ერის მამამ არ მოიწონა გერმანელი კაპიტალისტის მეისნერის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციები საქართველოში, რადგან მისი ამხანაგობის მონოპოლიზებული საქმიანობა ჩვენს ხალხს გააჩანაგებდა და არსებობის საფუძვლებს გამოაცლიდა. ქვეყნის ეკონომიკის დაწინაურებისათვის ილია მიზანშეწონილად მიიჩნევდა შრომის ნაყოფიერების გადიდებას და სოფლისმეურნეობრივი სპეციალიზაციის გონივრულ გაღრმავებას. იგი „თვითარსებობისა" და „თვითგანვითარებისაკენ" მოგვიწოდებდა და მიუთითებდა, რომ ყოველ სამეურნეო ოპერაციას თავისი შემოსავალი, „ხეირი" მოაქვს. ამიტომ რაც უფრო მეტ ოპერაციებს შეასრულებ შენ თვითონ, როგორც ქვეყანა, ყველა მისი შემოსავალიც პირადად დაგრჩება.

ილია ჭავჭავაძე გამოკვეთილად აყალიბებს თავის აზრს იმის თაობაზე, რომ მეისნერის პროექტის განხორციელების შედეგად ჩვენი ხალხი არსებობის მთავარი საფუძვლის, მიწის გარეშე დარჩებოდა, რომ ერთეულების გამდიდრების საწინააღმდეგო

მას არაფერი არ ჰქონდა, მაგრამ დიდად სამწუხაროა, რომ ამასთან ერთად „ცხოვრების სახსარი აკლდება ხალხს“-ო. კერძოდ იგი წერდა: „ბ-ნ ელიოზოვისა და იოსელიანის შიშს, რომ ამხანაგობა მიწასაც ხელიდამ გამოგვაცლისო, საყურადღებო და ძნელად დასარღვევი საბუთი აქვს. აი ამ საგანზედ რა სთქვა 1845 წ. პარლამენტში ეხლანდელმა პირველმა მინისტრმა ინგლისისამ გლადსტონმა, რომელსაც, როგორც ფინანსისტს, თითქმის ცალი არა ჰყავს მთელს ქვეყნიერებაზედ: „ერთი ყველაზედ სამწუხარო ამბავი ჩვენის ქვეყნის (ესე იგი ინგლისის) ყოფაცხოვრებისა იმაში მდგომარეობს, რომ რამოდენადაც ძლიერ ბევრდება უმაღლეს წოდებათა ხელში სიმდიდრე და იზრდება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალი, იმოდენად ცხოვრების სახსარი აკლდება ხალხს, იმოდენად ნაკლებულობა და სიღატაკე მატულობს მუშა-ხალხს შორისო“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 230). სწორედ ასეთი პრინციპების გათვალისწინებიტ და ხალხის ინტერესების დაცვით უნდა ვუდგებოდეთ უცხოური ინვესტიციების შემოსვლას საქართველოში ამჟამადაც.

ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ქვეყანამ ისე უნდა გამოიყენოს თავისი აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობანი, რომ მისი ეკონომიკის მდგრადობას საფრთხე არ დაემუქროს და ხალხისთვის, არსებობისთვის საჭირო სახსრები ადვილად და იაფად მოსაპოვებელი გახადოს. ასეთი ნააზრევი ყოველი ხელისუფლებისაგან დიდ დაკვირვებას მოითხოვს. გლობალიზაციის, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის საყოველთაოდ განვრცობის პირობებში აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობების ზომის ზუსტად მიგნება, განვითარების მისაღწევად, მისი გონივრული, ერის საერთო ინტერესების დაცვით გადაწყვეტა, ხელისუფლების, საზოგადოების ყველაზე პრიორიტეტული, საყოველდღეო ამოცანაა.

ილია ჭავჭავაძემ, საუკუნეზე მეტი ხნის წინ, 1897 წლის 31 დეკემბერს, ქართველი ხალხის მიერ ორი ათასი წლის მანძილზე განუწყეტელი ბრძოლების, ომებისა და სისხლის ღვრის შედეგად განვლილი გადარჩენის გზა გააანალიზა. ჰკვირობდა წმინდა ილია მართალი: რამ გაგვაძლებინა, როგორ გადავრჩითო? პასუხსაც ჩასწვდა და ამოიცნო, რომ საქართველო ორმა დიდმა საიდუმლომ გადაარჩინა. ჩვენი გადარჩენის პირველი დიდი საიდულო ის არის, რომ ჭეშმარიტ პატრიოტიზმს მუდამ თან ახლდა ნამდვილი პროფესიონალიზმი. ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერს: „ყველა ეს შევძელით და საკითხვად საჭიროა, – რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით - იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის

ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ – ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ – ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრ-ჯელობა...“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 12).

საქართველოს გადარჩენის მეორე დიდი საიდუმლო, არის მისი ეკონომიკური წყობა. ილია ჭავჭავაძე კონკრეტულად ახასიათებს ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის საიდუმლოს. კერძოდ იგი წერს: „ჩვენა გვგონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს-აქომამდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო....

აქედან ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდეც, თუ არ მეფენი, თითონ ხალხი მაინცა. ეს იქიდამა სჩანს, რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას, რადგან ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნოყიერებისა გვარად. ასე რომ ერთს კომლს სოფელში ჩვეულებით დადგენილზედ მეტი არ შეეძლო მამულები დაეჭირა. ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო“ (თხზ., ტ. 4, გვ. 177).

ასეთია საქართველოს გადარჩენის „საიდუმლოებანი“, რომლის დაცვა თანამედროვე გლობალიზაციის პროცესშიც აუცილებელია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქართველმა ხალხმა იცოდა, თუ სად უნდა მოეძებნა მისი გადარჩენის გზები, ცხოვრების აზრი.

როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის უმთავრესი აზრი ის არის, რასაც ჩვენ „ხიზნობას“ ვუწოდებთ და ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ხიზნობა იმისთანა მიწათ-მფლობელობაა, რომელიც არც საკუთრებაა, არც იჯარა და ერთისა და მეორის შუა კი დგას, როგორც განსაკუთრებული, ერთ-გვარი, თავისებური სახე მიწათ-მფლობელობისა“ („ივერია“, №221, 1886, 2). ასეთი ურთიერთობის დროს

მიწის დამქირავებელს შეეძლო მიწა ჰქონოდა თავის სარგებლობაში და მფლობელობაში სამუდამოდ, ასევე გადაეცა თავისი შთამომავლებისათვის, თუმცა, მისი გაყიდვის უფლება მას არ ჰქონდა, რადგან მიწის სრული მესაკუთრე არ იყო. ვფიქრობთ, რომ ამ ფორმის ოპტიმალური გამოყენება დღესაც დიდ სარგებლობას მოუტანს ქვეყანას, რათა თავისი რესურსები ხალხს მოახმაროს უკლებლივ და სრულად.

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მიდგომებიდან ჩვენი ეპოქისთვის უმნიშვნელოვანესია აგრეთვე, რომ მის მიერ ყველაფერი, ყოველგვარი მოვლენა ფარდობითობაში ანუ რელატიურობაში განიხილება. მისი მთავარი დამახასიათებელი კონკრეტული თავისებურება ის არის, რომ ილია ყველაფერს საკუთარი ქვეყნისადმი, მისი ადგილის (გეოსტრა-ტეგიული მდგომარეობა), გარემო პირობების და ისტორიული ვითარების (დროის) ნიშნით, მათზე დამოკიდებულების მიხედვით განიხილავდა. მისი თეორია ეკონომიკურ ცხოვრებას წარმოგვიდგენს არა როგორც მოვლენათა, არამედ როგორც თანაფარდობის გაგებას (ახსნას). თავის თხზულებებში ილია სულ ამ თანაფარდობის დადგენის ძიებაშია:

- ✓ დღენიადაგ ცდილობს დაადგინოს ოპტიმალური, ჭეშმარიტი თანაფარდობა, საკუთრების ფორმებს, მის ორ უმთავრეს, კერძო და საზოგადო ფორმას შორის; მიიჩნევს, რომ საკუთრების ამ ორ ფორმას შორის ისეთი თანაფარდობაა უკეთესი, როდესაც შრომა არის თავისუფალი როგორც დროში, ასევე სივრცეში.
- ✓ ხსნის ზოგადკაცობრიული და ეროვნული ეკონომიკური იდეალების თანაფარდობას (საზომის, „საწყაოს“, „სტანდარტის“ ჩამოყალიბებას).
- ✓ კლასიკურად განიხილავს საერთო ეროვნული და რეგიონული ინტერესების თანაფარდობას; მიიჩნევს, რომ საერთო ეროვნულ დონეზე უნდა განიხილებოდეს „საყოველთაო კანონმდებლობის წარმოება“ ანუ საერთო კანონშემოქმედებითი საქმიანობა, „საერთო შემოსავალ-გასავალი“ ანუ ქვეყნის ფინანსები და „საყოველთაო მხედრობის დაწყობილობა“ ანუ ქვეყნის თავდაცვა, ყველა დანარჩენი საკითხი კი ადგილზე უნდა წყდებოდესო.
- ✓ ქვეყნის განვითარებისთვის უცილობელ პირობად ჭეშმარიტი ადგილობრივი მმართველობის დამკვიდრებას, ადგილობრივი სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის ოპტიმალურ გამიჯვნას მოითხოვს „ევროპიული გამოცდილების“ გათვალისწინებით.
- ✓ ასაბუთებს ფრიტრედერული (ლიბერალური, ღია) და პროტექციონისტული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის თანაფარდობას, ქვეყნის

„თვითარსებობისა“ და „თვითგანვითარების“ უზრუნველსაყოფად და სხვა მრავალი.

სწორედ ასეთი თანაფარდობის დადგენის საფუძველზე მიიჩნევს ილია შესაძლებლად მთელი საზოგადოებისთვის მისაღები ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ეს კი უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს ზოგადკაცობრიული და ეროვნული ღირებულებების ოპტიმალური სინთეზის მისაგნებად, ჩვენი „მე“-ს, „ადგილობრივი წვრილმანების“, ტრადიციების და ზნე-ჩვეულებათა შენარჩუნების გზით საერთო წინსვლის მისაღწევად. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში თითოეული ქვეყნისთვის ფასდაუდებელი, გამოყენებითი დანიშნულება აქვს.

ილია ჭავჭავაძე ქვეყნის წინსვლისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა სწავლას და განათლებას. ამ ღირებულებებს იგი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა და სწორედ ამას მიიჩნევდა დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის ხანის საქართველოს წარმატების უმთავრეს საფუძვლად. ილიას მიაჩნდა, რომ საუკუნეთა განმავლობაში თავისუფლე-ბისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს „...თუ შიგა-და შიგ, ჭრელად, რამდენიმე წელიწადი მოსვენება შეხვედრია, მაშინვე ის მოსვენების დრო შეუწირავს სწავლისა და განათლებისათვის. დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის მეფობა ამ შემთხვევაში მეტად სანუგეშო მაგალითებს წარმოგვიდგენს...“ (ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. IV, გვ. 321). თავის მნიშვნელობას დღესაც არ კარგავს ის პრინციპები და უმთავრესი ღირებულებები, რომელთა განხორციელების შედეგადაც შეიძლება მივაღწიოთ წინსვლას. ამ პრინციპებს შორის აღსანიშნავია: ერთიანობა, თავისუფლებისათვის შეუპოვრობა, აღმშენებლობა, რეფორმები და გამარჯვება.

ცნობილმა ქართველმა პოეტმა ეთერ თათარაიძემ, *ვაჟა-ფშაველას* ცხოვრების მეტად საინტერესო მხარეების შესახებ თავის შესანიშნავ გამოკვლევას, მგოსნის სიყრმის შვილის, გულქან რაზიკაშვილის შემდეგი სიტყვები შეურჩია სათაურად: „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი”. წიგნის სათაური მიგვანიშნებს, რომ ვაჟა-ფშაველა თავისი სულიერებით, გონებითა და გაგებთ სრულ ჭეშმარიტებამდე ამაღლდა. ამიტომ დიდი მგოსნის მსოფლხედვის მთავარი ორიენტირების, განსაკუთრებით კი მისი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების შესწავლა თანამედროვე პოზიციებიდან დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საქმეა. სულ სხვაა, როდესაც გკარნახობენ, როგორ გავიგოთ შემოქმედის ნამოღვაწარი იმასთან შედარებით, როდესაც ამას არავინ არ გკარნახობს და შენ თვითონ განიხილავ მგოსნის ნააზრევს დროის მიხედვით, ახლებურად, თანამედროვე „ენით” და მიდგომებით, ანუ ევოლუციურად, რაც თანამედროვე

გადასახედიდან მის შესწავლას ნიშნავს. მხოლოდ ასე შეიძლება დიდი შემოქმედის შეხედულებებში აღმოვაჩინოთ ისეთი იდეები, ღირებულებები ან პრინციპები, რომელთაც ცხოვრება უნდა დაეფუძნოს გლობალიზაციის პირობებში. დისტანციიდან დანახული შეფასებები მუდმივ ურთიერთქმედებაში მყოფ საზოგადოებას მთელი თავისი ჭეშმარიტებით წარმოაჩენენ. მთავარია ასეთ თვალსაწიერს მიაგნო და იგი სისტემურად ასახო. ზოგადპლანეტარული განვითარების, ზეეროვნულ ხანაში, როდესაც ნებისმიერი ქვეყნის მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმით, რაც მის ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო მასშტაბით ხდება, ვაჟა-ფშაველას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ნააზრევი განმსახღვრელ ღირებულებათა რანგში ამაღლებული წარმოჩნდება. კლასიკოსს ამ თვალსაზრისით მარტო ერთი პუბლიცისტური წერილი ,,კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი" რომ დაეწერა, აღარაფერს ვამბობთ, მაგალითად, პოემაზე ,,გველისმჭამელი", ისიც საკმარისი იყო ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო მოვლენების ოპტიმალური სინთეზის განმსაზრვრელი ღირებულებების მისაგნებად.

სადავო არ არის ის, რომ მწერალი მით უფრო დიდია, რაც უფრო ზოგადი, ზოგად-კაცობრიული ღირებულებებისა და პრობლემების გამოხატვის შემძლებია იგი, რადგანაც სწორედ ეს არის საზომი ანუ საწყაო მისი მსოფლიო მნიშვნელობისა. უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, ის რაც ზოგად-კაცობრიულია, მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება, რომელიც ყველას განვითარების აუცილებელი პირობაა. თავის წერილში ,,კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი" ვაჟა-ფშაველა წერდა: ,,გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება..." (ვაჟა-შაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, იხ. თხზულებანი, თბ. 1986, გვ. 681).

გენიოსის ნაწარმოების ზოგადკაცობრიულობის მთავარი საზომი არის მეცნიერება, რომელსაც აქვს ძალა თითოეული ადამიანი, ყველა ერი და მთელი მსოფლიო წაიყვანოს წინ ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სოციალურად. ესე იგი, ის არის წამალი, რომელიც ყველას ერთნაირად კურნავს. ვაჟა-ფშაველა აღნიშნავდა: ,,მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიკური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს

გამეფებულია დედამიწის ზურგზე“ (ვაჟა – ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, იხ. თხზულებანი, თბ. 1986, გვ. 681).

ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც ისტორია ყოველ ეტაპზე გვიმტკიცებს. ამის დადასტურებაა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარება, რომლის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირის საქმიანობა. ამიტომ ჩვენ გვჭირდება „ისეთი ეროვნული კულტურის განვითარება, რომელიც ზოგად საკაცობრიო თვალსაზრისითაც ობიექტურ ღირებულებას წარმოადგენს და რომელსაც, ამდენად, წვლილი შეაქვს, რაგინდ მცირეც არ უნდა იყოს იგი, მსოფლიო ცივილიზაციაში, ზოგადსაკაცობრიო კულტურაში“ (თ. გამყრელიძე, სიტყვა, წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის დაბადენიდან 160 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1997 წლის 28 ნოემბერი – 5 დეკემბერი, გვ. 1). სწორედ ამაზე წერდა *აკაკი წერეთელი,* რომ ქართველი „ჯერ უნდა თვითონ სულით ამაღლდეს, რომ სხვას მიუძღვნას მერე მან ძმობა“.

ვაჟა-ფშაველას მსოფლშეგნების ჭეშმარიტი ღირებულებების შესწავლა ევოლუციურ მიდგომას საჭიროებს. ასეთი მიდგომა მწერლის შეხედულებების ადგილის, გარემო პირობებისა და დროის მიხედვით შესწავლას გულისხმობს. სწორედ ასეთი ორიენტაციით ხასიათდება ქართველი მკვლევარის, გიორგი არაბულის კლასიკური წიგნი „ვაჟა-ფშაველას სამი პოემა”. როგორც ავტორი აღნიშნავს, უმთავრესი დედააზრი, რის წარმოჩენასაც ვაჟა-ფშაველა თავის პოემებში და საერთოდ ყველგან ცდილობს, ის არის, რომ ადამიანში უმთავრესი მისი, როგორც ადამიანის ღირებულებაა. სწორედ ამის მიხედვით უნდა ვაფასებდეთ მას და არა იმის მიხედვით, თუ რომელი ეროვნების წარმომადგენელია იგი. ვაჟა-ფშაველა ღირსებას უმთავრეს, ადამიანურ ღირებულებად თვლიდა. ღირსეული კი ისეთი ადამიანია, რომლის მენტალიტეტი *ტოლერანტობაზე, შემწყნარებლობაზე, განსხვავებული აზრის აღიარებაზეა* დაფუძნებული. ღირსეულია ისეთი ადამიანი, რომელსაც პიროვნული და ეროვნული ეგოიზმი დაუძლევია და ჭეშმარიტად მდიდარი სულის ადამიანად ქცეულა. ერთი სიტყვით, ღირსეული ისეთი ადამიანია, რომელიც *ისე ექცევა სხვას, როგორც უნდა რომ თვითონ მას ექცეოდნენ.* ვაჟა-ფშაველა ზნეობრიობის გვირგვინია. მისი ნაწარმოებების გმირები ზნეობრივი გმირები არიან, რომლებმაც თემზე მაღლა ადამიანური ღირებულებები დააყენეს. მხოლოდ ასე შეიძლება ყველა სიკეთისა და ბუნებრივი ფასეულობების გამანადგურებელი სიძულვილის დაძლევა და ჭეშმარიტებასთან, სიყვარულთან მიახლოება.

სიკეთისკენ სწრაფვა ვაჟა-ფშაველას ადამიანურობის ყველაზე მთავარ საზომად მიაჩნდა და აღნიშნავდა:

„ვისც ჰშიან, სწყურან კეთილი,

იგი მეგულვის კაცადა“

არც ზნეობრივი, არც ეკონომიკური თვალსაზრისით ადამიანი ადამიანს არ უნდა „ჰხუთავდეს“, არ უნდა სჩაგრავდეს:

„რად მინდა მაშინ სიცოცხლე,

ლუკმასა ვსჭამდე სხვისასა“-ო, – წერდა ვაჟა-ფშაველა.

თანამედროვე გლობალიზირებულ სამყაროში, ჩვენი თვითმყოფადობა ჩვენ თვითონ უნდა დავიცვათ. ვინმეს არ უნდა შევყურებდეთ ხელებში და მოწყალებას სხვებისგან არ უნდა ველოდოთ. ჩვენი საქმე ჩვენ თვითონ უნდა ვაკეთოთ. „შენს თავს შენვე მოუარეო. ეს კანონი – ისტორიული კანონია...“ – აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე. ასევე გენიალურად წერდა ილია ჭავჭავაძის ძმა, შვილი, თანამებრძოლი, დიდი პოეტი ვაჟა-ფშაველა 1896 წელს:

„ხელებს ნუ იკრებთ გულზედა,

საქმეს ნუ აგდებთ ღმერთზედა,

თვით უპატრონეთ თავის თავს,

ნუ იმედოვნებთ სხვებზედა“.

ვაჟა-ფშაველა უნივერსალურ, მარადიულ ღირებულებად თავისუფლებას თვლიდა და მის საპირწონედ მხოლოდ სიცოცხლე მიაჩნდა, თვლიდა, რომ ადამიანმა მედგრად უნდა იბრძოლოს „და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოებლად“ (ვაჟა-ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, იხ. თხზულებანი, თბ. 1986, გვ. 760). თავისუფალი ისეთი ადამიანია, რომლის ყოველგვარი საქმიანობა მიმართულია ქვეყნის საბედნიეროდ, ავაზაკი კი, „თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის“-ო. თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ ადამიანს „ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა“, სადაც შრომა ღირსეულად ფასდება, სადაც თანასწორადაა განაწილებული ცოდნა, ქონება, სადაც ქონებრივ უზრუნველყოფას თან „ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე“.

თვით ვაჟა-ფშაველას ყველაზე დიდი ღირსება ის არის, რომ იგი, ერის დიდ მოღვაწეებთან ერთად, ზნეობრიობის უმაღლესს კვარცხლბეკზე დგას.

ვაჟა-ფშაველამ, თავის მოთხრობაში „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“ სიმბოლურად დაგვმოძღვრა, რომ მხოლოდ სიყვარული აგვაცილებს თავიდან ყველა იმ „ცოდვას“, „შეცდომას“ და „საცოდაობას“, რაც დატრიალებულა და ტრიალებს დედამიწის ზურგზე. ამ მოთხრობაში არის მცდელობა იმის გარკვევისა, თუ რა არის ყველაზე უმთავრესი ღირებულება ადამიანისათვის, რასაც საზოგადოება უნდა ეფუძნებოდეს, რაზედაც

კლდესავით მტკიცედ უნდა ვიდგეთ, რასაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავუხვიოთ. ავტორი კლდესთან ასეთ საუბარს მართავს:

„ – ააახ! როგორ გულით მონდომებული ვარ ადგილიდან დაიძრა, გახვიდე ხალხში და იქადაგო! რა მშვენიერი სურათი დამიდგებოდა თვალწინ: აუარებელი ხალხი და მათ შუაში ჩამდგარი შენ, კლდე, ჰგადაგებდე ეგრე მედიდურად, წარბშეუხრელად, მოურიდებლად, უკრძალავად. ჩვენ, როცა კაცის ხასიათის სიმტკიცე გვინდა გამოვსახოთ, ვამბობთ: კლდეა, სწორედ კლდეაო. და ახლა ის წარმოიდგინე, თვით კლდე ესაუბრებოდეს ქვეყანას... მაშინ რა იქნება? ნუთუ სასწაულს არ მოახდენდი? მაგრამ არა, ჰზარობ, გეძნელება ადგილიდან დაძვრა, შეჩვეული ხარ ერთ ადგილს დოგმას, არ გეხერხება განძრევა. გეშინიან, რომ გავინძრე, გავჩუჩუნდე, სულერთიანად დავიფუშებიო.

– მე რას ვიტყვი ისეთს, შენც არ შეგეძლოს იმისი თქმა?

– რისა? მაგალითად?

– მხოლოდ სამი სიტყვისა: გიყვარდეთ კაცნო, ერთმანეთი! შენ გგონია, საკვირველს, ახალს რასმე გასწავლი და ან ვასწავლი ქვეყანას? ხოლო ამ სიტყვებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, შინა და კარში ეს ხმა უნდა ისმოდეს, პირველი მცნება ეს უნდა იყოს, დედა ამას უნდა ჩასჩიჩინებდეს შვილს აკვანში, ისე გამუდმებით, რომ ეს ჩაძახილი ვეღარა გზით ვერ ამოიშალოს ადამიანის გულიდან, როგორც ჩემს მკერდზე ვერაფერი ამოჰშლის წყალთა და ზვავთა ნაკვალევს. ანუ, უკედ რომ ვსთქვათ, ის პატარა ბუშტი ლეშისა, რომელსაც თქვენ გულს ეძახით, იქცეს ერთ, მხოლოდ ერთ სიტყვად – გიყვარდეს“.

ივანე ჯავახიშვილი. 1944 წელს გამოქვეყნებულ წერილში გრიგოლ რობაქიძე ივანე ჯავახიშვილს ილია ჭავჭავაძის უშუალო მემკვიდრედ და მისი საქმის გამგრძელებლად წარმოგვიდგენს. (იხ.: გრიგოლ რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. კრებული. თბ., 1996, შპს „ჯეკ-სერვისი“, გვ. 205-208).

გრიგოლ რობაქიძის გადმოცემით, 1907 წელს საქართველოს დედაქალაქში ქართველი სწავლული მოხსენებას კითხულობს. თეატრში ტევა აღარაა. მსმენელთა შორის იმყოფება დიდი ქართველი ილია ჭავჭავაძე, რომლის თანადასწრება მთელ კრებას საზეიმო იერსა ჰფენს. „... მომხსენებელი ლაპარაკობს ნელა, პაუზებით: ეტყობა – სწონის და ზომავს ნათქვამს. სიტყვა თითქო არ ემორჩილება – ალბათ ცდილობს: არც მეტი ითქვას და არც ნაკლები. არცერთხელ ხმის ამაღლება: ნააზრის ცხადება ისე გულისხმიერია მისი. დამსწრენი გულდასმით ისმენენ ყოველ სიტყვას მომხსენებლისას – და გრძნობენ თანდათან, რომ მათში რაღაც იზრდება ნელ-ნელ, ანუ უკეთ: რაღაც იმართება, ასე ტკბილი და ძალის მომგვრელი. საქართველოს ხერხემალი? სწორედ ეს და მხოლოდ ეს.

თავდება მოხსენება. მსმენელნი აფრთოვანებით აცილებენ ახლად მოვლენილ სწავლულს, ხოლო თვალი მაინც ილიას მიმართ უჭირავთ: უნდათ გაიგონ, თუ რას იტყვის დაუღალავი მოურავი საქართველოს კულტურისა. ნელი, მოკლე, შინაგან აღვივებული სიტყვით ამცნებს დიდი ქართველი ირგვლივ თავმოყრილთ თავის გახარებას. ილიას სიტყვა ედება მთელ კრებას – რიგიდან რიგებს – ვითარ მადლით განფენილი დასტური. სიხარული მატულობს. ბოლოს ეს „განაჩენი“ მომხსენებელსაც სწვდება. მის მშვიდ სახეს ნათელი ეფინება – თითქო ჰსურს გამხნევებულს გასძახოს ხევსურულად: „ჯანი მამიმატის!“ ახალგაზრდა სწავლული ივანე ჯავახიშვილია“ (იქვე, გვ. 205-206).

„საქართველოს კულტურის დაუღალავი მოურავის“ კმაყოფილება, როგორც გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს, იმით იყო განპირობებული, რომ ივანე ჯავახიშვილმა ქართულ საზოგადოებას იდეალურად წარმოუდგინა ერის წიაღში ჩასაიდუმლოებული გენია, მისი ღირებულებები, მისი თვითმყოფადობის ხერხემალი და ეს ისე გააკეთა, სათქმელი ისე თქვა და საკეთებელიც ისე აკეთა, რაც მხოლოდ საღმრთო მადლით მოსილ რჩეულს ხელეწიფება. სწორედ ამიტომ დაასახელა დიდმა ილიამ თავის მემკვიდრედ ივანე ჯავახიშვილი.

გადის რამდანიმე თვე. საქართველოს თავს ატყდება დიდი უბედურება: წიწამურის ველი ირწყვება დიდი ქართველის სისხლით. მკვლელი ქართველთა ნაშიერია, რაიც კიდევ უფრო ამძაფრებს ტკივილს. დიდია გლოვა და ვაება. ხოლო საოცარი და საცნაური: ერის მიერ ღრმად განცდილ ტანჯვაში მკვლელობა თანდათან „მსხერპლის” სახეს იღებს – მსხვერპლის, რომლის საიდუმლოება სინამდვილის გარდამქმნელი ძალაა.

ყოველ ქართველში იღვიძებს საქართველო – იღვიძებს არა წილობით, არამედ მთლად: იღვიძებს მთელი საქართველო, მთელი მისი ბედით. არც ერთი მექმე ქართველი არ რჩება ეხლა განზე განაპირებული. ყოველი მათგანის გზა მიდის ამიერიდან ამ მსხვერპლის ნიშნით. ხოლო ერთი კაცი, რომელიც მთელი თავისი არსით საქართველოს საუკუნოებში გაწვდილ წიაღშია გადასული, ალბათ ყველაზე უფრო ღრმად განიცდის ამ შინაგან გარდაქმნას. ეს კაცი უთუოდ ივანე ჯავახიშვილია სიხარული, ილიას გახარებით შობილი, ეხლა მისთვის „კურთხევად“ იქცევა. ხოლო კურთხევა მოწოდებაა და დანიშნულება. ილია იღვწოდა საქართველოს მზეოსან ხელმწიფების აღდგენისთვის. სიტყვით, საქმით, ცხოვრებით. კურთხევა-მიღებული სწავლული ხედავს ეხლა ნათლივ: მან უნდა განაგრძოს ეს გზა, მეტად მძიმე გარნა მეტადვე საშური. მაგრამ როგორ? ჯავახიშვილი მემატიანეა, მეისტორიე, გამოიკვლევს საქართველოს თავგადასავალს – იგი ამით დაეხმარება მის ხელმწიფების აღდგენას. ეს არის ეხლა მისი უღრმესი რწმენა, რწმენა უტყუარი და მართებული. გსურს გაიგო „ვინა ხარ“, უნდა შეიგნო „ვინ იყავ“.

გინდა იქცე „რამედ“, უნდა შეიტყო „რა განვლე“, „საითკენ?“ მიზანმხვედრია მაშინ, თუ ესეც იცი: „საიდან?“ ისტორია არის არა მარტო ხსოვა წარსულისა – იგი თანვე ქმედითი მონაწილეა მომავლისა. ამ რწმენით იწყებს ჯავახიშვილი თავის მოწოდებას. უამრავი სიძნელენი იმართებიან მის წინ: ევროპაში ისტორიული კვლევა გაადვილებულია: სწავლულს აქ ყოველი დარგი გაკაფული ხვდება წინ: ყოველი მასალა დალაგებულია. ჯავახიშვილი კი თითქმის ყველაფერს პირველად უნდა შეეხოს. იგი სწავლობს ევროპასა და რუსეთში: ენებს, როგორც დასავლეთისა ისე აღმოსავლეთისა, პალეონტოლოგიას, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას, ხუროთმოძღვრებას – და კიდევ რას? დრო და დრო მოკლე ნარკვევებსაც აქვეყნებს – ხოლო ყოველი ეს ჯერ კიდევ მზადებაა მხოლოდ და მასალასთან მიახლოვება“ (იქვე, გვ. 206-207).

იწყება მსოფლიო ომი. ქართველ ერში ოცნება იღვიძებს: ვინ იცის, ხალხთა შეხლა-შემოხლა ისე დატრიალდეს, რომ საქართველოს განთავისუფლება ერგუნოს. რევოლუცია არღვევს რუსეთის იმპერიას და ქართველ მამულიშვილთა ოცნებას განამდვილების პირი უჩანს. ღღმავდება შეგნება ქართველისა – როგორც ქართველის, თავდადებულთა ერთი მცირე ჯგუფი ცდილობს დაარსდეს ქართული უნივერსიტეტი, რათა ამ შეგნებას ქვაკუთხედი აუგოს. ამ ჯგუფის თაოსანი და სულის ჩამდგმელი ივანე ჯავახიშვილია. სიძნელე სიძნელეს მოსდევს, ხოლო ენერგია თავგამოდებულთა კიდევ უფრო მატულობს. შემდეგ ქართველ თავდადებულთა მცირე ჯგუფთან ერთად ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტს აფუძნებს.

„როცა 1918 წელს მაისის 26 საქართველოს თავისთავს განთავისუფლებულად აცხადეს, მის ხელმწიფებას უკვე ამართული აქვს შინაგანი სიმაგრე: უნივერსიტეტი, ქართული კულტურის ჩაუქრობი კერა“ (იქვე, გვ. 207).

***

„იწყება დაუღალავი, ნაყოფიერი შრომა. ქართული უნივერსიტეტი იქცევა ლაბორატორიად ქართული შეგნებისა. შუა გულში აქაც ივანე ჯავახიშვილია: თავგანწირვით – რომელიც უმაგალითო თუ არა სამაგალითოა – აგრძელებს იგი ერთხელ დაწყებულ საქმეს: აგროვებს საქართველოს ყოფიდან ყოველგვარ მასალას – ძველ ხელნაწერს, ნახატს, ნახაზს, გადმოცემას, სიგელს – და კიდევ რას? აგროვებს მასალას, არჩევს და იკვლევს და ალაგებს მას. ხოლო მასალა უფრო და უფრო ხვავდება. ჯავახიშვილი ეხლა იკრებს მთელს ჯგუფს ახალგაზრდა მკვლევართა: თანაშრომელთა და დამხმარეთა. ჩაღდება უმაგალითო მუშაობა. „ქართველი ერის ისტორია“ – მთავარი შრომა ჯავახიშვილისა – იზრდება თანდათან: თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე. ეს არაა

ჩვეულებრივი „ისტორია“, იგი უფრო ენციკლოპედიაა. ყველაფერია აქ განხილული: ქართველთა წარმოშობა, ნათესავ ტომთა ერთ ერად ქცევა და ჩამოსხმა, ქართული ენა, ნივთიერი და სულიერი კულტურა საქართველოსი, ხელმწიფების დგენა და განმტკიცება მისი, ბედი თუ უბედობა, მარჯი და მარცხი – ყველაფერია აქ განხილული. და მერე როგორ? აიღეთ ნიმუშად განხილვა ქართული სიტყვისა „მზე“, რომელსაც ამ შრომაში თითქმის მთელი სამი გვერდი უჭირავს. ეს განხილვა სწორუპოვარი ცდაა ენის შინაგანი დენის, მისი მითიურ-მსახიერებელი ცნევისა. და ასე ყველგან, ყოველ დარგში. დროდადრო იგი ამ ნაშრომს სხვადასხვა ნარკვევებით ავსებს და ამაგრებს. იგი იკვლევს: ქართულ სამართალს, ქართულ ეკლესიას, ქართულ ხუროთმოძღვრებას, ქართულ მხატვრობას, ქართულ მუსიკას, გეოგრაფიას, დამწერლობას, არქეოლოგიურ ნაშთებს – და კიდევ რას? ქართულ მევენახეობასაც კი! და მერე რა სიყვარულით და გულმოდგინებით! არ დარჩენილა არც ერთი ლერწი, რომელიც მას „რაობის” მიხედვით არ განეხილოს. არ დარჩენილა არც ერთი მტევანი, რომელიც მას „თვისების“ მხრით არ განეხილოს. მტევნის მარცვალიც რაა – მისი მნიშვნელობაც კი აქვს გაშუქებული. და ასე ყველგან, ყოველ დარგში.

დიდია ნაშრომი ივანე ჯავახიშვილისა და ფასდაუდებელი მისი დანატოვარი. მის ისტორიულ ნაკვლევში – აქ მეხმარება გენია ქართული სიტყვისა – მონივთულია „ცხოვრებაი ქართლისაი“. დიახ – „მონივთული“. ეს ქართული სიტყვა, სხვა ენაზე უთარგმნელი, სწორუპოვრად მართავს ნაშრომს ჩვენი ისტორიკოსისა. მომავალი მეისტორიე, რომელიც დაისახავს მიზნად: აღმოაჩინოს ქართველთა ვითარებაში მსოფლიო ქცევის ერთ-ერთი გულისხმიერი სახეობა – ჯავახიშვილის მიერ „მონივთულ“ თავგადასავალში საქართველოისა იპოვის ყველაფერს დასახულის მისაღწევად. მაშინ დაფასდება იგი საბოლოოდ როგორც მკლევარი – წინამორბედი, ხოლო ჩვენთვის დღესაც ნათელია ერთი რამ: ივანე ჯავახიშვილმა პირნათლად გაამართლა კურთხევა, დიდი ილიასაგან იდუმალი გზის მიღებული: და ამით უკვდავ ჰყო თავისი პიროვნება ქართველი ერის დაუშრეტელ წიაღში“ (იქვე, გვ. 2080).

გრიგოლ რობაქიძის ეს შეფასებანი ივანე ჯავახიშვილის პიროვნების მარადიულობის შესახებ უდავოდ შთამბეჭდავია, რაც კიდევ უფრო ვრცლად წარმოაჩინა პროფესორმა სერგო ჯორბენაძემ 1981 წელს გამოცემულ ფუნდამენტურ მონოგრაფიაში – „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“. ივანე ჯავახიშვილის ფასდაუდებელი ნაწერები ქართველთათვის დიდი განძია მისი მსოფლიო დონის, მსოფლიო „სტანდარტის“ ღირებულებების ძიების, მისი მიგნების და ზოგადსაკაცობრიო განვრცობის, საერთო კეთილდღეობის მიზნის მისაღწევად.

ბოლოს წერილისთვის გრიგოლ რობაქიძეს ასეთი მინაწერი გაუკეთებია:

„P. S. ზემოხსენებულ მოხსენებას ჯავახიშვილისა მე არ დავსწრებივარ: იმ ჟამად უცხოეთში ვიყავი. თუ როგორ შეხვდა ამ მოხსენებას ილია ჭავჭავაძე – ეს ამბავი გაგონილი მაქვს განსვენებულ ვალერიან გუნიასაგან. სხვათა შორის: უკანასკნელი უზომო თაყვანისცემელი იყო ილიასი, რომლის სახელს იგი იცავდა, როგორც თავდადებული რაინდი“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნატარესი ილია II. გლობალიზაციისა და ეროვნული ფასეულობების შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოსაზრებების განხილვა უნდა დავიწყოთ მისი შემდეგი გამონათქვამით: „**გლობალიზაცია არის გარდაუვალი მოვლენა და იგი უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო გახდა გლობალური, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიდმა ქვეყნებმა უნდა შთანთქან მცირე ქვეყნების კულტურული, სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი, რათა შეიქმნას ერთიანი და უსახო კულტურა.**

ზოგს ჰგონია, თითქოს მცირე ერების სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი ქმნის კონფლიქტს და დაპირისპირებას, რაც შესაძლოა მტრობასა და შუღლშიც გადაიზარდოს. სინამდვილეში ეს სულაც არ არის ასე. ეს ფასეულობანი, მათი მრავალფეროვნება, პირიქით, ამდიდრებს მსოფლიოს“ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, სიტყვა გლობალიზაციისა და ცივილიზაციათა დიალოგის საერთაშორისო ფორუმზე, შერატონ-მეტეხი პალასი, 24 სექტემბერი, 2004. „საპატრიარქოს უწყებანი“, №38, 2004, გვ. 1).

2010 წლის 3 იანვრის ქადაგებაში ილია II-მ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ისეთ საშურ საქმეს, როგორიცაა უნიკალური ქართული ფასეულობების სამეცნიერო-პოპულარულ ენაზე დამუშავება და მისი დაცვა მარადიული ერის სამსახურისათვის. პატრიარქმა კერძოდ აღნიშნა: „ძალიან ხშირად ვამბობთ იმის შესახებ, რომ საქართველო და ქართველი ერი მდიდარია თავისი ეროვნული ფასეულობით, სულიერი ფასეულობით. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ყოველი მონასტერი იყო არა მოღვაწეობის ადგილი, არამედ იყო მეცნიერების ცენტრი. ეს ახასიათებდა საქართველოს და ქართულ მონასტრებს. და ბოლოს, როცა ჩვენ ვეკითხებით ხალხს, მაინც რა ფასეულობა გაგვაჩნია ჩვენ? თითქმის ვერ ვპასუხობთ და არ ვიცით. ვიცით, რომ მდიდარია საქართველო თავისი სულიერებით, თავისი წმინდა მამებით, მოწამეებით. ვიცით, რომ მდიდარია თავისი ხელოვნებით, თავისი ლიტერატურით, თუ ისტორიით და კონკრეტულად ჩვენ ვერ ვასახელებთ. და, აი, ამ გლობალიზაციის პროცესში, გლობალიზაციის დროს, ყოველმა ქართველმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რა გაგვაჩნია ჩვენ? მე ვფიქრობ, რომ უნდა დაიწეროს სოლიდური წიგნი, სადაც

მიიღებენ მონაწილეობას მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტი, ჩვენი მეცნიერები და, კონკრეტულად ქართველმა ხალხმა და მთელმა მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ საქართველო არის მნიშვნელოვანი არა მარტო სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ უპირველეს ყოვლისა, სულიერი და მატერიალური ფასეულობით".

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მიიჩნევს აგრეთვე, რომ მსოფლიოს გადასარჩენად საჭიროა ჩამოყალიბდეს ღირებულებათა საერთო სისტემა, რომელიც მისი ზნეობრივი ღერძის ფუნქციას შეასრულებს. იგი აღნიშნავს: „საჭიროა ჩამოყალიბდეს საკაცობრიო ღირებულებათა ზნეობრივი ღერძი, რასაც ჩვენ მთლიანად მხარს ვუჭერთ და მიგვაჩნია, რომ იგი ხელს შეუწყობს ცივილიზაციათა შორის დიალოგს. ეს საქმე საშურია, დღეს ფილოსოფიაში და, საერთოდ, აზროვნებაში არსებობს ასეთი ცნება: სწრაფი რეაგირების კულტურა. მართლაც, ისე სწრაფად ვითარდება მოვლენები დედამიწაზე, რომ შესაბამისად მათი სწრაფად აღქმა არის საჭირო და არა მარტოოდენ აღქმა, არამედ გაანალიზება და სათანადო რეაგირება.

...ადამიანი არის გონიერი არსება, იგია ხატება ღვთისა და ღვთისგან ბოძებული გონება მან აუცილებლად კეთილად უნდა გამოიყენოს" (იქვე, გვ. 2).

აქვე პატრიარქი იმასაც გვთავაზობს, რომ თუ როგორ უნდა მივაღწიოთ კულტურათა და რელიგიათა შორის დიალოგს ისე, რომ ყველა ერმა თავისი რელიგია შეინარჩუნოს და ისე ჩამოვაყალიბოთ, მივიღოთ და განვახორციელოთ ყველასათვის ერთიანი ღირებულებები, ღირებულებათა საერთო ზნეობრივი ღერძი. ამის მიღწევა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ დიალოგის დროს არავითარ შემთხვევაში არ შევეხებით დოგმატიკას, ჩვენს მრწამსს, რელიგიის არსს, რამაც შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გლობალიზაციის ეპოქაში ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებად **სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას მიიჩნევს**. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მამულის მსახურებას ჭეშმარიტი რწმენით, ღირსების, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის გრძნობით. ასევე მნიშვნელოვანია გავემიჯნოთ იდეოლოგიურ უკიდურესობებს და გავიაზროთ „ჩვენის" საჭიროების უპირატესობა „მეს" და „ჩემის" საჭიროებებზე. 2005 წლის სააღდგომო ეპისტოლეს მეშვეობით პატრიარქი გვმოძღვრავს:

„როგორც ყოველ ადამიანს, ერსაც ამქვეყნად თავისი მისია აქვს. საამაყოა, რომ მთელი ისტორიის მანძილზე ვინარჩუნებდით ჩვენს ფუნქციას, – მტრის აურაცხელი შემოსევების მიუხედავად საუკუნეთა მანძილზე ვიყავით აღმოსავლეთში ქრისტიანული კულტურული სამყაროს ფორპოსტი, ხოლო ჯვაროსნული ომების დროს, – მთელი ევროპული კოალიციის ანგარიშგასაწევი მოკავშირე ძალა.

დღეს მსოფლიო პროცესები ახალ გამოწვევას სთავაზობს ყველას, ჩვენმა ერმაც პასუხი უნდა გასცეს გლობალიზაციის მიერ შემოთავაზებულ მოთხოვნებს და თავისი ადგილი და ფუნქცია იპოვოს თანამედროვე მსოფლიოში, რაც აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას. სახელმწფიებრივად მოაზროვნე საზოგადოების არსებობა კი ქვეყნის წარმატების საწინდარია.

მამულის მსახურება ჭეშმარიტი რწმენით ერთ-ერთი უმთავრესი ღვაწლია; ეკლესიისაგან სწორედ ამ ნიშნით არიან წმინდანებად შერაცხილნი: *ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული, ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი* და სხვანი. სახელმწიფოებრივი აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, ღირსების, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევა. შეუძლებელია, საზოგადოებას შინაგანად არ სურდეს თავისუფლება და სხვაზე დამოკიდებულებას ამჯობინებდეს; შეუძლებელია, საზოგადოებას არ ჰქონდეს პასუხისმგებლობა წინაპრებისა და მომავალი თაობების წინაშე, ერს არ ჰქონდეს საკუთარი ღირსების გრძნობა და ააშენოს სრულფასოვანი სახელმწიფო" („კვირის პალიტრა", 2-8 მაისი, 2005).

სახელმწიფოებრივი აზროვნების მნიშვნელოვანი ორიენტირი უნდა იყოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გონივრული გადაწყვეტა. პატრიარქი მიიჩნევს, რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივხედოთ ჯარს და განათლების სფეროს. ასევე აუცილებელია მოსახლეობის დასაქმება, – მცირე და საშუალო ეროვნული ბიზნესის განვითარება, სოფლის მეურნეობის აღორძინება, ადგილობრივი პროდუქტით ჩვენი ბაზრის შევსება და სამამულო წარმოებისათვის პრიორიტეტის მინიჭება. აუცილებელია მეცნიერების, კულტურის და სპორტის ხელშეწყობა და ბუნებრივია, ქვეყნის მთლიანობის აღდგენისთვის ზრუნვა.

გლობალიზაციის ეპოქაში საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, **პატრიარქს უმთავრეს პირობად მიაჩნია, რომ ჩვენს ტრადიციებზე დაყრდნობით შევქმნათ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებული ქართული სახელმწიფო.** 2006 წლის სააღდგომო ეპისტოლეში პატრიარქი აღნიშნავს: „საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის, თავის ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს" („კვირის პალიტრა", 24 - 30 აპრილი, 2006).

არ არსებობს ცალკე აღებული არცერთი დარგი, რომელსაც მარტოს შეეძლოს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა. უმთავრეს პრიორიტეტად კი, პატრიარქი სამეცნიერო, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროს მიიჩნევს. სწორედ მათზეა დამოკიდებული, თუ როგორ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდებით.

შრომის მსოფლიო დანაწილებაში ჩვენ, ჩვენი რესურსებით უნდა ჩავერთოთ. უმნიშვნელოვანესი რესურსი კაცობრიობისათვის არის წყალი. პერსპექტივაში განსაკუთრებით ამაღლდება მტკნარი წყლის მნიშვნელობა, რომლის მოხმარება მსოფლიოში მეტად სწრაფად მატულობს. წყლის მიწოდებაზე გაზრდილი მოთხოვნილება საჭიროებს მისი გაწმენდის, დამუშავების, დაცვის (შენახვის) და ტრანსპორტირების ახალი ტექნოლოგიების განვითარებას. საქართველო წყლის რესურსის ერთ-ერთი დიდი მფლობელია, ამიტომ მომავალში წყლის მსოფლიო ბაზარზე ჩვენი ადგილი უნდა მოვიპოვოთ. **დღეს კი უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.** უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, რომ ხალხი დასაქმდეს და გამოვიდეს მძიმე სოციალური პირობებიდან. ყოველივე ზემო აღნიშნული გვიდასტურებს, რომ დასახელებულ პრობლემებსა და პრიორიტეტებს პატრიარქი თავის ეპისტოლეებში მრავალჯერ გვიმეორებს სხვადასხვა კონტექსტებში, ეს კი იმას გვიდასტურებს, რომ მათზე ორიენტირებულობას, მათ გადაჭრას ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და უმთავრეს მატერიალურ ფასეულობებად წარმოგვიდგებიან.

ჩვენი დიდი რესურსია ინტელექტუალური პოტენციალიც. პოსტინდუსტრიული ეკონომიკის პირობებში ინტელექტუალური რესურსების როლი განუხრელად იზრდება, მათი მოპოვებისათვის ბრძოლა კი სულ უფრო მწვავდება. ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს ის სამეცნიერო მონაპოვარი, რაც მას გააჩნია. **სრულად უნდა გამოვიყენოთ თუნდაც საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო თუ ეკონომიკური მიღწევები**, რომლის დიდი ნაწილი ჩვენ თითქმის მთლიანად დავთმეთ და დავკარგეთ. რაც შეეხება მეცნიერებას, უნდა ითქვას, რომ მრავალ დარგში საქართველოს მსოფლიოში აღიარეული მკვლევარები ჰყავს. საერთოდ, ნებისიმერი ქვეყნის განვითარებაში სამეცნიერო სფერო გადამწყვეტ როლს ასრულებს, მის ჩამოყალიბებას დიდი თანხა და დიდი დრო სჭირდება. ქვეყანამ უნდა გამოიყენოს თავისი მდიდარი სამეცნიერო პოტენციალი.

აუცილებელია ვიმოქმედოთ დროის მოთხოვნების მიხედვით და დავიცვათ ეროვნული ფასეულობები. ჩვენი წინაპრების, წინა თაობათა მინაღწევრის დაცვა გვმართებს. ამისათვის დიდი ძალისხმევა გვჭირდება. თანამედროვე პირობებში ვითარება კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ კაცობრიობამ შექმნა ბრძოლის ახალი ფორმა – ინფორმაციული ომი. ამიტომ ჩვენც შეცვლილი ვითარების შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ და სათანადო ალღო ავუღოთ ამ ახალ მოვლენას.

2009 წლის სააღდგომო ეპისტოლეს მეშვეობით, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ყურადღებას ამახვილებს **ჩვენი**

სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვის აუცილებლობის შესახებ, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების შესახებ, კულტურათა შორის დიალოგის შესახებ. ამისათვის თითოეული ჩვენგანი უნდა ეცადოს, გააკეთოს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის მაქსიმუმი. ხელისუფალთ, ქვეყნის ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად მოეთხოვებათ სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება, ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფა, განათლების ხელშეწყობა. ჩვენ აუცილებლად, უნდა გავაღრმაოთ კავშირი მეზობელ სახელმწიფოებთან. მისი წინაპირობა უნდა იყოს კულტურათა შორის დიალოგი. ერთმანეთის სულიერი, მეცნიერული და მატერიალური ფასეულობების წარმოჩენა ხელს შეუწყობს ჩვენს შორის არსებული სხვა საკითხების გადაწყვეტას.

ეროვნულ ეკონომიკურ ფასეულობებს უნდა ეფუძნეობდეს ჩვენი ეროვნული ინტერესები, რომლებსაც ნიადაგ უნდა ვიცავდეთ და ვაძლიერებდეთ. პატრიარქი ქადაგებს: „საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია. იგივე ითქმის ჩვენ თითოეულ მოქალაქეზეც. ჩვენ ჩვენი მეობა უნდა დავიცვათ, რათა არ ვიქცეთ სხვათა მიზნების განხორციელებისათვის ბრმა იარაღად. ეს ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების გარანტიაა...“ („კვირის პალიტრა“, 20-26 აპრილი, 2009).

ზემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუტებში ეროვნული მიმართულების გაძლიერების მიზნით, **პატრიარქი მიზანშეწონილად მიიჩნევს ქართული ბიზნეს-სექტორის გაფართოებას, შეძლებული საშუალო ფენის შექმნას, მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებას, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, რისთვისაც აუცილებელია სახელმწიფოს დახმარება სუბსიდიებისა და გრძელვადიანი კრედიტების სახით.**

იმის გამო, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საკმაოდ მწვავედ შეეხო ქართულ ეკონომიკასა და ბიზნესს, სამუშაო ადგილების შემცირების თავიდან აცილების, მოქალაქეთა და მეწარმეთა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებისა და მათი ეკონომიკური აქტივობის წახალისების მიზნით პატრიარქი ხელისუფლებას კონკრეტულად სთავაზობს საქართველოში მოქმედი ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი გაათავისუფლოს სანქცია – საურავებისაგან. ასეთი ნაბიჯი სერიოზულად შეამსუბუქებს როგორც მეწარმის, ასევე მოქალაქეების საგადასახადო ტვირთს და წაახალისებს მათ ეკონომიკურ აქტივობას.

და ბოლოს, პატრიარქი მიიჩნევს, რომ **„არსებობს სამი დიდი სიწმინდე: ღმერთი, სამშობლო და ადამიანი“, ყველაზე აუცილებელ პირობად კი, პატრიარქი მიიჩნევს სამართალს, სიმართლის მსახურებას, სამართლიანობას**, რადგან „ღმერთი სიმართლით მცხოვრებთ მადლით მოსავს, ცრუთ და თვალთმაქცთ კი – განეშორება“.

წმინდა მამები გვმოძღვრავენ, რომ ამქვეყნიური ცხოვრება არის ბრძოლა ჩვენს ცოდვებთან და რომ ყველაფერი ცოდვიანობიდან მოდის: მიწისძვრები, შიმშილობები, ავადმყოფობები, ომები, ხოლო ამ უბედურებათა თვიდან აცილების მთავარი ფასეულობა არის სიყვარული. სიყვარული არის სწრაფვა სრულყოფილობისა და სიმშვიდისაკენ (ნეტარი ავგუისტინე). ეს არის სწრაფვა ისეთისკენ როგორიც მაცხოვარია. ამისათვის მარტო ეკლესიაში შესვლა და სანთლის დანთება და პირჯვრის გადაწერა არ კმარა. საჭიროა სისტემატური ცოდვების მონანიება, აღსარება, ზიარება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II სიყვარულის ცნებას შემგედნაირად განმარტავს: „სიყვარული ეს არის სიცოცხლე სხვებისათვის, სიცოცხლე სხვა ადამიანებისათვის...“ უწმინდესი და უნეტარესი გვმოძღვრავს: „სიყვარული უფრო მეტია ვიდრე სიტყვა: ზრუნვა – უსიყვარულოდ უშედეგოა; პასუხისმგებლობა – უსიყვარულოდ სიფრთხილეა; სამართლიანობა – უსიყვარულოდ გულქვაობაა; სიჭკვიანე – უსიყვარულოდ ეშმაკობაა; მეგობრობა – უსიყვარულოდ მლიქვნელობაა; წესრიგი – უსიყვარულოდ მეწვრილმანეობაა; პატივი – უსიყვარულოდ ქედმაღლობაა; ქონება – უსიყვარულოდ სიხარბეა; რელიგია – უსიყვარულოდ ფანატიზმია; იზრდება, სიყვარული რწმენით!“ სწორედ სიყვარული და რწმენა გადაარჩენს ჩვენს ქვეყანასაც და მთელს კაცობრიობასაც.

2.3. ეროვნული ღირებულებების საერთო სათავეებთან

მიჩნეულია, რომ ფასეულობები განსაზღვრავს ადამიანის ადგილს სამყაროში, თავად სამყაროს აღქმას, დამოკიდებულებებს ყველასა და ცალკეულის მიმართ. სწორედ ამას აქვს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ქვეყნის ეროვნულ ღირებულებებში გარკვევისათვის.

საქართველოს უმთავრეს ეროვნულ ღირებულებებში უფრო ნათლად გასარკვევად გარკვეული მინიშნებები მოცემულია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, რომელიც 2005 წლის 8 ივლისს საქართველოს პარლამენტმა საბოლოოდ მიიღო. ეს კონცეფცია გარკვეულ ღირებულებებს ეფუძნება, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს როგორია ის უმთავრესი ეროვნული ღირებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის მთავარ ორიენტირებს და როგორია ამ მხრივ

თანამედროვე მიდგომები. დასმული საკითხი სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო.

ზოგადად თუ ვიტყვით, საქართველომ უნდა გააგრძელოს მუშაობა პროგრესისა და რეფორმების კუთხით. მთავარი მიმართულება არის ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა და დემოკრატიის გაძლიერება.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ქვეყნის ძირითად ეროვნულ ღირებულებებად აცხადებს სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, მშვიდობას, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას, მოსახლეობის მატერიაალურ კეთილდღეობას...

აღნიშნულ ღირებულებებს ეფუძნება ქვეყნის ეროვნული ინტერესები, რომლებიც თავის მხრივ, გულისხმობს: ტერიტორიულ და ეროვნულ მთლიანობას; რეგიონულ სტაბილურობას; თავისუფლებისა და დემოკრატიის განმტკიცებას მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონებში; ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განმტკიცებასა და ენერგიის მოწოდების ალტერნატიული წყაროების უზრუნველყოფას; ქვეყნის და რეგიონის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას; ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის უზრუნველყოფას.

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის მთავარ საშიშროებად კი მიჩნეულია დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც ძირს უთხრის ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის დასაწყისშივე, ნათლად არის ნაჩვენები, რომ საქართველო ევრო-ატლანტიკურ ღირებულებებზე ორიენტირებული ქვეყანაა. კონცეფციაში ეს ყოველივე ნათლად არის გამოკვეთილი და დასაბუთებულია დამაჯერებლად. მასში ცალკეა გამოყოფილი: ,,ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევროკავშირში ინტეგრაცია''. ამ ორგანიზაციებში გაერთიანება კონცეფციის მიხედვით საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ,,უპირველეს პრიორიტეტს" წარმოადგენს. ნატო-ს წევრობა საქართველოს მოუტანს სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოების აქამდე უპრეცედენტო ხარისხს. საქართველო მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს, რომლებიც ამ ორგანიზაციებში ინტეგრაციის წინაპირობას წარმოადგენს. ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობა; თანამშრომლობა ნატო-ს წევრ სახელმწიფოებთან და წევრობის მსურველ ქვეყნებთან ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამისა და ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში; ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილეობა... სამხრეთ კავკასია, და არა მარტო საქართველო ნატო-ს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ძალიან მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს. ამისათვის კი ყველაზე მთავარია მშვიდობის უზრუნველყოფა, დემოკრატიის განვითარება

და ადამიანის უფლებების დაცვა. ნატო ჩვენი უსაფრთხოების მთავარი გარანტია, როგორც აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ მეორე ვადით თავისი არჩევისას აღნიშნა, თავისუფლებაა მთავარი, მის მოპოვებას კი უსაფრთხოება სჭირდებაო.

გარკვეული გაგებით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ღირებულებების საფუძველზე აგებული დოკუმენტი, რომელშიც ნაჩვენებია, თუ რომელი ღირებულებები უნდა იყოს ქართული სახელმწიფოს პრიორიტეტების რანგში აყვანილი. ამიტომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მეტად მნიშვნელოვანი კონცეფციაა. მისი შემუშავება ქართველი საზოგადოების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი შედეგია. ქართულმა სახელმწიფომ პირველად აუწყა თავის ხალხს და მსოფლიოს საკუთარი მსოფლმხედველობა, ღირებულებები, მიზნები, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკრი, კულტურულ-ინტელექტუალური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პერსპექტივები და იდეალები.

ზემოაღნიშნულ კონცეფციაში დახასიათებულია საქართველოს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები. კერძოდ, დოკუმენტის მე-2 მუხლში აღნიშნულია:

„მუხლი 2. საქართველოს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები

საქართველოს სახელმწიფოებრიობა ეფუძნება მის ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს, რომელთა დაცვა აუცილებელია საქართველოს არსებობისა და უსაფრთხოებისათვის, მისი მოქალაქეების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის. საქართველო დაიცავს თავის ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს ყველა არსებული კანონიერი საშუალებებით. საქართველოს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებებია:

2.1. დამოუკიდებლობა: საქართველო არის სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც პატივს სცემს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და მათგანაც შესაბამის დამოკიდებულებას მოითხოვს. საქართველოსათვის მიუღებელია მის საშინაო საქმეებში სხვა ქვეყნების ჩარევა.

2.2. თავისუფლება: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები ფნდამენტური ეროვნული ღირებულებებია. საქართველო ქმნის გარანტიებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მოქალაქისა და ჯუფის საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, პატივს სცემს მათი თავისუფალი არჩევანის უფლებას და ამკვიდრებს ხელსაყრელ გარემოს თითოეული მოქალაქის შესაძლებლობების რეალიზაციისათვის.

2.3. დემოკრატია და კანონის უზენაესობა: საქართველო ერთგულია უნივერსალური დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპებისა, რომელთა საფუძველზედაც ამკვიდრებს მმართველობის დემოკრატიულ სისტემას, სადაც სახელმწიფოს ძალაუფლება კანონით არის განსაზღვრული და განაწილებული სახელისუფლებო შრომებს შორის. საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში გარანტირებულია სასამართლო ხელისუფლების სიძლიერე და დამოუკიდებლობა. საქართველო ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და უზრუნველყოფს მასმედიის დამოუკიდებლობას.

2.4. კეთილდღეობა: თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის ასამაღლებლად და ცხოვრების ღირსეული პირობების შესაქმნელად საქართველო უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას დემოკრატიული, გამჭვირვალე წესების საფუძველზე და ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის გატარებას. საქართველოს ხელისუფლება ხელს უწყობს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ქმნის ხელსაყრელ გარემოს თავისუფალი მეწარმეობის განვითარების, საგარეო ვაჭრობის გაფართოებისა და ინვესტიციების მოზიდვისათვის.

2.5. მშვიდობა: საქართველო მიზნად ისახავს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ნორმებზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ყველა სახელმწიფოსთან. საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეგობრული ურთიერთობების განვითარება მეზობელ ქვეყნებთან. სადავო საკითხების გადასაწყვეტად საქართველო გამოიყენებს მშვიდობიან, საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათავლისწინებულ მეთოდებს. თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი, განვითარებული და მშვიდობიანი საქართველო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში.

2.6. უსაფრთხოება: საქართველოს ხელისუფლება ესწრაფვის საქართველოს სახელმწიფოს, მისი ინსტიტუტებისა და მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფას საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველო ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმებით".

საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციაში წინა პლანზე წამოწეულია დემოკრატიული ღირებულებები. მასში ვკითხულობთ, რომ საქართველო მოწოდებულია შეასრულოს „ევროსაბჭოს რეკომენდაციები", როგორიცაა: „დემოკრატიის განვითარება ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, ეროვნული უმცირესობების და ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობისათვის აუცილებელი მექანიზმების განმტკიცება ქვეყანაში".

კონცეფციაში ცალკეა განხილული „ღირებულებები, ინტერესები, საფრთხეები და გამოწვევები“. დოკუმენტი აყალიბებს იმ კატეგორიებს, რომლებიც ფუნდამენტს უქმნიან სახელმწიფოს სიმტკიცეს, უზრუნველყოფენ დამოუკიდებლობას, ქვეყნის საშინაო სტაბილურობას და საზოგადოების, მოსახლეობის ყოველმხრივ განვითარებას. ჩვენთვის საინტერესოა „ღირებულებები“, რომელიც „კონცეფციაში“ ცალკეა გამოყოფილი სათაურით – „საქართველოს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები“. იგულისხმება და განმარტებულიცაა: სუვერენიტეტი; ქვეყნის საშინაო და საგარეო უსაფრთხოებია; მშვიდობა; დემოკრატია და კანონის უზენაესობა; ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისფემა; კეთილდღეობა.

„კონცეფციის“ მიხედვით უპირველესი ხარისხი „ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს“ ეკუთვნის. სწორედ მას ეფუძნება ეროვნული ინტერესები. დოკუმენტში განმარტებულია, რომ საქართველო, როგორც მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონე სახელმწიფო, ქვეყნის კულტურული და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ელემენტად მიიჩნევს. რაც შეეხება დანარჩენ „ეროვნულ ინტერესებს”, ისინი შემდეგია: ტერიტორიული მთლიანობა; ეროვნული ერთიანობა; რეგიონული სტაბილურობა; თავისუფლების და დემოკრატიის განმტკიცება მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონებში; ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განმტკიცება და ენერგიის მოწოდების ალტერნატიული წყაროების უზრუნველყოფა; ქვეყნის და რეგიონის ეკლოგიური უსაფრთხოება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ნათლადაა წარმოჩენილი, რომ უპირველესი ღირებულება არის ხალხი. მასში ჩამოთვლილი და განმარტებულია ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებები: მიკროეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცება; სამუშაო ადგილების შექმნა; მრეწველობის ტრადიციული დარგების განვითარება და ხელშეწყობა; რეგიონებსა და დედაქალაქს შორის სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება; ქვეყნის შედარებითი უპირატესობების, განსაკუთრებით სატრანზიტო, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პოტენციალის რეალიზაცია; საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობა; ჯანსაღი კონკურენციის გარემოს შექმნა.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ერთმნიშვნელოვნად უსვამს ხაზს იმას, რომ სახელმწიფომ ჭეშმარიტი ღირებულებებით უნდა იხელმძღვანელოს. ის გვარწმუნებს: „საქართველოს ხალხის და საქართველოს ხელისუფლების მიზანმიმართული ძალისხმევით და საერთაშორისო თანამეგობრობის ხელშეწყობით საქართველო შეძლებს შექმნას ისეთი სახელმწიფო, რომელიც სიამაყეს აღუძრავს მის მოქალაქეებს,

იხელმძღვანელებს მშვიდობიანი თანაცხოვრების და დემოკრატიული ღირებულებების პრინციპებით და ღირსეულ ადგილს დაიკავებს ერთა თანამეგობრობაში“.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას უდიდესი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს. კონცეფციაში აღნიშნულია: „საქართველოს ხელისუფლება ეროვნულ უსაფრთხოების კონცეფციის საფუძველზე ატარებს შესაბამის გრძელვადიან ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებების დაცვას და ეროვნული ინტერესების განხორციელებას ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარ საფრთხეებზე, რისკებსა და გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირებით. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის საფუძველზე იქმნება სხვადასხვა დარგობრივი სტრატეგიები და გეგმები. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ცვლილებასთან ერთად ხდება ცალკეული დარგობრივი სტრატეგიებისა და გეგმების განახლებაც“.

ჩვენს მიერ განხილულ კონცეფციაში ბევრი რამ ძალიან სწორად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ მაინც მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ეპატზე მას გარდაქმნა და დახვეწა სჭირდება. სწორედ ასეთი კურსი დასახა საქართველოს ახალმა მთავრობამ. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ ბიძინა ივანიშვილის სიტყვაში აღნიშნულია შემდეგი: „საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას და წარმართავს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას დასავლური სტანდარტებისა და მეთოდების შესაბამისად.

დაიხვეწება სამხედრო ძალების საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი. სავალდებულო გახდება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან პარლამენტისათვის საჯარო ანგარიშების წარდგენა, მათ შორის ფინანსურ საკითხებზეც.

ჩვენი მთავარი ამოცანაა თავდაცვის სამინისტროს სრული დეპოლიტიზება, ჩამოყალიბდება მართვის, კოორდინაციისა და კონტროლის მექანიზმები შესაბამისი კონკრეტული ფუნქციებითა და მოვალეობებით.

ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის ფართო პოლიტიკური სპექტრი, რადგან თავდაცვა და უსაფრთხოება არ არის რომელიმე პოლიტიკური ძალისა თუ პარტიის ვიწრო ვალდებულება ან ინტერესი.

შემუშავდება სამოქალაქო თავდაცვის ეფექტიანი სისტემა, რომელიც მთლიანად ქვეყნის თავდაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილი იქნება.

შეიქმნება სამხედრო-საპარლამენტო ომბუდსმენის ინსტიტუტი, გადაიხედება სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დარღვევის ყველა საქმე, გადაისინჯება პრეტენზიები პენსიების დანიშვნის კანონიერების საკითხებზე.

ნატოში ინტეგრაციის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, გაგრძელდება და გაღრმავდება პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, №206, 26 ოქტომბერი, 2012, გვ. 4).

თავის ერთ-ერთ წიგნში ცნობილ ქართველ ემიგრანტ მეცნიერს, პროფესორ მიხეილ მუსხელიშვილს, მოჰყავს დიდი ფრანგი პოეტისა და მოაზროვნის, პოლ ვალერის სიტყვები, რომელიც კარგად მიგვანიშნებს, რა იგულისხმება „ევროპაში“? სინამდვილეში რას წარმოადგენს ევროპა? რა ხალხები და ერები მოიაზრებიან ევროპაში? პოლ ვალერი, კერძოდ, აღნიშნავდა: „ყველა რასა, ყველა მიწა, რომელიც თანმიმდევრულად იყო რომანიზებული, გაქრისტიანებული, ექვემდებარება ბერძნული დისციპლინის შეგნებას, აბსოლუტურად ევროპულია“. (იხ.: მიხეილ მუსხელიშვილი, საქართველო და ევროპა, საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, თბ., 1992, ტ. 2. გვ. 182). ამ გამონათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ ევროპა და ევროპელობა არ განისაზღვრება არც გეოგრაფიით, არც რასით, არც ენით, არც ზნე-ჩვეულებებით, არამედ მისი სულის უტყუარი თვისებებით, რომელიც არის სამი გავლენის, რომანიზაციის, ქრისტიანობის, ბერძნული დისციპლინის შეგნების მემკვიდრე.

აღსანიშნავია, რომ არსებობს აკადემიური, მეცნიერული მეთოდები იმის განსაზღვრისა, თუ რომელი ტიპის კულტურას მიეკუთვნება ესა თუ ის ერი ან ზეეროვნული ერთობა (ჩვეულებრივ, ცივილიზაციას რომ უწოდებენ). ამგვარი მიკუთვნებულობის განსაზღვრის მეთოდოლოგიები დასავლეთში უკვე წინა საუკუნის 50-იანი წლებიდან არსებობს. ცნობილია რამდენიმე ასეთი მეთოდოლოგია. ერთ-ერთის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ.

არსებობს, აგრეთვე, მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს ერთმანეთთან დაკავშირებული მაჩვენებლების (ინდიკატორების) მთელი რიგის გამოყოფას და შემდეგ იმის დადგენას თუ როგორ შეიძლება დახასიათდეს ესა-თუ ის კულტურა ამ მაჩვენებლის თვალსაზრისით. ბუნებრივია, ერთმანეთთან ახლოს მდგომნი იქნებიან ის კულტურები, რომლებსაც მაქსიმალურად დიდი ოდენობის საერთო ან მსგავსი მაჩვენებლებში ექნებათ. ეს მაჩვენებლები მოიცავენ ყოველივე იმას, რაც ადამიანური კულტურის არსს შეადგენს - უხსოვარი დროიდან ვიდრე დღემდე.

ცნობილი პოლიტოლოგი, კახა კაციტაძე ამ მეთოდოლოგიის შესახებ აღნიშნავდა (იხ.: მისი ბლოგი „როგორ გავცეთ პასუხი კითხვას - „რას ნიშნავს ქართველობა“ (ბლოგოტექსტი დავით გურამიშვილზე ჩანართითურთ“ საიტზე: http://www.for.ge), რომ ნებისმიერი კულტურა შეიძლება დახასიათდეს ისეთი მაჩვენებლების ნაკრებით, რომლებიც მოიცავენ შემდეგ სფეროებს

• როგორ ესმოდა ამა თუ იმ კულტურას ბუნება და მასზე ზემოქმედების საშუალებები: ა) მაგიური; ბ) ტექნიკური; გ) შრომით; დ)სხვა;

• როგორ უყურებდა ესა თუ ის კულტურა ადამიანის ადგილს სამყაროში;

• როგორ აღიქვავდა ესა თუ ის კულტურა ადამიანის ასაკობრივი განვითარების ძირითად ეტაპებს: ა) ბავშვობას; ბ) ყრმობას; გ) მომწიფებულ ასაკს; დ) სიბერეს; ე) მათ შორის გარდამავალ საფეხურებს;

• როგორ აღიქვავდა ესა თუ ის კულტურა დროსა და სივრცეს;

• როგორ აღიქვავდა ესა თუ ის კულტურა სიკვდილსა და ავადმყოფობას;

• როგორ აღიქვავდა ესა თუ ის კულტურა თავად კულტურის სხვადასხვა სახეებს: ა) მწიგნობრულს; ბ) ზეპირსიტყვიერს; გ) ტრადიციულს; დ) ნოვაციურს. ე) სხვას;

• როგორ აღიქვავდა ესა თუ ის კულტურა განათლების არსს და მის ნაირსახეობებს;

• როგორ აფასებდნენ ამა თუ იმ კულტურის წარმომადგენელთა სხვადასხვა სოციალური ფენები: ა) საკუთრებას; ბ) შრომას; გ) სიმდიდრეს; დ) სიღარიბეს;

• როგორ აღიქვავდნენ ამა თუ იმ კულტურის სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები ამავე კულტურის სხვა ჯგუფებს;

• როგორ აღიქვავდა ესა თუ ის კულტურა ადათსა და სამართალს, რაში ხედავდა მათი როგორც სოციალური ურთიერთობების რეგულატორების ფუნქციას;

• როგორ უყურებდა ესა თუ ის კულტურა ომსა და მშვიდობას;

• როგორ აღიქვავდა ესა თუ ის კულტურა ისტორიასა მის დონეებს (გლობალური, ეროვნული ადგილობრივი) და როგორ ესმოდა მას ისტორიის მსვლელობა;

• რა დღესასწაულები და კოლექტიური ცხოვრების რიტმების სხვა რეგულატორები ჰქონდა ამა თუ იმ კულტურას.

• როგორ აღიქვავდა ეს კულტურა სხვა კულტურებს;

• რა ფობიები ახასიათებდა ამა თუ იმ კულტურას. როგორ აღიქვავდა იმას, რასაც ის პათოლოგიად მიიჩნევდა;

• რა ხასიათისაა ამა თუ იმ კულტურისათვის დამახასიათებელი არქიტექტურა და რამდენად იმეორებს ის ამ კულტურის მატარებელთათვის დამახასიათებელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს;

• ინდივიდუალური და კოლექტიური თვითცნობიერების ფორმები;

• სუფრა, როგორც სოციალური ურთიერთობების მოდელირების ფორმა; კვებისა და ჭამა-სმის ნორმები;

• სქესობრივი ცხოვრების აღქმა და მისი რეგულირების ფორმები;

• ყველაზე ტიპური პერსონაჟები, რომლებიც დამახასიათებელნი არიან ამა თუ იმ კულტურისათვის და აღიქმებიან ძირითადად ტიპაჟებად ამ კულტურის ჩარჩოებში.

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, პროფესორი ვაჟა შუბითიძე სამართლიანად აღნიშნავს: „საქართველოც ისეთივე ევროპული ქვეყანაა, როგორც პოლონეთი, უნგრეთი ან რომელიმე სხვა მათი მსგავსი. თუ არ ჩავთვლით დმანისის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ევროპაში უძველესი ადამიანის 1,7 მილიონი წლის წინანდელ ნაშთებს, რომლის ასაკი ორჯერ აღემატება ესპანეთსა და იტალიაში აღმოჩენილ დღემდე უძველეს ანალოგებს (ატაპუერკო და ჩეპრანო, 800 ათასი წლის ასაკი), მაშინ ქართველთა ურთიერთობა ევროპულ ცივილიზაციასთან (აიეტი, მედეა, „ოქროს საწმისი“ და ბერძენთა ექსპედიცია იაზონის მეთაურობით კოლხეთში) 30 საუკუნეს ითვლის.

დიახ, საქართველო ევროპული ქვეყანაა. გამოჩენილი არქეოლოგების აზრით სწორედ აქ იწყება ევროპა. ცნობილი მეცნიერის ვარანიაკის აზრით, სინამდვილეში საქართველოდან დაიძრა ემიგრაციის პირველი დიდი ტალღა ევროპისკენ. მოგვიანებით მჭიდრო ურთიერთობები დამყარდა საქართველოსა და საბერძნეთს შორის (შავი ზღვის ქართულ სანაპიროებზე ბერძნების მიერ ქალაქების დაარსება და სავაჭრო-კულტურული ურთიერთობები).

პომპეუსმა საქართველოში რომი შემოიყვანა (ძვ. წ. 65 წლიდან) და უკვე ჩვ. წ-ის პირველ საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობა შემოიჭრა, რომელმაც მესამე-მეოთხე საუკუნეების მიჯნაზე მთელი ქვეყანა მოიცვა. ამრიგად, დასავლეთის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე საქართველო მასში მონაწილეობდა და მისი მზერა ყოველთვის მიმართული იყო დასავლეთისკენ (პეტრე იბერი, გიორგი მთაწმინდელი, მეფეები დავით IV აღმაშენებელი, თამარი, გიორგი IV ლაშა, გიორგი V ბრწყინვალე, სიმონ მეფე, თეიმურაზ, ვახტანგ VI, ერეკლე II და სხვ), ვიდრე საქართველო რუსეთმა მოტყუებით და ვერაგობით არ შეიერთა“. (იხ.: მისი ბლოგი „ევროინტეგრაცია და საქართველო“ საიტზე: http://www.for.ge).

1950 წელს ვენეციაში დაარსდა ევროპის კულტურული ასოციაცია. მისი მიზანი იყო მწერალთა, შემოქმედთა და მეცნიერთა გაერთიანება ეროვნული წარმომავლობისა და იდეოლოგიური მრწამსის მიუხედავად. საზოგადოების დამაარსებელი იყო ცნობილი იტალიელი ფილოსოფოსი უმბერტო კომპანიოლი, კომიტეტის წევრები იყვნენ თომას მანი, მარკ შაგალი, ფრანსუა მორიაკი, ჯუზეპე უნგარეტი და სხვები. 1983 წლის 7-9 ოქტომბერს ეკა-ს ვენეციის დეკლარაციაში ნათქვამია: „ევროპის კულტურული ასოციაცია აცხადებს: ჭეშმარიტი სამყარო, სამყარო, რომლისთვისაც ომი არ არის ერთადერთი ალტერნატივა, მოითხოვს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ახლებურ გააზრებას და

სოლიდარულ პასუხისმგებლობას ყოველი პიროვნების და ერის მხრიდან. იგი სოლიდარობას უცხადებს ადამიანის ღირსებას. მიაჩნია, რომ სოლიდარობის იდეის მატარებლები, პირველ რიგში, კულტურის მოღვაწენი არიან, ამიტომაც ერთიანდებიან ისინი ეკა-ში, რითიც კისრულობენ პასუხისმგებლობას, ძალა და ენერგია არ დაიშურონ იმისათვის, რომ იპოვონ გამოსავალი ცივილიზაციის კრიზისიდან. ასოციაცია ამტკიცებს, რომ კულტურის პოლიტიკის საფუძველი არის ყოველი ადამიანის პიროვნული სინდისი" (იხ. ლ. ღოღობერიძე, 800 მილიონი ევროპელის ევროპა. გაზ. „24 საათი", №97, 2005 წლის 29 აპრილი, გვ. 1).

2005 წლის 5 აპრილს, ვენეციაში, ევროპული კულტურული ასოციაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე, ამ ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, საქართველოს ელჩი ევროსაბჭოში ქ-ნი ლანა ღოღობერიძე თავის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ხაზს უსვამდა ისეთ ევროპულ ღირებულებებს, როგორიცაა: პიროვნული სინდისი, თავისუფლება, ერთობა, თანასწორობა, სამართლიანობა. სწორედ ამ ღირებულებებით ვაცნობიერებთ ჩვენ თუ რა არის ჩვენთვის ევროპა. როგორც ლანა ღოღობერიძე აღნიშნავდა, თუ ადრე ევროპასთან მიახლოება მისი ბავშვობის ოცნება იყო, ახლა ეს რეალობად იქცევა. იგი ამბობდა: „და აი, დღეს ჩვენ მივედით სადღაც იქ, სადაც გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ვცხოვრობთ ჩვენი ბავშვობის ოცნებაში.

რა არის ჩვენთვის, საბჭოთა სინამდვილიდან გამოსული ადამიანებისთვის, ევროპა? ევროპა ერთიანი, ევროპა გამთიშველი საზღვრების გარეშე, სადაც ყველას, ქვეყანას, ისევე, როგორც პიროვნებას, შეუძლია იცხოვროს თავისი თავისუფლებით. ეს ისეთი მომხიბვლელია, ხედავდე, როგორ იქმნება ერთობა ერებისა, რომლებიც ინაწილებენ საერთო ბედს; ერთობა, რომელიც სამყაროს გლობალური მოთამაშე ხდება, რომელიც არ კმაყოფილდება იმით, რომ იყოს რეგიონული ძალა ან სუპერმარკეტი; სადაც ყველა გრძნობს თავის მნიშვნელობას სხვებისთვის და თავის თანასწორობას სხვებთან. ეს ისეთი მომაჯადოებელია, წარმოიდგინო ერთიანობა ერებისა, რომლებიც ინაწილებენ საერთო სინდისს, ერთობა, სადაც ყველა ინარჩუნებს და ავითარებს თავის თვითმყოფადობას და რომელსაც ორ მატერიალისტ გიგანტს – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის – არ ეშინია იყოს ცოტათი იდეალისტი, გააერთიანოს ერები თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, გამოიყენოს თავისი კულტურული მრავალფეროვნება და მისცეს პლანეტას თავისი სიმდიდრეების სამართლიანად განაწილების მაგალითი".

ლანა ღოღობერიძე ასევე აღნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყანა აუცილებლად გახდება მისი ოცნების თანაზიარი, რომ იგი გახდება ევროპული ერთობის შემადგენელი ნაწილი. ამის

ყოველგვარი საფუძველი აქვს ჩვენს ქვეყანას: ისტორიული ღირებულებების, ცივილიზაციური რესურსების, ერის ხასიათის ღრმა გაცნობიერება გვიჩვენებს, რომ ევროპული ღირებულებები ჩვენი ღირებულებებიც არის. ქ-ნი ლანა ღოღობერიძე ამ ყოველივეს ისე შთამბეჭდავად და ნათლად გადმოსცემს, რომ თავს უფლებას ვაძლევთ მისი გამოსვლის ეს მონაკვეთი ვრცლად წარმოვადგინოთ:

„თქვენ იტყვით, რომ ეს ოცნებაა? შეიძლება. მაგრამ ეს ისეთი ოცნებაა, რომელიც ერთ დღეს სინამდვილედ იქცევა. ნუ გაგიკვირდებათ, რომ ჩვენ გვაქვს მძლავრი სურვილი, გავხდეთ ამ ოცნების თანაზიარი.

მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება ჩემი ქვეყნის აღმა და დაღმა სვლებზე მისი გრძელი ისტორიის მანძილზე. რომ დავიწყოთ პრომეთეთი, რომელმაც მოსტაცა ღმერთს ცეცხლი, რამაც მთელ კაცობრიობას მისცა შემოქმედების ბიძგი, როგორც ამბობდა გუშინ ბატონი გერემეკი; პრომეთე კავკასიონის ქედზე, ანუ საქართველოში იყო მიჯაჭვული; და ვინ იცის, იქნებ ქართველებს იმის მტკიცებაც მოუნდეთ, რომ ეს პირველი მეამბოხე ქართველი იყო? და მერე არგონავტები, რომლებიც ჩამოვიდნენ საბერძნეთიდან კოლხეთში, ანუ საქართველოში, და თან წაიღეს ოქროს საწმისი, სინამდვილეში ოქროს მოპოვებისა და დამუშავების ტრაქტატი, რაც 3000 წლის წინ ამ ქვეყნის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს; და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია – ფაქტი, რომ საქართველო ბერძნულ-რომაულ კულტურას მიეკუთვნებოდა იმთავითვე; ქრისტიანობა მე-4 საუკუნეში ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა; ამავე საუკუნით (და ზოგიერთი თეორიით, ბევრად ადრინდელით), თარიღდება ქართული ანბანი; მე-12 საუკუნის ოქროს ხანა, რენესანსის იდეები, საყოველთაოდ გავრცელებული ამ დროს, – მაშინ საქართველოში უკვე არსებობდა პარლამენტის ჩანასახი, ორგანო, საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული; სიკვდილით დასჯა გაუქმებული იყო თამარ მეფის დეკრეტით, ქალის და კაცის თანასწორობა სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედად იყო გამოცხადებული... და მერე, დარბევებისა და უკუსვლის გრძელი საუკუნეები, 200 წელი გატარებული რუსეთის და შემდეგ საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში, დამოუკიდებლობის სამი ხანმოკლე წლით; და ბოლოს, საბჭოთა კავშირის რღვევა და ტანჯვის ფასად მოპოვებული დამოუკიდებლობა, ასეთი ნანატრი საუკუნეთა მანძილზე და მაინც სავსე წინააღმდეგობებით, შეცდომებით, ბედნიერებით, მარცხითა და გაჭირვებით. ჩვენ ვერ ავიცილეთ თავიდან ვერც ერთი საფრთხე, რომელიც გველოდებოდა დამოუკიდებლობის გზაზე, და მათ შორის ყველაზე მძიმე – საკუთარ თავში ჩაკეტვისა და იზოლაციონიზმის საფრთხე, რომელმაც, საბოლოოდ, სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანა; და თუმცა დაპირისპირების წლებმა, ისტორიული თვალსაზრისით, სულ ცოტა ხანს გასტანა, ომმა

ქაოსსა და სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო. და სულ ბოლოს, ამ წელიწადნახევრის წინ, ვარდების რევოლუცია, რომელმაც გააერთიანა ერი და დაამკვიდრა ჭეშმარიტი იმედი, რომ, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილი დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოვიპოვეთ, და რომელმაც დასაბამი მისცა მძლავრ დემოკრატიულ მოძრაობებს მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

არის კიდევ ერთი რამ, რაც მთელ ამ – ისტორიულად დეტერმინირებულ – მოვლენებს თავისებურ ელფერს აძლევს, ეს არის ერის ხასიათი. მე ვფიქრობ ქართველების თვისებებზე, რომლებიც მათ ხმელთაშუა ზღვის კულტურასთან აახლოვებს, სიცოცხლის, სიყვარულის, დროსტარების, ღვინისადმი განსაკუთრებულ ლტოლვაზე, – ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ ეს ქვეყანა ღვინის აკვნად არის აღიარებული; ის სიმსუბუქე, გარკვეული თავქარიანობაც კი, რომელიც მთლად პოზიტიურ თვისებად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ რომელმაც ყველა თავსდატეხილი ქარტეხილი გადაგვატანინა; სტუმართმოყვარეობა, რომელსაც მე აღვიქვამ, როგორც გახსნილობას სხვის, მოსულის მიმართ; ისტორიულად ცნობილი ტოლერანტულობა, – თბილისში თუ ჩამოხვალთ, თქვენ აუცილებლად გაჩვენებენ მოედანს ძველ ქალაქში, სადაც საუკუნეთა მანძილზე თანაარსებობენ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, კათოლიკური ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა და გრეგორიანული ეკლესია.

მე შევეცადე დამერწმუნებინეთ, რომ ევროპული ფასეულობები უცხო არ არის ჩვენთვის, უფრო ზუსტად, რომ ისინი ჩვენი ფასეულობებიც არის". (იხ. ლ. ღოღობერიძე, 800 მილიონი ევროპელის ევროპა. გაზ. „24 საათი", №97, 2005 წლის 29 აპრილი, გვ. 1.)

სხდომაზე, რომელთან დაკავშირებითაც ჩვენ ვსაუბრობთ, ბ-ნმა არიგო ლევიმ ილაპარაკა სამ ძირითად განსხვავებაზე, რომელიც არსებობს ევროპულ ქვეყნებს შორის და რომელიც აბრკოლებს ერთა გაერთიანებას. ესენია – განსხვავებანი ცხოვრების დონეს, ტრადიციებსა და ბოლოს, ინტერესებსა და ინსტინქტებს შორის. ქ-მა ლანა ღოღობერიძემ კი აღნიშნა, რომ მას გაერთიანების გზაზე რეალურ დაბრკოლებად მხოლოდ ერთი ამ პრობლემათაგანი მიაჩნია, ესაა განსხვავება ცხოვრების დონეთა შორის (იხ. ლ. ღოღობერიძე, 800 მილიონი ევროპელის ევროპა. გაზ. „24 საათი", №97, 2005 წლის 29 აპრილი, გვ. 1) და დასძინა: „მე მგონია, რომ ეს ბუნებრივი დაძაბულობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის შეიძლება გადაილახოს, თუ ერთი მხრივ, ახლადმოსულები ნათლად გაიაზრებენ, რომ ისინი გარდამავალ პერიოდში იმყოფებიან და თავისი ქმედებები ამ მწარე რეალობას უნდა შეუფარდონ, და მეორე მხრივ, სოლიდარობის ყოვლისშემძლე და

უკეთილშობილესი პოლიტიკით, რომელიც დაეხმარება ახალ წევრებს, დაამარცხონ მათი – ისტორიული უკუღმართობით განპირობებული – ჩამორჩენა.

ამ მიზნის მისაღწევად უაღრესად ცხოველმყოფლად მიმაჩნია კულტურული ასოციაციის იდეები. სრულად ვიზიარებ ამ აზრს: იმისათვის, რომ ევროპის კავშირმა რეალური ისტორიული წონა შეიძინოს, აუცილებელია შეიქმნას ევროპელების კავშირი. ეროვპელებისა, რომელთა მენტალიტეტი სოლიდარობაზე, შემწყნარებლობაზე და სხვისი, ანუ განსხვავებულის აღიარებაზე იქნება დაფუძნებული. ეს ერთადერთი გზაა, გადავაბიჯოთ პიროვნულ და ეროვნულ ეგოიზმს, დავამარცხოთ ყველა სიკეთის და ბუნებრივი ფასეულობის გამანადგურებელი სიძულვილი, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ერთა შორის. მე ნათლად ვხედავ, როგორ შეიძლება დაგვეხმაროს კულტურის პოლიტიკა ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევაში". (იხ. ლ. ღოღობერიძე, 800 მილიონი ევროპელის ევროპა. გაზ. „24 საათი", №97, 2005 წლის 29 აპრილი, გვ. 1.)

ლანა ღოღობერიძემ გამოთქვა თავისი დასაბუთებული მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ ევროპა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. მხოლოდ ასე ითამაშებს იგი თავის შესაბამის როლს აშშ და ჩინეთს შორის. ევროპის საზღვრების შემდგომი გაფართოება ევროკავშირის რეალური სიძლიერის მულტიპლიკატორის როლს შეასრულებს. აი, კონტექსტი ავტორის სიტყვისა: „და ბოლოს: მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ევროპა შეიძლება იქცეს ნამდვილ ძლევამოსილ ერთობად და ითამაშოს თავისი მნიშვნელოვანი როლი მსოფლიოს ორ გიგანტს შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გააერთიანებს 800 მილიონ ევროპელს, რუსეთის ჩათვლით, როგორც ეს ხდება დღეს ევროპის საბჭოში (თუ დღევანდელი რუსეთის პოლიტიკა ევროპულ სულისკვეთებასთან სრულიად შეუფერებლად მიმაჩნია, – მხედველობაში მაქვს მისი პოზიცია სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით და, ყველა საერთაშორისო ნორმის საპირისპიროდ, სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერა, – ის მაინც რჩება ევროპულ ქვეყნად თავისი დიდი ლიტერატურისა და კულტურის წყალობით). მე იმედი მაქვს, რომ სწორედ ეს არის ჩვენი არც ისე შორეული საერთო მომავალი: 800 მილიონი ევროპელის კავშირი! ძვირფასო კოლეგებო, ნება მომეცით, მოგმართოთ ასეთი მესიჯით: მეტი გულისყურით მოეკიდეთ ახალი დემოკრატიების მომართვებს და სურვილებს; ნუ აიძულებთ მათ, ჩაიკეტონ თავიანთ თავში, ეს შეიძლება ყველასათვის სახიფათო აღმოჩნდეს. დამერწმუნეთ, ევროპული სოლიდარობით ვისარგებლებთ არა მხოლოდ ჩვენ, ახალი დემოკრატიის ქვეყნები, არამედ თქვენც, დასავლელები, ნახავთ სულის ჭეშმარიტი გამდიდრების შესაძლებლობას: იმ დღევანდელ და ხვალინდელ ახალ წევრებს, რომელთაც უამრავი ტანჯვა გამოიარეს თავიანთი ისტორიის მანძილზე, აქვთ სამყაროსა და მისი მომავლის

საკუთარი, თქვენგან განსხვავებული ხედვა, ხოლო ერთად შეკრებილი და გაერთიანებული სხვადასხვაობა – ეს რეალური სიძლიერეა". (იხ. ლ. ღოღობერიძე, 800 მილიონი ევროპელის ევროპა. გა. „24 საათი", №97, 2005 წლის 29 აპრილი, გვ. 1.)

2012 წლის 18 ნოემბერს სატელევიზიო არხ „მაესტროზე" გადაცემა „პრეს-პრეს"-ში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ქალბატონმა მაია ფანჯიკიძემ, გაანალიზა რა, ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანები ევროკავშირში ინტეგრირებასთან დაკავშირებით, აღნიშნა: „პირველ რიგში ის უნდა ვთქვა, რომ დასავლეთზე ორიენტაცია არის ქართველი ხალხის არჩევანი, რომელიც მისი არა მხოლოდ დამოუკიდებლობის შემდეგ არის გაცხადებული, არამედ ბევრად უფრო ისტორიულია. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ხელისუფლება საქართველოსი ორიენტირებული დასავლეთზე, რადგანაც ასრულებდა საკუთარი ხალხის ნებას. ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაატარებს ვერანაირ სხვა პოლიტიკას საქართველოში. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია ის, რომ ახალი ხელისუფლებისთვისაც დასავლეთი არის მთავარი ორიენტირი. რაც შეეხება ორხელისუფლებიანობას, მხოლოდ საგარეო პოლიტიკა არ განსაზღვრავს ქვეყნის ცხოვრებას. პირიქით, ბევრად უფრო მეტი შეხების წერტილი, კონფრონტაციის წერტილი თუ თანხმობის წერტილი შეიძლება იყოს საშინაო პოლიტიკაში. ეს საშინაო პოლიტიკა განსაზღვრავს მერე გარკვეულწილად საგარეო პოლიტიკასაც და არის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთკავშირში. აი, ერთი მაგალითი გითხარით, ის არის, რომ ევროკავშირში ინტეგრაციისთვის აუცილებელია იმ ფუნდამენტური ღირებულებების დაცვა, რომელიც ემყარება ევროკავშირის ფასეულობებს...

არსებობს რაღაცა, რის გამოც არაფერს არ დავთმობთ. ეს არის საქართველოს ინტეგრაცია, ეს არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მისი სუვერენიტეტი და ქვეყნის გამთლიანება. ასევე ის თავისუფლება, რომ საქართველოს შეუძლია თავისით აირჩიოს სად გაწევრიანდება, ხოლო თუ სად გაწევრიანდება საქართველო, ესეც ძალიან ცხადად არის ნათქვამი, ეს არის ევროკავშირი და ნატო. სხვა არანაირ კავშირში საქართველო არ გაწევრიანდება. ამიტომ სულ ტყუილად ეპატიჟებიან სხვადასხვა კავშირში, ხოლო როგორ მოხდება იმისი შეთანხმება, რომ რუსეთი არის საქართველოს ნატოში შესვლის წინააღმდეგი და, ამავე დროს, ჩვენ მასთან ურთიერთობის დალაგება გვინდა... გარკვეული ნაბიჯების შემდეგ, გარკვეული ურთიერთობის შემდეგ, გარკვეული წლების შემდეგ, რა თქმა უნდა, არავის არა აქვს იმის ილუზია, რომ ეს დღეს და ხვალ მოხდება. შეიძლება შეიცვალოს პოზიციები...

ეს ჩემი პირადი აზრია, რომელსაც მე მგონი ბევრი გაიზიარებს, რომ ის, რომ ევროკავშირი არ არის მხოლოდ ეკონომიკური გაერთიანება, ხოლო ნატო არ არის

მხოლოდ სამხედრო გაერთიანება. მე მგონი ეს საყოველთაოდ ცნობილია. ერთიც და მეორეც არის პირველ რიგში ფასეულობებზე ორიენტირებული კავშირი... არის შემთხვევები, რომ რომელიმე ქვეყანას ისე ვრ შეუსრულებია, ვთქვათ, სამხედრო ელემენტი ნატოში გაერთიანების, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ერთგულება დაუდასტურებია ამ ფასეულობების მიმართ, აღმოჩენილა ნატოში ანდა ევროკავშირში. აქედან გამომდინარე, სწორედ ეს გზაა, რომელიც ჩვენ უნდა გავიაროთ ორივე გაერთიანებაში გაწევრიანებამდე, რაც არ უნდა გრძელი იყოს, ჩვენთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ ჩვენთვის იგი პროგრესს უკავშირდება. რაც უფრო მეტად გადმოვიღებთ ჩვენ ამ ფასეულობებს და რაც უფრო მეტად გავხდით მათ ბუნებრივს ჩვენი ქვეყნისთვის და რაც უფრო მეტად ვიქნებით მათი ერთგული და ცხოვრებაში გავატარებთ ამას ყველაფერს, აღარ ჩამოვთვლი ახლა, მით უფრო კარგი იქნება ეს ქვეყანა, მათ შორის აფხაზებისთვის, ოსებისთვის, მით უფრო მიმზიდველი გავხდებით ყველასთვის. რუსეთიც ერთ მშვენიერ დღეს მიხვდება, შეიძლება ეხლა ვთქვათ, რომ ეს არ არის რეალისტური პროგნოზი, რომ სტაბილური და დემოკრატიული ქვეყანა უკეთესი მეზობელია, ვიდრე საწინააღმდეგო".

საქართველოს და ევროპას საერთო ღირებულებები აერთიანებთ. საქართველოს შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს ევროპისაგან. საქართველო ევროპის ნაწილია. საქართველომ უნდა აიღოს ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ევროპაში ინტეგრაციისთვისაა საჭირო. ჩვენ ევროპისკენ უნდა გადავდგათ ნაბიჯები.

ღირებულებების წყაროს, მისი მრავალფეროვნების და პრიორიტეტების შესახებ, მოვიყვანთ გაზეთ „კვირის პალიტრის" მიერ ჩატარებული საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგებს. (იხ.: გაზ. „კვირის პალიტრა", №18 (531), 2005 წლის 2-8 მაისი, გვ. 35.)

რეიტინგის თემა იყო „თანამედროვე ღირებულებები". კითხვას: „რა არის თქვენთვის მთავარი, ყველაზე უფრო ღირებული?" – 539 მკითხველი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 238 ქალისა და 310 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი მონაწილეობდა.

უდავოა, რომ აქ ჩამოთვლილი ყველა ღირებულება თანამედროვე ადამიანისთვის „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია", მაგრამ... საინტერესოა რა არის ქართველისათვის ყველაზე ძვირფასი. რეიტინგის შედეგები თნამედროვე ქართველის საინტერესო ფსიქოპორტრეტს გვიხატავს.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ მკითხველმა უმთავრესი ღირებულება დაასახელა – სამშობლო.

დღეს, 21-ე საუკუნის ქართველთათვის კი ფასეულობათა იერარქიას სათავეში „ოჯახი“ უდგას, რესპონდენტთა 31%-მა შეაფასა „ოჯახი“ მაქსიმალური – 9 ქულით.

შემდეგ ადგილზეა „ჯანმრთელობა“, რომელსაც სულ მცირე სხვაობით „ჩამორჩება“ „სამშობლო“. საინტერესოა, რომ ორივე მათგანი რესპონდენტთა ზუსტად ერთნაირმა რაოდენობამ 23%-მა შეაფასა მაქსიმალური შეფასებით.

რეიტინგში ასევე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა „რელიგია“, საშუალო ქულაა 5,25.

ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ჩვენი მკითხველებისათვის მატერიალური ფასეულობანი აქ ჩამოთვლილ სულიერ თუ მარადიულ ღირებულებებთან შედარებით უმნიშვნელოა – „მატერიალურ კეთილდღეობას” მხოლოდ ოთხმა მკითხველმა (0,7%) დაუწერა 9 ქულა.

ყველაზე მეტი რაოდენობის მინიმალური ქულა „დემოკრატიულ ღირებულებებს” ხვდა წილად – მკითხველთა 63%-მა მისცა მას მინიმალური შეფასება.

როგორც ვხედავთ, ოჯახი, ჯანმრთელობა და სამშობლო – თანამედროვე ქართველისთვის უმნიშვნელოვანესი ღირებულებებია. ეს ქართული სინამდვილეა, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს. თუ წინაპართათვის სამშობლო უპირველესი იყო, მას შემდეგ ოჯახი და ჯანმრთელობა მოსდევდა. სამეული (მცირე სახეცვლილებით) დღევანდელი ქართველისთვისაც იგივეა.

ღირებულებების თვალსაზრისით, განვითარებულ და განუვითარებელ ქვეყნებს შორის მთავარი სხვაობა – ადამიანია. ერთში ადამიანი არის მთავარი ღირებულება (ინდივიდის უფლებები არის ხელშეუვალი და კანონებით გარანტირებული, მას ასევე აქვს მოვალეობები, რომელიც ასევე კანონებით არის დარეგულირებული). მეორეში კი – მთავარი ღირებულება არის თემი, სახელმწიფო და საზოგადოების საჭიროებები. ასეთ საზოგადოებებში ადამიანი მნიშვნელოვანი იმდენად, რამდენადაც მას შეუძლია ამ მთავარი ღირებულების დაცვა და მისი ერთგულება.

საქართველოში კონსტიტუციით დეკლარირებულია ადამიანი, როგორც მთავარი ღირებულება, რეალურად რა ღირებულების მატარებელია საქართველოს საზოგადოება, რომელმაც საკუთარი ღირებულებების კონსტატაცია კონსტიტუციაში საჯაროდ მოახდინა?

შეიძლება გამოიყოს სამი ტიპის საზოგადოება, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ღირებულებათა სისტემა აქვს. ესენია:

1. **ტრადიციული ღირებულებები**, რომელიც აგრარულ საზოგადოებას შეესაბამება და რომლის ძირითადი მახასიათებელია ოჯახი და რელიგია, როგორც მთავარი პრიორიტეტები.

2. მოდერნული ღირებულებები, რომელიც შეესაბამება ინდუსტრიალ საზოგადოებას. ასეთი საზოგადოება ორიენტირებულია თვითგადარჩენაზე, ეკონომიკურ მოგებაზე. ინდუსტრიალიზაცია ხელს უწყობს მასობრივი პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების ჩამოყალიბებას, რასაც საბოლოოდ მივყავართ იქითკენ, რომ საზოგადოება ავითარებს მასების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ჩარევის უფრო აქტიურ ფორმებს. მოდერნული საზოგადოება მხოლოდ მაშინ შეიძლება ფუნქციონირებდეს გამართულად, როდესაც ადამიანს მიაჩნია, რომ უცხო არ არის მტერი. ბიუროკრატია და დიდი კორპორაციები ეყრდნობა ურთიერთმოქმედების პროგნოზირებად ნიმუშებს ადამიანებს შორის. ტრადიციულ საზოგადოებაში კი ნდობისა და მორალური ვალდებულებების გრძნობა არ ვრცელდება ოჯახსა და კლანს მიღმა.

3. პოსტმოდერნული ღირებულებები, რომელიც პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას შეესაბამება, ორიენტირებულია ცხოვრების სტილის დახვეწაზე და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ანუ მას შემდეგ, რაც უზრუნველყოფილია საკვებისა და ფიზიკური უსაფრთხოების მოთხოვნილებები, ყურადღება გადადის ისეთ სოციალურ მოთხოვნებზე, როგორიცაა მიკუთვნებულობა და პატივისცემა, თვითგანხორციელების პიროვნული მოთხოვნილება. ასეთი საზოგადოება ორიენტირებულია სამუშაო ადგილებისა და პოლიტიკაში გავლენის გაზრდის, თავისუფლების უზრუნველმყოფი უფლებებისა და პიროვნული თვითფორმირების შესაძლებლობების გაზრდილ მოთხოვნებზე.

საზოგადოების ეს სამი ტიპი წარმოადგენს კონსტრუქტს, იდეალისტურ ტიპს და არ არის აუცილებელი, ისინი წმინდა სახით რეალობაში შეგვხვდნენ. ამ დაყოფას მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს – ის უკეთ წარმოაჩენს განსხვავებებს სხვადასხვა საზოგადოებებს შორის, რომელიც, ცხადია, არ ამოიწურება აღნიშნული ტიპოლოგიით.

2007 წელს აღმოჩნდა, რომ საქართველო ერთდროულად განვითარების სამ სტადიაზე იმყოფება – ტრადიციულზე, მოდერნულზე და პოსტმოდერნულზეც კი. მოკლედ, ასეა – ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომლის უმრავლესობაც ოჯახის წევრებისა და ნათესავების მეტს არავის ენდობა; უნდა ძლიერი ლიდერი, რომელიც პარლამენტისთვის და მთავრობისთვის ანგარიშის გაწევით თავს არ შეიწუხებს; რომლის 81 პროცენტი მართლმადიდებელი ქრისტიანია და ამ 81 პროცენტის 48 პროცენტს სჯერა სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის; 31 პროცენტს – მკვდრედით აღდგომის, 26 პროცენტს – ეშმაკის, 13 პროცენტს – სულის, 20 პროცენტს – ჯოჯოხეთის, 14 პროცენტს – სამოთხის და რომლის მხოლოდ 5-11 პროცენტი მონაწილეობს საეკლესიო ღვთისმსახურებაში კვირაში ერთხელ; რომელიც ვერ იტანს ჰომოსექსუალებს, რომელიც არ ენდობა თავის მიერ არჩეულ არც ერთ ინსტიტუციას (პარლამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოები) და ენდობა იმ ინსტიტუტებს, რომელთა არჩევასა და დაკომპლექტებაში თავად საერთოდ არ მონაწილეობს – ეკლესიას, თავდაცვის სისტემას და განათლების სისტემას. საზოგადოების მხოლოდ 4 პროცენტისთვის არის მნიშვნელოვანი სიტყვის თავისუფლება და თავისუფალი პირადი არჩევანი. პოსტმოდერნული განვითარების ეტაპზე ვიმყოფებით ეკლესიის სოციალური როლის შეფასებისას, ანუ მნიშვნელოვან სოციალურ როლს ეკლესიას ჩვენი მოქალაქეების მხოლოდ ექვსი პროცენტი ანიჭებს.

ტრადიციული ღირებულებების ძირითადი მახასიათებელია ოჯახი და რელიგია, როგორც პრიორიტეტი.

ნიშანდობლივია, რომ ადამიანთა 93 პროცენტს ღმერთის სჯერა, მაგრამ უკვე მხოლოდ 48,9-ს სჯერა სიცოცხლის შემდეგ სიკვდილის. შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტი არ ცხოვრობს რელიგიური ცხოვრებით, მაგრამ, საკუთარ თავს რელიგიურ პიროვნებად მიიჩნევს.

ჩვენს „რელიგიურ“ საზოგადოებაში საკმაოდ მაღალია პროცენტი იმ ადამიანებისა, ვინც ამართლებს მაგალითად, მკვლელობას თავდაცვის მიზნით, აბორტს, სხვისი მანქანის დაზიანების შემთხვევაში არგამხელას და სხვ. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების უმრავლესობა აღიარებს რა საკუთარი თავის მიკუთვნებულობას გარკვეულ ღირებულებათა სისტემისადმი, სინამდვილეში, სრულიად სხვა რეალობაში ცხოვრობს.

ქართველი საზოგადოებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულებაა ტრადიცია, ოჯახი. სხვათა შორის, კითხვაზე – „აღნიშნეთ ქვემოთჩამოთვლილი პუნქტის შესახებ, თუ რამდენად მნისვნელოვანია იგი თქენთვის“ – უმრავლესობა უპირატესობას ოჯახს ანიჭებს. ეს ბუნებრივიც არის – სხვას რომ თავი დავანებოთ, საბჭოთა სინამდვილეში ოჯახი ერთადერთი საზოგადოებრივი ინსტიტუცია იყო, რომლის ნდობაც შეიძლებოდა.

რაც შეეხება, ტრადიციას – ისიც თვითმყოფადობის ერთადერთი გამოვლენა იყო. ქართველობა, სომხობა ან სხვა ნიშნავდა არა აწმყოში საკუთარი თავის განხორციელებას, არამედ გადმოცემას – მე ვარ ის, რაც ჩემი მამა-პაპა იყო.

საქართველოს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია სამუშაო (სამსახური, პოსტი) და არა შრომა, როგორც თავისთავადი ღირებულება. უმეტესობა აღიარებს, რომ ურჩევნია არ იშრომოს, თუ შემოსავლებით უზრუნველყოფილი იქნება. რაც შეეხება, პიროვნების თავისუფლებას – ამ ღირებულების მნიშვნელობაზე ძნელია ისაუბრო იქ, სადაც გამოკითხულთა 42 პროცენტი დიქტატორზე ოცნებობს, მათ შორის 9 პროცენტი კი სამხედრო დიქტატურაზე.

2.4. ღირებულებების გაუფასურება

ღირებულებები ერთ ადგილზე გაქვავებული ფენომენი არ არის. ისინი ცხოვრებისეულ ცვლილებებს განიცდიან. ზოგჯერ კი თავიანთ ჭეშმარიტ სახეს კარგავენ და უფასურდებიან კიდეც.

თავის ბლოგში „ინტელექტუალური ჰერმეტულობა ან ახალი ადამი(ანი)“ (http://www.for.ge/view.php?for_id=10583&f_cat=&a_title=inteleqtualuri+hermetuloba+anu+axali+adami(ani)) პროფ. ვ. შუბითიძე სწორედ ღირებულებათა გაუფასურებას ეხება, რისთვისაც ბრწყინვალე ესპანელი მოაზროვნის ხოსე ორტეგა ი გასეტის ესსეს იყენებს, რომელიც ავტორმა 1935 წელს გამოაქვეყნა, ქართულად კი ბაჩანა ბრეგვაძემ თარგმნა და 1993 წელს გამოიცა.

გადაგვარებული ადამიანისათვის, რომელსაც ვ. შუბითიძე „ახალ ადამს“ უწოდებს, ხოსე ორტეგა ი გასეტის აზრით, დამახასიათებელი ხდება ინტელექტუალური ჰერმეტულობა, სიხარბე, უპასუხისმგებლობა და უზნეობა. ასეთი სახეცვლილების უტყუარი მიზეზი არის ფასეულობათა გადაფასება. როგორც ვ. შუბითიძე აღნიშნავს, ახალი ადამი ყველგან თავის სიტყვას ამბობს: ისეთია როგორც ყველა, ისე ფიქრობს როგორც ყველა, ფიზიკური თვალსაზრისითაც თავს საფრთხეში არ იგდებს, გუშინ ეს რიგითი ჯარისკაცი დღეს გენერლად იქცა, საზოგადოება ახლა მხოლოდ გენერლებისგან შედგება, ცხოვრების ასპარეზზე მიჰქრის თავისი აგრესული ენერგიულობით, სიხისტით, სითამამით და უტიფრობით, ცდილობს თავისი აზრი მოახვიოს სხვებს და რაც შეიძლება მეტი წაჰგლიჯოს ცხოვრებას, თვითკმაყოფილებამ გააჩინა მასში შინაგანი ლპობის ბაცილა, ის მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს, საკუთარი თავისა და ოჯახის გარდა აღარაფერი და არავინ ადარდებს, იგი დათქმულია დღევანდელობაში, ამიტომ მას აღარ იზიდავს წარსული (რომელსაც სპეციალურად ივიწყებენ), რომელმაც ინტერესი დაკარგა ადამის თვალში, იგი მისაბაძ ნიმუშად წარსულს კი აღარ თვლის, არამედ მხოლოდ დღევანდელობას, მთლიანად დაკარგული აქვს ტრადიციულობის სული.

„ახალ ადამს“ აღარ სჭირდება წინაპრების ნორმები, წესები და ნიმუშები, ფულის მოპოვებისა და სიმდიდრის შოვნისკენ ისწრაფვის, სამშობლო მხოლოდ სუფრაზე ახსენდება, მას წიგნი აღარ სჭირდება, ხანდახან ეკლესიაშიც წავა და ცოდვასაც მოინანიებს, ოღონდ მოჩვენებით, ცოტაოდენ ქველმოქმედებასაც გასწევს, ესეც მოჩვენებითია, ქედმაღალია და, ამასთან, დათრგუნვილი, ხშირად თავის ნიჭსა და უნარს

საეჭვო ღირებულებებს ახმარს, დაკარგული აქვს საკუთარი თავისა და ძალის შეფასების უნარი, ითხოვს სულ უფრო და უფრო მეტ კეთილდღეობას, საკუთარი თავის გარდა არავის ავტორიტეტს არ ცნობს, ან მოჩვენებითად აღიარებს მას. ყოველივე ამან უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო „ახალი ადამი“. ყოველივე ამან უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო „ახალი ადამი“, გონება სულ დაეხურა რეალობის აღქმის და თვითმოქმედების უნარი წაერთვა.

ზემოაღნიშნულში კარგად არის გადმოცემული ღირებულებათა გაუფასურების დიალექტიკა. სწორედ მაშინ და იქ, როდესაც და სადაც ადამიანი მორალისა და მოვალეობისაგან დაიცლება, ღირებულებათა გაუფასურებაც იწყება და ადამიანური სამყაროს დასასრულიც ახლოვდება.

ღირებულებათა გაუფასურებას, რა თქმა უნდა, ყველგან აქვს ადგილი, მათ შორის ეკონომიკის სფეროშიც. მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე ჩამოყალიბებული ამერიკელი მომხმარებლის ქცევა იქითკენ იყო მიმართული, რომ ის უფრო მეტს ხარჯავდა, ვიდრე გამოიმუშავებდა. ერთი მხრივ, ეს ხელს უწყობდა ბიზნესის განვითარებას, ვინაიდან ქმნიდა სათანადო მოთხოვნას. ახლა კი სხვა დრო დადგა. დღემდე ჩამოყალიბებულმა ქცევამ მკვეთრი ცვლილება განიცადა. ღირებულებების ცვლილების შედეგად ამერიკელები ფინანსურ საკითხებში უეცრად დაბრძენდნენ ან წარსულის შეცდომებზე (ფულის ხელგაშლილად ხარჯვის შეცდომაზე) ისწავლეს. ეს თვით ცხოვრებამ მოითხოვა. ამერიკელებს ფულის დაზოგვის გარდა სხვა არჩევანი აღარ დარჩათ. მომჭირნედ ხარჯვამ ისინი იმაზე დააფიქრა, თუ რა არის ამ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და რა აქცევს მათ ბედნიერად. (კეტრინ რამპელი, ღირებულებების ცვლილება, „24 საათი“, 2009 წლის 19 მაისი, „ნიუ-იორკ თაიმსის“ ქართულენოვანი დამატება. გვ. 1, 3).

საქართველოს ჰიმნის ავტორი, დავით მაღრაძე, საინტერესოდ განიხილავს იმ უმთავრეს ღირებულებებს, რომელთა გათავისება და მსახურება არის უმთავრესი – „მადლი და მარილი ამა ქვეყნისა“. პოეტის აზრით, საქართველოს არცერთ მოქალაქეს არა აქვს უფლება წაუყრუოს „რაიმე ისეთს, რაც არ შეუწყობს ხელს ცისკარის ვარსკვლავის ორ ზღავს შუა გაბრწყინებას...“ ქვეყნის რეალური მდგომარეობის შემხედვარე ადამიანი აღტკინებული მეხოტბე და დიფირამბისტი ნამდვილად ვერ იქნება... „სხვის თავმოსაწონებლად ცხოვრება არ ვარგა. – საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ, – დიდებული ნათქვამია. პირიქით კი უხერხულია, რომ მუდმივად შენ ცდილობდე ამოაჩინო საქმე, რომელიც უკეთეს შემთხვევაში, მკაფიოდ არ ჩანს...“ მიუღებელია ისეთი სიმპტომების გაჩენა, როდესაც „მთავარი ის კი არ არის, რომ საქმე გაკეთდეს, არამედ ის, რომ ხალხს ეგონოს, რომ საქმე კეთდება“. და ბოლოს უმთავრესი მოსაზრება: „სახელმწიფო

შეცდომებზე მითითებით, მათი აღიარებითა და გამოსწორებით შენდება და არა ოვაციის შეძახილით“. (მაღრაძე დ. საზოგადოების ღირსება და ღირებულებები. გაზ. „24 საათი“, №91, 22 აპრილი 2005 წ., გვ. 1). როგორც კი ასე არ მოვიქცევით, უთუოდ დავცილდებით ჭეშმარიტ ღირებულებებს.

გაზ. „24 საათის“ ომბუდსმენი ნოდარ ლადარია მიიჩნევს, რომ ღირებულებებთან მიმართებაში ყველაფერი ლოგიკას უნდა ექვემდებარებოდეს. ამა თუ იმ სინამდვილეს მისი ადექვატური სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს. სიმართლის არდანახვა, ღირებულების დეფიციტი კი საზოგადოებისათვის მეტად არასახარბიელო, საეჭვო და სახიფათო რამაა. ავტორი გმობს სიძულვილსა და უნდობლობას ადამიანების მიმართ, რომელსაც ნაციონალური შუღლის გაღვივებამდე მივყავართ. პრესომბუდსმენი აღრიშნავს:

„... არა, ვერ შედის ქართველის გონებაში, რომ უფასო საუზმეები არათუ არ არსებობს, არამედ არც უნდა არსებობდეს!

მაგრამ არის კიდევ ერთი რამ, რაც განაპირობებს სინამდვილისა და სახელწოდების შეუსაბამობას საქართველოში: სიძულვილი და უნდობლობა ადამიანის მიმართ. სიძულვილი და უნდობლობა, რომელსაც საგულდაგულოდ მალავენ და ნიღბავენ. ამიტომაც არ გვეუბნებიან: „შენი ვაჟკაცობა სჭირება სამშობლოს!“ ან „მოდი, თუ გინდა თავი მამაკაცად იგრძნო!“. სულ სხვა რამეს გვეუბნებიან: კარგად შეჭამ, ინგლისურს და კომპიუტერს ისწავლი, პინგ-პონგის თამაშით გულს იჯერებ. არ გვენდობიან, გულის სიღრმეში დარწმუნებულნი არიან, რომ გაიძვერები და კომფორმისტები ვართ...

ვითარება საკმაოდ მარტივია: საზოგადოების შემაკავშირებელი ძალა ღირებულებათა ერთიანობაა. როცა ადამიანთა ჯგუფი ღირებულებათა დეფიციტს განიცდის, მათ ეთნიკური წარმოშობის ერთიანობა ჩაანაცვლებს ხოლმე. ნაციონალიზმის საფუძველიც ესაა – ღირებულებათა დეფიციტი“ (იხ. გაზ. „24 საათი“, № 131, 13 ივნისი, 2005 წ., გვ. 8).

ავტორი ასევე შენიშნავს, რომ ჩვენ „ღირებულებათა დეფიციტი“ გვაქვს ღირებულებათა სიუხვის პირობებში, მაშინ, როცა ისინი „თავზე საყრელად გვაქვს“. შექმნილია ისეთი ვითარება, როცა ჩვენივე თავმოსაწონებელი ღირებულებანი გამოუყენებელ, ფუჭ, ცარიელ იდეებად ქცეულან. ბრძენის სიტყვებით რომ ვთქვათ: „არას გარგებს სწავლულობა, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსაო“. ჩვენც სწორედ ასეთი არასასურველობა დაგვმართნია. ბატონი ნოდარ ლადარია ახლახან მოყვანილ მის აზრს ასეთ კომენტარს უმატებს:

„ვგრძნობ, რა წინააღმდეგობას გამოიწვევს ეს დებულება: როგორ, განა ღირებულებები გვაკლია ქართველებს? – გვაკლია კი არა, თავზე საყრელად გვაქვს, ჩამოთვლაც გაუჭირდება კაცს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ღირებულებები ძალიან

გაგონებს სოფლის სახლის მეორე სართულს – შერემონტებულს, მოწყობილს, ავეჯით („ვეშჩით“) გამოტენილს – მეორე სართულს, სადაც არავინ ცხოვრობს, ასვლითაც ათასში ერთელ თუ ადის ვინმე მოსაგველად და ხანდახან სტუმარს თუ გაათევინებენ ღამეს... ჩვენი ღირებულებებიც ასეთია“ (იხ. გაზ. „24 საათი“, №131, 13 ივნისი, 2005 წ., გვ. 8).

საზოგადოებაში ჯერ კიდევ ფესვგადგმული ორმაგი სტანდარტები, გულგრილობა, გაუმჭვირვალობა, არაადექვატურობა, რეალობისაგან მოწყვეტა, სიმართლის დამალვა, ავტორის აზრით, მხოლოდ ერთს ამტკიცებს: „ჩვენში საყოველთაოდ განცხადებული ღირებულებები ბუტაფორიაა და მეტი არაფერი“.

ამ ჭორს სწრაფად თუ არ მივხედეთ, ცხოვრება უაზრობად გადაიქცევა. საჭიროა დროზე დავუბრუნოთ სიტყვებს თავისი მნიშვნელობა. მხოლოდ ასე შეიძლება დავინახოთ და შევიმეცნოთ სიმართლე. სხვანაირად ეკლესიასთან ჩვენ ვერ მივალთ. ასეთ აზრს ავითარებს ომბუდსმენი, როცა კონფუციოსის სიტყვებით გვმოძღვრავს:

„მაგრამ ეს ყველაფერი იქით იყოს. ახლა სხვა რამაა სადარდებელი. ერთხელ კონფუციუსს ჰკითხეს: რას იზამდი ქვეყნიერების გადასარჩენადო? ბრძენმა უპასუხა: სატყვებს თავიანთ მნიშვნელობას დავუბრუნებდიო. როდემდე უნდა არქმევდნენ ჩვენს სინამდვილეში კახაბერს იმას, რაც სულ არა ჰგავს მას?

ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც ხულიგნობას გმირობად იხსენიებს, პოპულარული ტელეარხის მესვეურები, რომლებიც მცონარობას ამტანობად რაცხენ, მოძღვარი, რომელსაც თავისივე ეკლესიაში მოკალათებული ქურდების დასაცავად სიმართლის არდანახვა ღირსეულ საქციელად მიაჩნია – საეჭვოდ და სახიფათოდ გვანან ერთმანეთს“ (იქვე).

ჟურნალისტი ქეთევან იგნატოვა საინტერესოდ ეხება იმას, რომ ღირებულების გაუფასურება არასახელმწიფოებრივ ცხოვრებას, აზროვნებას, მორალს ნიშნავს, რაც ჩვენს ყოველდღიურობაში ვლინდება. იგი მიუთითებს, რომ ბოლო პერიოდში მას საბოლოოდ სამოუყალიბდა მოსაზრება ამის შესახებ. ავტორი სტატიის დასაწყისში ეხება დიდ გამოხმაურებას, რომელიც თბილისის მერის დანიშვნას მოჰყვა და აღნიშნავს: „ეს აზრი ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში მიყალიბდებოდა და უცნაურად, მოულოდნელად, სწორედ მერის დანიშვნა და ამასთან დაკავშირებული კომენტარები ის ბოლო წვეთი აღმოჩნდა, რომელმაც ჩემს მოკრძალებულ მოსაზრებას საბოლოო სახე მისცა. ჩემი აზრი კი იმაში მდგომარეობს, რომ იქნება ეს ოსეთის, აფხაზეთის, კორუფციის, ლიცეუმის, ჯარის, სახლების ღებვის, უნივერსიტეტის თუ ნებისმიერი სხვა საკითხი, ყველგან ერთი და იგივე პრობლემა იხატება. პრობლემა, რომელსაც სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი

ჰქვია. ნებისმიერი სამსახურიდან გათავისუფლებული, უკმაყოფილო, ოპოზიციონერი დეპუტატი თუ ბაზრობის გარემოვაჭრე, ხელოვანი თუ მეცნიერი, მწერალი თუ სამარშრუტო ტაქსის მძღოლი სახელმწიფოებრივი ხედვიდან რადიკალურად განსხვავებულ ზესუბიექტურ პოზიციაზე დგას და გარესამყაროს, მიმდინარე მოვლენებს, ცვლილებებს, წარმატებებსა და შეცდომებს თითქოს საკუთარი პაწაწინა სარკმლიდან აფასებს“ (იგნატოვა ქ. მავნე ჩვევა სუბიექტური მინარევებით. გაზ. „24 საათი“, №160, 16 ივლისი 2005 წ., გვ. 2).

ღირებულების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი ისაა, რომ იგი დიადი მიზნისკენ მიმართული, მის კალაპოტში ჩაყენებული სწრაფვაა. როგორც კი კალაპოტიდან ამოვარდება, ის უფასურდება, საზოგადოება კი გაყალბებულ პირობებში გადადის. ჩვენს დროში, ღირებულებების გაუფასურება კონკრეტულად არავისი ბრალი არ არის. იგი ჩვენმა საარსებო ადგილმა, გარემო პირობებმა და დრომ განაპირობა. ქ. იგნატოვა წერს:

„ალბათ, კონკრეტულად ეს არავის ბრალი არ არის. სამოცდაათი წელიწადი ჩვენ ყველას ერთი, საკმაოდ აბსტრაქტული, უკიდეგანო სამშობლო უნდა გვქონოდა, რომელშიც საქართველო და, მაგალითად, კომის ავტონომიური რესპუბლიკა, საკუთარი კარის მეზობელი ან თანასოფლელი და შორეული ურალის მეშახტე ერთნაირად უნდა გვყვარებოდა, ერთნაირად გაგვეთავისებინა ჭირიც და ლხინიც. გინდა თუ არა, ერთად უნდა გაგვეზიარებინა. ასეთი იყო ათწლეულების განმავლობაში ყველა ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობი საბჭოთა იდეოლოგია, რომლის მსხვერპლი, რამდენიც არ უნდა ვიბაქიბუქოთ, უმრავლესობა აღმოვჩნდით. „Родина мать” გვეძახდა და ჩვენც ყველანი ერთად ვომობდით, ვხნავდით, ვთესავდით, ვადუღებდით ფოლადს, ვმართავდით კონცერტებს, აღლუმებს, მაგრამ რა იყო ეს „Родина“, არ ვიცოდით, არ გვიყვარდა. ფაქტობრივად არაფერი გვიყვარდა, საკუთარი თავის გარდა. ჩვენ ცრუ ღირებულებების, ცრუ-პატრიორიზმის, გაუფასურებული ფასეულობებისა და გაყალბებული ისტორიის პირობებში ვიზრდებოდით. ისტორიისა, რომლის დამწერთა ნაწილი თავისივე შეთხზულს დღეს უნივერსიტეტის კიბეებზე თუ საკონსტიტუციო სასამართლოსთან ასე გულმოდგინედ იცავს. იცავს იმიტომ, რომ ერთხელ ნათქვამი ტყუილის აღიარებისთვის მისი სახელმწიფოებრივი აზროვნება საკმარისი არ არის.

მითიური, ამორფული, მოგონილი დიდი სამშობლო, საბჭოთა კავშირი, როგორც იქნა, დაინგრა და დაიწყო განუკითხაობის წლები, რომლებსაც რუსული გამოთქმა „смутные времена“ თუ მოუხდებოდა. დაიწყო საქართველოს უახლესი ისტორიის ის წლები, როდესაც თანდათან, მიზანმიმართულად ღირებულებების სრული, საბოლოო გაუფასურება, მორალის, ელემენტარული ზნეობის ნიველირება მიმდინარეობდა. საქართველოში ბოლო

თხუთმეტი წლის განმავლობაში ბატონობდა იდეოლოგია, რომლის მიხედვით ცუდი კარგი გახდა, კარგი, წესიერი კი – უბადრუკი, დასაცინი. წლები, როდესაც სახელმწიფოებრივი აზროვნებს გათელვა, მაღალი იდეალების გაშარჟება, კანონის ტოტალური, დაუფარავი დარღვევა, ცინიზმი, ურწმუნოება, ნიჰილიზმი, სკეპტიციზმი და ტყუილი, ერთი დიდი გლობალური ტყუილი მოდაში შემოვიდა და ათწლეულების განმავლობაში საბჭოეთის მიერ მომზადებულ ნიადაგზე წარმოუდგენლად იოლად დამკვიდრდა“ (იგნატოვა ქ. მავნე ჩვევა სუბიექტური მინარევებით. გაზ. „24 საათი“, №160, 16 ივლისი 2005 წ., გვ. 2).

ავტორს ღირებულებების გაუფასურების შესახებ ყოველივე ზემოთ აღნიშნულის დასაბუთებისთვის კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავს და ამ მაგალითებით თავის თეორიულ განზოგადებას უფრო დამაჯერებელს და სარწმუნოს ხდის. ქ. იგნატოვა წერს:

„ამისთვის რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს მოგიყვანთ. ელემენტარულით დავიწყებ. შუქნიშანთან წითელზე გავლა, მანქანის უხეში დარღვევებით, მაღალ სიჩქარეზე მართვა კარგი ბიჭობის, ელიტარულობის მანიშებელი იყო თუ არა? ნარკოტიკით ვაჭრობა, ნარკომანია, კბილებამდე შეიარაღებული სიარული, დაუსჯელი მკვლელობები, გამძვინვარებული კრიმინალი, ჩამშვები ძველი ბიჭები, ქურდული გაგების პოლიციელები, მექრთამე ბიუროკრატები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ბუნებრივ ნაწილს წარმოადგენდნენ თუ არა? ყოველგვარი ცოდნისა და მონაცემებს გარეშე უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება, განათლების მიღება შესაძლებელი იყო თუ არა? როდისმე გამოგვითქვამს აღშფოთება ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული სასამართლო სისტემის გროტესკულობის თაობაზე? მოდით ვაღიაროთ, რომ არა. მორჩილად ვიხდიდით ქრთამებს და ამით საკუთარ ღირსებასა და, რაც მთავარია, სახელმწიფოებრივ შეგრძნებას გთულავდით. როდისმე დავფიქრებულვართ, რომ ინსპექტორისთვის ორი ლარის, ტექბიუროში ოცი ლარის, საპასპორტოში ასი დოლარის ან ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში ელემენტარული ცნობის ასაღებად თითქოსდა უმნიშვნელო ქრთამის გადახდით საკთარი ხელით სწორედ იმას ვუთხრიდით ძირს, შევურაცხყოფდით, რასაც საქართველოს სახელმწიფო, მისი ღირსება ჰქვია? როდესმე აღგვიქვამს, რომ ელექტროენერგიის „სჩოტჩიკში“ ჩარჭობილი მავთულით, გაზის ინკასატორთან გარიგებით, გადასახადების არგადახდით ჩვენ თავსვე ვპატიობდით? მოდით ერთხელ მაინც გულახდილად ვაღიაროთ, რომ წლების განმავლობაში თითოეული ჩვენგანისთვის უშიშროება, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქსტანდარტი, მერია, პროკურატურა, გამგეობები, სასამართლო, რკინიგზა, ჯარი, სიგარეტის, ბენზინის ბიზნესი და ა.შ. მხოლოდ და მხოლოდ უკანონო ფულის კოლოსალურ წყაროს ნიშნავდა და მეტს არაფერს. ნუთუ რომელიმე ჩვენგანმა არ იცოდა, რომ ნებისმიერი საწარმოს მუშაობა

მხოლოდ „ლევზე“ იყო აწყობილი. ნუთუ ერთი ისეთი ქართველი მოიძებნება, რომელიც იტყვის, რომ კანონიერად, კაპიკ-კაპიკ იხდიდა გადასახადებს? ან კი ვისთვის, ან რატომ უნდა გადაეხადა, თუ გადასახადის გადახდა მხოლოდ საკუთარი ჯიბიდან სხვის ჯიბეში ჩადებას ნიშნავდა და სახელმწიფო, როგორც ასეთი, ამ ორმხრივ პროცესში არანაირად არ ფიგურირებდა. ნუთუ დაგვავიწყდა, რომ წლების განმავლობაში პოლიციელები ქურდებად, კანონიერი ქურდები მოსამართლეებად, მოსამართლეები კრიმინალებად, კრიმინალები გმირებად, გმირები, ანუ არსებული რეალობის მიუხედავად წესიერად მცხოვრებნი, იდიოტებად იყვნენ გამოცხადებულნი? უამრავი ამგვარი წვრილ-წვრილი, წლების განმავლობაში ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელი მაგალითების მოყვანა შემიძლია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თითოეულ ქართველს ეს ყველაფერი ჩემზე არანაკლებად კარგად ახსოვს, აწუხებს და აღარ უნდა“ (იგნატოვა ქ. მავნე ჩვევა სუბიექტური მინარევებით. გაზ. „24 საათი“, №160, 16 ივლისი 2005 წ., გვ. 2).

ცხოვრება ისეთ საზოგადოებაში, სადაც ჭეშმარიტი ღირებულებები გაუფასურებულია და ყველაფერი გაუკუღმართებულია, ადამიანებისთვის გაუსაძლისი და აუტანელი ხდება. მის დაბრუნებას დიდი ძალისხმევა, დაუღალავი ბრძოლა და დრო სჭირება. მხოლოდ ასე შეიძლება დავამკვიდროთ თამაშის მხოლოდ ერთი წესი – კანონი და სახელმწიფოებრივი აზროვნება. ქ. იგნატოვა თავის მთავარ აზრს ასე აბოლოებს:

„პირადად მე აღარ მინდა ყველასათვის უცნობ, უპატივცემულო, მსოფლიოს ქვეყნების კორუმპირებულობისა და ცხოვრების დონის ამსახველი სიის ბოლო ადგილზე მყოფ ამორფულ ტერიტორიაზე ცხოვრება. მე მინდა, რომ ამ ტერიტორიას სახელმწიფოს რეალური კონტური ჰქონდეს და მე კი მისი ამაყი მოქალაქე ვიყო. დღეს ამის რეალური შანსი გაგვიჩნდა და ეს ალბათ ყველასაც უნდა, მაგრამ ერთია სურვილი და მეორეა ჩვევა. სამწუხაროდ, არსებობს უამრავი ისეთი მავნე ჩვევა, რომელთანაც ბრძოლა, სურვილის მიუხედავად, მაინც ძალიან ძნელია. სიგარეტის მოწევას მთელი გულით მინდა თავი დავანებო და არ გამომდის, და როგორ უნდა მოთხოვო ცალკეულ ადამიანებს, რომ ერთ-ორ წელიწადში ათწლეულების განმავლობაში გამომუშავებულ ჩვევას – არასახელმწიფოებრივ ცხოვრებას, აზროვნებას, მორალს ასე იოლად, ერთი ხელის მოსმით შეელიონ.... თბილისის ახალი მერის დანიშვნასთან დაკავშირებით გაკეთებული კომენტარების მოსმენისას რატომღაც აშკარად დავინახე, მივხვდი, რომ ხელისუფლების დაუნდობელი კრიტიკა, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების სურვილი, მოდა, კარგი ტონი კი არ არის, როგორც აქამდე მეგონა, არამედ ელემენტარული თვითგადარჩენის სურვილი, სუბიექტური კომფორტისთვის ბრძოლაა და მეტი არაფერი. ბრძოლა, რომელიც, სამწუხაროდ, თავის მოტყუებას უფრო წააგავს, თუმცა ისევე, როგორც ის ცრუ

სიმყუდროვე, რომელთან განშორება ასე უჭირთ, მაგრამ რომელთანაც შელევა, უნდათ თუ არა, მაინც მოუწევთ. ამის გაგებას, დაჯერებას კი დრო უნდა.

საქართველო სახელმწიფო გახდა და მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ნებისმიერ სახელმწიფოს თამაშის მხოლოდ ერთი წესი აქვს – კანონი და მხოლოდ ერთი ხედვა – სახელმწიფოებრივი" (იგნატოვა ქ. მავნე ჩვევა სუბიექტური მინარევებით. გაზ. „24 საათი", №160, 16 ივლისი 2005 წ., გვ. 2).

ისტორიაში ბევრია იმის მაგალითი, როდესაც ღირებულებები უფასურდება. ავიღოთ, თუნდაც, ისეთი უზარმაზარი პოტენციალის ქვეყანა, როგორიც ირანია. ამ ქვეყანას ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ მისი მოქალაქეები თავისუფლად და ბედნიერად ცხოვრობდნენ, თუმცა, უმეტესწილად, ყველაფერი პირიქითაა. ამის დასადასტურებლად შეიძლება დავიმოწმოთ ნობელის პრემიის ორგზის ნომინანტის, რიშარდ კაპუშჩინსკის ლიერატურული შედევრი „შაჰინშაჰი". ეს წიგნი ქართულად თარგმნა პოლონეთის კულტურის დამსახურებულმა მოღვაწემ, ცნობილმა მთარგმნელმა, ეკონომისტმა, პროფესორმა ამბროსი გრიშიკაშვილმა, რომელიც 2012 წელს გამოიცა და, რომელიც ირანში გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს დატრიალებულ მოვლენებს ეხება. ჩვენ მოგვეცა საშუალება, რომ ეს დიდებული შედევრი მშობლიურ ენაზეც წვიკითხოთ. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებას იმის მიხედვით აქმევენ თავის ნამდვილ სახეს, რა ღირებულებებსაც ის ატარებს, როგორი ღირებულებებითაც მისი კულტურა არის გამსჭვალული. ეხება რა, ირანში დამკვიდრებულ ანტიღირებულებებს, იმას, თუ როგორ უფასურდება ჭეშმარიტი ღირებლებანი ირანის სინამდვილეში, ანუ როგორ ხდება ხალხის ინტერესებიდან განდგომა, მისი არაფრად ჩაგდება, პირადი ეგოისტური მისწრაფებების წინ წამოწევა საკუთარი მოქალაქეების მიწასთან გასწორების, მათი ფუნდამენტური უფლებების ფეხქვეშ გათელვის გამო, ამ ღირებულებებით ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის გამსჭვალვის ნიადაგზე, ცნობილი ბლოგერი, პროფესორი ზურაბ მარშანია აღნიშნავს: „ერთი ირანელი მეორეს არაფერს უთმობს არასოდეს. მას პირველობა სურს, ისწრაფვის, თავისი შეხედულებები სხვას მოახვიოს თავზე. მე! მე! მე! მე პირველი ვარ, შენ - მეორე, შენ კი კვლავ მესამედ რჩები. ის მეორე და მესამე კი, არ კმაყოფილდებიან თავიანთი ბედით და დაუყოვნებლივ იწყებენ ინტრიგების ხლართვას. სწორედ ასეთი თამაშის წესების გამო ვერ ხერხდებოდა ვერასოდეს ირანში სოლიდური ოპოზიციური პარტიის შექმნა, რამეთუ პარტიის შიგნით დაუყოვნებლივ იწყებოდა ერთმანეთს შორის ძიძგილი, ბრძოლა ლიდერობისათვის. ამ ქვეყანაში ყველა და ყოველთვის საკუთარი პარტიის ჩამოყალიბებას ლამობდა.

ვერცერთ შემთხვევას ვერ გაიხსენებთ ისტორიაში, ხალხს რომ დაეტირებინოს ირანში თავისი შაჰი და საბოლოო განსასვენებლამდე ტირილითა და მოთქმით გაეცილებინოს. ირანის ყველა შაჰმა თანამდებობა და სიცოცხლეც კი გაურკვეველ ვითარებაში დაკარგა. ხალხი მათ საშინელ ადამიანებად მიიჩნევდა, სულმდაბლობაში ადანაშაულებდა, მათ თანამდებობიდან გადადგომას სიხარულის შეძახილებითა და წყევლით ხვდებოდა. შაჰის სიკვდილი კი, როგორც წესი, ქვეშევრდომების ზეიმის საბაბი ხდებოდა.

ახალაყსაყდრებული შაჰი ჩვეულებრივ ასე შედიოდა ხოლმე ირანის დედაქალაქში - ერთ მხარეს რუსეთის ელჩი უმშვენებდაგვერდს, ხოლო მეორეს კი – ბრიტანეთისა. ასე იყო მაშინაც, როდესაც ირანის ბოლო მონარქის - მუჰამედ რეზა ფეჰლევის მამა, რეზა შაჰი შევიდა თეირანში. მისმა შვილმა - მუჰამედ რეზა ფეჰლევი მაცირანისათვის ტრადიციად ქცეულ სტილში, 1941 წელს, რუსულ-ბრიტანული „ხიშტების“ მეშვეობით დაიმკვიდრა ძალაუფლება მამის ტახტიდან გადაყენებისა და გადასახლების შემდეგ.“ (http://www.for.ge/view.php?for_id=10567&f_cat=&a_title=reminiscencia+riSard+kapuSCinskis+stilSi)

საზოგადოების თანამედროვე ტრანსფორმაციის პროცესში ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა ის არის, როგორ შევინარჩუნოთ, როგორ ვიხსნათ გაუფასურებისაგან ის ღირებულებები, რომელთა გარეშე ჩვენ ფონს ვერ გავალთ, ან განვსაზღვროთ, ის ფუნდამენტური ღირებულებები, რომელთა გარეშე შეუძლებელია ჰუმანური განვითარება, სიკეთის ზრდა საზოგადოებაში. ამ საკითხებზე საინტერესო და ფუძემდებლური მოსაზრებები აქვს ჩამოყალიბებული პროფესორ გიორგი მალაშხიას თავის წიგნში „ადამიანური ეკონომიკა“, რომელიც 2009 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა (მალაშხია გ. ადამიანური ეკონომიკა, სანქტ-პეტერბურგი, თბილისი, 2009).

როგორც პროფ. გ. მალაშხია აღნიშნავს, ობიექტური ფაქტორების (შინაგანი წანამძღვრების) დომინირებული როლის დროს სისტემის ტრანსფორმაცია, როგორც წესი, მიმდინარეობს სპონტანურად, ადაპტურად, გარეშე ძალების მიერ მკაფიოდ გამოვლენილი წაბიძგების და მკვეთრი ცვლილებების გარეშე. იგი მიმდინარეობს მწყობრად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოების ცხოვრებაში ხდება მნიშვნელოვანი ძვრები.

მართლაც, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ისტორიული პროცესი – სხვადასხვა მასშტაბის **ტრანსფორმაციათა ჯაჭვია** სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ღრმა კონსერვატიზმი და ხანგრძლივი სტაგნაცია მიუღებელია ცივილიზაციისთვის, მისი შინაგანი კანონების მიხედვით ცვლილებები აუცილებელია. მაგრამ ისტორია არ მიმდინარეობს უბრალო სწორხაზოვანი სქემით. იგი რთულია, ცხოვრებაში უშვებს ზიგზაგებს, შერეულ და ბუნდოვან ფორმებსაც კი. ტრანსფორმაცია არსებობს საყოველთაო

და ლოკალური მასშტაბის, იგი მოიცავს ქვეყნების ჯგუფს, ცალკეულ ქვეყნებს ან საზოგადოების ცხოვრების მხარეებს.

დღეს ტრანსფორმაცია მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში, მათ შორის მრავალი წინააღმდეგობრიობის გამო, განსაკუთრებით კი ახალ ცივილიზაციურ ტენდენციებსა და ძველებს, ასევე კონსერვატიულ ურთიერთობებსა და ცხოვრების წესს შორის, წამყვან კაპიტალისტურებში. სოციალურ-ეკონომიკურ სისტემათა ტრანსფორმაცია ცალკეულ ქვეყნებში შეიძლება გამოწვეული იყოს არა მარტო შინაგანი ფაქტორებით, არამედ ამ ქვეყნებში ცხოვრების რეალიათა შეუსაბამობით ცივილიზაციის გლობალური კანონების საერთო მოთხოვნებთან, ასევე კაცობრიობის მოწინავე ნაწილის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების დონესთან, თავისუფლების და დემოკრატიის ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან. მწვავე კრიზისი, რომელიც განსაკუთრებით მძაფრად ეხება ადამიანთა ინტერესებს, შეიძლება წარმოიშვას ცხოვრების გარკვეულ სფეროებში. ასე მაგალითად, ტრანსფორმაციის მიზეზი ხდება მოქალაქეობრივ თავისუფლებათა, დემოკრატიის შეზღუდვა და ა.შ.

მიმდინარე ტრანსფორმაციის და მათი შედეგების **შეფასების კრიტერიუმია ჰუმანური განვითარება – სიკეთის გაზრდა საზოგადოებაში, ანუ ის, როგორ შეესაბამება ცხოვრება და მისი ცვლილებები ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს – ზნეობას, სამართლიანობას, თავისუფლებას, ჭეშმარიტებას და სხვ.** ისტორიული პროცესის ანალიზი და საზოგადოებრივი ფორმების ტრანსფორმაცია უნდა მიმდინარეობდეს სწორედ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს, საყოველთაო იდეალებს და მთელი ხალხის ინტერესებს და არა მოსახლეობის ცალკეული ფენების მიზნებსა და მოთხოვნილებებს. შევნიშნავთ, რომ საუბარია ამ ფასეულობების **ჭეშმარიტ გაგებაზე,** ვინაიდან ადამიანებს და მთელ კაცობრიობას ყოველთვის ახასიათებდა ამ ფასეულობების, ფაქტების შეფასებისა და ცხოვრების პროცესების გაგებაში ცდომილება. ხშირად ყურადღებას ამახვილებენ მოვლენის მხოლოდ ერთ დადებით მხარეზე და დუმან მეორეზე, უარყოფითზე. არასწორი წარმოდგენა საგნებზე, სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენათა ბუნებასა და არსზე, ხდება დიდი დაბრკოლება, ზოგჯერ კი საფრთხეც კი ცხოვრების პროგრესის გზაზე.

ეს ხდება სოციალური მოვლენების შინაგანი ბუნების გახსნის სირთულის გამო, ზოგჯერ მათი შენიღბულობის გამოც, სირთულით „აწონ-დაწონო“ კარგი და ცუდი, შეაღწიო მათ სიღრმეებში. თვით გენიოს ადამიანებსაც კი მონობა და ბატონყმობა ეჩვენებოდათ ნორმალურ მოვლენად, ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე წარმომადგენლებს კი განაწილებითი ურთიერთობების აღმაშფოთებელი უსამართლობა

(კეინსი), მონოპოლიათა თვითნებობა, სპეკულაცია ბირჟებზე, დამთრგუნველი დაქირავებული შრომა და ა.შ. მიაჩნიათ როგორც სრულიად ნორმალური, კანონზომიერი და მისაღები მოვლენა.

პროფ. გ. მალაშხია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ დღესდღეობით, მნიშვნელოვანია გავაკეთოთ სწორი დასკვნა საბაზრო ეკონომიკის ადგილის, ბუნების და პერსპექტივების შესახებ **ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების „სარკეში“**. განზოგადებული სახით, ამ ფასეულობების თვალსაზრისით, თანამედროვე (საბაზრო) ეკონომიკა შეიძლებოდა დაგვეხასიათებინა შემდეგი სახით.

ცხრილი 1

თანამედროვე ეკონომიკა ფუნდამენტური ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების „სარკეში“

კრიტერიუმები (მარადიული, ფუნდამენტური ფასეულობები)	**ძირითადი ნაკლოვანებები შევიწროვება.**
ზნეობრიობა	მარადიული ზნეობრივი ნორმებისა და პრინციპებიდან გადახვევა ეკონომიკური სარგებლის მისაღებად, ადამიანურ ურთიერთობათა „გაცივება“, აგრესიის გაძლიერება ადამიანებს შორის, პატიოსნების, მოკრძალებულობის, სულიერების და ა.შ
სამართლიანობა	დოვლათის უსამართლო განაწილება, ქონებრივი მდგომარეობით მოსახლეობის კოლოსალური დიფერენციაცია, რომელიც არ შეესაბამება ამ ქონების მფლობელების წვლილს საზოგადოებრივი დოვლათის შექმნაში; დოვლათის დაუმსახურებელი მითვისება ცალკეული ადამიანების მიერ საბაზრო მექანიზმების დახმარებით.
თავისუფლება	ადამიანების პოლიტიკურ თავისუფლებათა და დემოკრატიულ უფლებათა პირობითობა (არასრულფასოვნება), ამ უფლებების და თავისუფლებების გარკვეული ილუზორულობა, მათი დამოკიდებულება საბაზრო წესებზე; მდიდართა ყოვლისშემძლეობა.
ჭეშმარიტება	სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ჭეშმარიტი ბუნების დამახინჯება, უპირველეს ყოვლისა, საბაზრო და განმანაწილებელი, აგრეთვე საკუთრების ხასიათის; მატერიალურ დოვლათთა მნიშვნელობის გადაფასება და სულიერი და სოციალური დოვლათის დაუფასებლობა.

ცხოვრების სილამაზე (ესთეტიკურობა)	ადამიანთა ფასეულობითი ორიენტაციის და ქცევის სიმახინჯე, ურთიერთობა მათ შორის (დაუნდობელი კონკურენციული ბრძოლა, სხვა აგრესიული მოქმედებები); საბაზრო მენტალიტეტის შეუსაბამობა ჰუმანურობასა და ესთეტიკურ იდეალებთან; რისკიანი სიტუაციის დომინირება ცხოვრებაში, პერსპექტივის გაურკვევლობა.

ის, რომ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ვამჩნევთ ადამიანებს შორის ჰუმანური დამოკიდებულების ფაქტებს, ადამიანთა ინტერესების დაცვას, ადამიანების ურთიერთდახმარებას და ისინი ავლენენ სოლიდარულობას, კეთილმოსურნეობას ერთმანეთის მიმართ და ა.შ. – ყოველივე ეს ადამიანურობის გენეტიკური რესურსია, რომელიც არასოდეს ქრება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს აუცილებელი პირობაა თვით კაცობრიობის არსებობისთვის. საბაზრო ურთიერთობებთან კი ეს თვისებები დაკავშირებული არაა.

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარე, პროფ. გ. მალაშხია აკეთებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ იმ ქვეყნების განვითარების თანამედროვე ეტაპი, რომლებმაც განიცადა პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია, უნდა გახდეს გადასასვლელი **ჰუმანური განვითარების** რელსებზე, ქცევის საბაზრო წესების განურჩეველი ბატონობის უარყოფაზე, პოსტსაბაზრო ეპოქისკენ. ასეთია პროფ. გ. მალაშხიას ძირითადი მოსაზრებანი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ბოლოს, ზემოთ განხილულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გავაკეთოთ შემდგი დასკვნა. „ღირებულება“ შეიძლება ორი მხრივ წარმოვიდგინოთ. მის ერთ ნაწილს, რაც მისაღებია, რამაც გაიარა გამოცდა თავის განხორციელების პროცესში და ადასტურებს, რომ სწორი გზით მივდივართ თუ არასწორი ორიენტირი აგვირჩევია, ანუ რასაც უკვე მივაღწიეთ და განვახორციელეთ, რაც უკვე გამოცდილია, ძველია და აპრობირებული, ზოგჯერ კონსერვატიულს უწოდებენ. XVIII საუკუნის ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე ედმუნდ ბურკე იმ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რომელიც კაცობრიობამ მრავალი საუკუნის განმავლობაში დააგროვა, „**კაცობრიობის „გონს**“ უწოდებდა (იხ.: ოთ. ფანასკერტელ-ციციშვილი, ლიბერალიზმი – სამყაროს გადამრჩენი, თუ – პირიქით. „საქართველოს რესპუბლიკა“, №130, 13 ივლისი, 2010, გვ. 3-4), რაც ის არის, რაც უნდა გვინდოდეს. ამასთან ერთად, ღირებულებას მეორე მხარეც აქვს – ახალი, ცვალებადი, არააპრობირებული, გამოუცდელი, განუხორციელებელი ნაწილი, ანუ ის, რაც უნდა გვინდოდეს. ღირებულებები ისაა, რომელსაც ადეკვატურად, იდეალურად ჩვენ ვერასოდეს ვერ ვაღწევთ. ღირებულებები ერთ წერტილში გაჩერებული არაა. ასე რომ

იყოს, დაიძვრებოდი მისკენ და ოდესღაც მიაღწევდი კიდევაც. მაგრამ დღეს რაც გვინდა, ანუ რისკენაც მივდივართ, ვიდრე მას განვახორციელებდეთ, მისი „კოორდინატები“ უკვე შეცვლილია და ამიტომაც, ჩვენ უკვე ეს შეცვლილი უნდა გვინდოდეს.

2.5. ღირებულებათა გაზიარების ისტორიული გაკვეთილები

„ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს...
რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს
დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას“.
ილია ჭავჭავაძე

კაცობრიობისის ისტორიის დასკვნებსა და გაკვეთილებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი ჩვენი სწორი, სწრაფი და უშეცდომო განვითარების ორიენტირები არიან. დასკვნები წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების შესახებ შესაძენი ისტორიული გამოცდილების სისტემატიზებულ კონსტატაციას. როგორც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია აღნიშნული, დასკვნა მსჯელობის შედეგად მიღებული მოკლედ ჩამოყალიბებული საბოლოო აზრია. დასკვნა, როგორც წმინდა ილია მართალი იტყოდა, არის: „გრძლად თქმულის მოკლედ გამონასკვა“. გაკვეთილი კი არის გამოცდილება, რომელიც სხვას გამოადგება. ცხადია, რომ მარტო დასკვნებით არ უნდა შემოვიფარგლოთ. ამის ორი მიზეზი არსებობს. 1. ისტორიული გამოცდილება უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, თუმცა, დასკვნებში კონცენტრირებულია მისი შემაჯამებელი არსი. 2. ქვეყნის ყველა მცხოვრები სწავლების პროცესში ცხოვრებაში გადის სამოქალაქო ქმნადობას და ეუფლება კიდეც მას, კერძოდ, ეკონომიკის ისტორიას არა იმდენად იმისათვის, რომ ჩააბაროს გამოცდა, რამდენადაც იმისათვის, რომ გამოიტანოს ზოგი გაკვეთილი, რომელიც შეიძლება გამოიყენოს და გაითვალისწინონ თავიანთ შემდგომ ცხოვრებაში. ეს გაკვეთილები კი დასკვნებზე უფრო მდიდარია.

მაშ ასე, ალბათ ჯერ ეკონომიკური განვითარების ისტორიული გამოცდილების დასკვნებით უნდა დავიწყოთ.

1. ეკონომიკური განვითარება სამ უმთავრეს წანამძღვარს ეფუძნება. იმისათვის, რომ ამუშავდეს მანქანა, სახელწოდებით „პროგრესი“ (ე. ი.

ერთობლივად განვითარდნენ მეცნიერება და ეკონომიკა), უნდა დაკმაყოფილდეს სამი პირობა.

პირველი პირობა – საზოგადოებაში უნდა იყოს ადამიანთა საკმაო რაოდენობა, რომლებიც დაკავებულნი იქნებიან ინფორმაციის დამუშავებით, ახალი ცოდნის მოპოვებით და ტექნოლოგიურ ინოვაციებამდე მისი მიყვანით. ამისათვის, ეკონომიკამ უნდა შექმნას საკმაო პროდუქცია, რათა მისი წევრების ნაწილი გათავისუფლდეს დღიური ლუკმის მოპოვების რუტინული შრომისაგან.

ცოდნის და ტექნოლოგიური ინოვაციების წარმოება განხორციელდება ავტომატურად, თუკი სამეცნიერო და საგამომგონებლო საქმიანობისაკენ მიდრეკილ ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა შემოქმედებითი შრომისა, როცა შეძლებენ გამოკვლევებისათვის აუცილებელ მოწყობილობებთან მიღწევას. აქედან გამომდინარეობს მეორე პირობის შესრულების აუცილებლობა – ეკონომიკა უნდა იყოს იმგვარად ორგანიზებული, რომ ადამიანებს, რომელთაც ბუნებით ბოძებული აქვთ მეცნიერების ან გამომგონებლის ტალანტი, შეეძლოთ შრომა მეცნიერებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების შემუშავებისას. ამისათვის აუცილებელია არსებობდეს ეკონომიკური ინსტიტუტები, რომლებიც ისე გადაანაწილებენ საზოგადოებრივ სიმდიდრეს, რომ უზრუნველყოფენ მეცნიერების ამა თუ იმ დარგში მუშაობით. ეკლესიამ საკუთარი უზრუნველყოფის საკითხები გადაწყვიტა მეცნიერებამდე დიდი ხნით ადრე, როცა დააწესა სოციალური საგადასახადო სისტემა, მაგალითად, საეკლესიო დესეტინა და გამოყო მღვდელ-მსახურები განსაკუთრებულ წოდებად, რაც არა მარტო განტკიცდა კანონებში, არამედ წეს-ჩვეულებებითაც დამკვიდრდა. მეცნიერება განათლებასთან ყოველთვის იყო მჭიდროდ დაკავშირებული, ე. ი. ბაზრის ენით რომ ვთქვათ, ცოდნის ყიდვის სფეროსთან. სწორედ საგანმანათლებლო ინსტიტუტები და ორგანიზაციები აძლევდნენ მეცნიერებას განვითარების საშუალებას. შუა საუკუნეებიდან დაწყებული სამეცნიერო სკოლები ვითარდებოდნენ უნივერსტეტებთან. სამეცნიერო ცოდნა მხოლოდ ახლანდელ დროს გამოვიდა უშუალოდ ტექნოლოგიური ინოვაციების ბაზარზე. წარმატებული განვითარებისათვის აუცილებელია ეკონომიკური ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოებას ტექნოლოგიური ინოვაციებით.

ისტორიაში ჩვენ არაერთხელ შევხვედრივართ ისეთ სიტუაციებს, როცა ტექნოლოგიური ინოვაციები სწორად ტარდებოდა, ჰქონდათ სავსებით

საკმარისი ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა, მაგრამ ეკონომიკური განვითარება პრაქტიკულად არ იყო. როგორც აღმოჩნდა, აუცილებელია კიდევ ერთი, მესამე პირობის შესრულება: საზოგადოებას უნდა გააჩნდეს ღირებულებათა სისტემა, ის მიზანდასახულობანი, რომლებიც სტიმულს მისცემენ ეკონომიკის განვითარებას. სწორედ გაბატონებული ცივილიზაციური იდეოლოგია, განხილული როგორც ღირებულებების, ქცევის ნორმების და მსოფლიო აღქმის საშუალებების სისტემა, განასხვავებს ერთ ცივილიზაციას მეორისაგან.

2. ეკონომიკის განვითარების საფუძველს შეადგენს: შრომის დანაწილება (ეს შესაძლებლობას იძლევა რაც შეიძლება პროდუქტიულად იქნეს გამოყენებული ადამიანის უნარი და ნიჭი, რის მეოხებითაც ხდება პირადი ინტერესების შეხამება საზოგადოებრივთან; მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, ხელოსნობა, ვაჭრობა და მშენებლობა წარმოიქმნა უძველეს დროში, მაგრამ შეადგინეს ახალი, ბარბაროსულთან შედარებით, ეკონომიკური ცხოვრების საფუძველი და წარმოშვას ცივილიზაციის განვითარების მატერიალური ბაზა);

შრომის პროდუქტების წარმოება სხვა პროდუქტებზე გასაცვლელად (რაც ქმნის რეგიონურ ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების საფუძველს);

კერძო საკუთრების არსებობა ყველა სიმდიდრის წყაროზე – მიწაზე, თავისი არაორგანული და ორგანული კომპონენტებითურთ (რაც იწვევს მესაკუთრეთა და მწარმოებელთა ეკონომიკურ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების საჭიროებას);

ფულის გამოგონების მეოხებით გაცვლიდან ევოლუციონიზებული ვაჭრობა (რომელიც ქმნის წანაძღვრებს მსოფლიო ეკონომიკური სივრცის ორგანიზაციისა და ფუნქციონირებისათვის);

საზოგადოების ფენობრივი დაყოფა (ბუნებრივი მოვლენაა ადამიანთა ცხოვრებაში, რომელიც განპირობებულია საკუთრების წარმოშობით, არსებობით, საქმიანობით);

სახელმწიფოებრიობა (წარმოიშვა როგორც ადამიანისა და მისი ქონების დაცვის საზოგადოებრივი მოთხოვნილება და გადაიქცა ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირების საჭირო ატრიბუტად, რომელშიც მოიაზრება რელიგია, იდეოლოგია და კულტურა);

დაბეგვრა (ნებისმიერი სახელმწიფოს საბაზისო ელემენტი, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო ძალებზე მაღლა მდგომი მისი სტრუქტურების ფუნქციონირებას);

ფენობრივი ჯგუფების პროფესიონალიზმი (ერთი მხრივ, ქმნის სამომხმარებლო ბაზარზე საკონკურენციო ბრძოლაში თავის გადარჩენის პირობებს და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მათ გარკვეულ დახშულობასა და კასტურობას; ამის ბუნებრივი პირობაა პროფესიული სწავლება);

ხალხის სწავლა-განათლება (გულისხმობს ცოდნის გადაცემას მოზარდი თაობებისათვის ცხოვრების შესახებ და უზრუნველყოფს ახალგაზრდობის მიერ თავისი შესაძლებლობებისა და მისწრაფებების ადეკვატური საქმიანობის არჩევას).

3. კაცობრიობის განვითარების ხელშემწყობი მოტივი და მამოძრავებელი ძალაა ადამიანის, როგორც ჰომო საპიენს-ის მოთხოვნილებანი, რომლებიც შეიცავს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ კომპონენტებს (ანტიკურ რომშიც კი პლებეები მოითხოვდნენ „პურსა და სანახაობას“), რომლებიც დროთა განმავლობაში გადაიქცა კულტურის ცნებად, როგორც საზოგადოების მიერ მატერიალიზებული გარემო, რათა ადამიანს ხორცი შეესხა თავისი ნიჭის რეალიზაციის შესაძლებლობებისათვის მატერიალური წარმოების სფეროს გარეშე.

4. მოსახლეობის რიცხვის ზრდის პირობებში ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საჭიროებას მოჰყვა ეკონომიკური ფაქტორების, რესურსების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების, ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების ინტენსიური (ტემპიანი) განვითარება; ჯგუფებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ძალების განვითარებას, საზოგადოებაში დიდი წონა შეიძინა, მათმა ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ კი გამოიწვია იმ მისწრაფებების ინიცირება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს როგორც თავისი სიმდიდრის (ქონებრივი მდგომარეობის) დაცვა-შენახვა და ხელშეუხებლობა, ისე სახელმწიფოს მართვის საქმეში მონაწილეობის უფლებათა პოლიტიკური აღიარებაც. თვითმპყრობელობის ფორმულა „სახელმწიფო – ეს მე ვარ“ საწარმოო ძალების განვითარებასთან შეიცვალა ჯერ იდეით, შემდეგ კი კანონთა უზენაესობისა და ხელისუფლების განაწილების კონცეფციით.

5. საზოგადოებაში თავისუფლებისა და საჯაროობის უქონლობა ნიშნავს მის განუვითარებლობას და, როგორც წესი, უმაღლესი ხელისუფლების ტოტალურობის ნიშანია. საჯაროობა – ეს არის საყოველთაო საერო განათლება და ხალხის ინფორმირება მათ შორის სახელმწიფოს არსისა და მიზნების, მისი სტრუქტურებისა და მათი მუშაკების, მათი „არამწარმოებლური“ ფუნქციონირების შესახებ, რაც განაპირობებს ქვეყნის

მოსახლეობის წინაშე ეკონომიკური პასუხისმგებლობის საჭიროებას. ამიტომაც საზოგადოებამ უნდა მიიღოს და შეათანხმოს მისი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, რაც XXI საუკუნეში ცივილიზაციის ჩვეულებრივ ელემენტად ყალიბდება.

ასეთია დასკვნები, რომლის შემდეგაც აუცილებლად გაკვეთილებზე უნდა გადავიდეთ.

გაკვეთილი პირველი. რეალური ეკონომიკური ცხოვრების ანალიზისა და შეფასების დროს უნდა გავითვალისწინოთ განსახილველი რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების წესი. ამ ფაქტორზე გავლენას ახდენენ რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი, მიწის სავარგულების ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულთა არსებობა, მცხოვრებთა ტრადიციები და რწმენა. შემთხვევით როდი მოჰყვა მიწათმოქმედებას ბინადრობა. ბინადრობამ ხელი შეუწყო ხელოსნობასა და მშენებლობას, ვაჭრობას. წარმოიქმნა ქალაქები, რომლებმაც გზა გაუხსნეს საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, კომფორტსა და კულტურას. და როცა ცვილიზაციაზე ვლაპარაკობთ, უნებურად ვგულისხმობთ ცხოვრების ქალაქურ პირობებს. საზოგადოებასთან ადამიანის ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების აღწერისას ბიბლიასა და ყურანშიც ნათლად ჩანს ცხოვრების ბინადრობისა თუ მომთაბარეობის წესის გავლენა. თანამედროვე პოლიტეკონომიის ფუძემდებელმა პეტიმ „ტრაქტატში გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ“ მოათავსა მთელი თავი „სასჯელების შესახებ“, რომელშიც წერს: „ჩვეულებრივი სასჯელები, ფულადი ჯარიმების გარდა, არის სიკვდილი, სახიჩრობა, პატიმრობა, საჯარო პატივაყრა, ფიზიკური ტკივილის მიყენება და წამება. ფულად ჯარიმებს ჩვენ უფრო მტკიცედ მოვითხოვთ, ხოლო დანარჩენთ მხოლოდ იმისათვის შევეხებით, რომ განვიხილოთ, შეიძლება თუ არა ისინი შეიცვალოს ჯარიმებით...“. თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობის საგანგებო მრავალფეროვნება განისაზღვრება, უწინარეს ყოვლისა, განსხვავებებით სხვადასხვა ქვეყნაში მოსახლე ადამიანთა ცხოვრების წესში.

გაკვეთილი მეორე. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება პირველს და არსებით გავლენას ახდენს მასზე, არის რეგიონის მოსახლეობის რწმენა, მისი რელიგია. მსოფლიოში არსებობს 6 ძირითადი რელიგია. ორი მათგანი (ინდუიზმი და ბუდიზმი) წარმოიშვა სამი ათას წელზე მეტი ხნის წინათ (ამ რელიგიებს მისდევს ამჟამად შესაბამისად 500 და 300 მილიონი ადამიანი), ორი (ზოროასტრიზმი და კონფუციანობა) –

2,5 ათას წელზე მეტი ხნის წინათ (300 და 200 მილიონი ადამიანი), ორი ათას წელზე მეტი ხნის წინათ წარმოიშვა ქრისტიანობა (მას აღიარებს მილიარდი ადამიანი), 1400 წლის წინათ – ისლამი (აღიარებს 600 მილიონი ადამიანი). დაახლოებით 50-50 მილიონი ადამიანი აღიარებს დაოიზმს, სინტოიზმს, იუდაიზმს. არსებობს მრავალი ათასობით „მცირე“ რელიგია და სარწმუნოება (წარმართობიდან ათეიზმამდე). რელიგიები, რომლებიც არსებითად განსაზღვრავენ ადამიანის მსოფლმხედველობასა და ზნეობრიობას, ბუნებრივ ზეგავლენას ახდენენ ცხოვრების წესზეც: საკმარისია, გავიხსენოთ ფართოდ ცნობილი მაგალითები შაბათს მუშაობის აკრძალვა (იუდაიზმი), საკვებად ღორის ხორცის გამოყენების აკრძალვა (ისლამი), ძროხების წმინდანად აღიარება (ინდუიზმი). ისტორიაში ბევრია საეკლესიო დოგმატების დაძლევის მაგალითი (ჰენრიხ VIII ინგლისში, რეფორმაციის მთელი ისტორია და სხვ.), მაგრამ უქმდებოდა არა რელიგია, როგორც ასეთი, არამედ ერთი დოგმატი მეორით იცვლებოდა. და თუმცა, თანამედროვე ცივილიზაცია ავიწროებს და ატრანსფორმირებს ბევრ რელიგიურ წესს, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ორთოდოქსებისა და რელიგიური აფეთქებების გავლენა, ისლამური „ფუნდამენტალიზმის“ მსგავსად.

გაკვეთილი მესამე. მეორე დასკვნა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტ მომენტად მიიჩნევს ადამიანის მოთხოვნილებებს. მათგან ყველაზე ბუნებრივი და საყოველთაო (მისი ისტორიული „პირველადობის“ გამო) არის ეკონომიკური ინტერესები. ეს მთავარი, მაგრამ ერთადერთი ძალა როდია. თანამედროვე პირობებში ეს ინტერესები შეიძლება განვმარტოთ როგორც პირადი, ისე საკუთარი ოჯახებისათვის სამომხმარებლო კალათის უზრუნველყოფის საჭიროება. ადამიანი მუდამ ცდილობს გამოავლინოს და ხორცი შეასხას თავის უნარს – ესეც განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. და თუ საზოგადოებრივი მოწყობა ასეთ შესაძლებლობას იძლევა, მაშასადამე, იგი ფუნქციონირებს, არ თრგუნავს პიროვნებას და მისი „აღმზრდელობითი“ ფუნქციები შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ადამიანთა შორის ეკონომიკური ურთიერთობის საფუძვლების განმარტებით, სადაც არსებობს კონკურენცია და მომხმარებლისათვის მუშაობის საჭიროება, სადაც არავინ არ არის ვალდებული ცხოვრების გზა გაგიკვალოს, – ეს პირადად შენი საზრუნავია. საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოვალეობაა უზრუნველყონ თავიანთი მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა: ყველა რევოლუცია ხდებოდა

თავისუფლებისათვის (შევიწროების წინააღმდეგ) – საკმარისია გავიხსენოთ საფრანგეთის 1789 წლის დიდი რევოლუციის ლიბერტე, ეგალიტე, ფრატეზნიტე და ა. პუშკინი, რომელმაც თავის „სასტიკ საუკუნეში“ „ადიდა თავისუფლება“ და წერდა:

„ჩემი სახელით აივსება დიდი
რუსეთი,
ყოველი ერი შემინახავს
დამახსოვრებით,
სლავთა მემკვიდრე, და ფინელი
და ტუნგუსელი,
კალმიკი, ტრამალ ველთა მცხოვრები.
მოყვარულ ხალხში არ
მოკვდება ჩემი სუფევა,
რადგან სიკეთეს უგალობდა
ჩემი ჩონგური,
რადგან ვადიდე ჩვენ სასტიკ დროს
თავისუფლება,
და შევივრდომე ყველა
ჩაგრული“.

პოლიტიკური თავისუფლება შეიძლება „გამოცხადდეს“ „დეკრეტითაც“; ეკონომიკურს კი სჭირდება კანონებიც, ყოველდღიური ახსნა-განმარტებითი მუშაობაც. საზოგადოების ფუნქციონირების ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შეასხამს ხორცს მისი ყველა წევრი თავის ნიჭსა და უნარს. ბავშვები ბედნიერები არიან ნებისმიერი საზოგადოებრივი წყობილების დროს (ისინი ვერ შეადარებენ და შეაფასებენ თავისი ეპოქის „ისტორიულობასა“ და „როლს“), ახალგაზრდობა მუდამ აქტიურად შემტევია (მან ხომ უნდა მოაწყოს თავისი ცხოვრება და ეს არის იმის გარანტია, რომ კაცობრიობის განვითარება არ შეჩერდება), „მოზრდილთა“ მოვალეობა კი ისაა, რომ გაანათლოს მოზარდი თაობა ამ ტერმინის ყველაზე „წმინდა“ გაგებით (არსებობა, მრავალმხრივობა, ობიექტურობა, ისტორიული და „ეკონომიკური“ პერსპექტიულობა).

გაკვეთილი მეოთხე დაკავშირებულია სხვადასხვა სახელისუფლო სტრუქტურების როგორც სახელმწიფოს ხერხემლის, ფორმირების გაგებასთან. ხელისუფლების მთავარი ეკონომიკური ფუნქცია ის არის, რომ მოაწესრიგოს

ეკონომიკური ურთიერთობანი, მათ შორის სახელმწიფო საკუთრებასთან დაკავშირებითაც (რომელიც ნებისმიერ ხელისუფლებას სურს რომ ჰქონდეს). ხელისუფლება ყოველთვის იყოფა უმაღლეს და ადგილობრივ ხელისუფლებად; პირველს იმიტომაც ეწოდება უმაღლესი, რომ იგი თავს უყრის სახელმწიფო რესურსებს. ძალისმიერი სტრუქტურების მოსამსახურენი (მოხელეები) თითოეული სახელმწიფოს განუყრელი ატრიბუტია და არსებითად შეადგენენ კორპორაციულ (პრაქტიკულად – წოდებრივ) ჯგუფს. დაპირისპირებას უმაღლეს და ადგილობრივ ხელისუფალთა შორის საკმაოდ სტაბილური ხასიათი აქვს, რასაც განსაზღვრავს თავად ტერმინი „ხელისუფლება“. უმაღლესი ხელისუფლების ურთიერთობა საზოგადოებასთან (ხალხთან) შეიძლება ცხადვყოთ სტალინის განთქმული გამონათქვამით: „ჰიტლერები მიდიან და მოდიან, გერმანელი ხალხი, გერმანიის სახელმწიფო კი რჩებიან“. თუ ამ გამონათქვამში „ჰიტლერებს“ შევცვლით „ბელადებით“, „გერმანელ ხალხს“ კი ნებისმიერი სხვა ხალხით (ანდა უბრალოდ ამოვიღებთ ამ სიტყვას) – მივიღებთ უფრო ვრცელ და სამართლიან ფორმულას. სწორედ ეს (და ამის მსგავსი ისტორიული ექსკურსები) იძლევა შესაძლებლობას ჩამოვაყალიბოთ ერთი შეხედვით პარადოქსული ჰიპოთეზა, რომ „უბრალო ხალხისათვის“ საერთოდ სულერთია, თუ რა სახელწოდებისაა უმაღლესი ხელისუფლება და რამდენ ხანს იმყოფებიან მისი ხელმძღვანელები პოსტზე: მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ ეს ხელისუფლება თავის ქვეშევრდომებს ადამიანებად მიიჩნევდეს, პატივს სცემდეს მათს ეკონომიკურ ინტერესებს და უზრუნველყოფდეს ეკონომიკის სტაბილურ განუხრელ განვითარებას (საკმარისია შევადაროთ „შვიდეულის“ წევრი ქვეყნების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოწყობას). ე. წ. „სახელმწიფო ინტერესებს“ აყალიბებენ პოლიტიკანები, ხალხს ამასთან მეტად არაპირდაპირი დამოკიდებულება აქვთ.

გაკვეთილი მეხუთე. გერმანელმა მკვლევარმა, ფრიდრიხ რატცელმა, განავითარა რა სახელმწიფოებრიობის იდეა, აღნიშნა, რომ სახელმწიფო დედამიწის ზურგზე არის ცხოვრების გავრცელების ერთ-ერთი ფორმა. სამი მთავარი ცხოვრებისეული ელემენტის – მიწის, ნიადაგის და ხალხის სიმბიოთეკური ურთიერთკავშირის შედეგად სახელმწიფო იღებს თავის ორგანიზაციულ ფორმას, თავის ორგანიკულ შინაარსს (ამიტომაც მის თეორიას მეორენაირად უწოდებენ „ორგანიკულსაც“). რატცელის მოსაზრებით: სახელმწიფო არის ცოცხალი ორგანიზმი, სადაც დედამიწის ზედაპირის საკმაოდ ცნობილი ნაწილი მასში თამაშობს ისეთ მნიშვნელოვან როლს, რომ

სახელმწიფოს ყველა თვისება განისაზღვრება მასში მცხოვრები ხალხის თავისებურებებით და მისი ტერიტორიებით. ასეთ ტერიტორიულ ან ნამდვილ, ბუნებრივ თავისებურებებს წარმოადგენს სიდიდე, მდებარეობა, ზედაპირის ფორმები, მცენარეულობა და მორწყვობა, დამოკიდებულება დედამიწის ზედაპირის სხვა ნაწილებთან, მაგრამ, როდესაც ვსაუბრობთ „ჩვენს მიწაზე“, ჩვენ ვაკავშირებთ ჩვენს წარმოდგენაში აღნიშნულ თავისებურებებს, ასევე იმას, რაც შეიქმნა ამ მიწისაგან ადამიანის მიერ საკუთარი შრომის ფასად. აქ წარმოჩინდება უკვე კარგად ცნობილი მიწის სულიერი კავშირი ჩვენთან, მის სხვა მცხოვრებლებთან და მთელ ჩვენს ისტორიასთან“. შემდგომში რატცელმა თავის თეორიას უწოდა „ბიოგეოგრაფიული კონცეფცია“. არსებობს მხოლოდ ორი „აბსოლუტური“ სიმდიდრე: მიწა (თავისი რესურსებით) და მასზე მცხოვრები ადამიანები. ეს რესურსები რომ მოქმედებდეს, მიწას ამუშავებენ, ადამიანებს კი ასწავლიან; კაცობრიობას ჯერჯერობით სხვა არაფერი არ მოუგონია. ერთიც და მეორეც განუწყვეტლივ იხვეწება, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ყურადღება და სათუთი დამოკიდებულება სჭირდება (ყველა დანარჩენი სიმდიდრე ხომ ამ ძირითადისაგან არის წარმოებული). ადამიანები ქმნიან სახელმწიფო (ეროვნულ) სიმდიდრეს, კაპიტალს, მათ შორის ნაკლებად მოსავლიანი ნიადაგის ნაყოფიერებას, მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს, კულტურას და მთელ ცივილიზაციას. და სწორედ ეს შეიძლება იყოს როგორც საკუთრივ დაბეგვრის პოლიტიკის, ისე მთელი სახელმწიფო საშინაო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საბაზო საფუძველი. საკუთარ სახელმწიფოში უცხოელ ოსტატთა და სპეციალისტთა მოწვევის (დაქირავების) პრაქტიკას შორეულ (ახალ ერამდე დიდი ხნით ადრე) წარსულში აქვს ფესვი გადგმული. უცხოელ სპეციალისტებს იყენებს ყველა სახელმწიფო და ეს მსოფლიო თანამეგობრობის ცხოვრების ყოველდღიური ნორმა გახდა.

გაკვეთილი მეექვსე. ნებისმიერი საზოგადოება (ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობა) წარმოადგენს მრავალწოდებრივ ფორმატს. უკვე ძველ ეგვიპტეში (ჩვენს ერამდე სამი ათასი წლით ადრე) მცხოვრებნი ოთხ წოდებად იყვნენ დაყოფილი, და ეს ფარაონისა და „სახელმწიფოს“ ახირება კი არ იყო, არამედ თუ რა ადგილი ეკავა ადამიანს ეკონომიკაში და ტომების არსებობის საზოგადოებრივ სტრუქტურაში, რომლებიც ეგვიპტის ხალხად იყვნენ გაერთიანებულნი. ხელოსნობისა და ქალაქების განვითარებამ, საოკეანო ნაოსნობამ და მსოფლიო ვაჭრობამ, სამრეწველო რევოლუციამ და

ინდუსტრიალიზაციამ, სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლამ და მეცნიერების ჩართვამ საწარმოო ძალებში მრავალგზის გაზარდა პროფესიის რიცხვი. საწარმოო ძალების მეცნიერული ანალიზის დროს ცნებათა აბსტრაჰირებისა და გარკვეული გამსხვილების საჭიროებამ ადამ სმითს გაუჩინა აზრი, რომ შემოეღო პოლიტეკონომიკური ტერმინი „კლასი“; ტერმინი, რომელსაც იყენებენ უკვე 200 წელზე მეტ ხანს და აპოგეამდე მიიყვანა მარქსიზმ-ლენინიზმმა და ჯერაც არ გამქრალა, თუმცა თვით ე.წ. სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკურმა ცხოვრებამ უარყო მისი პრაქტიკული ვარგისიანობა თვით სახელმწიფო მართვისათვის (პარტიაში შემსვლელი ავსებდა გრაფას „წარმოშობა“ თავის მშობლების მიხედვით, რაც უზრუნველყოფდა მუშათა საჭირო „პროცენტს“ პარტიებში, რომლის ჰიმნი იყო ინტერნაციონალი, ხოლო სოციალური დასაყრდენი – „მშიერთა და მონთა მთელი მსოფლიო“). რუსეთის 1897 წლის მოსახლეობის აღწერის დროს გამოყოფილი იყო 8 წოდება, ამასთან შედეგებში მითითებულია, რომ მოსახლეობის 0,3 პროცენტი „სხვა წოდებათა“ პირებია. მეფის რუსეთისათვის წოდებრივი კუთვნილება განსაზღვრავდა სახელმწიფოსთან ადამიანის ურთიერთობას. საბჭოთა „კლასობრივმა“ მიდგომამ ეს საკითხი კიდევ უფრო გააბუნდოვნა, რადგან ინდუსტრიალიზაციამ და საწარმოო ძალების განვითარებამ რეალურად წარმოშვეს მრავალრიცხოვანი წოდებრივი ჯგუფები (განსაკუთრებით, „გონებრივი შრომის“ მუშაკთა, ეგრეთწოდებულ „ფენაში“ ორ კლასს შორის). ვისაც ამაში გარკვევა სურს, დაე, გააანალიზოს კრებულები: „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა...“, „ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო თანამდებობანი“ (1989) და „საერთო საკავშირო კლასიფიკატორი. მუშათა პროფესიები, მოსამსახურეთა თანამდებობანი და სატარიფო განაკვეთები“ (1991), ამასთან თავიდან ყურადღება დაუთმონ იმას, რომ მათში არ არის აღნიშნული პარტიული ორგანოების თანამდებობანი (რომლებიც სახელმწიფო ორგანოების „გარეშე“, უფრო ზუსტად კი სახელმწიფო ორგანოებს თავზე „ასხედან“). სსრ კავშირის ხელმძღვანელებისათვის ეს ხელსაყრელი იყო, რადგან ადამიანთა მიერ ჯგუფური სოციალური ინტერესების დაცვის უფლება იცვლებოდა „მოწინავე კლასისა“ და მისი „ავანგარდის“ ინტერესებით; ყველა დანარჩენი ან „გადმონაშთია“, ან „მტრის ხრიკები“. სახელმწიფოს ამგვარმა მოწყობამ არ გაამართლა, რის წინასწარმეტყველება პრინციპულად შეიძლებოდა თუნდაც პარტიის მაგალითით, რომელიც ყოველგვარ ორგანიზაციულ ხრიკებსაც (მათ

შორის შედავათებსაც) მიმართავდა, რათა „მუშურის“ სახელი გაემართლებინა. ისტორიულად ანალოგიური ბედი ხვდათ წილად სოციალიზმის „მოძმე“ ქვეყნების სხვა კომუნისტურ პარტიებსაც (თუ რუსეთის ფედერაციის კომპარტია თანახმაა მიიღოს თავის რიგებში მორწმუნენი, მას კომუნისტური პარტია ვეღარ ეწოდება).

გაკვეთილი მეშვიდე მთელი ისტორია, რომელსაც ვსწავლობთ, არსებითად რეფორმების ისტორიაა და ეს ბუნებრივიცაა, სახელმწიფო მშენებლობა, ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სრულყოფა ისევე უსასრულოა, როგორც თავად განვითარება (რეფორმირება იმანენტურად დამახასიათებელია განვითარებისათვის). ბევრნი, მათ შორის მეცნიერებიც, ხშირად რეფორმათა პერიოდებს „გარდამავალ“ პერიოდად ნათლავენ. მიგვაჩნია, რომ ეს საკმარისად დასაბუთებული არ არის, რადან მმართველები, რომლებიც არ ახორციელებენ რეფორმებს (ესე იგი არ აუმჯობესებენ) თავიანთ სახელისუფლო სისტემას, მათ უძრაობისთვის და, ბუნებრივია, ეკონომიკური განვითარების ტემპების შემცირებისათვის სწირავენ (ამის შედეგად შემდეგი მმართველები იძულებულნი ხდებიან გაცდენილი დრო აანაზღაურონ და რეფორმები უფრო მკაცრი მეთოდებით წარმართონ). ამიტომ ეკონომიკური ისტორია (ყოველ შემთხვევაში, „ახალი“, კოლუმბისშემდგომი დროის) შეიძლება წარმოვიდგინოთ განუხრელი განვითარების (განუწყვეტლივ რეფორმირებული) სახით ცალკეული (მთელ რიგ ქვეყნებში) უძრაობის „მოედნებით“, რომლებიც ფესვგამჯდარი უქნარობის პერიოდებს ახასიათებს... ამრიგად, რეფორმები:

- ხორციელდება კონკრეტული სოციალური ჯგუფების ინტერესებისათვის (ძნელია მოიძებნოს მაგალითები, როცა რეფორმა ყველასათვის ერთნაირად იყოს სასარგებლო); ხშირად ეს გარკვეულწილად ლახავს მოსახლეობის სხვა ჯგუფების ინტერესებს;
- წარმატებულია მაშინ, როცა ისინი გამოწვე-ულია საზოგადოების შინაგანი განვითარების მოთხოვნებით, წარმოადგენს სოციალურ საჭიროებას, ესე იგი, შეუძლიათ შეამსუბუქონ („გაამარტივონ“) ვიღაცის ცხოვრება და ხელი შეუწყონ ადამიანის პოტენციალის უფრო პრო-დუქტიულ გამოყენებას. ნებისმიერი სოცი-ალურ-ეკონომიკური რეფორმის შედეგები საწარმოო ძალების განვითარებაა. თუ იგი დაჩქარებულია, მაშასადამე, რეფორმა „შედგა“ და რეფორმატორმა სწორად შეაფასა ვითარება საზოგადოებაში და მისი მოთხოვნილებანი;

- ფული ღირს და ხშირად ეს ხარჯები მეტად მნიშვნელოვანია. ბატონყმობის გაუქმება რუ-სეთში უდავოდ სოციალურ-ეკონომიკური რე-ფორმაა, მაგრამ მან ხაზინისაგან „მოითხოვა“ 500 მილიონი მანეთი (რაც ბიუჯეტის შემო-სავლის ნაწილის 20 პროცენტზე მეტია) მარტო მემამულეებისათვის გამოსასყიდი გადასახ-დელებისათვის, რომლებსაც თავდაპირველად ხალისით როდი კისრულობდა სახელმწიფო;
- შეძლებისდაგვარად კომპლექსური უნდა იყოს და მოიცავდეს სარეფორმო ობიექტის ყველა მხარეს. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, რადგან იგი კარდინალურად ცვლიდა ქვეყნის საზოგადოებრივ წყობილებას, ალექსანდრე მეორემ განახორციელა რეფორმათა მთელი „პაკეტი“, ურომლისოდაც უბრალოდ შეუძ-ლებელი იქნებოდა სამოქალაქო საზოგადოების შექმნა და „უამპაკეტოთ“ თვით ბატონყმობის გაუქმებას ქანცი გამოსცლოდა და შეეწყვიტა არსებობა;
- უმაღლესი ხელისუფლების მიერ განხორცი-ელებული რეფორმები გამორიცხავენ რევო-ლუციების შესაძლებლობას, რომელთა დროს უნებურად იღუპებიან ადამიანებიც და მატერი-ალური ფასეულობანიც, ადამიანებმა რომ შექმნეს (ასე რომ, შემდეგ გამარჯვებულები იძულებულნი არიან აღადგინონ დანგრეული და გაჩანაგებული). სამართლიანია უკუთეზისიც: ნებისმიერი სოციალური რევოლუცია „ორიანს“ უწერს უმაღლესი ხელისუფლების მოქმედებას იმის გამო, რომ მას უნარი არ შესწევს გადაჭრას თავისი ხალხის პრობლემები. უმაღ-ლესი ხელისუფლების კრახი სულაც არ არის კატასტროფა ხალხის ცხოვრებაში.

აი, ორი ისტორიული მაგალითი. 1768 წლის ივნისში ქრისტიან მეშვიდის (დანიისა და ნორვეგიის მეფე) სამეფო ქირურგად დაინიშნა 31 წლის ექიმი იოჰან ფრიდრიხ სტრუენზე; ორწლინახევრის შემდეგ იგი პირველი მინისტრი და დედოფლის ფავორიტი გახდა, რაც ფაქტობრივად მოწმობდა, რომ მის ხელში იყო მთელი ძალაუფლება (რადგან მეფე მძიმედ იყო ავად; დედოფალი კი მხოლოდ 19 წლისა იყო). 4 სექტემბერს სტრუენზემ დაიწყო კანონშემოქმედებითი მოღვაწეობა. პირველი ბრძანებულება აცხადებდა, რომ თავადის წოდება ენიჭებოდათ მხოლოდ ერთგული სამსახურისა და დამსახურებისათვის; მეორე ეხებოდა პრესის თავისუფლებასა და ცენზურის გაუქმებას. ყველაზე „რევოლუციურ“ ბრძანებულებათა შორის იყო: საიდუმლო საბჭოს გაუქმება, სასამართლოს რეორგანიზაცია (საჯაროობა და

დამოუკიდებლობა, სასამართლოს წინაშე დაცვა და ყველას თანასწორობა), ქურდობისათვის სიკვდილით დასჯის გაუქმება, ფიზიკური დასჯის, მიკერძოებით წამებისა და დაკითხვების გაუქმება, კუდიანთა პროცესების აკრძალვა, სინდისის სრული თავისუფლების გამოცხადება, უქორწინო შვილების დისკრიმინაციის აკრძალვა, ალიმენტების შემოღება და სხვ. თავისი მართვა-გამგეობის 18 წლის მანძილზე სტრუენზემ გამოსცა 1069 (!) კანონი. ფინალი კი როგორი იყო? 1772 წლის იანვარში დანიელმა თავადაზნაურობამ გადატრიალება მოაწყო. სტრუენზეს ბრალად დასდეს კავშირი დედოფალთან და სიკვდილით დასაჯეს. ეს არის იდეალისტური ცდის საგულისხმო მაგალითი, თუ როგორ უნდოდათ განეხორციელებინათ „მონარქის კავშირი ფილოსოფოსთან“ ისე, რომ არ ჰქონოდათ დასაყრდენი რომელიმე სოციალურ ჯგუფთან.

მეორე, არანაკლებ საინტერესო და ჭკუის სასწავლი „პარალელი“. სტოლიპინის აგრარული რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე უდავო შეფასება ის არის, რომ მას სურდა შეექმნა საყრდენი თვითმპყრობელობისათვის სოფლად დამოუკიდებლად მოქმედი შეძლებული გლეხების (მოგვიანებით მათ „კულაკები“ ეწოდათ) სახით. საბჭოთა ენციკლოპედია ახასიათებს მათ როგორც ყველაზე „მხეც, უხეშ და ველურ“ ექსპლოატატორებს, ამტკიცებდა, რომ XIX საუკუნის დამლევისათვის მათი რიცხვი არ აღემატებოდა გლეხური კომლების ერთ მეხუდეთს, ამასთან აწარმოებდა სასაქონლო პურის 50 პროცენტს და ფლობდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების (წარმოების იარაღების) და სავაჭრო-სამრეწველო საწარმოების უმრავლესობას სოფლად, აგრეთვე იუწყება, რომ ისინი იყვნენ, პროლეტარული რევოლუციის შეურიგებელი მტრები“. თითქოსდა ყველაფერი ნათელია. მაგრამ შემოვიდა ნეპი (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა). ლენინის წინადადებით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიამ „მწვანე შუქი“ მისცა სასურსათო გადასახადს სურსათის განაწილების ნაცვლად და თავისუფლება მიანიჭა გლეხებს (მათი 97 პროცენტი კი მეურნეობრიობას ეწეოდა ინდივიდუალურად, ესე იგი დამოუკიდებლად) საბაზრო, ესეიგი თავისუფალი ფასებისათვის, საკუთარი პროდუქციით ვაჭრობისათვის. 1926-1927 სამეურნეო წელს გლეხური მეურნეობების 35 პროცენტი, როგორც „ღარიბები“, გაათავისუფლეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან. რას ნიშნავდა ეს? ეს ნიშნავდა, რომ ახალგაზრდა საბჭოთა („პროლეტარულ“) სახელმწიფოს აპურებდა გლეხური კომლების მხოლოდ ორი მესამედი, რომ ეს ორი მესამედი დამოუკიდებლად

მეურნე გლეხები გახდნენ „ძლიერები“. მაშ, რაღა იყო საჭირო, რომ მათთვის კულაკები ეწოდებინათ?..

ამრიგად, სოციალური წყობილებით ორი სხვადასხვა სახელმწიფოს (თვითმყრობელური რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის) ორი სხვადასხვა მთავრობის ორმა მეთაურმა სასოფლო-სამეურნეო პრობლემის გადასაჭრელად ქვეყნისათვის ძნელ დროს აირჩია ერთი და იგივე გზა – სახელმწიფოსთან მწარმოებლის საბაზრო ურთიერთობის გზა.

გაკვეთილი მერვე. XIX საუკუნეში მკვეთრად გაიზარდა მეცნიერების როლი. დიდმა ნაპოლეონმა აქაც გამოიჩინა თავი. 1809 წელს მან გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო შაპის ტელეგრაფზე უფრო სწრაფი და უფრო საიდუმლო კავშირის სისტემა. ამიტომაც მიმართა დახმარებისათვის გერმანელ მეცნიერ-გამომგონებელს ს. ტ. ფონ ზიომერინგს; მან კი გამოიგონა ელექტროტელეგრაფი (ეს არის პირველი დოკუმენტურად დაფიქსირებული შემთხვევა, როცა შესრულდა კვლევითი სამუშაო დასახულ თემაზე, შეკვეთით). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამან დასაბამი მისცა ეგრეთ წოდებულ „გამოყენებით“ მეცნიერებას („აკადემიურისაგან“ განსხვავებით). საუკუნის ბოლომდე არც ერთი მსხვილი ფირმა არ დარჩენილა, რომ არ ჰქონოდა სამეცნიერო-კვლევითი ქვეგანაყოფები. XX საუკუნის შუა ხანებისათვის კი მეცნიერება გადაიქცა უშუალო საწარმოო ძალად: მეცნიერთა აღმოჩენები ქმნიდნენ ბაზას ახალი წარმოებებისა და მთელი დარგების განვითარებისათვის, სამომხმარებლო ბაზარმა კი მიიღო უამრავი მოულოდნელი საქონელი და მომსახურება, რომლებზეც პროგნოზისტებსა და მწერალ-ფანტასტებსაც კი არ უოცნებიათ. მაგრამ მეცნიერება, მის შემოქმედთა მაღალი განათლებისა და მათი დიდი ინტელექტუალური პოტენციალის გამო, ინარჩუნებს საზოგადოების სულიერი ცხოვრების (უბრალოდ კულტურისაც) შემადგენელი კომპონენტის როლს; მისი განვითარება სავარაუდო იქნება, თუ არ განხორციელდება და უზრუნველყოფილი მთელი ხალხის განათლება. ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით მათ შორის განათლების სოციალურ-ეკონომიკურ როლსაც: მოქალაქეებმა უნდა ისწავლონ (იყვნენ განსწავლული) სახელმწიფო სტრუქტურების მოქმედებისა და განზრახვის გაგება და ფხიზელი შეფასება, – განათლება კი სკოლიდან იწყება. საზოგადოებაში ურთიერთგაგების განვითარების მიზნით საჭიროა, რომ სტაბილურად ქვეყნდებოდეს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ეკონომიკის განვითარების შესახებ – იმ პირობით, თუ

მაჩვენებლები და კრიტერიუმები შეთანხმებული და გასაგები იქნება ადამიანებისათვის. მაგალითად: სამომხმარებლო კალათა, საქმიანი აქტიურობა, ეროვნული შემოსავალი და სხვ. (მათ შორის საზოგადოების ყველა წევრისათვის „კულტურის“ ხელმისაწვდომობაც). ნათქვამი შესაძლებლობას გვაძლევს ვიოცნებოთ სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ნაწილის ფორმირებისადმი პრინციპულად ახალ მიდგომაზე: ჯერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებანი (ბავშვები, განათლება, ჯანმრთელობა და ა.შ.), შემდეგ კი („ნარჩენების პრინციპის” მიხედვით დაგეგმილი შემოსავლის დარჩენილი ნაწილი) – სახელმწიფო „აპარატის,“ შეიარაღებული ძალების, საგარეო-პოლიტიკური და სხვა ორგანოების შესანახად.

გაკვეთილი მეცხრე – სოციალური მშვიდობის შესახებ ეკონომიკის რეფორმირებამ (მეცხრამეტე საუკუნის შემდგომი მოვლენები) ცხადყო, რომ ომები და რევოლუციები (რომლებიც ანგრევენ დამკვიდრებულ საზოგადოებრივ წყობილებას სახელმწიფოში) ხელს როდი უწყობს ეკონომიკის განვითარებას. მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც ამ განვლილმა პერიოდმა დაამტკიცა, ის არის, რომ სოციალური მშვიდობა საზოგადოებაში საჭიროა და არის ლამის ძირითადი მასტაბილიზებელი ფაქტორი, განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისებიდან გამოსვლის პერიოდში. გავიხსენოთ თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და გერმანიის ეკონომიკური ისტორია.

კონგრესი იღებდა ფ. რუზველტის მიერ შემოთავაზებულ კანონებს რამდენიმე დღის განმავლობაში: რაკი ეკონომიკა კრიზისშია და ხალხმაც ხმა მისცა „ახალი კურსის“ პროგრამას, მოდით, აღვადგინოთ ეკონომიკა, უზრუნველვყოთ კეთილდღეობა, შემდეგ კი დავუბრუნდეთ პოლიტიკურ ბატალიებს. რუზველტის საგანგებო კანონებით მარტო ამერიკელთა ჩვეული პირადი უფლებები როდი ილახებოდა, – კანონები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შესახებ საერთოდ არაკონსტიტუციური იყო (რაც აღიარა კიდეც ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ ორი წლის შემდეგ; მაგრამ ისინი გათვალისწინებული იყო ორი წლისათვის, რათა ადგილიდან „დაეძრათ“ ურემი, – შემდეგ კი პროცესი დამოუკიდებლად „განვითარდა“). და არავინ არ უსყვედურებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ პრეზიდენტს იმის გამო, რომ დაარღვია ქვეყნის კონსტიტუცია, რადგან

მოქალაქეთათვის ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა ყველა დაწერილ ქაღალდზე უფრო ძვირფასია.

როცა იაპონიის ეკონომიკის რეფორმას ახორციელებდა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ დაუშვა შეცდომა იმპერატორის ხელისუფლებასთან დაკავშირებით (მის ლიკვიდაციას შეიძლებოდა მძიმე და განუჭვრეტელი სოციალური შედეგები მოჰყოლოდა). იმპერატორი მხოლოდ ჩამოაცილეს ქვეყნის მართვაში პირდაპირ მონაწილეობას, სკოლებში კი გაუქმდა ყველა საგანი (როგორც წესი, სამხედრო განხრისა), რომლებიც დაკავშირებული იყო მიკადოსა და მისი კულტის „გაღმერთების“, ისევე როგორც სამურაელთა ქცევის კულტის დანერგვასთან. „ობივატელებისათვის“ იმპერატორი დარჩა; ერის სოციალური აფეთქების საფუძველი არ შექმნილა, იაპონელთა მოზარდი თაობა კი აღიქვამდა ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ახალ რეალიებს. უფრო მეტიც, შექმნა რა, პროფკავშირები, მაკარტურის სამხედრო ადმინისტრაციამ მშრომელთა მთელი ენერგია წარემართა მათი უფლებების დასაცავად კანონიერი გზით, რომელიც არ ანგრევდა ეკონომიკას. ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრის არაძალადური ხერხი უფრო პროდუქტიული გამოდგა, ვიდრე ძალადური (ორგანიზებული ევოლუცია რევოლუციის ნაცვლად).

ლუდვიგ ერჰარდი შესამჩნევი ფიგურა გახდა მას შემდეგ, რაც გაზეთმა „ნოიე ცაიტუინგმა“ გამოაქვეყნა (1946 წლის 14 ოქტომბერს) სტატია „თავისუფალი ეკონომიკა და გეგმიანი მეურნეობა“. სახელმწიფოს ამოცანაა „ეკონომიკას დაუსახოს მიზნები და შეიმუშაოს სამეურნეო პოლიტიკის ხელმძღვანელი პრინციპები, ...თვალი ადევნოს იმას, რომ არც საზოგადოებრივი პრივილეგიები, არც ხელოვნური მონოპოლიები არ არღვევდეს ეკონომიკური ძალების ბუნებრივ წონასწორობას, რომ რჩებოდეს ადგილი მოთხოვნისა და მიწოდების თამაშისათვის“. გახდა რა ეკონომიკის სამმართველოს დირექტორი, ერჰარდი ყოველ კვირას გამოდიოდა რადიოთი, მოსახლეობას განუმარტავდა ეკონომიკურ ღონისძიებებს, რომლებიც მუშავდებოდა და ხორციელდებოდა. „კანონი სამეურნეო სტრუქტურის პრინციპებისა და ფასების პოლიტიკის შესახებ ფულის რეფორმის შემდეგ“ გაიტანეს 1948 წლის 17 ივნისს ეკონომიკური საბჭოს მეშვეობით, რომელსაც ხმა მისცა 52 კაცმა, ხოლო წინააღმდეგ – 37 (წინააღმდეგი იყო სოციალ-დეკოკრატთა მთელი ფრაქცია; გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავისი პოზიცია მხოლდო 1959 წელს გადასინჯა). „კაპიტალისტური

ანარქიის“ წინააღმდეგ პროფკავშირებმაც გაილაშქრეს. 1949 წლის მარტისათვის საქონლის ფასების ზრდა შეწყდა, დაიწყო ეკონომიკური სტაბილიზაცია, ერჰარდს დაუჯერეს (გერმანიისათვის კარგი გამოდგა ის, რომ საოკუპაციო ხელისუფლებმა ერჰარდს მხარი დაუჭირეს). ახლა „სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა“ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ანბანური ჭეშმარიტებაა.

გაკვეთილი მეათე. ერისა და ქვეყნის წარმატება, მისი ეკონომიკური და სულიერი წინსვლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ერი ცალ-ცალკე, ჯგუფებად და წოდებათა დაუყოფლად, ერთიანი მეცადინეობით ცდილობს ცხოვრების გზის გაკვალვას, მისი საწინააღმდეგო გზა კი არის მომაკვდინებელი.

საზოგადოება, რომელშიც ყოველი ინდივიდი, ჯგუფი ან წოდება ცდილობს მხოლოდ თავისი ინტერესებით შემოიფარგლოს, მყარად ვერ ვითარდება. ასეთი წყობა, ასეთი აგებულების საზოგადოება ქვიშაზე აგებულ სახლს ემსგავსება, რომელიც მცირე წინააღმდეგობასაც ვერ გაუძლებს და პირველი ქარის შებერვისთანავე დაიფუშება. როგორც ეკონომიკური განვითარების ისტორიის გამოცდილება მოწმობს, ქვეყანაზე მარტო იმ ერს გაუძლია, წარმატება მოუპოვებია და გაძლიერებულა, რომელსაც მოუმარჯვებია „მოძღვრება მართალი და ჭეშმარიტი“. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „ეხლა სულ სხვა დროა და ამ სხვა დრომ სხვა მოძღვრებაც მოიტანა, მოძღვრება მართალი და ჭეშმარიტი. ეხლა ცალკე კაცია, თუ ცალკე წოდება, მარტო ამას უნდა იძახდეს და მარტო ამისათვის უნდა ერჯოდეს გული, რომ თუ სხვანი კარგად არიან, მეც კარგად ვიქნებიო. ვინც დღეს ამას ივიწყებს, ის ივიწყებს საკუთარს თავსა, საკუთარს ბედნიერებას სულიერსა და ხორციელს“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1957. გვ. 313).

ის საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც „დაიქადებს“, რომ „თუ მე კარგად ვარ, სხვანიც კარგად იქნებიანო“, ე.ი. საერთო ინტერესებთან შედარებით წინა პლანზე თავისას წამოსწევს და თავის ქონებრივ და გონებრივ ღონეს იმის ცდას შეალევს, რომ „ცალკე ვიყო და ცალკე ვბედნიერდებოდეო“, ამაოდ დაშვრება, რადგან ასეთი რამ შეუძლებელია. ამას ადასტურებს ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება. აქედან ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ყველაზე მთავარი გაკვეთილი. „ყველამ ერთად და თითოეულმა ცალკე უნდა იცოდნენ,

რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე. არაგონიერმა კაცმა, რა წოდებისაც გინდ იყოს, ეს არ უნდა დაივიწყოს, თუ უნდა თავისი სიკეთე მკვიდრს საფუძველზე დაამყაროს“ (იქვე, გვ. 314).

იმისათვის, რომ ეკონომიკური პროგრესი შეუქცევადი გავხადოთ, აუცილებელია „ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას“, რომ „სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს“.

კარი III. თანამედროვეობა და ღირებულებები

3.1. დემოკრატიის ლიბერალური ღირებულებები

ისევე როგორც ტრანზიტული ანუ გარდამავალი ქვეყნების უმრავლესობას საქართველოსაც ჯერ კიდევ ბევრი აკლია როგორც დემოკრატიის, ისე, ლიბერალური დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. მაგალითად, დემოკრატიის ამოსავალი პრინციპი სამართლიანი საარჩევნო გარემოს და თავისუფალი არჩევნების უზრუნველყოფაა. განახლებულ საქართველოში, შეიძლება ითქვას ამისკენ ჩვენ საკმაოდ დიდი ნაბიჯი უკვე გადავდგით. ლიბერალური დემოკრატიის არსი კი ის არის რომ უპირატესობა ენიჭება არა უმრავლესობის გადაწყვეტილებებს, არამედ ინდივიდებისა და ცალკეული ჯგუფების ინტერესებს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ ლიბერალური დემოკრატიის პირობებში დასაშვები და მისაღებია ყველაფერი, რაც არ შეიცავს სოციალურ საშიშროებას ანუ არ ემუქრება სხვის უსაფრთხოებას. ამ მიმართულებითაც წინსვლა უკვე დაიწყო. თუმცა, ასეთი ლიბერალური ცნობიერების ჩამოყალიბების საკმაოდ რთულ გზას ჯერ მხოლოდ დავადექით.

დემოკრატია (Democracy) მმართველობის ერთ-ერთი შესაძლო ფორმა, ხალხის მმართველობის სინონიმია და, როგორც ასეთი, განსხვავდება ერთი (მონარქია, ავტოკრატია), ან რამდენიმე პირის (არისტოკრატია, ოლიგარქია) მმართველობისაგან. დემოკრატიულია ის ქვეყნები, სადაც კანონმდებლობითაა დადგენილი, რომ მმართველთა უფლებამოსილებანი მართულთა თანხმობის შედეგია. წარმომადგენლობით დემოკრატიის პირობებში ამომრჩევლები პერიოდულად ირჩევენ თავის წარმომადგენლებს, რომლებიც

პასუხს აგებენ მათ მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ნებისმიერი დემოკრატიის დამახასიათებელი ნიშანია არჩევანის თავისუფლების პატივისცემა, რომელიც გულისხმობს ისეთი სამოქალაქო თავისუფლების არსებობას, როგორიცაა სიტყვის და შეკრებების თავისუფლება. დემოკრატია შემდეგი პირობების დაცვას გულისხმობს:

1. ხელისუფლების დაყოფა;
2. ხელისუფლების ძალაუფლების შეზღუდვა;
3. შემწყნარებლობა უთანხმოებათა მიმართ;
4. ინფორმაცის ხელმისაწვდომობა;
5. საზოგადოებაში განხეთქილების არარსებობა;
6. წარმატებული ეკონომიკური განვითარება.

დემოკრატიას ხშირად აიგივებენ უმრავლესობის მმართველობასთან, რისი დამადასტურებელიც, თითქოსდა, თავისუფალი, სამართლიანი არჩევნებია. თუმცა, როგორც ისტორია გვიჩვენებს, უმრავლესობის მმართველობა შესაძლებელია ძალიან სასტიკი აღმოჩნდეს ცალკეული ადამიანებისა და სხვადასხვა სახის უმცირესობათა მიმართ. სწორედ უმრავლესობამ გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი სოკრატეს, რაც ათენის პოლიტიკურ წყობას დადებითად არ ახასიათებს. უმრავლესობას, როგორც წესი, ავიწყდება უმცირესობათა პრობლემები, ხოლო ზოგიერთი პრობლემა მტრულ დამოკიდებულებას იწვევს უმრავლესობის მხრიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ უმრავლესობის განუსაზღვრელი ძალაუფლება საფრთხეს წარმოადგენს ცალკეული პირების, ან ჯგუფების მიმართ. სწორედ ამიტომ, თანამედროვე გაგებით, დემოკრატია უმრავლესობის შეზღუდული ძალაუფლებაა, შეზღუდული ყველა იმ უფლებითა და თავისუფლებით, რომლებიც ცალკეულ ადამიანებს ეკუთვნით. უმრავლესობას არა აქვს ამ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის უფლება. ამრიგად, ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი ზღუდავენ უმრავლესობის ძალაუფლებას.

შეზღუდული ძალაუფლების პრ

ინციპი ხშირად წარმოგვიდგება, როგორც კონსტიტუციურობის პრინციპი. ჩვენს დროში ეს პრინციპი ასახულია კონსტიტუციის თავებში – ეს ის თავებია, რომლებშიც მოცემულია ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი. ისინი პირველ რიგში კანონმდებლების ძალაუფლებას ზღუდავენ, ვინაიდან არ აძლევს მათ საშუალებას გააუქმონ აზრის გამოხატვის თავისუფლება, ან საკანონმდებლო წესით დაუშვან ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვა. ამრიგად, დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი უმრავლესობის ძალაუფლების ზღვარს აწესებენ. დემოკრატიის დონე მით

უფრო მაღალია, რაც უფრო შეზღუდულია ელიტის პოლიტიკური ძალაუფლება და რაც უფრო მაღალია ფართო სოციალური ფენების გავლენა.

დემოკრატიული უფლებები (Democratic rights) ნიშნავს შემდეგს:

1. ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი ქვეყნის მართვაში პირდაპირ, ან არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობის უფლება;
2. ყოველ ადამიანს აქვს თანასწორი უფლება, იყოს სახელმწიფო სამსახურში საკუთარ ქვეყანაში.

ხალხის ნება ხელისუფლების ძალაუფლების საფუძველია: ეს ნება გამოხატული უნდა იქნეს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში, რომლებიც ტარდება ფარული კენჭისყრით საყოველთაო და თანაბარი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ან ეკვივალენტური საარჩევნო პროცედურით.

თანამედროვეობის უმთავრეს ლიბერალურ ღირებულებებად, რომელთაც დემოკრატია ეფუძნება, მიიჩნევენ სიცოცხლეს, საკუთრებას და ღირსებას, რომელთაც აღნიშნულის გამო სამ ბურჯს, სამ ვეშაპს უწოდებენ. რა თქმა უნდა, სხვა ღირებულებებიც არსებობს, მაგალითად, როგორიცაა ტოლერანტული სივრცის შექმნა, ადამიანის უფლებებისა და სიტყვის თავისუფლების ხარისხის ამაღლება, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ხელშეწყობა და მრავალი სხვა, მაგრამ ყველაზე უფრო ფუნდამენტურად, ზემოაღნიშნული სამი მთავარი ფასეულობა ითვლება.

აშშ-ის კონსტიტუციაში სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება მთავარ დემოკრატიულ ღირებულებებად ითვლება (იხ. მაგალითად: აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა. სამეცნიერო რედაქტორი მინდია უგრეხელიძე, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბ., 1997). ისინი პიროვნების ძირითად, თანაბარმნიშვნელოვან უფლებებადაა მიჩნეული. დემოკრატიის ფუნდამენტური კატეგორიებით აზროვნება მის სათანადო გააზრებას საჭიროებს, მაგრამ გზა იდეალური დემოკრატიისაკენ ია-ვარდით მოფენილი როდია. იგი თვით აშშ-იც არ იყო ყოველთვის სრულყოფილი. შეუძლებელია ითქვას, რომ უმცირესობების უფლებები ამერიკაში ყოველთვის დაცული იყო. ეს, მით უმეტეს, ითქმის საქართველოს შესახებ, რომელიც დემოკრატიის საწყის, მისთვის ფუნდამენტის ჩაყრის სტადიაზე იმყოფება.

თუ მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკას გადავხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესი ქვეყნების კონსტიტუციებში დემოკრატიული წესწყობილების ფუნდამენტურ ღირებულებებად, რომლისკენაც დღენიადაგ უნდა ვისწრაფვოდეთ და რომელიც საქართველოს კონსტიტუციითაც არის გაცხადებული, მიჩნეულია:

- *სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.*
- *ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.*
- *არავის არა აქვს უფლება მითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.*
- *სახელმწიფო* ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლება დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.
- საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.
- საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.
- სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.
- ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა და პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.
- სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.
- ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.
- ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.
- ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.
- ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
- ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს

გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

- ✓ საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.
- ✓ ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.
- ✓ ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.
- ✓ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.
- ✓ ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურების შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.
- ✓ ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.
- ✓ საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.
- ✓ საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
- ✓ შრომა თავისუფალია.
- ✓ სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს.
- ✓ გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. ადგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს.

- ✓ სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.
- ✓ ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.
- ✓ ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.
- ✓ ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.
- ✓ საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.
- ✓ საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.
- ✓ საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.
- ✓ ყოველ ადამიანს უფლება აქვს უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.
- ✓ საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ადამიანის უფლებები დემოკრატიული სახელმწიფოსა და დემოკრატიული საზოგადოების არსებობის მნიშვნელოვანი პირობაა. ადამიანის ყველა უფლების დაცვა არის სახელმწიფოსა და საზოგადოების უპირველესი ამოცანა. მის შესახებ პოლიტოლოგი

პაატა ზაქარეიშვილი გაზ. „24 საათის“ კორესპონდენტთან საუბრისას შემდეგს აღნიშნავდა: „ყველაზე დიდი საშინელება საზოგადოებისათვის არის აკრძალული თემები. სხვა საკითხია, სად და როდის უნდა ილაპარაკო ამ თემებზე – ყველგან და ყოველთვის არ შეიძლება. ნებისმიერ შემთხვევაში სწორი არის არა თვითონ პოზიცია, არამედ პოზიციის დაფიქსირება. ადამიანს უფლება აქვს, თავისი სიმართლით იცხოვროს და არ ეშინოდეს თავისი სიმართლის დაფიქსირებისა და ამ სიმართლის დაცვისა. საზოგადოება ვალდებულია და მზად უნდა იყოს ნებისმიერი პოზიციის გათვალისწინებისა და მსჯელობისათვის. კარგია, როცა საზოგადოებაში ვიღაცა ფიქრობს სხვანაირად და ეს საზოგადოება მზად არის ეს სხვანაირი აზროვნება გაითვალისწინოს, მიიღოს და პატივი სცეს კიდევაც. საზოგადოება არის ის, სადაც ყველას მოსაზრებები ერთ სივრცეში არსებობს და მიმდინარეობს დისკუსია“ (ნანა საჯაია, „მე – ადამიანი“, „24 საათი“, 13 ივნისი, 2007, №129, გვ. 5).

ყველა ქვეყანა ინდივიდუალური და განსხვავებულია. ყველა მთავრობა უნდა ასახავდეს თავისი ქვეყნის კულტურასა და ისტორიას. მაგრამ ყველა დემოკრატია უნდა ასახავდეს ხალხის ნებას. **დემოკრატია მოვალეობების გარეშე არ არსებობს. ის ბევრ ვალდებულებას გულისხმობს – კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობას და უმცირესობათა უფლებების დაცვას.** პასუხისმგებლობა ნიშნავს სამართლიანობას, ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს ვუთხრათ მთელი სიმართლე და საჯაროდ ვაღიაროთ დაშვებული შეცდომები. პასუხისმგებლობა დიდი მიზნებისათვის ყველას ერთად დგომის და ტირანიის წინააღმდეგ გაბედულ ბრძოლასაც ნიშნავს.

დემოკრატიული საზოგადოების ზეფასეულობები არის მისი ლიბერალური ღირებულებები. სწორედ ისინი განსაზღვრავენ ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პათოსს. სახელმწიფო უნდა ქადაგებდეს და ამკვიდრებდეს ლიბერალურ, მემარჯვენე მოდელს, როცა სახელმწიფო არ ერევა ბევრ მნიშვნელოვან პროცესში და პროცესები ბუნებრივად ვითარდება. ამაში იგულისხმება კერძო მეწარმეობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა. არავის არა აქვს უფლება შეზღუდოს სხვისი უფლება. მემარჯვენე მოდელის მიხედვით სახელმწიფო ბევრ მნიშვნელოვან პროცესში არ უნდა ერეოდეს. ამასთან არსებობს უამრავი სიკეთე, რომელთა უზრუნველყოფა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე შეუძლებელია, ეს კი ნიშნავს, რომ შეიძლება ვინმე შეიზღუდოს კიდეც.

არავითარი ღირებულება არ არსებობს „თავისუფლების“ გარეშე. ამიტომ ჩვენ ქვემოთ, ძირითადად ამ კატეგორიით შემოვიფარგლებით. თავისუფლება – მსოფლიოში ყველაზე ლიბერალური სახელმწიფოს – ამერიკული ცივილიზაციის საკვანძო სიტყვაა. ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, ამერიკელთა 72%-მა კითხვაზე: რა არის მათთვის

მნიშვნელოვანი – თავისუფლება თუ თანასწორობა? – უპასუხა „თავისუფლება“. შესადარებლად იგივე კითხვაზე იგივე პასუხი იაპონელთა 43%-მა გასცა. ლიბერალიზმი (liberty – თავისუფლება) გახდა აშშ-ს გაბატონებული ფილოსოფია და თანდათანობით აღიქმება მთელი დანარჩენი მსოფლიოს მიერ. იგი გახდა ტრანსნაციონალიზაციის ფილოსოფიის და თანამედროვე მეგაეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი (ა. გ. მოვსესიანი, ს. ბ. ოგნივცევი, მსოფლიო ეკონომიკა, მე-2 ტომი, 2004 წ. გვ. 39).

თავისუფლება (Freedom) ინდივიდუალური, ან კოლექტიური მდგომარეობაა, რომელიც სხვადასხვა მოქმედებას შორის არჩევანის საშუალებას გულისხმობს. თავისუფლება ნიშნავს ადამიანის შესაძლებლობას იმოქმედოს თავისი ნების შესაბამისად, ვინმეს მიერ, ან ვისიმე სახელით დაწესებული ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ამავე დროს თავისუფლება ადამიანის ხელშეუხებლობასაც გულისხმობს (არამართლზომიერი დაკავების, ან დაპატიმრებისაგან თავისუფლება, დეპორტაციისა და მონობისაგან თავისუფლება).

„თავისუფლება“ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება პირობებს არ კარნახობს და თავის ნებას არ ახვევს ხალხს. ხელისუფლება ხალხის მოთხოვნებს და საჭიროებებს უნდა პასუხობდეს. თავისუფლება არის იქ, სადაც ხალხს შეუძლია შეცვალოს ლიდერი, თუ ის არ მოსწონს“. აშშ-ს ექსპრეზიდენტი ჯორჯ ბუში უმცროსი მიიჩნევდა, რომ თავისუფლება უნივერსალურია, ანუ ის არის საზოგადო, ყოვლისმომცველი, საყოველთაო. სწორედ ამაზე მეტყველებს მისი სიტყვები: „მე იდეალისტი ვარ და მჯერა იმის, რისი გაკეთებაც შესაძლებელია. მჯერა, თავისუფლება უნივერსალურია და მჯერა, რომ თუ ადამიანებს შანსი მიეცემათ, ისინი აუცილებლად აირჩევენ მას“ (ეკა კვესიტაძე. „თავისუფლება უნივერსალურია“ ინტერვიუ აშშ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან. გაზ. „24 საათი“, №102, 2005 წლის 9 მაის, გვ. 3) ეს ბრძოლა კი აუცილებლად უნდა იყოს მშვიდობიანი. თავისუფლებისათვის უნდა ვიბრძოლოთ. მხოლოდ ასე შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ ხალხი თვითმმართველობაზე გადავიდეს.

„თავისუფლების“ უფრო საფუძვლიანად გასაცნობიერებლად მისი ცნება ფილოსოფიურად უნდა გავიაზროთ.

თავისუფლება – შესაძლებლობა, მოიქცე ისე, როგორც გსურს. ნება თავისი არსით ყოველთვის თავისუფალია. თავისუფლების პრობლემა ფილოსოფიის ისტორიაში რთულდება იმით, რომ ბევრი მოაზროვნე ცდილობდა თავისუფლების არსიდან გამოეყვანა ადამიანის მოვალეობა, ისწრაფოდნენ ან საერთოდ არ იყენებდნენ თავისუფლების ცნებას, ან თუ იყენებდნენ მას, გარკვეულწილად ზღუდავდნენ. მაგრამ მოვალეობა არასოდეს არ შეიძლება გამომდინარეობდეს თავად თავისუფლებიდან, მხოლოდ ეთიკური

შეხედულებებიდან. არის რა შეუზღუდველი თავისი არსით, თავისუფლება სწორედაც უნდა გულისხმობდეს ეთიკას, რათა გახადოს ადამიანები განუსაზღვრელად პასუხისმგებლობის მქონენი ყველაფერ იმაზე, რასაც ისინი სჩადიან და რის ნებასაც სხვებს რთავენ; თავისუფლების რეალურობის, როგორც ასეთის, მტკიცება მოყვანილია ონთოლოგიის მიერ ფენების შესახებ მოძღვრებაში, ფსიქოლოგიაში – ნორმალური ადამიანისთვის შეურაცხმყოფელი დახასიათების მისი როგორც „შეურაცხადის“ ანალიზით, ანუ როგორც ისეთი ადამიანისა, რომელსაც არ შეუძლია პასუხი აგოს თავის მოქმედებებზე, ვინაიდამ იგი თავისუფალი არაა.

ცნება თავისუფლების განვითარების ისტორიაში შემოქმედებითი თავისუფლების ცნება თანდათან დევნის დაბრკოლებებისგან (იძულება, კაზუალურობა, ბედიწერა) თავისუფლების ცნებას. ძველ ფილოსოფიაში (სოკრატეს და პლატონს) უპირველესად საუბარია თავისუფლებასა და ბედისწერაზე, შემდეგ პოლიტიკური დესპოტიზმისგან თავისუფლებაზე (არისტოტელესა და ეპიკურესთან) და ადამიანური ყოფის უბედურებებზე (ეპიკურესთან, სტოიკოსებთან, ნეოპლატონიზმში). შუა საუკუნეებში თავისუფლებად იგულისხმებოდა ცოდვისგან თავისუფლება და ეკლესიის მიერ შეჩვენება, ამასთან ჩნდებოდა უთანხმოება ადამიანის მიერ ზნეობრივად მოთხოვნად თავისუფლებასა და რელიგიის მიერ მოთხოვნად ღმერთის ყოვლისშემძლეობას შორის. რენესანსის ეპოქასა და მომდევნო პერიოდში თავისუფლებაში გულისხმობდნენ ადამიანური პიროვნების დაუბრკოლებელ ყოველმხრივ განფენას. განმანათლებლობის დროიდან ჩნდება თავისუფლების ცნება, რომელიც ნასესხებია საბუნებისმეტყველო სამართლის ლიბერალიზმიდან და ფილოსოფიიდან (ალტუზია, ჰობსი, გროციუსი, პეფენდორფი; 1689 წელს ინგლისში – უფლებების ბილი), მას აკავებდა სულ უფრო გაღრმავებული სამეცნიერო შეხედულება, რომელიც აღიარებდა ყოვლისშემძლე ბუნებრივი მიზეზობრიობის და კანონზომიერების ბატონობას. გერმანულ რელიგიასა და ფილოსოფიაში, დაწყებული მეისტერ ეკხარტიდან, ლეიბნიცის, კანტის, გოეთეს და შილერის ჩათვლით, აგრეთვე გერმანულ იდიალიზმში შოპენჰაუერამდე და ნიცშემდე, დასმულია საკითხი თავისუფლებაზე, როგორც არსის და მისი განვითარების ზნეობრივ-შემოქმედებითი შესაბამისობის პოსტულატის საკითხი. მარქსიზმი თავისუფლებას ფიქციად მიიჩნევს: ადამიანი აზროვნებს და იქცევა ზრახვებიდან და გარემოდან გამომდინარე, ამასთან ძირითად როლს მის გარემოში ასრულებს ეკონომიკური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა. ჰაიდეგერის ეგზისტენციალიზმის თანახმად, ყოფიერების ძირითადი შემადგენელია შიში – შიში არყოფნის შესაძლებლობის წინაშე, შიში, რომელიც ათავისუფლებს ადამიანს სინამდვილის ყველა პირობითობისგან და ასეთი საფუძველი საშუალებას აძლევს მას,

მიაღწიოს გარკვეულწილად თავისუფლებას, რომელიც დამყარებულია არაფერზე, აირჩიოს თავისი თავი თავის გარდაუვალ პასუხისმგებლობის დაკისრებაში თავის თავზე, ანუ აირჩიო შენი თავი როგორც საკუთარი, ფასეულობის მქონე არსებობა. იასპერსის ეგზისტენციალიზმის თანახმად, ადამიანი თავისუფალია დაძლიოს სამყაროს ყოფიერება თავისი თავის არჩევისას და მიაღწიოს ყოვლისმომცველის ტრანსცენდენციას. თავისუფალი ყოფიერებაა ნიშნავს შესაძლებლობას, განახორციელო კეთილი ან ბოროტი ნება. კეთილ ნებას აქვს ღვთაებრივი უპირობო სარწმუნოობა; იგი შემოიფარგლება უბრალო გარკვეული ყოფიერების და ჭეშმარიტი ყოფიერების არაცნობიერი ცხოვრებისეული სიჯიუტით. სარტრის ეგზისტენციალიზმის თანახმად, თავისუფლება არა ადამიანის, არამედ მისი სუბსტანციის თვისებაა. ადამიანი არ შეიძლება განირჩეოდეს თავისი თავისუფლებით, თავისუფლება არ შეიძლება განირჩეოდეს მისი გამოვლენისგან. ადამიანს, ვინაიდან იგი თავისუფალია, თავისუფლად შეუძლია არჩეულ მიზანზე თავისი თავის პროეცირება და ეს მიზანი განსაზღვრავს, რას წარმოადგენს იგი. მიზანდასახულობასთან ერთად წარმოიშობა სხვა ფასეულობებიც, საგნები გამოდის თავიანთი არადიფერენცირებულობისგან და ორგანიზებას ახდენს სიტუაციის, რომელიც ასრულებს ადამიანს და რომელსაც იგი თავად მიეკუთვნება. შესაბამისად, ადამიანი ყოველთვის იმის ღირსია, რაც ემართება. მას არ აქვს თავის მართლების საფუძველი;

ტრანსცენდენტული თავისუფლება – კანტის მიხედვით, ნების თვითგამორკვევის პირობა საკუთარი კანონით, რომლის წყალობითაც იწყება ახალი კაზუალური გვარი მოვლენათა სამყაროში. ტრანსცენდენტული თავისუფლება პრაქტიკულ თვისუფლებას შესაძლებელს ხდის, კერძოდ კი, ნების დამოუკიდებლობას გრძნობითი ზრახვების მხრიდან იძულებით.

ცხოვრებას ვერ შეიცნობ, თუ შენი ეპოქის შინაარსს არ (ან ვერ) შეიმეცნებ. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, მთავარი ეპოქალური ორიენტირები უნდა გაიცნობიერო. უნდა იცოდე რა არის ის მთავარი მახასიათებელი, ღირსშესანიშნავი, დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც ეპოქას ქმნის. ახლა უკვე ყველა თანხმდება იმაში, რომ ჩვენი დროის მთავარი დამახასიათებელი თავისუფლებისათვის გლობალური ბრძოლაა. მისი დახასიათება აშშ-ში 2001 წ. 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტიდან აითვლება, მთავარი ნიშან-თვისება კი საერთაშორისო ურთიერთობათა ძირეული შეცვლის დასაწყისში მდგომარეობს.

ჩვენ უნდა ვაშენოთ თავისუფალი და პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული საზოგადოება. მხოლოდ ასე შეიძლება დავუტოვოთ ჩვენს მომავალ თაობებს ნათელი მომავალი: „თავისუფალი და მშვიდობიანი მსოფლიო“. ეს კი დემოკრატიისა და მშვიდობის

აუცილებლობაზე მეტყველებს. მშვიდობიანი მსოფლიო პლანეტის ხალხების სანიმუშო თანაცხოვრებას, მათს კარგ მეზობლობას ნიშნავს. კარგი მეზობლები კი მხოლოდ ძლიერი დემოკრატები არიან.

იმისათვის, რომ იცოდე როგორ მოიქცე შენს მეზობელთან, ისიც უნდა იცოდე, როგორ აფასებენ მას სხვები და რას გვირჩევენ ისინი ჩვენ. უნდა იცოდე, როგორ აფასებენ მის როლს მსოფლიო ასპარეზზე ისინი, ვინც მას განსაზღვრავენ. აშშ-ს ექსპრეზიდენტი ჯორჯ ბუში(უმცროსი) საქართველოში ვიზიტის დროს ამის შესახებ საინტერესო შეფასებებს იძლეოდა. მოვიყვანთ ფრაგმენტებს მისი მოსაზრებებიდან:

„რუსეთი მსოფლიო პოლიტიკაში ძალიან დიდ როლს ასრულებს. ის იმ კვარტეტის ნაწილია, რომელიც ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისათვის იბრძვის“.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ კონსტრუქციულად ითანამშრომლოს რუსეთთან...“.

„მიმაჩნია, რომ ჩვენი თანამშრომლობა (აშშ-სა და რუსეთს შორის – ავტ.) გადამწყვეტია მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნებისათვის“.

„რუსეთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა მსოფლიო პოლიტიკის სცენაზე და მე ძალიან მინდა, რომ ყველა საკითხებზე, რაზეც ჩვენ განსხვავებული შეხედულებები გვაქვს, მშვიდობიანად მოვილაპარაკოთ და პრობლემები დიპლომატიის გზით გადავჭრათ“.

იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული მოსაზრებები უფრო კარგად გავიგოთ, შევეხოთ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოლიტოლოგის, აშშ სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრის დირექტორის ზბიგნევ ბზეჟინსკის ინტერვიუს (იხ. გაზ. „24 საათი“, №108 (968), 2005 წლის 17 მაისი, გვ. 1, 3), რომელსაც წითელ ზოლად გასდევს აზრი იმის თაობაზე, რომ თავისუფლება თავის თავში უზარმაზარ ვალდებულებასაც მოიცავს და ეს ვალდებულება, უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუტებით გამაგრებული, კანონის უზენაესობაზე დამყარებული დემოკრატიის შექმნას გულისხმობს.

ზ. ბზეჟინსკი მიიჩნევდა, რომ შორს აღარაა ის დრო, როდესაც რუსეთის ხელისუფლება გააცნობიერებს, რომ დემოკრატიზაციის პროცესი, რომელიც დაიწყო, შეუქცევადია. ათწლეულების შემდეგ ეს ქვეყანა სულ სხვა ღირებულებების მატარებელი გახდება, რაც მსფლიო მნიშვნელობის დიდ სასიკეთო ცვლილებებს მოიტანს. ზ. ბზეჟინსკი აღნიშნავს: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ათწლეულების შემდეგ რუსეთის პოლიტიკური ელიტის ახალი თაობა არსებითად განსხვავებული იქნება ახლანდელი მმართველი წრისაგან. მე ვფიქრობ, რომ ცვლილებების დრო აუცილებლად დადგება. რუსეთის

ახალგაზრდა თაობას, რომელთაგან ბევრი მოგზაურობს და სწავლობს საზღვარგარეთ, სულ სხვა მსოფლმხედველობა აქვთ.“

ინტერვიუს ბოლოს, კორესპონდენტმა ზბიგნევ ბზეჟინსკის კონკრეტული კითხვა დაუსვა: „რა ცვლილებებს და წარმატებებს ხედავთ რევოლუციის შემდეგ, შევარდნაძიდან – სააკაშვილამდე? როგორ ფიქრობთ, რა არის ყველაზე დიდი გამოწვევა ახალი ქართული დემოკრატიისათვის და როგორ შეიძლება ამ გამოწვევებთან გამკლავება?“

ამ კითხვაზე თავის პასუხში პოლიტოლოგი მკაფიოდ აყალიბებდა თავის რჩევებს საქართველოს ხელისუფლებისადმი, მისი პრეზიდენტისადმი და ხაზს უსვამდა თანამედროვე ეტაპზე მათი მოქმედების ფუნდამენტური ღირებულებებით ორიენტირებას. კერძოდ, იგი აღნიშნავს: „ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც მოხდა, ხელისუფლებაში ახალი თაობის მოსვლაა. ახალი პოლიტიკური ლიდერები გაცილებით ნაკლებად არიან საბჭოთა პერიოდის პროდუქტები, ვიდრე მათი წინამორბედები.

ახლა კი საჭიროა, გამართული სისტემის შექმნა და პრაქტიკული პოლიტიკის გზით იმის დემონსტრირება, რომ საქართველოში დემოკრატია მოქმედი რეალობაა. საქართველოს ახალმა დემოკრატიამ უნდა დაარწმუნოს საერთაშორისო საზოგადოება, რომ მას შესწევს უნარი, მოაგვაროს ის პრობლემები, რომელიც საბჭოთა კავშირმა დაუტოვა. წარსულის ნარჩენები, მათ შორის სეპარატიზმი, არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ნორმალური მოვლენა. ამ კონტექსტში, საქართველომ ასევე უნდა დაარწმუნოს საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ მისი დემოკრატია მტკიცეა, რომ ის ემყარება არა ემოციებს, არამედ კონსტიტუციით გამყარებულ კანონმორჩილ სისტემას. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს, რომ როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში მისი გადაწყვეტილებები მომწიფებულ, პასუხისმგებლობით სავსე, კარგად გააზრებულ პოლიტიკას ეყრდნობა და არა ემოციურ ატმოსფეროში გაკეთებულ მკვეთრ და რადიკალურ ჟესტებს“. ეს არის ფრიად მნიშვნელოვანი, სასარგებლო რჩევები, რომლის უეჭველი გათვალსწინების გარეშე ჩვენი ქვეყანა ლიბერალურ ღირებულებებს წარმატებით ვერ დაამკვიდრებს, ამიტომ ასეთი ორიენტირებით უეჭველად უნდა ვხელმძღვანელობდეთ. ამ გზის სისწორეს ცხოვრება ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვიდასტურებს.

ახლა, რაც შეეხება საკუთრებას. sakuTrebis ufleba (The right of property) ნიშნავს ყოველი ფიზიკური თუ იურიდიული პირის უფლებას ფლობდეს და განკარგავდეს ქონებას. დაუშვებელია საკუთრებაში არსებული ქონების თვითნებურად ჩამორთმევა. ეს უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და მხოლოდ კანონით და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პირობებით. საკუთრების უფლების გაუქმება დაუშვებელია.

საკუთრებას ყოველთვის ენიჭებოდა განსაკუთრებული, აბსოლუტური ხასიათი. მხოლოდ ბოლო დროს საკუთრების დიდებულმა ცნებამ დაიწყო თანდათანობით გაფერმკრთალება, შემცირება და გაქრობა მრავალი პირობითა და განმარტებით. ახლა საყოველთაოდ მიღებულია შეხედულება საკუთრებაზე, როგორც რაღაც „უფლებათა კონაზე". თანამედროვე „უნივერსალური მეტათეორიის" სათავეებთან დგანან ცნობილი ინსტიტუციონალისტები – 1991 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი რ. კოუზი და ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ალჩიანი. სრული „უფლებათა კონა", მათი ინგლისელი მიმდევრის ა. ონორეს განსაზღვრებით, შედგება შემდეგი 11 ელემენტისაგან:

1. ფლობის უფლება, გაგებული როგორც ნივთზე განსაკუთრებული ფიზიკური კონტროლი, ან, როგორც წესი, მისი განსაკუთრებული გამოყენების უფლება;
2. ნივთის გამოყენების უფლება, როცა იგი არ მოიცავს ორ შემდგომ უფლებამოსილებას;
3. მართვის უფლება, ე.ი. უფლება გადაწყვიტოს – როგორ და ვის შეუძლია ნივთის გამოყენება;
4. უფლება შემოსავალზე, ანუ იმ დოვლათზე, რომელსაც იძლევა წინა ორი უფლებამოსილების რეალიზაცია;
5. გასხვისების, მოხმარების, საკუთარი შეხედულებისამებრ ხარჯვის, ნივთის შეცვლის ან მისი განადგურების უფლება;
6. გარანტია ექსპროპრიაციისაგან ან უსაფრთხოების უფლება;
7. ნივთის გადაცემის უფლება;
8. უვადობა;
9. სხვათა საზიანოდ ნივთის გამოყენების აკრძალვა;
10. ნივთის ჩამორთმევის შესაძლებლობა ვალის დასაფარად;
11. ნარჩენი ხასიათი, ე.ი. წესების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს დარღვეული უფლებამოსილების აღდგენას.

საკუთრების კონკრეტულმა უფლებამ შეიძლება მოიცვას მხოლოდ რამდენიმე აღნიშნული ელემენტი, შესაბამისად, ერთსა და იმავე ქონებაზე შეიძლება არსებობდეს საკუთრების რამდენიმე უფლება.

საქართველოში, ბოლო ათწლეულში ღია საზოგადოება ინსტიტუტის ადამიანის უფლებებისა და მმართველობის გრანტების პროგრამის (OSI HRGGP) მხარდაჭერით საქართველოს მოსახლეობის რამდენიმე გამოკითხვა ჩატარდა (2002, 2003, 2006), რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის დამოკიდებულებების დადგენას ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის მიმართ სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური

მდგომარეობის გაუმჯობესების, სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის, განათლებისა და კორუფციის შემცირების, ადამიანის უფლებათა დაცვის, მასმედიის თავისუფლებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროებში. გამოკვლევის ყურადღების ცენტრში იყო საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართვის და სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტებისადმი ნდობის ხარისხის დადგენა, ასევე მოქმედი პოლიტიკოსების შეფასება. შესწავლის საგანს წარმოადგენდა დემოკრატიისადმი დამოკიდებულება, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია და ქვეყნის საგარეო ორიენტაცია, მოსახლეობის ძირითადი ღირებულებები და მოლოდინები.

იმის გასარკვევად თუ, როგორ არის საქართველოში დემოკრატიის ლიბერალური ღირებულებების ცხოვრებაში განხორციელების საქმე, შეიძლება დავეყრდნოთ საზოგადოებრივი აზრის აღნიშნულ გამოკითხვებს ჩვენს ქვეყანაში 2006 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ ასახა მოსახლეობის დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების, ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედებების მიმართ, წარმოაჩინა არსებული პრობლემები და წარმატებები. ასევე ცვლილებები, რომლებიც აისახა მოსახლეობის დამოკიდებულებაში აღნიშნულ პერიოდში განვითარებული მოვლენების შედეგად.

როგორც დემოკრატიის ლიბერალურ ღირებულებებთან დაკავშირებით დაფიქსირდა, 2006 წლის „გამოკვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ლიბერალური დემოკრატია განვითარების ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოს დემოკრატიულ ქვეყანად არ მიიჩნევს. დემოკრატიის ბევრი პრინციპი ირღვევა, ისეთი როგორიცაა კანონის წინაშე თანასწორობა, მოქალაქეების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ადამიანის უფლებების დაცვა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა. ამასთან ერთად პოლიტიკური კულტურაც განვითარების ადრეულ სტადიაზეა. პარტიისადმი მხარდაჭერა განპირობებულია არა პარტიის იდეოლოგიით, არამედ პარტიის ლიდერების მოწონებით. ლიდერის, განსაკუთრებით კი ქვეყნის პრეზიდენტის პიროვნება წარმოადგენს იმ წერტილს, რომლის გარშემოც ხდება პოლიტიკური მხარდაჭერის ჩამოყალიბება.

ზოგადად დაბალია ადამიანებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობა. საგანგაშოდ დაბალია სასამართლისა და პარლამენტისადმი ნდობის დონე. მოსახლეობისათვის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას ადამიანის უფლებების დარღვევა წარმოადგენს“. (ნანა სუმბაძე, ბარომეტრი 2006 – საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვა. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, გვ. 81).

ამ გამოკვლევის ჩატარების შემდეგ საკმაო პერიოდი გავიდა და მიდგომები და შეფასებებიც, რა თქმა უნდა, შეიცვალა, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

3.2 ევროპულ-ქართული ღირებულებების სინთეზისკენ

ევროპული ღირებულებები უნივერსალური ხასიათისაა და ყველა ეპოქას, საზოგადოებასა თუ სახელმწიფოს ერთნაირად მიესადაგება, ისეთ მარადიულ ფასეულობათა უნივერსალურობიდან გამომდინარე, როგორებიცაა: პიროვნების თავისუფლება, ადამიანური ღირსება, კანონის უზენაესობა, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ წმინდა სახით რაიმე ღირებულებანი არ არსებობს, მაგრამ ნებისმიერი ქვეყნის ღირებულებებში არის რაღაც ისეთი მარადიული, ტრადიციული, რომლის გამოც მათ უწოდებენ „ევროპულ“, „ტრანსატლანტიკურ“, „აზიურ“, „რუსულ“, „ქართულ“ და ა.შ. ღირებულებებს.

ეროვნული ღირებულებების შესახებ ძალიან საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული პროფესორ გიორგი მჭედლიშვილს თავის შესანიშნავ ბლოგებში, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ „ცივილიზაციურ კონფლიქტში თუ კულტურათა დიალოგში?“ (სამ ნაწილად).

(იხ.:http://www.for.ge/view.php?for_id=18513&f_cat=&a_title=++++civilizaciur+ konfliqtSi +Tu+kulturaTa+ dialogSi?+(nawili+pirveli); http://www.for.ge/view.php?for_id=18735&f_cat=&a_title=civilizaciur+konfliqtSi+Tu+kulturaTa+dialogSi?+(nawili+meore); http://www.for.ge/view.php?for_id=18819&f_cat=&a_title=civilizaciur+konfliqtSi+Tu+kulturaTa+dialogSi?+(nawili++mesame)).

პროფესორი დასაბუთებულად აღნიშნავს, რომ შეიქმნა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორი განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური პარადიგმა, რომელიც ჩვენს დრომდე აზრობრივი ანტონიმით ასე ვლინდება: თუ დასავლეთი არის დემოკრატია, აღმოსავლეთი დესპოტიზმი; დასავლეთი – მეცნიერული ცოდნა, რაციონალურობა, აღმოსავლეთი – ინტუიცია, სამყაროს შესისხლხორცება; დასავლეთი – დინამიზმი, განვითარება, მოძრაობა, აღმოსავლეთი – უძრაობა, სტაბილურობა; დასავლეთი – მოდერნიზაცია, ინოვაციურობა, აღმოსავლეთი – ტრადიციულობა, რიტუალი; დასავლეთი – ინდივიდუალიზმი, პიროვნება, აღმოსავლეთი – კოლექტივიზმი და ა.შ. დღეს მსოფლიოში, როდესაც დემოკრატია, პლურალიზმი მიიჩნევა ყველა კულტურისთვის უნივერსალურ და

აბსოლუტურ ღირებულებად, დასავლური კულტურის ბევრმა ელემენტმა ზედაპირულ დონეზე მართლაც მოიცვა დანარჩენი სამყარო, თუმცა სიღრმისეულ დონეზე დასავლური წარმოდგენები და იდეები კვლავაც ძირეულად განსხვავდება იმათგან, რომელიც დამახასიათებელია სხვა ცივილიზაციებისათვის. ამას კი თავად დასავლეთში გავრცელებული შეხედულებით ასე ხსნიან, რომ: "ისლამურ, კონფუციურ, იაპონურ, ინდუისტურ, ბუდისტურ და მართლმადიდებლურ კულტურაში, ჩვენ ხაზს ვუსვამთ მართლმადიდებლურ კულტურაში, თითქმის ვერ პოულობს გამოძახილს ისეთი დასავლური იდეები, როგორებიცაა ინდივიდუალიზმი, ლიბერალიზმი, კონსტიტუციონალიზმი, ადამიანის უფლებები, თანასწორობა, თავისუფლება, კანონის უზენაესობა, დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან და ა.შ.

ქართული ღირებულებების ჭეშმარიტი სახის წარმოჩენის მიზნით ბლოგერი ეროვნული კულტურისა და ცივილიზაციის საფუძვლებს მსოფლიო კონტექსტში განიხილავს, რომლის საფუძველზეც სამართლიანად აღნიშნავს, რომ საუკუნეების განმავლობაში, გვსურდა თუ არა საქართველოს აზიაში უფრო დიდხანს ედგა ფეხი, ვიდრე ევროპაში. სწორედ გეოგრაფიული და ისტორიული პირობების გამო იყო, რომ მას ურთიერთობა ჰქონდა ისლამურ ცივილიზაციასთან და არა მარტო ისლამურ ცივილიზაციასთან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიული და კულტურული განვითარება, პირველ რიგში, მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა. დიდ სავაჭრო გზების გასაყარზე მდებარე ქვეყანა ორი კონტინენტის – ევროპისა და აზიის და, შესაბამისად, ორი დიდი კულტურული სამყაროს – დასავლურისა და აღმოსავლურის – მიჯნაზე იყო განფენილი. კავკასიის ყელზე მდებარე, იგი ხმელთაშუაზღვისა და მახლობელი აღმოსავლეთის უდიდესი ცენტრების არეალში იყო მოქცეული. ამის გამო საქართველო უძველესი დროიდანვე კონტაქტში იყო მრავალ ქვეყანასთან და ხალხთან. საქართველოში, მისი გეოპოლიტიკური რეალობის გამო, ძველთაგანვე ერთმანეთს სხვადასხვა შინაარსის კულტურა და რელიგია ხვდებოდა. ადგილობრივი მოსახლეობის ბუნებითი რწმენა წარმოდგენების პარალელურად აქ ბერძნულ-რომაული და ქანაანურ-მესოპოტამიური პოლითეიზმი, ე.ი. მეზობელი ქვეყნების კერპები და რიტუალები იკაფავდა გზას. XX ს-ის ვანის, ნოქალაქევის, მცხეთა-არმაზისა და სხვა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა დაადასტურა ქართლისა და კოლხეთის ტერიტორიებზე როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კულტების არსებობა. ჩვენი წინაპრების ნაწილი ქრისტეს შობამდე მონოთეისტურ და დუალისტურ თეოლოგიასაც ეზიარა იუდაიზმისა და ზოროასტრიზმის სახით. სავარაუდებელია, რომ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა, ელიტარული საზოგადოება მაინც, ინდუიზმსა და ბუდიზმსაც

იცნობდა. ჩვენი წინაპრები რომ ინდურ-ტიბეტურ სამყაროსაც იცნობდნენ, ამის თაობაზე ძველი ქართული მწერლობის როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ძეგლებიც მეტყველებს. ამის ნიმუშად „ბალავარიანის" დასახელებაც იკმარებს. საერთო ქართული კულტურის ქმნადობაში წვლილი ებრაულ სინაგოგებსაც შეჰქონდათ. შუმერული და ხეთური ცივილიზაციები, აქემენიდური და სასანური ირანი, ელინისტური აღმოსავლეთი და რომი, არაბული სამყარო და ბიზანტია – აი ქართული კულტურის მასაზრდოებელი წყაროები.

საქართველოს ახასიათებს ის, რაც სრულიად ბუნებრივია ყველა კულტურული სახელმწიფოსთვის: მას არ შეუძლია სხვათაგან იზოლირებულად ცხოვრება, პირუკუ, აქტიურ ურთიერთობათა და კულტურულ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლით მუდამ იმაღლებს საკუთარ კულტურულ დონეს, ადგილობრივ ნიადაგზე გადახარშავს ყველაფერს, რასაც სხვათაგან იღებს და ქმნის საკუთარს, ქმნის ისეთ კულტურულ ფენომენს, რომელსაც აშკარად განსხვავებული, ქართული ჰქვია.

რაც შეეხება ქართული კულტურის მიკუთვნებას რომელიმე კულტურის ტიპთან სიახლოვის თვალსაზრისით, გასაგებია, რომ ქართული კულტურა ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს როგორც მუსლიმურ კულტურასთან, ისე ევროპულთან, რომელთანაც სულიერი სიახლოვე ბევრად უფრო გამოკვეთილად ჩანს.

ის, რომ საქართველო ევროპის თანამეგობრობის მსგავსად, ისტორიული ფაქტებით ემყარება კულტურისა და ცივილიზაციის საერთო საფუძვლებს, ამის თქმის უფლებას ქვეყნის ისტორია, უწინარეს ყოვლისა, კი გენიალური რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" გვაძლევს.

კაცობრიობის სიყვარულის, მეგობრობის, მოყვასისადმი თავგანწირვის, ქველმოქმედების საოცარი ნიმუშებით გაჯერებული ეს მაღალმხატვრული ქმნილება თვალსაჩინოო ახსნაა ადამიანის, როგორც მსოფლიო მოქალაქის არსებობისა და დანიშნულებისა ქვეყანაზე. პიროვნების თავისუფლებისათვის, კონსტიტუციური უფლებებისათვის ბრძოლის თვალსაზრისი უდევს საფუძვლად აღორძინების ხანის საქართველოში შექმნილ ამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე ნაწარმოების ეროვნულ და სახელმწიფოებრივ მსოფლმხედველობას. აქედან გამომდინარე, „ვეფხისტყაოსანი", როგორც საერო კოდექსი, შესაძლოა გახდეს ის განსაკუთრებული გასაღები, რომელიც გააღებს საქართველოსთვის თანამედროვე ევროპული კულტურისა და სხვა ცივილიზაციათა კარებს.

როგორც პროფესორი გიორგი მჭედლიშვილი აღნიშნავს, ქართული კულტურის ისტორია, მისი თუნდაც ზედაპირული მიმოხილვაც კი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ დასავლური ღირებულებები და ფასეულობანი მათ შორის ფუნდამენტური - ადამიანის

უფლება არ იყო უცხო ქართული სამყაროსათვის და რომ ამ მხრივ მათ შორის კონფლიქტი არასდროს არსებობდა. ზოგიერთი ამ ღირებულებათაგანი საქართველოში უძველესი დროიდან მკვიდრდება და მნიშვნელოვნად წინ უსწრებს შესაბამისი დროის დასავლურ ევროპულს, ზოგიც ბევრად ჩამორჩება დროში. მთავარი კი ის არის, რომ ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს და ძლიერ ვგავართ ერთმანეთს. თუნდაც ის, რომ დასავლური ღირებულებები და ფასეულობანი ისტორიულად არ იყო უცხო, არა მარტო ქართულ, დანარჩენი სამყაროსათვის, უკვე შეუძლებელს ხდის მის მიჩნევას მარტოოდენ დასავლური ცივილიზაციის მონაპოვრად. ეს კი თავისთავად უსაფუძვლოს ხდის იმ მითის არსებობას, რომ „განყენებული" აზროვნების უნარი, მიდრეკილება ფასეული დამოკიდებულებისადმი, მოვლენებისადმი, საკუთარი „სულიერი სტილი" წარმოადგენდეს მხოლოდ ევროპელთა გამორჩეულ დამახასიათებელ თავისებურებას. დღეს, როდესაც ქართველი ერი იბრძვის, რათა დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთა თანამეგობრობაში, ქართული კულტურის ისტორიის წარმოჩენას, მისი სპეციფიკის ჩვენებას, არის თუ არა კულტურის სხვა ფორმებისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი ტიპი, თუ შეიძლება მივაკუთნოთ ამა თუ იმ ზოგად კულტურულ ტიპს, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. რადგან კულტურის ყოველი ტიპის საფუძველია ღირებულებათა სისტემა, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა და ქმნის ადამიანთა ცხოვრების პრინციპებს, ვფიქრობ, იმ მიმოხილვითაც კი, რომელიც წარმოვადგინე ნათელია ჩვენი ეროვნული კულტურის მსოფლიო მასშტაბის, მარადიული სიახლისა და სიღრმის საფუძველი, რაც გვაძლევს უფლებას განვაცხადო, რომ: მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართველმა ხალხმა არა მარტო გაუძლო ისტორიულ ქარტეხილებს და შეინარჩუნა არსებობა მტრებთან უთანასწორო ბრძოლებში, არამედ შექმნა თვითმყოფადი კულტურა, რომელიც ჩამოყალიბდა კულტურის სხვა ფორმებისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელ ტიპად. სწორედ ამიტომაც ქართული კულტურა და ქართული მენტალიტეტი არასოდეს ყოფილა და, ალბათ, არც არასოდეს იქნება წმინდად ევროპული, ან წმინდად აზიური.

გენიალური ნიკო ნიკოლაძე ევროპული ღირებულებებიდან, რომელთა განხორციელებითაც ევროპელები დაწინაურდნენ, უპირველესთა შორის ასახელებდა ქვეყნისათვის მსახურებას, ყოველთვის ერის ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, ჩვენთვის უცხო პრაგმატულობასა და რეალიზმს, განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას და, ამასთან, უცხოური დადებითი გამოცდილების უეჭველ გათვალისწინებას. სწორედ ამ საკითხებს მიუძღვნა საინტერესო სტატია პროფ. ვ. შუბითიძემ – „ნიკო ნიკოლაძე და ნოე ჟორდანია ევროპული ფასეულობების შესახებ".

ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ უცხოელი, თუნდაც გენიოსი, რომელმაც ქართული სპეციფიკა არ იცის, ქვეყნისთვის ზუსტად მისადაგებულ განვითარების რეცეპტს ვერ მოძებნის. ევროპული ტრადიციით, იგი ქვეყნის შინაგანი საქმეების პირველ რიგში მოგვარებას მიიჩნევდა მთავრ პრიორიტეტად. ამასთან, ამ პრიორიტეტების განხორციელებისას ჩვენ თვითონ უნდა გამოვძებნოთ გზები, ჩვენი საკუთარი ინტერესების დაცვით. იგი დამღუპველად მიიჩნევდა გადაჭარბებულ რადიკალიზმს, გულგრილობას, თაობათა მეტისმეტ დაპირისპირებას და მემკვიდრეობითობის ნაკლებად დაცულობას. მიუღებლად მიაჩნდა ქართული მენტალიტეტის, ტრადიციების და ცხოვრების წესის უკუგდება, უცხოურის უკრიტიკოდ და უნიადაგოდ მიღების ხარჯზე, ეროვნულ ქურაში გაუტარებლად. ქვეყნის ევროპეიზაციისათვის აუცილებლად მიაჩნდა შრომის მიზანდასახულობა, მისი სწორი ორგანიზაცია, აზიური ინერტულობისა და ილუზიების, სხვისი მოიმედეობის და იოლი გამდიდრების განწყობილების დაძლევა. გმობდა მხოლოდ უცხოელთა ფინანსური და ეკონომიკური დახმარების იმედად ყოფნას და ამოცანად გვისახავდა ევროპული წესისამებრ მეცადინეობას, ჩვენი ქვეყნისათვის ზრუნვას, მარტო ჩვენი თავის იმედად ყოფნას, მარტო გაძლიერებაზე და განათლებაზე მუშაობას. სხვაგვარად ჩვენ პერსპექტივა არ გვაქვს. საქართველოს აღორძინების უმთავრეს პირობად ნ. ნიკოლაძე ეკონომიკურ განვითარებას მიიჩნევდა და ამის მისაღწევად აუცილებლად მიაჩნდა ევროპული სწავლა, თავჩაუხრელი შრომა, პასუხისმგებლობა და თვითგანვითარება, შინაგანი თანხმობა.

ყველაზე უმთავრეს ევროპულ ღირებულებებს მიეკუთვნება ადამიანის უფლებები და მისი ღირსების დაცვა. ადამიანის უფლებების (Human Rights) კონცეფცია გამომდინარეობს ბუნებითი კონცეფციის დოქტრინიდან, რომლისთვისაც ძირითადია განუყოფელი, თანდაყოლილი ადამიანური ღირსების ცნება. ამ კონცეფციის მიხედვით საზოგადოების თითოეულ წევრს, კანონით მინიჭებული უფლებების გარდა, აქვს ძირითადი უფლებები – სწორედ იმიტომ, რომ ისინი ადამიანებად დაიბადნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელისუფლებას იმდენი უფლება აქვს, რამდენსაც მას კანონი ანიჭებს, (შეზღუდული ძალაუფლების პრინციპი), ხოლო ადამიანს აქვს ყველა ის უფლება, რომელსაც არ უკრძალავს კანონი.

ადამიანის უფლებებში ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ: მატერიალურ და საპროცესო უფლებებს.

მატერიალური უფლებები მოიცავენ პირად, ანუ სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს.

პირად ანუ სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს მიეკუთვნება: ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, მოქალაქეობის უფლება, სიცოცხლის, პატივისა და ღირსების, თავისუფლების ხელშეუვალი უფლებები, სიტყვის, აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება და ა.შ.

პოლიტიკურ უფლებებს მიეკუთვნება: ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება, საარჩევნო უფლება, პოლიტიკური პარტიის, პროფესიული კავშირის შექმნის და მასში მონაწილეობის უფლება, მიტინგებისა და მანიფესტაციების ჩატარების უფლება და ა.შ.

ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს მიეკუთვნება: შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების უფლება, პროფკავშირების შექმნის უფლება, გაფიცვის უფლება; განათლების, ჯანმრთელობის უფლებები და ა.შ. კულტურულ უფლებებს მიეკუთვნება: საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, სამეცნიერო პროგრესის შედეგებით სარგებლობის უფლება და ა.შ.

საპროცესო უფლებები კი ადამიანისათვის მიკუთვნებული მოქმედების მეთოდები და მათთან დაკავშირებული ინსტიტუტებია, რომელთა დახმარებითაც ადამიანი დაცულია ხელისუფლების თვითნებობისაგან. ადამიანის უფლებათა დაცვის საპროცესო გარანტიებს მიეკუთვნება, აგრეთვე, საკონსტიტუციო სასამართლო, ომბუდსმენის (სახალხო დამცველის) ინსტიტუტი, რეფერენდუმის მოწყობის უფლება და ა.შ. ადამიანის უფლებათა ზოგადი პრინციპებია:

- ✓ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ და მხოლოდ ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სფეროს განეკუთვნება;
- ✓ ადამიანის უფლებები ინდივიდუალურია და არა კოლექტიური. ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისია ხალხთა თვითგამორკვევის უფლება;
- ✓ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არ არის სახელმწიფოს მიერ ნაბოძები წყალობა, ისინი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობენ, ვინაიდან ჩვენ ადამიანებად დავიბადეთ;
- ✓ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დაფიქსირებულია თუ არა ყველა ეს უფლება და თავისუფლება სახელმწიფოთა კონსტიტუციებსა და საკანონმდებლო აქტებში, ვინაიდან ადამიანის კუთვნილი უფლებები და თავისუფლებები ყველა კონსტიტუციასა და კანონმდებლობაზე მაღლა დგას;
- ✓ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა წყარო არ არის სახელმწიფო. ეს უფლებები სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობს, სახელმწიფო კი

აღიარებს მათ არსებობას; სახელმწიფოს მოვალეობაა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, რადგანაც ის არსებობს ხალხისაგან და ხალხისათვის;

- ✓ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებებია. ამ უფლებათა და თავისუფლებათა არსებობა არ შეიძლება შემოიფარგლოს დროის რომელიმე მონაკვეთით და არ შეიძლება შეილახოს სხვა ღირებულებებით;
- ✓ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, როგორც წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებები, ზღუდავს სახელმწიფოს ხელისუფლების განხორციელებისას, ე.ი. ხელისუფლება შეზღუდულია ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით.

adamianuri Rirseba (**Human dignity**). ერთ-ერთი ფუძემდებლური კონცეფციაა (თანასწორ და განუყოფელ კონცეფციასთან ერთად), რომელსაც ადამიანის უფლებათა დაცვა ეყრდნობა.

ადამიანური ღირსება ყველას მოეპოვება და არავის აქვს მისი შელახვის უფლება. ამ კონცეფციისათვის ძირითადია განუყოფელი, დადებითი ადამიანური ღირსების ცნება (განსხვავება პიროვნული ღირსებისაგან), რომელიც თავად კაცობრიობის ბუნებიდან გამომდინარეობს და ერთნაირად აქვს ყველა ადამიანს – იქნება ეს ახალშობილი, ამქვეყნად ჯერ რომ არაფერი შეუქმნია, თუ ჩამოყალიბებული დამნაშავე. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულაში თანდაყოლილი ღირსება და თანასწორი და განუყოფელი უფლებები თავისუფლების, სამართლიანობის და საყოველთაო მშვიდობის საფუძვლადაა მიჩნეული.

ღირებულებათა სისტემა, რომელმაც ახალი საზოგადოების შექმნას უნდა შეუწყოს ხელი, საქართველოში ჩამოყალიბებული ფორმით ჯერ კიდევ არ არსებობს. ევროპულმა ქვეყნებმა, გაიარეს რა საკმაოდ ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა ქრისტიანობაზე დაფუძნებული ღირებულებათა სისტემის დასამკვიდრებლად, შეძლეს მისი ჩამოყალიბება. ამით მათ შეძლეს შედარებით უმტკივნეულოდ გაეძლოთ ყველა სირთულისათვის და XXI საუკუნის დასაწყისში და უფრო ადრეც მოწინავე პოზიციებზე პირველები და ყველაზე ადრე დამკვიდრდნენ. ეს მათ უპირველეს ყოვლისა ღირებულებათა მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებამ მოუტანა. ვინაიდან ამ ქვეყნებმა ყველაზე უფრო ადრე შეძლეს ღირებულებათა ყველაზე ღირსეული, ჰუმანური და სამართლიანი სისტემის დამკვიდრება, ამ ღირებულებებს შეიძლება ევროპული ან ევრო-ატლანტიკური ღირებულებები ვუწოდოთ. სწორედ საერთო ღირებულებებს ეფუძნება მსოფლიოს ყველაზე უნიკალური ინტეგრაციული გაერთიანება – ევროპული კავშირი, სწორედ საერთო

ღირბულებებმა ჩაუყარა საფუძველი ერთიან ევროპას, რაც 1952 წლის 25 მარტს რომის დეკლარაციით გაფორმდა. ევროპული ღირებულებები ნაკლებადაა დაკავშირებული კულტურულ მემკვიდრეობასთან (მცირედითაც არ უგულებელყოფს, არ ხელყოფს მათ) და ცხოვრებისა და შრომის ყველაზე ეფექტურ მოდელად გვევლინება, **უპირველესი, უმთავრესი ევროპული ღირებულებები კი დემოკრატიაა, სამართლებრივი სახელმწიფო და სიტყვის თავისუფლებაა.** იგივე ღირებულებებზე და წესებზე დგას აშშ-ც. ნატოს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი, „ჯიპას“ საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამის კოორდინატორი, თორნიკე შარაშენიძე „ევროპული ფასეულობების“ შესახებ სამართლიანად აღნიშნავდა: „ევროპული ფასეულობები ნაკლებადაა დაკავშირებული კულტურულ მემკვიდრეობასთან (ეს მემკვიდრეობა მეტისმეტად მრავალფეროვანია). ეს უფრო პრაგმატული წესების პაკეტია, რომელიც კულტურულად საკმაოდ განსხვავებულ ერებს აერთიანებს. ეს წესები და პროცედურები არა იმიტომაა საყოველთაოდ მიღებული, რომ მათ „ცივილიზაციურ“ უნიკალურობებს ეხმიანება, არამედ იმიტომ, რომ ეს ცხოვრებისა და შრომის ყველაზე ეფექტური მოდელია, რომელიც კი პრაქტიკაში გამოიცადა. რაციონალური არჩევანია და აქ ნაკლებადაა შუაში სულიერება, ეზოტერიკა და ცივილიზაციურობა.

დემოკრატია პოლიტიკური პროცესის მართვის მექანიზმია. სამართლებრივი სახელმწიფო მართლმსაჯულების სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთქმედების სქემაა. სიტყვის თავისულფება ხელისუფლების კონტროლის მექანიზმი და საინფორმაციო სივრცის უმნიშვნელოვანესი შემადგენელია. ასე შეიძლება მივყვეთ ყველა ევროპულ ფასეულობას. ისევ და ისევ, არანაირი ეზოტერიკა.

რუსეთს იგივე თამაშის წესების მიღება არასოდეს სურდა. თავის დროზე მან კომუნიზმი არჩია, რომელმაც არ გაამართლა. ახლა გაუგებარია რას არჩევს. „ერთიანი ინტერესები“ ევროპასთან, ალბათ, ისევ და ისევ ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობას გულისხმობს.“ (თ. შარაშენიძე, ინტერესები და ფასეულობები, „24 საათი“, 2 აპრილი, 2007, №71, გვ. 1,2).

ევროპული ღირებულებების შესახებ საინტერესო აზრებს გვაწვდის გაზ. „24 საათის“ მმართველი რედაქტორი პაატა ვეშაპიძე (იხ. პაატა ვეშაპიძე, თავისუფალი პრესის არარსებობა ტირანიაა, გაზ. „24 საათი“, №121 (670), 24 მაისი, 2004). ავტორი ეხება ფონდი „ცაიტი და ჰერდ ბუცერიუსის“ და ნორვეგიის სიტყვის თავისუფლების ფონდის მიერ აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო გაზეთებისა და ჟურნალისტების გამოსავლენად ჩატარებული კონკურის შედეგებს. მაშინ ჟიურიმ გამარჯვებულად ცნო „24 საათი“ და მასთან ერთად კიდევ ოთხი გაზეთი, რომელთაც წამახალისებელი პრემიებიც

(30000 ევრო) ერგოთ. სტატიაში ავტორი აღნიშნავს, რომ **მთავარი ევროპული ღირებულებებია თავისუფალი პრესა და ძლიერი ხელისუფლება. აქ უმთავრესი პრიორიტეტი ლიბერალური ღირებულებებისადმი ერთგულებას ენიჭება.** სტატიაში ვკითხულობთ: „19 მაისს, გაზეთ „ცაიტის" დამფუძნებლისა და ფონდის დამაარსებლის, ჰერდ ბუცერიუსის დაბადების დღეს, ჰამბურგის რატუშაში, სწორედ ამ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

„რომელი სჯობს – ხელისუფლება თავისუფალი პრესის გარეშე, თუ თავისუფალი პრესა – ხელისუფლების გარეშე? ასეთი ალტერნატივის არსებობაც კი დაუშვებელია ნორმალური ქვეყნისათვის, რადგან ხელისუფლების არარსებობა ანარქიაა, თავისუფალი პრესის არარსებობა კი – ტირანია. ამიტომაცაა თავისუფალი პრესა და ძლიერი ხელისუფლება მთავარი ევროპული ღირებულებები" – წარმოთქვა გაუნტერ ფერჰოიგენმა და ამით ხაზგასმით ერთ სიმაღლეზე დააყენა პრესისა და ხელისუფლების მნიშვნელობა სახელმწიფოს განვითარებისთვის. იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლება უკონტროლო დიქტატურისკენ მიისწრაფვის, პრესა უმძიმეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ევროკომისარმა დაასახელა მაგალითები, თუ როგორ უსწორდებიან თავისუფალი სიტყვისათვის გამოცემებსა და ჟურნალისტებს: უკრაინასა და რუსეთში პრესის მდგომარეობა მან საგანგაშოდ მიიჩნია, ბელორუსს კი საერთოდ ევროპის შავი ხვრელი უწოდა. საბედნიეროდ, ამ ჩამონათვალში არ მოხვედრილა საქართველო".

სისტემური სახით, სრულყოფილად ჩამოყალიბებული ღირებულებებისგან საქართველო ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა. გარკვეული გაგებით შეიძლება დავსვათ ასეთი კითხვა: ევროპამ ქრისტიანობაზე დაფუძნებული ღირებულებათა სისტემა დაამკვიდრა, განა საქართველოც ამ ღირებულებებს არ ეფუძნება? მაშ, რაშია საქმე? რით განსხვავდება ღირებულებათა ქართული სისტემა ევროპულისგან, რომლისკენაც ჩვენ ნიადაგ მივისწრაფვით? ეს დაკავშირებულია ღირებულებათა სისტემის განხორციელებასთან, მასთან მიახლოების სიმწიფესთან, მისი სისრულის მიღწევასთან, რასაც საქართველოში წინ მრავალი გარემოება ეღობება. ამიტომ საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ეს ხელისშემშლელი გარემოებები დავძლიოთ.

3.3. ეკონომიკური თავისუფლების ღირებულებითი საფუძვლები

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ქვეყნის წინსვლა ეროვნული ეკონომიკური ფასეულობების გარეშე, რომელსაც ხშირად ღირებულებებსაც უწოდებენ, წარმოუდგენელიც არის და მიზანშეუწონელიც.

ცივილიზაციის მიღწეული დონე ახალ აზროვნებას მოითხოვს. ყველაზე უფრო მოკლედ თუ ვიტყვით, გარდუვალი გახდა „ერის საერთო კეთილდღეობის" უთუოდ გლობალურ კონტექსტში განხილვა და ლიბერალური ეკონომიკური ორიენტირების გონივნული განსაზღვრა. ამისათვის კი, თანამედროვე ეკონომიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს ღრმა მეცნიერულობა, რეალისტურობა, მასშტაბურობა, სისტემურობა და მოქნილობა. ახალი აზროვნება უნდა დაფუძნდეს ობიექტურ კანონზომიერებათა ღრმად შემეცნებაზე, რომელიც ახლანდელ რეალობებს ითვალისწინებს. უნდა შეგვეძლოს წარსულის სამართლიანი შეფასება. საჭიროა გონივრულად მივუდგეთ საქმეს, არ შემოვიფარგლოთ ამწუთიერი ამოცანებით. ყოველი საკითხი კომპლექსურად უნდა გადავწყვიტოთ. გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციის მსვლელობისას დროულად უნდა გავითვალისწინოთ ახლად წარმოშობილი გარემოებები, ახალი მოვლენები და პროცესები. ასეთია მეცნიერული აზროვნების ლოგიკა. ილია ჭავჭავაძის მოძღვრება, მისი ტრაქტატები სამართლის და ფილოსოფიის, ეკონიმიკის და სოციოლოგიის, პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების, ისტორიის და ბიბლიოლოგიის, მართლმადიდებლური ქრისტიანობის და საერთოდ, ცხოვრების ყოველგვარი „კუთხე-კუნჭულის" შესახებ, სწორედ ასეთ ახალ, თანამედროვე აზროვნებას გვიხსნის, განმარტავს, აყალიბებს მის პრინციპებს და ამით გვეხმარება ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში.

მაინც რა არის ის უმთავრესი ღირებულებანი, რომლისკენაც დღენიადაგ უნდა ვისწრაფვოდეთ და როგორია ის მეთოდები, გზები და უმთავრესი პრინციპები, რომლებსაც თანამედროვე გლობალურ სამყაროში უნდა ვიყენებდეთ ჩვენი მიზნების მისაღწევად? აღნიშნულის შესახებ წინამდებარე ნაშრომში ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომელსაც აქ კვლავ გავიმეორებთ.

ყველაზე უმთავრესი ჩვენთვის ის უნდა იყოს, რომლის გარეშეც „ჩვენ", „ჩვენ" არ ვიქნებოდით. ასეთებად ილია ჭავჭავაძეს მამული, ენა და სარწმუნოება მიაჩნდა, რომლებსაც „სამ ღვთაებრივ საუნჯეს" უწოდებდა. მათი მარადიული დაცვა თვითოეული ჩვენი თანამოქალაქის წმიდათა წმიდა ვალია. შთამბეჭდავად წერდა ილია ჭავჭავაძე: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?" (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 26-27).

ამ მარადიულ ღირებულებებს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ჩვენი მთლიანობა და თვითმყოფადობა არ დავკარგოთ. მთავარია ასევე ვიცოდეთ როგორ, რა გზებით უნდა დავიცვათ ჩვენი მამული, ენა და სარწმუნოება.

ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ქვეყანამ ისე უნდა გამოიყენოს თავისი აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობანი, მისი ეკონომიკის მდგრადობას საფრთხე არ დაემუქროს და ხალხისთვის, არსებობისთვის საჭირო სახსრები ადვილად და იაფად მოსაპოვებელი გახადოს. ასეთი ნააზრევი ყოველი ხელისუფლებისაგან დიდ დაკვირვებას მოითხოვს. გლობალიზაციის, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის, საყოველთაოდ განვრცობის პირობებში აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობების ზომის ზუსტად მიგნება, განვითარების მისაღწევად, მისი გონივრული ერის საერთო ინტერესების დაცვით გადაწყვეტა, ხელისუფლების, საზოგადოების ყველაზე პრიორიტეტული, საყოველდღეო ამოცანაა.

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მიდგომებიდან ჩვენი ეპოქისთვის უმნიშვნელოვანესია აგრეთვე, რომ მის მიერ ყველაფერი, ყოველგვარი მოვლენა ფარდობითობაში ანუ რელატივურობაში განიხილება. მისი მთავარი დამახასიათებელი კონკრეტული თავისებურება ის არის, რომ ილია ყველაფერს საკუთარი ქვეყნისადმი, მისი ადგილის (გეოსტრატეგიული მდგომარეობა), გარემო პირობების და ისტორიული ვითარების (დროის) ნიშნით, მასზე დამოკიდებულების მიხედვით განიხილავდა. მისი თეორია ეკონომიკურ ცხოვრებას წარმოგვიდგენს არა როგორც მოვლენათა, არამედ როგორც თანაფარდობის გაგებას (ახსნას). თავის თხზულებებში ილია სულ ამ თანაფარდობის დადგენის ძიებაშია.

სწორედ ასეთი თანაფარდობის დადგენის საფუძველზე მიიჩნევს ილია შესაძლებლად ჭეშმარიტი, ოპტიმალური, მთელი საზოგადოებისთვის მისაღები ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ეს კი უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს ზოგადკაცობრიული და ეროვნული ღირებულებების ოპტიმალური სინთეზის მისაგნებად, ჩვენი „მე“-ს, „ადგილობრივი წვრილმანების“, ტრადიციების და ზნე-ჩვეულებათა შენარჩუნების გზით საერთო წინსვლის მისაღწევად. ყოველივე ზემო აღნიშნულს, თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში თვითოეული ქვეყნისთვის ფასდაუდებელი, გამოყენებითი დანიშნულება აქვს.

მსოფლიო გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ლიბერალური ეკონომიკის გზის არჩევა ყველაზე სწორი პასუხია ნებისმიერი ეკონომიკური კრიზისის და სირთულის დასაძლევად. მის დადასტურებად შეიძლება მოვიყვანოთ თუნდაც აშშ და ჩინეთის მაგალითები, რომლებიც ყოველგვარ პრობლემას იმით ჭრიან, რომ სულ უფრო მეტ ლიბერალიზმს ამკვიდრებენ. თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, საქართველოსთვისაც სხვა არცერთი ეკონომიკური პოლიტიკა, არცერთი ეკონომიკური რეცეპტი თუ მოძღვრება არ იქნება ისეთი გამართლებული და წარმატებისა და ზრდის მომტანი, როგორც მაქსიმალურად ლიბერალური ეკონომიკის შენების კურსი.

ლიბერალური, გახსნილი და თავისუფალი ეკონომიკა არის არა მარტო წინსვლის გარანტი, არამედ სწორედ ისაა ყველაზე სწორი და ერთადერთი პასუხი ნებისმიერ ეკონომიკურ კრიზისსა თუ პოლიტიკურ ძნელბედობაზე. ეს კურსი არ არის ჩვენთვის უცხო, გამომდინარეობს ჩვენივე ტრადიციებიდან, პასუხობს ჩვენი ხალხის მისწრაფებებს. მისი წყაროც გაგვაჩნია პირველი ქართველი ლიბერტარიანელის ილია ჭავჭავაძის ლიბერალური ეკონომიკური იდეოლოგიის სახით.

ზოგიჯერ ამბობენ, რომ ლიბერალიზმი ჩვენთვის ზედმეტად უცხო სიტყვაა. შეიძლება რაღაც საკითხებში ჩვენ მართლაც გვიწევს ავიღოთ ის, რაც სხვა კულტურებს შეუქმნიათ წარმატებისთვის და ამით კიდევ უფრო გავამდიდროთ ჩვენი დიდი კულტურა და ცოდნა.

მაგრამ როდესაც საქმე ეკონომიკურ ლიბერალისმს ეხება, ჩვენ არავისგან არაფერი არა გვაქვს გადმოსაღები. ჩვენი ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეოლოგიას რა თქმა უნდა ამყარებენ მილტონ ფრიდმანი და მურეი როთბარდი, ჰაიეკი და ფონ მიზესი, მაგრამ მათთან ერთად და უწინარესად ყოველთა, ჩემთვის მთავარი აღმაფრების წყარო მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი ქართველი მოაზროვნე და ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრივი შეგნების ერთ-ერთი ფუძემდებელი ილია ჭავჭავაძეა. ილია იყო პირველი ქართველი ლიბერტარიანელი თავისი ეკონომიკური ფილოსოფიით. ილია იყო პირველი ქართველი, ვინც ქადაგებდა თავისუფალ ვაჭრობას, გახსნილ ეკონომიკას, მთავრობის მცირე ჩარევას ეკონომიკაში და დაბალ, ლიბერალურ გადასახადებს. ეკონომიკურ ლიბერალიზმს იგი „ფრიტრეიდერობას“ ეძახდა და განმარტავდა, როგორც აღებ-მიცემობის თვისუფლებას.

ჯერ კიდევ გრიგოლ რობაქიძე მიიჩნევდა, რომ ილია ჭავჭავაძე საქართველოს გენიაა, მისი სიმბოლოა, მარადიულ ღირებულებათა საწინდარი, მარად ჩვენი თანამედროვეა. ეს არის სრული ჭეშმარიტება. ჩვენი ლიდერი, ჩვენი იდეოლოგი და ეტალონი არის ილია ჭავჭავაძე. თავის დროზე ილია ჭავჭავაძე დადგა ყოველგვარ ქიშპზე, ყოველგვარ მტრობაზე, ყოველგვარ ურთიერთდაპირისპირებაზე მაღლა და თქვა: მთავარია საქართველო, მთავარია ერთიანობა, მთავარია ქართველი ერი და მისი ერთიანი მენტალიტეტი, მთავარია ერთიანი საქართველოს იდეა.

ილია ჭავჭავაძის ლიბერტარიანული ეკონომიკური ფილოსოფია ერის ფუნდამენტური, მატერიალური ინტერესების ხორცშესხმას ემსახურება, ვინაიდან, როგორც ილია მიიჩნევდა, თავისუფალი გაცვლის პირობებში, როცა საქონელი არ არის ფასაწეული ბაჟის ან რაიმე სხვა ფორმალობის გამო, ის ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომია. ადამიანი კი ეკონომიკურად მით უფრო ბედნიერია, რაც უფრო სრულად, ადვილად და

გაჭირვების გარეშე იკმაყოფილებს თავის გონივრულ მოთხოვნილებებს. გვიხსნიდა რა „ფრიტრედერობას“, ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ფრიტრედერობა წარმომდგარია ინგლისურის სიტყვისაგან ფრეე ტრადე და სიტყვა-სიტყვით რომ ითარგმნოს, ჰნიშნავს: აღებ-მიცემობის თავისუფლებასა, იმაში მდგომარეობს, რომ სააღებ-მიცემო საქონელი, შინაური თუ გარედამ შემოსული, ყოველის ბაჟისა და გადასახადისაგან დახსნილი იყოს და არა რომელიმესამე კანონმდებლობისაგან შეხუთული არ უნდა იქმნას. ეს მოძღვრება იმაზეა დაფუძნებული, რომ თავისუფლად მოარული საქონელი, არ-შეხუთული არც ბაჟისა და არც რაიმე ფორმალობისაგან, ყველასათვის ადვილად მოსაპოვებელია და მისაწვდენი, – ჯერ იმის გამო, რომ გახშირებულია, და მერე იეფია, რადგანაც ბაჟისა და ან რაიმე შევიწროებისაგან განგებ ფასაწეული არ არის. მართალიც არის. ბაჟი, დიდია თუ მცირე. განგებ ზედშეკეცილი გადასახადია, და რამოდენადაც იგი დიდია, იმოდენად განგებ აძვირებს საქონელსა და ამ გზით საქონლის ფასი, რომელიც თავის საკუთარის არსების კანონებისაგან განისაზღვრება და დაიდგინება ხოლმე, ბაჟისა და სხვა რაიმე შევიწროების მეტნაკლებობასაც უნდა ექვემდებარებოდეს და ეკითხებოდეს. სახელმწიფო, რომლის მიზეზი და საბუთი არსებობისა სხვა არა არის რა, თუ არ მკვიდრთა კეთილდღეობისათვის მზრუნველობა, უნდა იმასა ჰცდილობდესო, ამბობენ ფრიტრედერობის მომხრენი, რომ ცხოვრებისათვის საჭირო საქონელი ადვილად და იეფად მოსაპოებელი იყოს ყოველის მკვიდრისათვისო, რადგანაც მკვიდრი კაცი მით უფრო ეკონომიურად ბედნიერია, რამოდენადაც უფრო სავსედ, უფრო მთლად ჰშოულობს სარჩო-საბადებელსა და რამოდენადაც უფრო ბევრს საჭიროებას ცხოვრებისას იკმაყოფილებს ადვილად და გაუჭირებლადო“ (ჭავჭავაძე ი., სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა, თხზ; ტ. 7). წერდა რა ამ სტრიქონებს, ილია ჭავჭავაძე აქვე (იხ. გვ. 318-320) მოიხსენიებდა აღნიშნული მოძღვრების შემქმნელ დიდ მეცნიერებს ადამ სმიტს, „სახელოვან ინგლისელ პოლიტიკო-ეკონომს“, რომელიც „მამამთავრად ითვლება საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებისა“; „სახელოვან ინგლისელებს კობდენსა და ბრაიტს“; ინგლისის „მთავარმინისტრს“ რობერტ პილს, რომელმაც „1846 წელს გააუქმა პურზედ დადებული ბაჟი, პური სულ მთლად გაანთავისუფლა ბაჟისაგან ღარიბთა მცხოვრებთა საოხად და საკეთილდღეოდ“; „ამ მოძღვრებას მოსარჩელენი გამოუჩნდნენ არა მარტო ინგლისში, საფრანგეთშიაც, ბევრი ცოტად თუ ბევრად სახელგანთქმულნი მეცნიერნი მიემხრნენ ამ მოძღვრებასა, მაგალითებრ, ბასტია, შევალიე, გარნიე პაჟეს და სხვანი“. როგორც ავტორი აქვე დასძენდა: „დროთა მიმავლობაში ამ მოძღვრებამ ისეთი სახელი გაითქვა, რომ ერთაშორისმა კანონმდებლობამაც კი შეიწყნარა და სათავედ დაუდვა ყოველს თვისმოქმედებასა. ამ მოძღვრების საფუძვლად შესდგა 1861 წ. აღებ-მიცემობის

კონვენცია (ხელშეკრულება) ინგლისსა და საფრანგეთს შორის და 1865 წ. გერმანიასა და საფრანგეთს შორის“ (ჭავჭავაძე ი., სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა, თხზ; ტ. 7).

იმისათვის, რომ ხალხის ცხოვრება გავაუმჯობესოთ, საჭიროა თითოეული მოქალაქე ჩავაყენოთ ქვეყნის სამსახურში და ვიშრომოთ თავდაუზოგავად. ყველაზე უფრო პრიორიტეტული ის არის, რომ ვემსახუროთ სამყაროს ყველაზე მთავარ, უნიკალურ ღირებულებას – თითოეულ ადამიანს. ამ მიზნით საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე თავისი საპროგრამო სიტყვით გამოსვლისას ხალხისა და მთავრობის უპირველეს ამოცანებს შორის განსაზღვრა: 1. ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითოეული ადამიანი არის განუმეორებელი, უნიკალური უმაღლესი ღირებულება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ხალხის უმრავლესობის უკიდურეს გაჭირვებას უნდა დავაღწიოთ თავი; 2. საჭიროა დემოკრატიული ინსტიტუტიების განვითარება. უნდა დავამკვიდროთ კანონის უზენაესობა და აღვადგინოთ სამართლიანობა ქვეყანაში. არც ერთი დანაშაული, თუ ის მტკიცებულებებით იქნება გამყარებული, არ უნდა დარჩეს დაუსჯელი. ყველამ, ვისაც უკანონობაში ექნება მონაწილეობა მიღებული, პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე – მხოლოდ კანონისა და სასამართლოს ძალით. შესწავლილი უნდა იქნეს საკუთრების უფლების ტოტალური დარღვევის შედეგად შექმნილი ვითარება, აგრეთვე, საქართველოში ბოლო წლებში გავრცელებული „ელიტარული კორუფციის“ მასშტაბები და უნდა შემუშავდეს მათი აღმოფხვრის მექანიზმები; 3. ქვეყანამ უნდა განახორციელოს ფართომასშტაბიანი რეფორმები ყველა სტრატეგიული მიმართულებით და მთავრობის პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს საქართველოს მოსახლეობის მკაფიოდ გამოხატულ ინტერესებს. ამისათვის სამთავრობო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში აქტიურად უნდა იქნენ ჩამბული მოქალაქეები და სწორედ ეს უნდა გახდეს მთავრობის მუშაობის საფუძველი („საქართველოს რესპუბლიკა“, №206 (7082), პარასკევი, 26 ოქტომბერი, 2012, გვ. 2-3).

ჩამოაყალიბა რა ლიბერალიზმის ქართული ნაირსახეობის იდეოლოგია და მოძღვრება საქართველოში ევროპის და სხვათა მოწინავე გამოცდილების დანერგვის შესახებ ისე, რომ არ დავკარგოთ ჩვენი ტრადიციები, ადათ-წესები და ჩვეულებები და თან, ამასთან ერთად, სხვისი მოწინავე გამოცდილებაც გავითვალსიწინოთ, ე.ი. მივაღწიოთ მის ოპტიმალურ სინთეზსს, ილია ჭავჭავაძემ ამით საფუძველი დაუდო თავის საკუთარ დოქტრინას ლიბერალიზმისა და, უნდა ითქვას, რომ იგი არის ავტორი და შემოქმედი ასეთი დოქტრინებისა არამარტო ეკონომიკის, არამედ სხვა მრავალ სფეროში: ფილოსოფიაში,

სამართალში, რელიგიაში, ისტორიაში და ა.შ. მისი თითოეული სიტყვა მაგალითი და ანდერძია ჩვენთვის იმისათვის, თუ როგორ მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება ჭეშმარიტი ადამიანური ღირებულებების გათვალისწინებით. როგორც ეკონომისტი, რომლის კალამს ეკუთვნის თითქმის თოთხმეტ ტომზე მეტი ეკონომიკური ხასიათის ნაშრომები და პუბლიკაციები, ილია ჭავჭავაძე თავისავე მიერ „სახელოვან ინგლისელ პოლიტიკო-ეკონომად“ და „საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერების მამამთავრად“ მოხსენიებული ადამ სმითივით დიდია მთელი მსოფლიოსათვის, ჩვენი ქვეყნისათვის კი კიდევ უფრო დიდია. უბრალოდ, ისტორიული ძნელბედობის და შექმნილი ვითარების გამო ჩვენ ვერ შევძელით ილია ჭავჭავაძის შემოქმედების, განსაკუთრებით მისი ეკონომიკური დოქტრინის ნაწილობრივ მაინც წარმოჩენა ცივილიზებული ქვეყნებისათვის, თორემ ამ ჩვენი აზრების სისწორეში მთელი მსოფლიო დარწმუნებოდა, რომ ილია მსოფლიო მარადფასეული კულტურული საგანძურის თვითმყოფადი ბურჯია. ამიტომაც ჩვენი ამოცანა დღენიადაგ უნდა იყოს, რომ ეს ბუმბერაზი შემოქმედი თავისი ეკონომიკური იდეოლოგიის მთელი პერიპეტიებით სხვა ერებსა და ხალხებსაც გავაცნოთ.

ილია ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა ეკონომიკური ლიბერალიზმის მთავარი ღირებულებითი საფუძვლები, რომელთაგან უპირველესი არის შესაძლებლობების შექმნა, უფრო ზუსტად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების შექმნა. იმისათვის, რომ განვახორციელოთ და შეუქცევადი გავხადოთ ლიბერალური ეკონომიკური კურსი და დავიცვათ ჩვენი მონაპოვარი, საჭიროა შევუქმნათ ინსტიტუციური საფუძველი ჩვენი ეკონომიკის თავისუფლებას. ეს საფუძველი კი არის ეკონომიკის მთავარი ღირებულებითი ორიენტირები, რომლისკენაც დღენიადაგ უნდა ვისწრაფვოდეთ.

სწორედ ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა მოგვცემს საშუალებას, რათა წარმატებით დავაღწიოთ თავი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, იზოლაციონალიზმის გზის არჩევით კი, ჩვენ მას თავს ვერ დავაღწევთ. ამისათვის კი საჭიროა ფეხი აუწყოთ მსოფლიო გლობალიზაციის მიმდინარე პროცესებს და არ ჩავიკეტოთ ჩვენს ნაჭუჭში, ვისწავლოთ გლობალიზაციის შესაფერისი, მასშტაბური ეკონომიკური აზროვნება.

თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე წარმოუდგენელია. წარმატებას მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ, თუ ჩვენს ღირებულებებს ინსტიტუციურ და ეკონომიკურ სისტემებად ჩამოვაყალიბებთ და ჩვენი ოჯახების კეთილდღეობამდე და ღირსეულ დასაქმებამდე მივიყვანთ საქმეს. ასეთია ჩვენი გზა, რადგან მარტოოდენ ენთუზიაზმით წინ ვერ წავალთ. ჩვენ გვჭირდება ჩვენი ღირებულებების ინსტიტუციურ და ეკონომიკურ სისტემებად გარდასახვა და, რაც ასევე მთავარია, ჩვენ გვჭირდება თითოეული მოქალაქის მიერ

გაცნობიერებული პასუხისმგებლობა, მონდომება და შრომისმოყვარეობა. საჭიროა შევიკრათ როგორც ერთი ორგანიზმი, როგორც ერთი კომპანია და ავიღოთ საერთო პასუხისმგებლობა ქვეყნის გასაძლიერებლად და გადასარჩენად. ლიბერალური ეკონომიკის შენების ჩვენ გზაზე ჩვენი მთავარი ღირსება უნდა იყოს თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე.

აქ არ შეიძლება ნაწილობრივ მაინც არ შევეხოთ ისეთ მნიშვნელოვან სოციალური საკითხს, როგორიცაა ბიზნესის განვითარება საქართველოში, მისი პრობლემები და გადაჭრის გზები. იმისათვის, რომ აღნიშნულის თაობაზე წარმოდგენა შეგვექმნას, უფრო დავაკონკრეტოთ თემა და დავსვათ კითხვა: მიუხედავად ყველა შესაძლებლობისა, არსებობს თუ არა პრაქტიკაში ბარიერები, პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ბიზნესის განვითარებას? ხომ არ ხდება ისე, რომ სიტყვით მართლაც ვუშვებთ ბიზნესის თავისუფლებას, საქმით კი ვზღუდავთ მას? ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ეს კითხვები არის აქტუალური. როგორც ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელთა გამოკითხვით დადგინდა, ბიზნესის განვითარებას საქართველოში, ჯერ კიდევ მრავალი დაბრკოლების გადალახვა უწევს (იხ. მაია მიშელაძე: ქართული ბიზნესის 9 „ქილერი“). ასოციაციამ გამოკითხვის შედეგად ათამდე ბარიერი და ხელისშემშლელი მომენტი გამოავლინა. შევეხოთ ამ პრობლემებს. **კანონმდებლობის პრობლემა:** ყველაზე მთავარ პრობლემას, განსაკუთრებით მცირე ბიზნესისათვის კანონმდებლობის ხშირი ქმნის.

ბიზნესის შესახებ კანონების არცოდნის პრობლემა: როგორც გამოკითხვით დადგინდა, მცირე მეწარმეთა 23%-მა საერთოდ არ იცოდა, რომ ბიზნესს საგადასახადო კოდექსი არეგულირებს. **პრობლემა – კანონის ენა:** კანონებს ათჯერ უფრო დიდი ზომის განმარტებები და ინსტრუქციები მოსდევს, ხშირია „ორმაგი“ ჩანაწერებიც, რომლის გამო მეწარმე და საგადასახადო ინსპექტორი სხვადასხვაგვარად აღიქვამენ კანონს. გამოსავალი კი ის არის, რომ კანონი მარტივად უნდა იკითხებოდეს, განმარტებები და ინსტრუქციები უნდა ახლდეს. **პრობლემა – დაბალი სამეწარმეო უნარები:** მეწარმეებს უჭირთ ფინანსებისა და პარტნიორების მოძიება. მათ მცირე ბიზნესის წარმართვის ელემენტარული ცოდნაც კი არ გააჩნიათ. **კონკურენციის მიმართ დამოკიდებულების პრობლემა:** ბიზნესმენები საქმეს ზერელედ უდგებიან. გამოკითხულთა 20%-მა უპასუხა, რომ მას დარგში (ვაჭრობა, მშენებლობა) კონკურენტი არ ჰყავს, რაც ვაჭრობასა და მშენებლობაში მაინც, ვფიქრობთ, წარმოუდგენელია. **ინფორმირებულობის პრობლემა:** აქ იგულისხმება როგორც კანონმდებლობის ხშირი ცვალებადობა, ასევე ნაკლები ინფორმაცია იმის შესახებ, სად იმართება ესა თუ ის სავაჭრო გამოფენა? ასევე იგულისხმება ინფორმაცია ახალი

ტექნოლოგიების შესახებ. მეწარმეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მათი პრობლემები უფრო აქტუალურად შუქდებოდეს მედია-საშუალებებში. **პროფესიული გადამზადების პრობლემა:** იგულისხმება კონსულტაციები და საინფორმაციო მასალა, საიდანაც ისინი ბიზნესის კეთების ელემენტარულ წესებს შეიტყობენ. სხვათა შორის, არსებობს ევროპული გამოცდილება, სადაც სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი თანამშრომლოს და ბიზნესკონსულტაციებს უწევს დაინტერესებულ პირებს. **პრობლემა – სასურველი კადრის დაქირავება:** აღმოჩნდა, რომ დღეს საქართველოში დიდი მოთხოვნაა პროფესიონალ ელექტრიკოსზე, მშენებელზე, შემდუღებელზე და მლესავზე. ერთი შეხედვით, ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემაა და თითქოს, ბევრია ასეთი პროფესიის ადამიანი. თუმცა, შრომის ბაზრის კვლევისას აღმოჩნდა, რომ უმრავლესობას ესა თუ ის საშუალო პროფესია არა სპეციალურ სასწავლებელში, არამედ – „მემკვიდრეობით“ აქვს ნასწავლი: მამისგან, ბაბუისგან, ნათესავისგან და ასე შემდეგ. მართალია, სახელმწიფომ დაიწყო პროფესიული სასწავლებლების აღდგენა, მაგრამ ამან თუ სერიოზული მასშტაბებია არ შეიძინა და არ მომრავლდა ეგრეთ წოდებული პროფები, ბიზნესს სერიოზული დაბრკოლებას შეუქმნის. განათლების უამრავი, ახალი ტექნოლოგიაა შემოსული და პროფესიონალი ელექტრიკოსის დაქირავება ძნელია, რომელიც ამ ყველაფერში ერკვევა. **პრობლემა – შრომის ბაზრის კვლევა:** სასურველია, რომ ვიდრე უმაღლესი სასწავლებლები ამა თუ იმ სპეციალობებზე აბიტურიენტთა მიღებას გამოაცხადებენ, მათ შრომის ბაზარი შეისწავლონ და დამსაქმებლები გამოკითხონ. კვლევის შედეგად უნდა დადგინდეს, რომელ სპეციალობაზე იქნება მოთხოვნა 5 წლის შემდეგ და სწორედ ამის გათვალსიწინებით გამოცხადდეს მიღება სხვადასხვა სპეციალობაზე.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით 2011-2012 წლებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა საქართველოს ბიზნესისთვის უპირველეს პრობლემატურ ფაქტორად დასახელდა. ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან (3.3.1.).

ცხრილი 3.3.1

ყველაზე პრობლემატური ფაქტორები ბიზნესის წარმოებაში (%)



წყარო: „კვირის პალიტრა“, 11-17 ივნისი, 2012, გვ. 27

ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოში ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობა პრობლემური საკითხია. სპრედი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთსა და საკრედიტო რესურსების ღირებულებას შორის ძალიან მაღალია და 3-4-ჯერ აღემატება საერთოევროპულ მაჩვენებლებს. თვითონ საბანკო სექტორში შარშან საყურადღებო ის იყო, რომ მათ გაუორმაგდათ მოგება (323 მილიონამდე), მაშინ როცა ეკონომიკაზე გაცემული სესხების მოცულობა 12-13%-ით გაიზარდა, დასაკუთრებული ქონების სიდიდემ კი უკვე გადააჭარბა ვადაგადაცილებული სესხებისა და კრედიტების ღირებულებას. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ იპოთეკით დატვირთული ქონების შეფასებისას ფასი, როგორც წესი, საბაზროსთან 2-3-ჯერ დაბალია, მათ ხელში შარშან გადასული ქონება, სულ ცოტა, ნახევარი მილიარდი დოლარის ღირებულების მაინც არის. გამოდის, არასაბანკო საქმიანობითა და წმინდა იურიდიული კაზუისტიკით საბანკო სექტორმა მეტი ქონება იშოვა, ვიდრე საბანკო ოპერაციებით გზით. ამას შეიძლება ძალიან უარყოფითი შედეგები მოჰყვეს. ბანკები შეიძლება კლიენტების გარეშე დარჩნენ. ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რომ ეს შიში და შფოთი მოუხსნას კერძო სექტორს და დაარწმუნოს, რომ სახელმწიფო არის არა მხოლოდ წარმოებითი ურთიერთობების

რეგულატორი, არამედ გარანტი სტაბილურობისა, ხვალინდელ დღეს ნორმალური საქმიანობისა. ასეთ პირობებში საბანკო სექტორი თავად გადაწყვეტს საპროცენტო განაკვეთების შემცირებას.

აღნიშნულის გარდა, ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას სხვა გარემოებებიც აფერხებს. როგორც ქართველი ეკონომისტები ამტკიცებენ, 2011 წლიდან საქართველოს უკვე საგარეო ვალების გადახდის პერიოდი უდგება და ქვეყანა შესაძლოა რთულ ვითარებაში აღმოჩნდეს. ამიტომ ჩვენ გვჭირდება ინვესტიციების მოზიდვა, რაც თავის მხრივ, სტაბილური და ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს გარეშე შეუძლებელია. როგორც ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე ხელისუფლებასთან დაახლოებული ეკონომისტების მტკიცებებზე დაყრდნობით აღნიშნავს: „როგორ შეიძლება, ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო იყოს ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტი ყოველ მეორე დღეს აცხადებს, რომ შესაძლოა, რუსეთი თავს დაგვესხას, სადაც საბანკო გადმორიცხვების პროცენტი მსოფლიოში, მგონი ყველაზე მაღალია, სადაც ბანკის სესხი მხოლოდ ახლობლებზე გაიცემა და ისიც – უპრეცედენტო პროცენტებით და სადაც ყველა ღირებული და მნიშვნელოვანი ბიზნესი მონოპოლიაა და თან, მას ხელისუფლების მაღალჩინოსნები და მათი ოჯახის წევრები აკონტროლებენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მედიაშიც კი, თუკი პრეზიდენტის ფავორიტი ანდა მინისტრის მოადგილის ცოლი არა ხარ, ცოტა ხანში მუშაობა გაგიჭირდება. (ირმა ჩაფიძე, გველოდება თუ არა დაჭერების ახალი ტალღა და სოციალური პროტესტი? „რეზონანსი“, 6 აგვისტო, 2010, №207, გვ. 1, 9).

„საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის საყოველთაო პრინციპებს და იმ თანამედროვე მიდგომებს, რომლებიც განსაზღვრავს სახელმწიფოს როლს სოციალური კეთილდღეობისა და სოციალური უსაფრთხოების საქმეში.

საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის მოხდება ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზება, განხორციელდება ექსპორტის სტიმულირება და იმპორტის ჩანაცვლება.

სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლიანი, თავისუფალი და კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნას და ხელს შეუწყობს თანამედროვე ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სტაბილურ შემოსავალს მოუტანს, გაზრდის საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებასა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება გამოიყვანს ქვეყანას ეკონომიკური კრიზისიდან, შეამცირებს უმუშევრობას, ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევას და სოციალური ფონის გაუმჯობესებას, მრავალრიცხოვანი და ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას.

საჯარო ფინანსების მართვაში დამკვიდრდება ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის თანამედროვე სტანდარტები. მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადები დაიხარ,ჯება მიზნობრივად და გამჭვირვალედ. დაიძლევა შემოსავლების განაწილებაში არსებული მაღალი უთანაბრობა და ყველა ოჯახი საკუთარ თავზე იგრძნობს ეკონომიკურ წინსვლას.

ჩვენი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებია: სოფლის მეურნეობა, მცირე და საშუალო მეწარმეობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოება, აგრეთვე, სოციალურ სფეროში – საპენსიო რეფორმა, ჯანმრთელობის დაცვის რეფორმა და უმწეო მდგომარეობაში მყოფთა დახმარების სისტემის მოწესრიგება (პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ ბიძინა ივანიშვილის მიერ 2012 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის წინაშე წარმოთქმული სიტყვა. „საქართველოს რესპუბლიკა“, №206, 26 ოქტომბერი, 2012, გვ. 4).

3.4. გლობალიზაცია და საზოგადოებრივ ფასეულობათა ტრანსფორმაცია

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია რთული, მრავალეტაპიანი პრობლემაა, რომლის თაობაზეც იმართება მრავალი სამეცნიერო დისკუსია და სადღეისოდ საკმაოდ არ არის გამოკვეთილი, რათა უბრალოდ და ერთმნიშვნელოვნად იყოს განმარტებული.

როგორც „მსოფლიო ეკონომიკის“ ერთ-ერთი შესანიშნავი სახელმძღვანელოს ცნობილი ავტორები – გალინა გატინა, ვლადიმერ მერზლიაკი და ნატალია შჩუკინა აღნიშნავენ, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „გლობალიზაცია“ უკვე 2 ათეულ წელზე მეტია, რაც გამოიყენება, დღემდე ამ ტერმინის ერთიანი განმარტება არ არსებობს. აღნიშნული მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ავტორთა უმრავლესობა სოლიდარულია მსოფლიო სისტემის გლობალიზაციის, როგორც პროცესის განსაზღვრაში, რომელსაც აქვს გამოვლენისა და განვითარების სამი მიმართულება:

1. გლობალიზაცია – ისტორიული პროცესია, რომელიც ვითარდება ამქვეყნიური (მიწიერი) ცივილიზაციის დამკვიდრების მრავალი ასწლეულის მანძილზე,

რომელიც წინასწარ განსაზღვრავს მსოფლიოში (ზოგადსაკაცობრიო) კულტურულ-ეკონომიკური ტენდენციების გამოვლინებას და მოქმედებას.

2. გლობალიზაცია ნიშნავს მსოფლიოს ჰომოგენიზაციას, რომელიც ცხოვრებას უქვემდებარებს ერთიან პრინციპებს, ერთიანი ღირებულებებისადმი ერთგულებას, ქცევის ერთიანი მოდელებისა და ნორმების მიყოლას, უნივერსალიზაციისაკენ სწრაფვას.

3. გლობალიზაცია არის ეროვნულ მეურნეობათა ურთიერთშეღწევისა და ურთიერთდამოკიდებულების აღიარება, რომელთა მთავარი შედეგია ეროვნული სახელმწიფო სუვერენიტეტების შერყევა, ნგრევა ახალი ზეეროვნული სტრუქტურების – გლობალური ეკონომიკური განათლების, ტრანსეროვნული მმართველობით-ფინანსური სტრუქტურების, რელიგიურ-კულტურულ გაერთიანებათა ზემოქმედების შედეგად, რომლებიც არა მარტო ერთმანეთს შორის ურთიერთქმედებენ, არამედ თვით სახელმწიფოებთანაც.

ახალი სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის განსაზღვრა ნამდვილად არ არის მარტივი. გლობალიზაციის პროცესი ყოვლისმომცველ ხასიათს ატარებს და მისი სხვადასხვა მიმართულებანი და ასპექტები პრაქტიკულად ყველა თანამედროვე საზოგადოებრივ-სამეცნიერო დისციპლინათა შესწავლის ობიექტია, რომელთაგან თითოეულს თავისი საგანი, მეთოდოლოგია და ცნებითი აპარატი აქვს.

ტერმინი „გლობალიზაცია“ პირველად გამოჩნდა აშშ-ში თ. ლევიტის სტატიაში, რომელიც 1983 წ. „ჰარვარდ ბიზნეს რევიუ“-ში გამოქვეყნდა. ავტორი ამ ცნებით აღნიშნავდა ცალკეული პროდუქტების ბაზრების შერწყმის ფენომენს, რომლებსაც მსხვილი ტრანსეროვნული კორპორაციები (ტეკ) აწარმოებდნენ. ახალ ტერმინს (ცნებას) უფრო ფართო მნიშვნელობა მიენიჭა ბიზნესის ჰარვარდის სკოლაში და ამ პერიოდში გლობალიზაციის იდეოლოგიის მთავარი პოპულარიზატორი გახდა ამ სკოლის კონსულტანტი – იაპონელი კ. ომე, რომელმაც 1990 წელს გამოაქვეყნა წიგნი „მსოფლიო საზღვრების გარეშე“.

თვლიდა რა, რომ მსოფლიო ეკონომიკა ამიერიდან სამი გეოეკონომიკური ცენტრის „ტრიადის“ (ევროკავშირი, აშშ, იაპონია) ურთიერთდამოკიდებულებით განისაზღვრება, ავტორი ამტკიცებდა, რომ ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკური ნაციონალიზმი უაზრო ხდება. ძირითადი „აქტორების“ რანგში ეკონომიკურ სცენაზე გამოდიან ტეკ-ები.

კ. ომეს მოსაზრებებისადმი ყველა წამყვანი ეკონომისტი როდია სოლიდარული, და მიუხედავად ამისა, კ. ომეს პოზიცია გლობალიზაციის თემაზე პრაქტიკულად ყველა დისკუსიის ამოსავალი პუნქტი გახდა.

თ. ლევიტის და კ. ომეს მიერ განსაზღვრულ ორივე მომენტს აერთიანებს მ. უოტერსის მიერ ჩამოყალიბებული გლობალიზაციის განსაზღვრება: „გლობალიზაცია არის პროცესი, რომლის მსვლელობაში იხსნება სოციალური და კულტურული სისტემების გეოგრაფიული საზღვრები და მოსახლეობა სულ უფრო და უფრო აცნობიერებს ამ საზღვრების ქრობას“.

ქართველი პოლიტოლოგი, გელა ჩარკვიანი გლობალიზაციის „სამუშაო ფორმულას“ გვთავაზობს. იგი წერს: „ტერმინი გლობალიზაცია იმდენად უზუსტოა, რომ მისი სრულად განსაზღვრა შეუძლებელია. ამ საუბრის ფარგლებში შეგვიძლია შემდეგი სამუშაო ფორმულით დავკმაყოფილდეთ: გლობალიზაცია არის მიმდინარე პროცესი, რომელსაც, როგორც მიიჩნევენ, პლანეტა მიჰყავს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ჰომოგენიზაციისაკენ ქვეყნებს შორის მზარდი ურთიერთქმედების საშუალებით, რომელსაც მინიმალურად აფერხებს მანძილები და სახელმწიფო საზღვრები“. ავტორი მიიჩნევს, რომ მანძილებისა და საზღვრების ბარიერების დაძლევის თვალსაზრისით განსაკუთრებით ქმედითია ორი ფაქტორი – ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ლიბერალიზმის ფილოსოფია.

2003 წელს საქართველოში ჩატარდა საერთაშორისო დისკუსია გლობალიზაციის პრობლემებზე. ამ დისკუსიაზე, რომელიც საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სადისკუსიო კლუბში გაიმართა, ოთხი თვის განმავლობაში ჩატარდა 8 სხდომა. გლობალიზაციის არსისა და მისი თანამედროვე პრობლემების შესახებ საინტერესო მოსაზრებები ჩამოაყალიბეს ქართველმა მეცნიერებმა: პროფ. ბ. ლუტიძემ, პროფ. ნ. ჭითანავამ, პროფ. ლ. ჩიქავამ, პროფ. დ. ღაღანიძემ, პროფ. ალ. კუჭუხიძემ, პროფ. დ. ქებურიამ და სხვ. იმის გამო, რომ ყველას მოსაზრებათა გადმოცემა ამჟამად ჩვენი მიზანი არ არის, შემოვიფარგლებით მხოლოდ პროფ. ბ. ლუტიძის მოსაზრებით ტერმინ „გლობალიზაციის“ დეფინიციის შესახებ. როგორც ქართველი ფილოსოფოსი მიიჩნევს, „გლობალიზაცია არის ყველას მონაწილეობა ყველას ცხოვრებაში“. თავის წიგნში ავტორი წერს: „გლობალიზაცია ჩვენი ცხოვრების რეალობაა. თანამედროვე თაობათა თვალწინ მსოფლიოში მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების დაჩქარებული გლობალიზაციის პროცესი“.

ტერმინი „გლობალიზაცია“, ლათინური სიტყვიდან – „გლობუსიდან“ წარმოდგება. ეტიმოლოგიური მნისვნელობით იგი დედამიწას, მის მთლიანობას აღნიშნავს.

გლობალიზაციის ცნება, უწინარეს ყოვლისა, ასახავს მსოფლიო რეგიონებისა და ზონების, ქვეყნების, ხალხების და თვით ცალკეული ადამიანების ურთიერთკავშირს, ურთიერთდამოკიდებულებას და ურთიერთზეგავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა

სფეროში. გლობალიზაცია იმ ფაქტის კონსტატაციაა, რომ ნებისმიერი ქვეყნის მდგომარეობა დღეს მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმით, რაც მის ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო მასშტაბით ხდება. ერთიანობის პულსაცია ჩვენი პლანეტის ყოველ ნაწილში იგრძნობა. პროფ. ბ. ლუტიძე ასე წარმოგვიდგენს გლობალიზაციის მთავარი მდგენელების კლასიფიკაციას, რომლის თანახმადაც, გლობალიზაციის მახასიათებლებია:

- საყოველთაო ურთიერთკავშირი;
- საყოველთაო ურთიერთგანპირობებულობა და დამოკიდებულება;
- ურთიერთზეგავლენა;
- ღირებულებათა გასაყოველთავება და უნიფიკაცია;
- მსოფლიოს გადაქცევა ერთიან მთლიანად.

გლობალიზაციის ცნებით აისახება მრავალი მოვლენა და ერთდროულად მიმდინარე პროცესები. მისი მრავალი განზომილებიდან გამოვყოფთ ორს:

1. მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცის ზოგადპლანეტარულ მასშტაბს, როგორც ეროვნულ ეკონომიკათა მზარდი ურთიერთმოქმედების ლოგიკურ შედეგს, როცა ამ ურთიერთმოქმედებამ შეიძინა ტრანსნაციონალიზაციის, ე.ი. მათი ურთიერთშეღწევისა და გადაჭდობის სახე.
2. ეკონომიკური ცხოვრების უნივერსალიზაციასა და ჰომოგენიზაციას, რომელიც ცოდნის, ადამიანთა, საქონლის, კულტურულ ფასეულობათა და სხვათა გაცვლის ზეგავლენით სულ უფრო ელტვის ერთიან სტრუქტურებს, პრინციპებსა და ღირებულებებს.

გლობალიზაციის დარგში ბოლო დროს ერთ-ერთი უახლესი ტენდენციაა ფინანსური გლობალიზაცია, მსოფლიო ეკონომიკის თავისებური „ფინანსიზაცია“.

როგორც ვიცით, ინტერნაციონალიზაციის პროცესების ტრანსნაციონალიზაციის ეტაპზე წარმოიქმნება კომპლექსები, რომელთა ეროვნული წარმომავლობა იწყებს სახელმწიფო საზღვრების დაძლევას. ეს კომპლექსები ერთიანდებიან მძლავრ სავაჭრო-ინდუსტრიულ ტრანსეროვნულ სისტემად, რომელშიც სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალისგან ლიდერის როლი გადადის ფინანსურ კაპიტალზე. იღებენ რა მოგებას მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან, ტრანსეროვნულმა კორპორაციებმა საკმაოდ დააგროვეს ვალუტათა რეზერვები, რომლებიც დღეს რამდენჯერმე აღემატება მსოფლიოს ყველა ცენტრალური ბანკის რეზერვებს ერთად აღებულს.

ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკა XX ს-ის ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული, ვითარდება გლობალური ანუ ზოგადმსოფლიო პრობლემათა მზარდი გავლენით. ამ

პრობლემათა წარმოქმნა მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის ცხადი გამოვლინებაა, რომელიც მიმდინარეობს კონფლიქტური, პრობლემური, წინააღმდეგობრივი ფორმით. და მაინც, გლობალიზაცია, როგორც ტერმინი, მიუთითებს მსოფლიო საზოგადოების შექმნისაკენ მიმართულ მოძრაობაზე.

მსოფლიოში მოგზაურობის გაიოლებამ და გაიაფებამ დედამიწის მასშტაბებზე წარსულში არსებული წარმოდგენები თითქმის მთლიანად შეცვალა. გაადვილებულმა გადაადგილების უნარმა დედამიწის ზომაზე მეტად „დაპატარავების" ეფექტი იქონია. ხალხი შეუდარებლად უფრო მობილური, ხოლო უცხო კულტურები და ქვეყნები კი ნაკლებად უცხონი გახდნენ. კომუნიკაციების გაიოლების ფაქტორმა მსოფლიო კულტურათა განვრცობა გამოიწვია. ამ პროცესებზე სამი უმთავრესი ზეგავლენა იქონია შემდეგმა მოვლენებმა:

1. კომპიუტერულმა განვითარება, რომელმაც 1990-იან წლებში ჩვეულებრივ ხალხს ინტერნეტის ზრდის საშუალებით ინფორმაციისა და მესიჯების საერთაშორისო დონეზე გაცვლის უნარი მიანიჭა.
2. მეორე ფაქტორი სატელიტური ტელევიზიის განვითარებაში მდგომარეობს.
3. მესამე ადგილზე ე.წ. „პოპ-კულტურის" ინტერნაციონალიზაციის ფაქტია, რაც მსოფლიოს ახალგაზრდობას, მათ შორის არსებულ მსგავსებებზე მიუთითებს.

გლობალიზაციის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი მაინც ეკონომიკის გლობალიზაციაა. გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ – GATT-ი (რომელიც 1995 წლიდან გარდაიქმნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციად, WTO) ერთიანი მსოფლიო ეკონომიკის შექმნისაკენ გადადგმული ნაბიჯია. ფინანსური კაპიტალი ძლიერ მობილური გახდა და მრავალეროვნულ კორპორაციებს სახელმწიფოდან სახელმწიფოში გადაადგილება აღარ უძნელდებათ. ხშირად ეს ამა თუ იმ სახით მუშახელის ინტერესების ხარჯზე ხდება. ამ მოვლენის ლოგიკურ დამბალანსებელ ძალას საერთაშორისო პროფესიული კავშირები წარმოადგენენ. გლობალური პოლიტორგანიზება კი საკუთარი განვითარების ტემპით ამ მოვლენებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე გლობალიზაციის პროცესებში ბევრი რამ შეიცვალა. ამიტომ საჭიროა ამ სიახლეების წარმოჩენა, ამ პროცესების ახლებური ხედვა.

ახლა, როცა მსოფლიო პოლიტიკა და მსოფლიოს ეკონომიკა ღრმა კრიზისში არიან ჩაფლულნი, მრავლდებიან ავის მომასწავებელი ნიშნების სოციალური, პოლიტიკური და სამეურნეო სფეროებიდან. ჰანს კიუნგი იძლევა მიმდინარე პროცესების მძაფრ კრიტიკას და

გვარწმუნებს, რომ მსოფლიო პოლიტიკა და მსოფლიო ეკონომიკა უთუოდ საჭიროებენ ყველასათვის სავალდებულო, კონსენსუსზე დამყარებულ ერთიან ზნეობას, რაც უფრო მშვიდობიანს, უფრო სამართლიანს და უფრო ჰუმანურს გახდის მსოფლიოს. თეოლოგიის პროფესორი უბრალო რეცეპტებს კი არა, არამედ კონკრეტულ იმპულსებს გვთავაზობს და ცდილობს იპოვოს პასუხი კონკრეტულ კითხვებზე: არსებობს თუ არა შუალედური გზა რეალურ პოლიტიკასა და იდეალურ პოლიტიკას შორის? შესაძლოა თუ არა ჩამოყალიბდეს მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს კეთილდღეობას წმინდა წყლის კაპიტალიზმის არსებობის ვითარებაში? რა როლს თამაშობენ რელიგიები თანამედროვე კონფლიქტებში? ჰანს კიუნგი დამაჯერებლად, პოპულარული ენით გადმოსცემს სათქმელს და გვთავაზობს თამამ, მაგრამ მაინც რეალისტურ, ვიზიონერულ მსოფლხატს მომავლისა, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს გლობალური ზნეობა.

1998 წელს, ცნობილმა მთარგმნელმა ზურაბ აბაშიძემ, ქართულად თარგმნა ჰანს კიუნგის „მსოფლიო ზნეობა“, რომელშიც იგი აღნიშნავდა: „ჰანს კიუნგმა, ტიუბინგენის უნივერსიტეტის ემირიტირებულმა პროფესორმა, რომელმაც თავისი თეოლოგიური ნაშრომებით მსოფლიოში გაითქვა სახელი (დაიბადა 1928 წ.), შეძლო საეკლესიო და სეკულარული „მოდერნისშემდგომი პარადიგმა“ და დამაჯერებლად დაგვიმტკიცა, რომ კაცობრიობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ერთიანი ზნეობა, რომ დედამიწაზე აღარ არსებობდეს „განსხვავებული, წინააღმდეგობრივი და ერთმანეთის წნააღმდეგ მებრძოლი ეთნოსის რეგიონები“. ზნეობის უთუო მაქსიმები კიუნგს მხოლოდ უპირობო ფენომენის, აბსოლუტის, ღმერთის ცნებიდან გამოჰყავს და გვთავაზობს ორიგინალურსა და სარწმუნო „პროექტს“ მსოფლიოს ზნეობისა:

„არ გვიწერია გადარჩენა თვინიერ მსოფლიო ზნეობისა“;

„არ დაივანებს ქვეყნად საყოველთაო მშვიდობა თვინიერ რელიგიათა დაზავებისა“;

„არ ეგების რელიგიათა დაზავება თვინიერ რელიგიათა დიალოგისა“.

ეს სამი პოსტულატი წარმოადგენს კიუნგისეული მსოფლიოს ზნეობის მონახაზის კვინტესენციას“.

წინამდებარე ოპუსი წარმოადგენს „მსოფლიო ზნეობის“ იდეათა განვრცობასა და მისადაგებას მსოფლიო პოლიტიკისა და ეკონომიკისადმი და ვფიქრობ, იგი ძალიან წაადგება ჩვენი პატარა, ამჟამად ფრიადი სიძნელეების დაძლევის სტადიაზე მყოფი ქვეყნის სიკეთისაკენ წარმართვის საქმეს“. (ჰანს კიუნგი, მსოფლიო ზნეობა მსოფლიო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკისათვის, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ზურაბ აბაშიძემ, 1998, გვ. 5).

ჰანს კიუნგის წიგნში საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ორიენტაციის კრიზისის ფონზე გამართულია ურთიერთგაგების სულისკვეთებით აღბეჭდილი დიალოგი საპოლიტიკო და სამეურნეო მეცნიერებებთან, მონიშნულია პრინციპული ზოგადი ორიენტაცია რეალისტური წინასწარმეტყველებისა, რათა შეიქმნას კონტურები უფრო მშვიდობიანი, უფრო სამართლიანი, უფრო ჰუმანური სამყაროსი. ამასთან ყურადღების ცენტრში არაა რაიმე მარეგულირებელი პრინციპი – სახელმწიფო, ბაზარი ან ეკლესია, რამაც ხილული თუ უხილავი ხელით უნდა მოაგვაროს ყველაფერი. არსებული ვითარების ანალიზისათვის არაა აგებული ვიწრო ეკონომიკური, ანდა პარტიული პოლიტიკით შემოზღუდული იდეოლოგიის ცნებათა კონსტრუქცია. რაც გაზრდიდა პრობლემათა რაოდენობას და შექმნიდა მათი გადაწყვეტის ილუზიას. მაგრამ გაბედულად არის მოხაზული მომავლის სარწმუნო სურათი საზოგადოებრივი გამოცდილების გათვალისწინებით, სურათი, რომელიც ამჟამინდელ საზოგადოებრივ სინამდვილეზე დაფუძნებული და იმავდროულად მასზე აღმატებულია (შედარებით) უკეთეს მსოფლიო წესრიგზე დამყარებული პერსპექტივის წყალობით. წიგნის მთარგმნელი აღნიშნავს: ,,უდავოა, რომ გლობალური თვალსაზრისით ჩვენს წინაშე დგას უამრავი ახალი პრობლემა, მაგრამ არ შეიძლება განვიხილოთ ისინი, ვით გადაულახავი წინააღმდეგობანი, რანიც სამომავლო გზას გვიკეტავენ. მატულობს რიცხვი უბედურების მაუწყბელი წინასწარმეტყველებისა. საჭიროა პრობლემებს მიუდგეთ, როგორც დიდსა და სერიოზულ გამოწვევას, რაც ახალგაზრდა თაობას ისე მძიმე ტვირთად ჰკიდია, როგორც იმ თაობებს, რომლებმაც გამოიარეს პირველი მსოფლიო ომის, დიქტატურების, მეორე მსოფლიო ომის მომდევნო პერიოდის გასაჭირი. ხშირად ხდება – რაც ხანმოკლე პერიოდისათვის შეუძლებელი გვეჩვენება, იგი შეიძლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გულმოდგინებისა და მოთმინების წყალობით გავხადოთ შესაძლებელი". (იქვე, გვ. 13-14)

დედამიწის ცივილიზაციის ბინადარნი ერთი სამყაროს შვილები ვართ. ეს ერთიანობა ვერ განხორციელდება, თუ რაიმე საერთო, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს არ დავეფუძნებით. ჰანს კიუნგი მიიჩნევს, რომ მსოფლიო ღირებულებების გარეშე ჩვენი გადარჩენა შეუძლებელია. უამისოდ ერებს შორის მშვიდობა ვერ დამყარდება. ჰანს კიუნგი აღნიშნავს:

,,ერებს შორის მშვიდობა არ იარსებებს, თუ არ იარსებებს მშვიდობა რელიგიებს შორის; რელიგიებს შორის მშვიდობა არ იარსებებს, თუ არ იარსებებს დიალოგი; დიალოგი არ იარსებებს, თუ არ იარსებებს ზნეობის მსოფლიო საზომი; ზნეობის გარეშე მსოფლიო ვერ გადარჩება". მხოლოდ ასეთ საერთო ღირებულებებზე დაყრდნობით

შეიძლება დავძლიოთ ისეთ ღირებულებათა დეფიციტი, როგორიცაა სხვისი აზრის მოსმენის კულტურა, გახსნილობა, ურთიერთშემწყნარებლობა.

ასეთი საზომი, ასეთი ღირებულებები მსოფლიოს ყველა ერში, ყველა რელიგიაში არსებობს, რომელსაც ჰანს კიუნგი ჰუმანურობის ოქროს წესს უწოდებს (ჰანს კიუნგი, მსოფლიო ზნეობა მსოფლიო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკისათვის. 1998, გვ. 134) და, რომელიც ყოველ რელიგიურ თუ ეთიკურ ტრადიციაში გვხვდება. ამის დასადასტურებლად საკმარისია მოვიყვანოთ მსოფლიო შვიდი რელიგიის ერთი ოქროს კანონი:

„შენი მთავარი მოვალეობაა არაფერი გაუკეთო სხვას ისეთი, რაც თავად ტკივილს მოგანიჭებდა“ (ინდუიზმი – აჰაბჰარატა XIII:14.8); „ადამიანი ყველა სხვა არსებას ისე უნდა მოექცეს, როგორც მას თავად სურს რომ ექცეოდნენ“ (იაინიზმი – სუტრაკრიტანგა 1.11.33) „არ გაუკეთო სხვა ის, რაც არ გინდა რომ სხვამ შენ გაგიკეთოს“ (ჩინური რელიგია – კონფუცი 15.23); „მდგომარეობა, რომელიც არ არის ჩემთვის სასიამოვნო და აღმაფრთოვანებელი, ასეთივე იქნება სხვისთვისაც“ (ბუდიზმი – სამუატა ნიკაია V, 353.35-354.2); „ნუ გაუკეთებ სხვა იმას, რაც თავად არ გენდომებოდა რომ გაგიკეთონ“ (იუდაიზმი – Sabbat 31a); „მოექეცი ყველაფერში ისე სხვას, როგორც თავად გინდა რომ გექცეოდნენ“ (ქრისტიანობა – მათე 7.12; ლუკა 6.31); ვერც ერთი თქვენგანი ვერ გახდება მორწმუნე, სანამ საკუთარ ძმას იგივეს არ უსურვებს, რასაც საკუთარ თავს (ისლამი – 40 ჰადითი, მუჰამედი 13).

ოცდამეერთე საუკუნემდე საქართველომ ურთულესი გზა გამოიარა. ქვეყანა ბევრჯერ სასწაულებრივად გადარჩა. ამ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლაში ერმა თავისი გადარჩენის მარადიული ღირებულებანი ჩამოაყალიბა. ჩვენი გადარჩენის ერთადერთი სწორი გზა, როგორც ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებით დასტურდება, არის ეროვნული, ტრადიციული ღირებულებების გაძლიერება. ამასთან, გლობალური ფაქტორის გათვალისწინებაც არ უნდა დაგვავიწყდეს. გარე სამყაროსთან სრულფასოვანი ინტეგრირება ჩვენი და საერთოდ ყველას განვითარების აუცილებელ პირობად იქცა. ამიტომ ჩვენ გვჭირდება ღირებულებათა ზომიერი ცვლილება. ეს კი ერთი მხრივ შეუძლებელია სათანადო ეროვნულ ფუნდამენტზე დაფუძნების გარეშე, მეორე მხრივ კი ეს ფუნდამენტი გლობალიზაციით განპირობებული აუცილებელი ცვლილების გარეშე ყოველთვის მყარად ვერ იქნება. ჩვენ გვჭირდება ეროვნულ ფასეულობათა ჰომოგენიზაცია. სოციალური პოლიტიკის დოქტორი, გიორგი შაქარიშვილი, 2008 წლის 2 თებერვალს ჟენევიდან გამოგზავნილ წერილში სამართლიანად აღნიშნავდა: „საქართველოს ისტორიის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია იმის დასანახავად, თუ რაოდენ მრავალფეროვანია

სხვადასხვა იდეოლოგიების, ცივილიზაციების და კულტურების ზეგავლენა ქართულ საზოგადოებაზე. ბიზანტიური წიაღიდან აღმოცენებული მართლმადიდებლური ქრისტიანული ბაზისი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა არაბულ და მონგოლურ, შემდგომ ისლამისტურ ზეგავლენას, რასაც მოჰყვა ცარისტული რუსეთის საშუალებით ევროპულ კულტურასთან ზიარება, რომელიც მოგვიანებით შეიცვალა ისტორიული თვალსაზრისით ხანმოკლე, მაგრამ ძლიერად თავსმოხვეული საბჭოთა იდეოლოგიით. ბუნებრივია, ზეგავლენათა ამგვარ დინამიზმს არ შეეძლო არ გამოეწვია საზოგადოებრივ ფასეულობათა ჰეტეროგენიზაცია, რის შედეგადაც დღევანდელი რიგითი ქართველი, თავისი კულტურული, ტრადიციული თუ ზნეობრივი ფასეულობების მიხედვით, არის ერთგვარი ჰიბრიდი, რომელშიც ტრადიციული ქართული ზნებუნებრივი თვისებები სხვადასხვა დოზით არის შეზავებული აღმოსავლური კონსერვატიზმით, ევროპული ლიბერალიზმით და საბჭოთა ვერტიკალიზმით. ყოველ ამ ფასეულობას შესაბამისი საზოგადოებრივი ქცევითი გამოხატულება ახასიათებს. ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივ ფასეულობათა სხვადასხვა ტიპები ერთმანეთთან უკუქმედებით დამოკიდებულებაში იმყოფება, რაც საზოგადოებრივ ქცევით გამოსავალს არაპროგნოზირებად და რთულად საინტერესოს ხდის. ყოველივე ამის ფონზე, ალბათ, სასურველია ამ ფასეულობათა მეტ-ნაკლები ჰარმონიზაცია, რომლის ერთადერთი სწორი გზა ეროვნული, ტრადიციული ფასეულობების გაძლიერება იქნებოდა. ამავე დროს, წარმოვადგენთ რა დღევანდელი თანამედროვე სამყაროს განუყოფელ ნაწილს, ალბათ ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენს ტრადიციულ საზოგადოებრივ ფასეულობაში არსებული რომანტიულ-ემოციური დომინანტის ზომიერი დაბალანსება თანამედროვე გლობალისტურ-პრაგმატული კომპონენტითაც, რაც დაგვეხმარება გარე-სამყაროსთან სრულფასოვან ინტეგრირებაში და თანამშრომლობაში, ეს კი ქვეყნის განვითარების და წარმატების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. (გიორგი შაქარიშვილი, საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმა: მასმედიის როლი ეროვნულ მშენებლობაში „24 საათი“, 12 თებერვალი, 2008 წ., №31, გვ. 4).

იმისათვის, რომ აღნიშნულ ამოცანას წარმატებით გავართვათ თავი, ჩვენ გვჭირდება როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ასევე ინდივიდებსა და საზოგადოებას და საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ისეთი ფორმების განვითარება, როგორიცაა სოლიდარობა, ტოლერანტობა, ნდობა, ურთიერთგატანა, თანამშრომლობა, ანუ ჩვენ გვჭირდება სოციალური კაპიტალის განვითარება, რაც, უპირველეს ყოვლისა საგანმანათლებლო სისტემის პრეროგატივაა. ამასთან ერთად უნდა დავძლიოთ ერთგვარი „ფიქრის დეფიციტი“. უნდა დავძლითო სპონტანურობა, ემოციურობა, ახლომხედველობა საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღებისას და დავამკვიდროთ ანალიზი და

შორსმჭვრეტელობა. მყისიერი ეფექტის ნაცვლად ხანგრძლივ შედეგებზე ორიენტირებულნი უნდა გავხდეთ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ქვეყნის ჭეშმარიტ დემოკრატიულობას, რომელიც განისაზღვრება არა იმით, თუ რამდენად თავისუფალია პროტესტის გამოხატვის საშუალება, არამედ იმით, თუ რამდენად აქტიურია მმართველობის პროცესში მოსახლეობის თანამონაწილეობა. ჩვენ გვჭირდება მოსახლოებასა და ხელისუფლებას შორის აქტიური დიალოგის ასპარეზის შექმნა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დევიდ მილიბენდი 2009 წლის 15 იანვარს „გარდიანში" გამოქვეყნებულ სტატიაში – „ტერორთან ომი შეცდომა იყო" ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიერ დამკვიდრებულ იდეას - „ტერორთან ომს" შეცდომად მიიჩნევს. მისი აზრით „პრობლემა ის კი არ არის, უნდა შევუტიოთ თუ არა ფესვებშივე ტერორიზმს ყველა შესაძლო საშუალებით. რა თქმა უნდა, უნდა შევუტიოთ. საკითხავია – როგორ?" საქმე ის არის, რომ ტერორისტული დაჯგუფებები და მათი მოტივაციები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამიტომ „ტერორისტულ დაჯგუფებებთან ბრძოლისათვის მათი ფესვების ამოძირკვაა საჭირო, რაც მათთვის იარაღისა და დაფინანსების არხების გადაკეტვას, მათი განცხადებების უშინაარსობაში მხილებას და მათი მომხრეების დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას ითვალისწინებს". ამ პროცესში, როგორც დევიდ მილიბენდი აცხადებს, გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია კანონის უზენაესობას, სოლიდარობას საერთო მტრის წინააღმდეგ და იმ საერთო ფასეულობებს, რაც გვაერთიანებს. და ეს იმიტომ, რომ სამხედრო ძალებს ამბოხებასთან და სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებული პრობლემების „ცეცხლითა და მახვილით" მოგვარება არ შეუძლიათ. აი, რა როლის შესრულება შეუძლია ღირებულებებს აღნიშნულ და არა მარტო აღნიშნულ საქმეში. „ტერორიზმის წინააღმდეგ ჩვენი პასუხი უნდა იყოს კანონის უზენაესობის დაცვა და არა სხვა საკითხებზე მისი დაქვემდებარება, რადგან კანონის უზენაესობა დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი გახლავთ. ჩვენ უნდა დავიცვათ ადამიანის უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები როგორც ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. სწორედ ამგვარი გაკვეთილი უნდა ვისწავლოთ გუანტანამოს ციხესთან დაკავშირებული ისტორიიდან და სწორედ ამიტომ მივესალმებით მისი დახურვის შესახებ პრეზიდენტ ობამას დანაპირებს.

მოწოდება „ტერორთან ომისკენ" გახლდათ მოწოდება იარაღისკენ, მცდელობა სოლიდარობის შექმნისა ერთი საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა, ერებსა და ქვეყნებს შორის სოლიდარობა უნდა ემყარებოდეს არა იმას, ვის წინააღმდეგ ვიბრძვით, არამედ წარმოდგენას იმისა, როგორები ვართ თავად ჩვენ და რა ფასეულობები გვაერთიანებს. ტერორისტები წარმატებას აღწევენ, როდესაც მსოფლიოში შიშსა და

შურისძიებას, განხეთქილებას და შუღლს სთესენ, როდესაც ქვეყნებს აიძულებენ, რომ მათ ქმედებებს ძალადობითა და რეპრესიებით უპასუხონ. თუმცა, საუკეთესო პასუხია, არ მივცეთ მათ დაშინების საშუალება“ (დევიდ მილიბენდი, „ტერორთან ომი“ შეცდომა იყო. გაზ. „24 საათი“, 16 იანვარი, 2009, №7, (2045), გვ. 7).

ჩვენთვის სასარგებლო ღირებულებების მოძიება ხშირად იმაშიც შეიძლება, რაც ჩვენ მთლიანობაში არც კი მოგვწონს. ამ ბოლო ხანს დასავლეთის პრესაში დაიბეჭდა საინტერესო ინტერვიუ ოქსფორდისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების პროფესორ ნილ ფერგიუსონთან, რომელიც მსოფლიოში აღიარებულ ისტორიკოსად ითვლება. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ პოლიტიკური თუ ეკონომიკური საკითხების წარმატებული გადაწყვეტის პრაქტიკიდან გამომდინარე იგი ბევრ სასარგებლო გაკვეთილს ხედავს „იმპერიაში“. იგი კონკრეტულად შემდეგს აღნიშნავს: „უბრალოდ, მე იმპერია მომწონს. ეს უეჭველად ის ინსტიტუტია, რომელიც დომინირებდა კაცობრიობის ისტორიის ყველაზე გრძელი პერიოდის განმავლობაში. უფრო მეტიც: როდესაც ისტორიაზე ვსაუბრობთ, ჩვენ ჩვენდა უნებურად იმპერიის ისტორიაზე გვაქვს საუბარი. ეროვნული სახელმწიფოები ხომ მხოლოდ XIX საუკუნეში წარმოიშვნენ. არავის ხელეწიფება ჩვენს ცხოვრებაზე იმპერიის გავლენის წაშლა, ამიტომ უმჯობესია მისი არსის უკეთ გაგება. და ეს მაშინ, როდესაც არსებობენ ისეთი მეცნიერული სკოლები, რომლებიც ამ პრობლემებს არ იკვლევენ და აპრიორი აკრიტიკებენ მას. რაც ნამდვილად დაუშვებელია.“ (ნილ ფერგიუსონი, იმპერია ყოველთვის კრიტიკას არ იმსახურებდა. „24 საათი“, 2008 წლის 26 მარტი, №69, გვ. 6).

მაინც რა მოსწონს იმპერიაში ნილ ფერგიუნსონს? როგორც ის აღნიშნავს მისი მოწონებით სარგებლობს ლიბერალური იმპერია და იმიტომ, რომ მას ადამიანთა უმრავლესობისათვის სიკეთის მოტანა შეუძლია. თუმცა სამწუხაროდ, ხშირად ბოროტების იმპერია გადაწონის ხოლმე სიკეთის იმპერიას, ამასთან ყველაზე მოსაწონი იმპერიაში არის ის, რომ იმპერია დიდ ტერიტორიებზე მილიონობით ადამინისათვის სიმშვიდეს უზრუნველყოფს, ხშირად კი უფრო მეტსაც. ნ. ფერგიუსონი ეხება რა ამ თვალსაზრისით ბრიტანეთის იმპერიას, შემდეგს აღნიშნავს: „თუკი ვირწმუნებთ, რომ თავისუფალი ვაჭრობა ადამიანისათვის სიკეთის მომტანია, თუკი ვირწმუნებთ, რომ ნამდვილად სიკეთეა კორუფციის აღმოფხვრა და კანონებისათვის უმაღლესი ძალაუფლების მინიჭება, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ბრიტანეთის იმპერია სულაც არ ყოფილა კრიტიკის ღირსი. სწორედ მისი არსებობის წყალობით სარგებლობდნენ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ადამიანები ვაჭრობის თავისუფლების სიკეთით, დაბალი ინფლაციით, კორუფციის დაბალი დონით, მდიდარი ქვეყნებიდან ღარიბებისაკენ კაპიტალის

გადაადგილების თავისუფლებით და სხვ. თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამგვარ სიკეთეებს თავისი ფასი არ ჰქონია: კოლონიურ ქვეყნებში შეზღუდული იყო ადამიანთა პოლიტიკური უფლებები, შავბნელი პერიოდების ნაკლებობაც არ ყოფილა, მაგალითად, ვაჭრობა ადამიანებით და სხვ.

ნუ იფიქრებთ, რომ არ ვითვალისწინებდე ამ ყოველივეს და ნოსტალგიით შეპყრობილი ერთი რიგითი ბრიტანელი იმპერიალისტი ვიყო. უბრალოდ ყოველი ისტორიული პროცესი და დაწესებულება, გამოკვლეული უნდა იყოს pro I contra არგუმენტების გათვალისწინებით. და ეს მაშინ, როდესაც უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში ისტორიკოსები იმპერიის შესახებ მხოლოდ უარყოფით მხარეებს წევენ წინა პლანზე" (ნილ ფერგიუსონი, იმპერია ყოველთვის კრიტიკას არ იმსახურებდა. „24 საათი", 2008 წლის 26 მარტი, №69, გვ. 6).

ნილ ფერგიუსონი ასევე მიიჩნევს, რომ პირველი და მეორე მსოფლიო ომის საშინელებები ძირითადად სამმა ფაქტორმა გამოიწვია: იმპერიების დამხობამ, მრავალეთნიკური საზოგადოებების დაშლამ და ეკონომიკურმა კრიზისმა. იმპერიების, ანუ XIX საუკუნე სულაც არ ყოფილა იდეალური, მაგრამ მან შეძლო გლობალური სისხლისღვრებისაგან მსოფლიოს დაცვა. მისივე აზრით ეროვნული სახელმწიფოები ევროპაში იმიტომ ამართლებენ, რომ 1945 წლის შემდეგ აქ თითქმის აღარ დარჩა მრავალეთნიკური სახელმწიფო. ეროვნული სახელმწიფო ამართლებს იქ, სადაც საზოგადოება მონოგამიურია; მრავალეროვნულ საზოგადოებაში იგი გაცილებით უარესია, ვიდრე იმპერია. აშშ-ს – შეგნებული იმპერია მსოფლიოსთვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ვიდრე ქაოსი თუ სხვა ალტერნატივა. თუმცა ამ ქვეყანამ ეს შანსი 2003 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ხელიდან გაუშვა. ამერიკელები არასოდეს მიისწრაფვოდნენ მძლავრი იმპერიის შექმნისაკენ. მსოფლიოს ყველაზე საშიშ საფრთხედ დღეს ენერგეტიკული სახელმწიფოების – რუსეთისა და ირანის მხრიდან მოსალოდნელი რაიმე სახის შანტაჟი შეიძლება ჩაითვალოს. მეტად საშიშ ფორმებს იღებს რადიკალური ისლამი, ძლიერდება ჩინეთი. სახიფათოა ასევე მილიონობით იმიგრანტის ევროპულ საზოგადოებაში ინტეგრაციის მოდელის მარცხიც. ასი წლის წინათ დასავლეთის ქალაქების გეტოები ებრაელებბით იყო დაკავებული. დღეს მასში ისლამისტები ცხოვრობენ. მთავარი პრობლემა იმაშია, რომ ისინი ებრაელებისაგან განსხვავებით, აქ სრულიადაც არ ჩამოსულან იმისათვის, რომ იმუშაონ ანდა ადგილობრივ მოსახლეობაში აირიონ. ყოველივე ეს კი, მომავლისადმი პესიმისტურად განგვაწყობს.

შვეიცარიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე გიორგი კავკასიძე აღნიშნავს, რომ დიდი განსხვავება არსებობს დასავლურ და ჩვენს ღირებულებათა სისტემასა და

აზროვნებაში. განსხვავება ის არის, რომ დასავლეთში ყოველი მოქმედება არის შედეგზე ორიენტირებული, ჩვენთან კი პრინციპზე, ჩვენ ნეგატიურები ვართ, დასავლელები კი პოზიტიურები არიან. ჩვენთან შედარებით დასავლელები უფრო პირდაპირები და გულახდილები არიან; ჩვენში კანონის უპატივცემულობა და უდისციპლინობაა, დასავლეთში კი კანონისადმი ღრმა მოწიწება და მორჩილება. ვინაიდან ამის ძირითადი მიზეზი არის განსხვავება ფასეულობებში, უნდა მოხდეს დასავლური ფასეულობების სინთეზირება ჩვენს კულტურასთან, ყოფასთან, ცხოვრების წესთან. გ. კავკასიძე სამართლიანად აღნიშნავს: „მე არ მაქვს სურვილი, რომ ვამტკიცო დასავლეთში ყველაფერი კარგია და აღმოსავლეთში, საქართველოს ჩათვლით – ყველაფერი ცუდი. მე იმის თქმა მინდა, რომ თუ გვინდა, მოკლე დროში გავიაროთ ის მანძილი, რის გავლასაც დასავლეთის ქვეყნებმა ათწლეულები და საუკუნეები მოანდომეს, უნდა მოხდეს დასავლური ფასეულობების სინთეზირება ჩვენს კულტურასთან. ყოფასთან და ცხოვრების წესთან. საქართველო თითქმის ორასი წელი იმყოფებოდა „ბნელეთში“, ეს იმ დროს, როდესაც დასავლეთი ვითარდებოდა.

იმისთვის, რომ ეს სინთეზი მოხდეს, ჩვენ, პირველ რიგში, გულახდილები უნდა ვიყოთ. საჯაროდ უნდა ვაღიაროთ ის უარყოფითი, რაც გვაქვს. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ახლის და უკეთესის გათავისება“. (გიორგი კავკასიძე, რა უნდა შეიცვალოს საქართველოში? „24 საათი“, 2009 წლის 15 აპრილი, №83 (2121), გვ. 4).

საქართველო ევროატლანტიკურ ღირებულებებზე ორიენტირებული ქვეყანაა. ქართული საზოგადოება თითქმის ერთხმად ეთანხმება ქვეყნის დასავლურ კურსს. ამიტომ, ამასთან ერთად, ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვა: ხომ არ დავკარგავთ ამით ჩვენს ღირებულებებს? როგორც ია ანთაძე აღნიშნავს: „საზოგადოების ცნობიერებაში ყველაზე ხშირად ეჭვები ეროვნულ თვითმყოფადობასთან დაკავშირებით ჩნდება: ხომ არ ემუქრება საფრთხე ქართულ ტრადიციებს? ხომ არ კნინდება მრავალი თაობის მიერ აღიარებული ღირებულებები? განსაკუთრებით ხშირად ისმის პროტესტი ტელეპროდუქციასთან დაკავშირებით: „ამდენი სისხლის ჩვენება შეუძლებელია!“, „სერიალების მორალი ღუპავს ახალგაზრდებს!“, „ჰოლივუდის ფილმები ძალადობის კულტს ამკვიდრებს!“ (ანთაძე ი. რა მანძილია ევროპამდე? „24 საათი“, №123 (1567), 2007, გვ. 5).

ამ კითხვებზე გონივრული პასუხი ის არის, რომ „თუ საქართველოში ღირებულებები იცვლება, აგრესიის დონე იზრდება, ან ტრადიციები იკარგება, ამის მიზეზი საკუთარ ოჯახებსა და გარემოში უნდა მოვიძიოთ; თუ კულტურის როლი დაკნინებულია, ან მეცნიერები თავს ზედმეტად გრძნობენ, პასუხი ჩვენსავე საზოგადოებას და ხელისუფლებას უნდა მოვკითხოთ. ევროპული ინტეგრაცია ქვეყნის თვითმყოფადობას საფრთხეს არ

უქმნის, ამას ევროკავშირის ძველი თუ ახალი წევრი – სახელმწიფოების გამოცდილება ადასტურებს. ეროვნული იდენტობის დაკარგვის შიშს თუ რამე საფუძველი აქვს, ეს საფუძველი საკუთარ თავშია საძიებელი და არა ევროპაში“ (ი. ანთაძე. რა მანძილია ევროპამდე? „24 საათი“, №123 (1567), 2007, გვ. 5).

ეს სამართლიანი მინიშნება მოითხოვს იმას, რომ თუ გაქვს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის ამბიციები, უნდა შეიძინო სათანადო ამუნიციებიც, ანუ შეცვალო შენი ღირებულებები, ისე, როგორც ევროკავშირის ქვეყნებმა შეცვალეს. ისინი ისე ამაღლდნენ საერთო ევროპულ ღირებულებებემადე, ისე მოახდინეს ერთმანეთთან ინტეგრაცია, რომ თავიანთი თვითმყოფადობა, მარადიული ღირებულებანი და ტრადიციები კი არ დაუკარგავთ, არამედ სწორედ ამ ინტეგრაციის საფუძველზე შეინარჩუნეს და განამტკიცეს კიდევაც ისინი. ხოლო იმისათვის, რომ ევროპულ ღირებულებებამდე ავმაღლდეთ, გავხდეთ მისი ორგანული ნაწილი, მხოლოდ იურიდიულად ევროკავშირში ან ნატოში მიღებით ამას ვერ მივაღწევთ, ვერ გავხდებით მისი რეალური ნაწილი. როგორც იტყვიან: „ყოფითი კულტურით დაწყებული – რაც სულ მცირე, საკუთარი ნაგვის მოვლაში უნდა გამოიხატოს და პოლიტიკური კულტურით დამთავრებული – რაც ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლის თუნდაც ერთი პრეცედენტით უნდა დადასტურდეს - ევროპამდე, ჩანს, შორი და რთული გზა გვაქვს გასავლელი...“ (ანთაძე ი. რა მანძილია ევროპამდე? „24 საათი“, №123 (1567), 2007, გვ. 5). ამიტომ უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება სწრაფად შევუსაბამოთ ჩვენი ყოფითი და პოლიტიკური კულტურა და, საერთოდ, მისი ყველა ასპექტი, თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს სტანდარტებს. სწორედ ეს არის ჩვენი გადარჩენის უმთავრესი ამოცანა თანამედროვე გლობალიზაციის ეტაპზე.

მაინც სად უნდა ვეძიოთ სათავე ღირებულებათა გასრულყოფილებისა? ზოგადად თუ ვიტყვით, საჭიროა ღირებულებათა სწორი სისტემა ჩამოყალიბდეს, მაგრამ კონკრეტულად როგორ უნდა გაკეთდეს ეს, აი, ესაა მთავარი. ამისათვის კი მზა რეცეპტები ნამდვილად არ არსებობს. შევეხოთ, მაგალითად, განათლების სისტემას. იმის გამო, რომ დაირღვა, გაუფასურდა სკოლის მთავარი ღირებულებითი საფუძველი, საქართველოს განათლების სისტემა რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სკოლაში გაკვეთილი თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. ია ანთაძე 2007 წელს აღნიშნავდა: „ათი წელიწადის განმავლობაში ვასწავლიდი სკოლაში და ვფიქრობ, რომ ყველაზე მთავარი, რაც სკოლაში ხდება – გაკვეთილია. როდესაც გაკვეთილი საინტერესოა, როდესაც მოსწავლეები და მასწავლებელი ერთმანეთს უსმენენ, ერთმანეთისგან სწავლობენ და კმაყოფილები არიან იმით, რაც გაკვეთილზე ხდება. სკოლა თავის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ სკოლის

ამჟამინდელი პრობლემების სათავე ისაა, რომ ხშირად გაკვეთილი ან საერთოდ არ ტარდება, ან ისე არ ტარდება, რომ მოსწავლე და მასწავლებელი ერთმანეთისკენ მიიზიდოს.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში სკოლის ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა. ერთის მხრივ, თავისუფალმა აზროვნებამ და დიდმა ინფორმაციულმა ნაკადმა მოსწავლეებში დაბადა გაცილებით მაღალი მოთხოვნა მასწავლებლების პროფესიონალიზმის მიმართ; მეორე მხრივ – სასკოლო ატესტატის როლის დაკნინებამ და დაბალმა ხელფასმა პედაგოგებს სრულიად გაუქრო მაღალი სტანდარტის შენარჩუნების მოტივაცია. შესაბამისად, მოსწავლეებმა მოიხსნეს სკოლაში ყოველდღე წასვლის და ყველა გაკვეთილზე დასწრების ვალდებულება, ხოლო მასწავლებლებმა მოიხსნეს პასუხისმგებლობა გაკვეთილის ჩატარებისა და მის ხარისხზე.

ღირებულებების არასწორი სისტემის ჩამოყალიბების, მისი აღრევის შედეგად სკოლა აგრესიის ბუდე გახდა. ია ანთაძე დასძენს: „საკუთრივ სკოლის პრობლემებმა კი თავი იჩინა განათლების დაბალ ხარისხში, შესაბამისად, ღირებულებების ყირალამა სისტემის ჩამოყალიბებაში და, ამის შესაბამისად მოზარდთა მასობრივ აგრესიაში. იმის გამო, რომ გაუნათლებლობა და ღირებულების აღრევა ისე არ „ყვირის“, როგორც დანით თუ იარაღით მიყენებული სასიკვდილო ჭრილობები, სკოლის პრობლემები წლების განმავლობაში საოჯახო განხილვის თემად რჩებოდა. დღეს კი საზოგადოება შიშით და ძრწოლით შეიმცნებს, რამდენად გაუფასურებულია ადამიანის სიცოცხლე ჩვენი მოზარდი თაობის თვალში“.

რაკი ანალიზით დადგინდა, რომ სკოლაში შექმნილი მიღებული ვითარების მთავარი მიზეზი ღირებულებათა არასწორი სისტემაა, გამოსავალიც შეიძლება მოიძებნოს. აგრესიას აგრესიით ვერ ამოშანთავ. ეს გზა კიდევ უფრო მეტ აგრესიას დაბადებს. ამიტომ გამოსავალი შეიძლება იყოს მასწავლებლებისა და მოსწავლის მოტივაცია, რომ გაკვეთილი გახდეს საინტერესო და სასარგებლო, რათა სკოლაში ღირებულებათა სწორი სისტემა ჩამოყალიბდეს. ია ანთაძე სამართლიანად აღნიშნავდა: „სამინისტრომ, სკოლამ, ოჯახმა და საზოგადოებამ, პირველ რიგში უნდა იფიქროს არა იმაზე, თუ რა ხდება დერეფანებში, ტუალეტებში, ეზოს ბნელ კუნჭულებსა და სადარბაზოებში, არამედ იმაზე, თუ რა ხდება გაკვეთილზე; უნდა ვიფიქროთ მასწავლებლისა და მოსწავლის მოტივაციაზე, რომ გაკვეთილი გახდეს საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციის მიღების ადგილი, აგრეთვე რაც ყველაზე მთავარია, სადაც ადამიანების ცნობიერებაში ღირებულებების სწორი სისტემა ყალიბდება.“ (ანთაძე ია, რას მოგვიტანს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მკაცრი პოლიტიკა? „24 საათი“, 13 ივნისი, 2007, №129, გვ. 4).

გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომაგდენელი ია კუტალაძე, აჯამებდა რა ამავე ცენტრის საშუალებით ჩატარებულ ოთხ საერთაშორისო კვლევის შედეგებს. აღნიშნავდა, რომ 45 ქვეყნის მონაწილე მოსწავლეთა მიხედვით შედგა რეიტინგული სია, რომელმაც უჩვენა, რომ წიგნების მიხედვით საქართველო ამ რეტინგული სიის ბოლო ოთხეულშია. ანუ ქართველმა მოსწავლეებმა საკმაოდ მოკრძალებული შედეგები აჩვენეს. გამოკვლევამ შეამოწმა აგრეთვე მოსწავლეთა ცოდნა-უნარები მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნებში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მათემატიკა ხელს უწყობს მოსწავლეთა აზროვნების განვითარებას, საბუნებისმეტყველო საგნები კი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) – სამყაროს შემეცნებას. თანამედროვე ბავშვი ამ ყველაფრის გარეშე აბსოლუტურად წარმოუდგენელია. მასში მონაწილეობა მიიღო სამოცდაათამდე ქვეყანამ. საქართველო ამ კვლევის რეიტინგშიც ბოლო მეოთხედშია. გამოკვლევაში სომხეთიც მონაწილეობდა და მან საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი აჩვენა. ია კუტალაძე აანალიზებს რა ამ მძიმე შედეგებს, არსებული მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით საინტერესო მოსაზრებებს აყალიბებს, რომელიც მეტად მნისვნელვანია სკოლის სწორი ღირებულებითი ორიენტაციისთვის. ის კონკრეტულად აღნიშნავს: „მძიმე შედეგები განაპირობა ქვეყანაში არსებულმა ვითარებამ. ის ქვეყნები, რომლებიც რეიტინგული სიის სათავეში არიან, განათლებაზე ძალიან ბევრს ხარჯავენ. ანუ ინვესტიციები, რომლებიც განათლების სისტემაში იდება. ბიბლიოთეკის სრულყოფა, სასკოლო რესურსები, სასწავლო პროცესისთვის ძალიან მნიშვნელოვანია; დღეს ჩვენს ქვეყანას არა აქვს შესაძლებლობა იმისა, რომ განათლების სისტემაში ბევრად მეტი ინვესტიციები ჩაიდოს. ამიტომ მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად რაციონალურად გამოვიყენოთ ეს რესურსები.

შევეცადოთ ზუსტად განვსაზღვროთ პრიორიტეტები, რა არის მნიშვნელოვანი, რა გზით უნდა წავიდეთ, დაიგეგმოს მიზანმიმართული აქტივობები. ძალიან საყურადღებო რესურსია სახელმძღვანელოები, ასევე მასწავლებლები რამდენად კვალიფიციურია. ყველამ კარგად ვიცით, რომ კარგი მასწავლებელი მოსწავლის ინტეგრირებას ყოველთვის ახერხებდა. მაშინ როცა მასწავლებელთა ხელფასები ძალიან დაბალია და მათი მოტივიაციაც შესაბამისად არც ისე მაღალი უნდა იყოს. არსებობს კვალიფიკაციის პრობლემებიც (ყველაზე, რა თქმა უნდა, არ ვამბობ), ყოველივე ამის ფონზე გვაქვს ასეთი შედეგები. ამდენად ძალიან ბევრი და კომპლექსური ფაქტორი განაპირობებს ჩვენი მოსწავლეების დაბალ და მოკრძალებულ შედეგებს.

ეს პირველ რიგში განპირობებულია იმით, რომ ჩვენ მათ სათანადოდ ვერ ვეხმარებით. „ჩვენ“-ში შედის ყველა – სახელმწიფო, რომელიც დღეს, არსებული რეალობის გათვალისწინებით, უფრო მეტ ინვესტიციას ვერ დებს განათლების სისტემაში,

განათლების სისტემა, რომელმაც უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები და ამისათვის სჭირდება კვლევებით მიღებული სურათი, ოჯახი, გარემო სადაც იზრდება ბავშვი და სხვა...“ (მარი ოთარაშვილი, ქართველი მოსწავლეები... „რეზონანსი“, 2010 წლის 29 იანვარი, გვ. 4).

თუ როგორი შედეგები მივიღეთ განათლების ასეთი პოლიტიკის შედეგად, დღესდღეობით, მისი გარკვეული თვალსაზრისით შეფასებას იძლევა ლანა ბერიძის პუბლიკაცია (ლ. ბერიძე. გამოცდების შედეგები სამარცხვინოა, სასკოლო განათლების დონე – კატასტროფული. „რეზონანსი“, 5 აგვისტო, 2010, №206 (6431), გვ. 1,4). ავტორი აღნიშნავს, რომ ჩაჭრილი აბიტურიენტების რიცხვმა ყველა რეკორდი მოხსნა. ყველაზე მეტი აბიტურიენტი საბუნებისმეტყველო საგნებში ჩაიჭრა. კერძოდ, გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, სამ არჩევით საგანში ყველაზე მეტი აბიტურიენტი ჩაიჭრა. 14 000 აბიტურიენტიდან, რომელთაც მათემატიკა აირჩიეს, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აბიტურიენტთა 34%-მაც ვერ გადალახა, ფიზიკა მხოლოდ 81-მა აბიტურიენტმა აირჩია, თუმცა მათგან გამოცდა 58%-მა ვერ ჩააბარა. ქიმიის გამოცდაში მონაწილე 465 აბიტურიენტიდან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი 38%-მა ვერ გადალახა. აბიტურიენტთა უცოდინრობა, მასწავლებლების დაბალი კომპეტენციისა და სუსტი ხელმძღვანელობის შედეგია. ამიტომ ამ კუთხით განათლების სისტემაში ჯერ კიდევ ბევრი საკითხია მოსაგვარებელი. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ განათლების სამინისტრომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა გაუმჯობესდეს სკოლაში ტექნიკური საგნების სწავლების დონე.

„ექსპერტები და განათლების სფეროს წარმომადგენლები აბიტურიენტების ჩაჭრის მაღალ მაჩვენებელს ძირითადად სკოლის დაბალი დონით ხსნიან, რასაც აბიტურიენტების დაბალი განათლება თავისთავად მოჰყვება“ (მაია მიმინიშვილი, „რეზონანსი“, 5 აგვისტო, 2010).

„არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარობა განათლებული საქართველოსთვის“ გამგეობის თავმჯდომარე, პროფესორები თენგიზ სანაძე საბუნებისმეტყველო საგნებში აბიტურიენტების ჩაჭრას, ისევე როგორც სხვა საგნებში, სკოლაში მიღებული დაბალი განათლების დონით ხსნის“.

კერძოდ იგი აღნიშნავს: ეს შედეგები იმის ბრალია, რომ სკოლებში სწავლების დონე არის ძალიან დაბალი. აღარ ასწავლიან სკოლებში ქიმიას, ფიზიკას, მათემატიკას და უკეთეს შედეგს როგორ მივიღებთ?! ჩვეულებრივი მოთხოვნასაც ვეღარ აკმაყოფილებენ მასწავლებლები და ბუნებრივია, რომ მოსწავლეებიც არ არიან სათანადოდ მომზადებულნი.

ტექნიკური საგნები რომ არ ისწავლება სკოლებში, ეს ფაქტია და ეროვნული გამოცდების შედეგებიც ამას ადასტურებს.

„წინა წლებში ბევრად უკეთესი შედეგები იყო, თუნდაც ის, რომ წინა წლებში ოლიმპიადებზე გასვლისას ქართველი ბავშვები ფიზიკა, ქიმია, მათემატიკაში ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე იყვნენ. ახლა რომ გავიდეს ქართველი ბავშვი ოლიმპიადაზე, ბოლოდან პირველ ადგილს ავიღებთ მხოლოდ“. მისივე განცხადებით, ეს ყველაფერი განათლების არასწორი რეფორმით არის გამოწვეული.

ფიზიკა-მათემატიკოსი, პროფესორი მერაბ ჯიბლაძეც ტექნიკურ საგნებში აბიტურიენტების ჩაჭრის მაღალ მაჩვენებელს არასწორი სასწავლო პროგრამითა და სუსტი პედაგოგებით ხსნის.

იგი აღნიშნავს: „ეს შედეგები ძალიან ადვილი ასახსნელია. ეს იმის ბრალია, რომ ის პროგრამა, რომლითაც ბავშვები ტექნიკურ საგნებს სწავლობენ, არის გონაბასუსტი პედაგოგების მიერ შედგენილი და არ აკმაყოფილებს არანაირ მოთხოვნებს. საბჭოთა კავშირის დროუნდელი პროგრამები აქვთ, მეცნიერები და პროფესიონალი ადამიანები ამათ არ უნდათ, ყველა „ჩარეცხეს“ და შედეგიც სახეზეა.

არ ესმით, რომ თუ ტექნიკური საგნების სპეციალირები არ არიან ქვეყანაში, თუ ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია არ იციან აბიტურიენტებმა, ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალში არც ექიმი გვეყოლება ნორმალური და არც ინჟინერი.

იმდენად გონებასუსტი ადამიანების მიერ არის ეს პროგრამები და საგნები შედგენილი, რომ ბავშვები ვერ იგებენ, რას სწავლობენ. ანუ, როდესაც საგანს ასწავლი ბავშვს და იმ საგანს დასკვნა და ანალიზი არ აქვს, რა უნდა გაიგოს მოსწავლემ. როგორ უნდა ჩაწვდეს იმ საგანის არსს?! ამას ემატება ის, რომ ძალიან ცოტა საათი ისწავლება ფიზიკაც, ქიმიაც და ბიოლოგიაც სკოლებში, რაც საკმარისი არ არის. მთლიანობაში ყველა ფაქტორი ერთად მოქმედებს შედეგებზე და შედეგები როგორიც მივიღეთ, ყველა ხედავს.“ მისივე განცხადებით, მაშინ, როდესაც თავად მასწავლებლები ვერ ერკვევიან ტექნიკურ საგნებში სათანადოდ, მოსწავლეებს თავისთავად აღარ უჩნდებათ სწავლის სურვილი“.

სწორედ ამიტომ არის, რომ განათლების სფეროს გარდაქმნა საქართველოს ახალ მთავრობას პრიორიტეტულ მიმართულებად მიაჩნია (საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ ბიძინა ივანიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა 2012 წლის 25 ოქტომბერს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე, „საქართველოს რესპუბლიკა“, №206, 26 ოქტომბერი, 2012 წელი, გვ. 6). ამ მიზნით კი ეს სისტემა მთლიანად უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკური წნეხისაგან. აუცილებელია განათლების სისტემა

დაეფუძნოს საყოველთაოდ აღიარებულ თანამედროვე სტანდარტებს. სასურველია ყველა უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს აკადემიური, ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომიის გარანტია. საჭიროა შეიქმნას განათლების სისტემის ეფექტიანი მართვის მექანიზმები, რაც ნიშნავს იმას, რომ განათლების სისტემის მართვა უნდა გახდეს თანმიმდევრული და შედეგებზე ორიენტირებული. საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვალიფიციური კადრების შესანარჩუნებლად და მოსაზიდად აუცილებელია შეიქმნას ობიექტური, გამჭვირვალე და ეფექტიანი მექანიზმები. უპირველეს ყოვლისა, დაცული უნდა იყოს მასწავლებლის, პროფესორის, მეცნიერის შრომის უფლება. სკოლის ცხოვრებაში, მისი საქმიანობის ანგარიშის განხილვასა და შეფასებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მშობლებმა, აუცილებელია გაიზარდოს სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე მთლიან შიდაპროდუქტთან მიმართებით და მეცნიერება გახდეს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის საფუძველი.

3.5. კულტურა და ეკონომიკური განვითარება

კალიფორნიის უნივერსიტეტის (ლოს ანჯელესი) პროფესორის, დიპაკ ლალის მონოგრაფია „კულტურა და ეკონომიკური განვითარება ან შედეგები, რომლებზეც წინასწარ არ უფიქრიათ. წარმოების, კულტურის და პოლიტიკის უზრუნველყოფის ფაქტორებით გრძელვადიან ეკონომიკურ შედეგებზე გავლენა“ ეძღვნება ევრაზიული ეროვნული კულტურების ფორმირებას, პოლიტიკურ მოწყობასა და ეკონომიკურ პოლიტიკას, აგრეთვე მათ როლს ეკონომიკურ ზრდაში ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე: ძველი და შუასაუკუნოვანი ცივილიზაციებიდან ჩვენს დრომდე.

ავტორი ცდილობს ახსნას, რატომ შეძლო მაინცდამაინც დასავლეთევროპულმა ცივილიზაციამ მიეღწია ეკონომიკური ზრდის ინტენსიფიკაციისთვის სამრეწველო რევოლუციების ეპოქაში, ჩადგა რა დაგროვებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ავანგარდში. ამასთან, დ. ლალი ვარაუდობს, რომ ქვეყნებს, რომლებიც სხვა ცივილიზაციებს მიეკუთვნება, თანამედროვე პირობებში დამწევი განვითარების ტრაექტორიით მოძრაობაში წარმატებისთვის არ სჭირდება ეროვნულ კულტურათა სრული გარდაქმნა დასავლეთევროპულის მსგავსად, რადგან მოდერნიზაცია ვესტერნიზაციის გარეშეც შესაძლებელია.

აღსანიშნავია, რომ დ. ლალს კვლევისთვის ორიგინალური მიდგომა გამოუყენებია. ავტორი, უპირველეს ყოვლისა, ანთროპოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის,

ევოლუციური ბიოლოგიის, ნევროლოგიის, მაკროსოციოლოგიის, აგრეთვე ევრაზიის შემქმნელი რელიგიის და კულტურის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის სპეციალისტთა შრომებს ეყრდნობა.

წიგნში იშვიათადაა დამოწმებული ეკონომისტების შრომები და საერთოდ არაა წარმოდგენილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კანონზომიერებებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები. ეს შესაძლოა დაკავშირებულია იმასთან, რომ, როგორც ავტორი ვარაუდობს, საკითხი კულტურისა და ეკონომიკური განვითარების შესახებ „ბევრ ეკონომისტს წარმოუდგება გაურკვევლად, არეულ-დარეულად და უთავბოლოდ“. იმავდროულად პრაქტიკოსები, რომლებიც დაკავებული არიან ეკონომიკური განვითარების პროგრამათა შემუშავებითა და რეალიზაციით, ხაზგასმით აღნიშნავენ კულტურის მნიშვნელობას. ავტორი ემყარება ლოურენს ჰარისონის, საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (აშშ) პასუხისმგებელი მუშაკის, წიგნს, რომელიც გამოაქვეყნა სახელწოდებით „ვინ ყვავის. როგორ აყალიბებს კულტურული ფასეულობები ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარმატებას“.

დ. ლალის კვლევის ამოსავალი წერტილია დებულება, რომლის მიხედვითაც „ეკონომისტები მნიშვნელოვანწილად ეთანხმებიან ერთმანეთს“. საუბარია იმაზე, რომ ეკონომიკური ზრდის „უშუალო“ ან „უახლოესი“ მიზეზებია ინვესტიციათა ეფექტიანობა და ნორმა. მათემატიკური სიზუსტით ეს დებულება შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმულით:

$$\Delta GDP_1 = \frac{VA_1}{CF_{t-1}} \cdot \frac{CF_{t-1}}{GDP_{t-1}} \cdot 100$$

აქ:

Δ – ნამატის ტემპი პროცენტებში;

t – საანგარიშო პერიოდი (წელი);

($t-1$) – წინა პერიოდი (წელი);

GDP – მთლიანი შიდა პროდუქტი;

VA – დამატებული ღირებულება (მშპ-ის ნამატი);

CF – დაბანდება ძირითად კაპიტალში;

VA / – უკუგება დაბანდებულ კაპიტალზე;

CF / – მშპ-ის დანახარჯის ნორმა ძირითად კაპიტალში დაბანდებულზე.

კაპიტალის ნამატზე უკუგება და დაბანდებათა ნორმა კაპიტალში ურთიერთდაკავშირებულია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რაც უფრო მაღალია უკუგება

კაპიტალის ნამატზე, მით მეტია სტიმული კაპიტალდაბანდებათა ზრდისთვის. რაც უფრო მეტი რესურსი მიემართება კაპიტალის ფორმირებისთვის, მით მძაფრია კონკურენცია მეწარმეებს შორის, მით მეტად არიან გაწაფულები წარმოების ეფექტიანობის ზრდის ძიებაში.

მონოგრაფიაში ძირითადი ყურადღება ეთმობა ეკონომიკური ზრდის ინტენსიფიკაციის ორ ძირითად პროცესს. პირველი – ესაა სპეციალიზაციის განვითარება და რესურსების გადანაწილება საერთაშორისო ვაჭრობის გავლენით. მეორე – სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. პირველ მიმართულებას ავტორი უწიდებს სმიტისეული ტიპის ზრდას ადამ სმიტის პატივსაცემად, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა შრომის საერთაშორისო განაწილების გაღრმავების პროგრესულ როლს. მეორე კი, მისი აზრით, არის პრომეთესეული ზრდის ტიპის, მითიური გმირის პრომეთეს პატივსაცემად, რომელმაც ადამიანებს ცეცხლი აჩუქა.

საზოგადოებაში ობიექტური პროცესები წარმოიშობა და ვითარდება „იმ უამრავ ინდივიდთა დამოუკიდებელი მოქმედებების შედეგად, რომლებიც სხვადასხვა მიზანს ისახავენ, ხოლო ამ მოქმედებათა საბოლოო შედეგები საკმაოდ განსხვავდება იმათგან, რომლებიც მხედველობაში ჰქონდათ მიღებული“. ა. სმიტის დროიდან ეკონომიკურ მეცნიერებაში მიღებულ სწორედ ამ პოსტულატს უკავშირდება წიგნის სახელწოდებაც „განუჭვრეტელი (?)შედეგები“.

არა მარტო ობიექტურ პროცესებს, არამედ „ეკონომიკურ პოლიტიკასაც აქვს მნიშვნელობა“. თუ მივმართავთ ადრე მოყვანილ ფორმულას, შეიძლება დავამტკიცოთ, რომ საინვესტიციო კლიმატი და ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია იმაზე, მოგების რომელ ნაწილს იღებენ გადასახადების დახმარებით სახელმწიფო ბიუჯეტის შესავსებად. ცნობილია იმის მაგალითები, თუ როგორ მოახდინა სამეწარმეო და და შრომითი საქმიანობის სტიმულირება მოგებასა და შრომით შემოსავლებზე გადასახადების დაბალი ბრტყელი სკალის შემოღებამ, რამაც დააჩქარა ეკონომიკური ზრდა და უზრუნველყო მოსახლეობის მაღალი დასაქმება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს „მტაცებლური ქცევა“ აქვს, ანუ ახდენს დანაზოგთა ამოღებას, რაც დამახასიათებელია ავტოკრატიული რეჟიმებისთვის, ეს მას შემოუბრუნდება ეკონომიკურ განვითარებაში ჩამორჩენით, ეკონომიკის დეგრადაციითა და სახელმწიფოს კრახით.

პრობლემა, რომელსაც ეძღვნება რეცენზირებული მონოგრაფია, ისაა, თუ როგორაა ობიექტური სოციალური და პოლიტიკური პროცესები დაკავშირებული კულტურის ჩამოყალიბების თავისებულებებთან და რა წარმოადგენს კულტურის ცნება ეკონომიკური განვითარების თემასთან მიმართებაში.

ინგლისელი სოციოლოგის და ანთროპოლოგის, ერნესტ გელნერის, განსაზღვრით, „კულტურა არის საქმის წარმოების განსაკუთრებული სახე, რიმელიც ახასიათებს ამა თუ იმ საზოგადოებას“. ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის, დუგლას ნორტის, განმარტების თანახმად, კულტურა საფუძველია „ამა თუ იმ საზოგადოებაში თამაშის წესების და უზრუნველყოფს ადამიანთა ურთიერთქმედების არაფორმალურ შეზღუდვებს“. ურთიერთქმედების ნორმები გადადის სოციალურად. გადაცემის ასეთი ფორმა გენეტიკურისგან განსხვავდება იმით, რომ, როგორც ე. გელნერი აცხადებს, „ამტკიცებს შეძენილ ნიშნებს“.

დ. ლალი თავისი კვლევის ამოცანებთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ კულტურა ადამიანის შეგნებული მოღვაწეობის პროცესში გარემოს ცვლილების და ახალ გარემოში გადარჩენის ხერხების შემუშავების შედეგია. შეძენილი უნარები ფიქსირდება „სოციალური ჩვევის სახით“.

თუკი ამ დებულებას ფილოსოფიურიდან გადავიტანთ უფრო კონკრეტულ ეკონომიკურ ენაზე, მაშინ საუბარი შეიძლება იყოს შემდეგზე: წარმოების სრულყოფის დარგში მიღწევები აისახება ახალ ტექნიკაში და ძველის მოდერნიზაციაში, ადამიანთა საქმიანობის ორგანიზაციის ახალ სქემებში, აგრეთვე განათლების სისტემასა და პროფესიულ სწავლებაში, რის წყალობითაც შექმნის ტექნოლოგიის, ტექნიკის ექსპლოატაციის და მთლიანობაში წარმოების ორგანიზაციის გადაცემა და სრულყოფა ხდება.

ავტორი გამოყოფს კულტურის ორ ფენას. პირველია კულტურის მატერიალური ფორმები (გამომუშავების ფორმები ცხოვრებისთვის), ანუ, თუ ვისარგებლებთ მარქსისტული ტერმინოლოგიით, საწარმოო ურთიერთობები. მეორე ფენას შეადგენს მსოფლმხედველობა, ე.ი. სამყაროს გაგება და ადამიანის ადგილი მასში. დ. ლალი ამჯობინებს მას უწოდოს კოსმოლოგიური წარმოდგენა. იგი ასეთ განსაზღვრას ნეიტრალურად მიიჩნევს, ამჯობინებს რა ტერმინ „იდეოლოგიას“.

პროფესორი ამასთან დაკავშირებით იხსენებს მარქსისტულ მოძღვრებას ბაზისსა და ზედნაშენზე, რომლის თანახმადაც, ბაზისი პირველადია, ზედნაშენი კი – მეორადი. იგი აღნიშნავს, რომ „დარვინიზმით დასნებოვანებული“ სოციალურ მეცნიერებათა ბევრი წარმომადგენელი მარქსისტული მოძღვრების ამ დებულებას ეთანხმება. იმავდროულად ანთროპოლოგთა და სოციოლოგთა დიდი ოდენობა, ავტორის აზრით, იზიარებს იდეალისტურ შეხედულებებს. თავისი პოზიცია ავტორმა გამოხატა შემდეგნაირად: „მე, როგორც კეთილი ინდუსი, ბუნებრივია, ვთვლი, რომ ჭეშმარიტება სადღაც შუაშია“.

სინამდვილეში, როგორც მკვლევარი, დ. ლალი იზიარებს მატერიალისტურ პოზიციას. იგი ეთანხმება ევოლუციურ ფსიქოლოგებს იმაში, რომ ადამიანები არ არიან მორალური ცხოველები დაბადებიდანვე. მორალი გამომუშავდება კაცობრიობის ევოლუციის პროცესში და მოქმედებს მისი მოღვაწეობის ყველა ასპექტზე, საწარმოოს ჩათვლით. ადამიანს ძალუძს იცხოვროს სინდისის კარნახით, ვინაიდან, როგორც ჩარლზ დარვინი წერდა, მისთვის დამახასიათებელია „შეუპირისპიროს თავისი წარსული და მომავალი მოქმედებები ან ზრახვები მათი მოწონებით ან დაწუნებით“.

ადარებს რა კულტურის ორ ფენას, ავტორი აღნიშნავს კულტურის მატერიალური ასპექტების სწრაფ მისადაგებას გარემოს ცვლილებებთან, მაშინ, როცა კოსმოლოგიური წარმოდგენები დიდხანს რჩება პრაქტიკულად უცვლელი, თუმცა ისინი შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს გარკვეულ პირობებში. მიუხედავად სხვაობისა, კულტურის ორივე ფენა მოქმედებს საზოგადოებაში ადამიანის ქცევაზე. „ადამიანური მოღვაწეობა იმართება როგორც მატერიალური, ისე კოსმოლოგიური წარმოდგენებით“. ეს ეხება გავლენასაც პოლიტიკურ მოწყობაზე, მაგრამ, ამ თვალსაზრისით, „შეხედულება სამყაროზე იქნება, როგორც ჩანს, ძირითადი“.

დ. ლალის კონცეფციაში პრინციპულად მნიშვნელოვანია ეროვნულ კულტურებსა და ცივილიზაციებში ინდივიდუალიზმის და კომუნალიზმის თანაფარდობის გამოყოფა. კომუნალიზმში ავტორი გულისხმობს არაკომერციულ საფუძველზე თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების უნარს. „დასავლეთი უფრო ინდივიდუალისტურია, ვიდრე დანარჩენი მსოფლიო“ – კონსტატაციას ახდენს იგი – და ამას უკავშირებს დასავლეთევროპული ცივილიზაციების უპირატესობებს საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში.

ძველ ცივილიზაციათა მატერიალური ბაზა მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის, ნილოსის, ინდისა და იანძის დაბლობებში იყო ინტენსიურად სარწყავი მიწათმოქმედება. მიწათმოქმედების ასეთი ფორმა საჭიროებდა შრომით თანამშრომლობას არხების გათხრისას და კაშხლების აგებისას, რაც ხელს უწყობდა კომუნალიზმის ტრადიციათა განვითარებას. ამავე საფუძველზე ვითარდებოდა საზოგადოების სტრატიფიკაცია, მის წვეროში კი იდგა აბსოლუტური მონარქი, რომლის ძალაუფლება შემოიფარგლებოდა წეს-ჩვეულებებით.

ძველ ეგვიპტეში მონარქი იყო ღმერთი, რომელსაც არ შეეძლო ემოქმედა თვითნებურად და თავისი ახირების მიხედვით, მას თავისი მოქმედება უნდა შეეთანხმებინა მაატთან – „სწორ წესრიგთან“. მესოპოტამიაში მონარქად ითვლებოდა მსახურების აღსასრულებლად რჩეული პირი ღვთიური ძალის ჩარევით. მას უნდა „შეემეცნა იმის არსი, თუ როგორ შეესრულებინა მონარქის ვალი“.

ძველ იმპერიათა აყვავება დაკავშირებული იყო იმასთან, თუ რამდენად უწყობდნენ ხელს ისინი საერთაშორისო ვაწრობის განვითარებას და ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას შრომის საზოგადოებრივი განაწილების გაღრმავების საფუძველზე (სმიტისეული განვითარების ტიპი). ავტორი იმპერიათა დასასრულს ხსნის „სახელმწიფოს მტაცებლური ხასიათით". შინაგანი წესრიგის შესანარჩუნებლად და გარეშე საფრთხის თავიდან ასაცილებლად საგადასახადო სისტემის მეშვეობით იგი ამოიღებდა დანაზოგთა დიდ ნაწილს, რომელიც აუცილებელი იყო საწარმოო ძალების განვითარებაში დასაბანდებლად.

განსაკუთრებული შემთხვევაა ადრეული შუა საუკუნეების ჩინური ცივილიზაცია. წიგნში ვკითხულობთ, რომ XI საუკუნის ჩინეთში „წარმოდგენილი იყო ყველა ტექნიკური კომპონენტი იმ ტექნოლოგიურ მიღწევათა შესამუშავებლად, რომლებიც გახდა დასავლური სამრეწველო რევოლუციის სიმბოლო და პრომეთეს ტიპის ზრდის საფუძველი. მან ორგანული ეკონომიკა გადააქცია მინერალურ ნედლეულზე დამყარებულ ეკონომიკად". ჩინური ეკონომიკის სტაგნაცია შუა საუკუნეების პერიოდის ბოლოსთვის, „მიუხედავად ბობოქარი შუასაუკუნეობრივი შემოქმედებისა, ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული გამოცანაა" – მიიჩნევს დ. ლალი.

უძრაობის შესაძლო მიზეზთა სახით წამოწეულია ჩინური პოლიტიკური ადმინისტრაციის თავისებურება, რომლის ძალისხმევითაც, კონფუციანური წარმოდგენების შესაბამისად, იმპერიის ფიზიკური მთლიანობის შესანარჩუნებელ ზომებში „ჩაშენდა სისტემური შეზღუდვები" ყოველგვარი სახის ექსპანსიაზე: იქნებოდა ეს სამრეწველო, კომერციული თუ სამხედრო.

მეორე მიზეზად ავტორი მიიჩნევს იმას, რომ „ ვაჭრობითა და მრეწველობით უზარმაზარი კერძო სიმდიდრის დაგროვება ჩინელთა უმრავლესობას მიაჩნდა ამორალურად". საბოლოო ჯამში, „ოფიციალური იდეოლოგია და ხალხური ფსიქოლოგია ერთდროულად მოქმედებდა იმ უპირატესობათა განსამტკიცებლად, რომლებიც მოხელეებს ჰქონდათ ნებისმიერი შეჯახებისას მხოლოდ მდიდარ კერძო პირებთან".

დასავლეთი ევროპის აღორძინებას პროფესორი უკავშირებს პრომეთეს ტიპის ინტენსიურ ზრდას, უწოდებს რა ამ მოვლენას „ევროპულ სასწაულს". ეკონომიკური განვითარების ღირსშესანიშნავი შედეგები და ინტენსიური ზრდის მიზეზთა რთული ხასიათი საფუძველს იძლევა ვისაუბროთ სასწაულზე. დ. ლალის კვლევათა მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ამ „სასწაულის" გაშიფვრას.

დასავლეთევროპული ცივილიზაციის ადრეულ სტადიაზე სმიტისეული ტიპის ინტენსიური ზრდის ლოკომოტივად იქცა ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყნების ვაჭრობა, რომელიც განპირობებული იყო მათი სხვადასხვაობით წარმოების ფაქტორებით

უზრუნველყოფაში. ამასთან ერთად, მას საფუძველი უნდა ჩაეყარა პრომეთესეული ტიპის პროგრესისთვის.

დასავლეთევროპული ცივილიზაციის პირველი ინსტიტუციური თავისებურება იყო ქალაქ-სახელმწიფოების ჩამოყალიბება. მათში იქმნებოდა სასურველი კლიმატი ვაჭრებისა და კომერციისთვის – ეს იყო მათი აყვავების საფუძველი. „ვაჭრები უცილობლად დიდ როლს ასრულებდნენ იქ, ვიდრე ინდოეთის და ჩინეთის იმპერიულ სახელმწიფოებში“.

სამოქალაქო მოწყობის მეორე თავისებურება იყო კომერციული სახელშეკრულებო სამართლის განვითარება და სამოქალაქო კოდიფიკაცია რომის სამართლის ინსტიტუტის ბაზაზე. ამან საშუალება მისცათ გადასულიყვნენ იმ „რწმუნებით საოჯახო კავშირებზე“ დამყარებული გარიგებებიდან, რომლებსაც ეფუძნებოდა ვაჭრობა ძველ აგრარულ იმპერიებში, „დამოუკიდებელ მხარეებს შორის“ გარიგებებზე.

მესამე თავისებურება გამოიხატებოდა „სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების უფლებების აღიარებაში“. არსებითად, ეს ნიშნავდა „მტაცებელი მთავრობებისთვის ხელის შეკვრას“ ფორმულის შესაბამისად: „არ არსებობს დაბეგვრა წარმომადგენლობების გარეშე“.

მთლიანობაში თვითმართვადი ქალაქ-სახელმწიფოების ცენტრალური საორგანიზაციო პრინციპი იყო „მოქალაქეობის უზენაესობა ადამინთა გაერთიანების ყველა ფორმაზე“. სწორედ სამოქალაქო საზოგადოების უზენაესობა განასხვავებდა დასავლეთევროპულ ცივილიზაციას ძველი ცივილიზაციებისგან.

განსაკუთრებული როლი კულტურული ერთიანობის უზრუნველყოფაში პოლიტიკურად დაყოფილ დასავლეთევროპულ კონტიგენტში ენიჭებოდა ქრისტიანულ ეკლესიას. აქ ჩვენ ვაწყდებით განუჭვრეტელ შედეგებს, რომლებმაც განაპირობა ქრისტიანული ეკლესიის მოქმედება საოჯახო სამართლის სფეროში. ეკლესიამ ეს ნაბიჯი გადადგა თავისი ქონებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად.

VI საუკუნეში პაპმა გრიგორი I-ლმა აკრძალა ახლო ნათესავებთან და მოყვრებთან ქორწინება, თანაცხოვრება, აგრეთვე – ბავშვების გადაცემა გაშვილების გზით. ეს აკრძალვა ოჯახებს, რომელთაც არ ჰყავდათ მამრობითი სქესის პირდაპირი მემკვიდრე, შესაძლებლობას ართმევდა შეენარჩუნებინათ საოჯახო მემკვიდრეობა და ხელს უწყობდა მის ჩამორთმევას ეკლესიის სასარგებლოდ. უკვე VII საუკუნის ბოლოსთვის საფრანგეთში მწარმოებლური მიწების ერთი მესამედი ეკლესიის ხელში აღმოჩნდა. შემდგომი ორი საუკუნის განმავლობაში საეკლესიო საკუთრების ზრდის პროცესი მიწაზე გრძელდებოდა არა მარტო საფრანგეთში, არამედ იტალიასა და გერმანიაშიც.

პაპების აკრძალვებმა ხელი შეუწყო დასავლური ნუკლეარული ოჯახების შექმნას, ეს ოჯახები ნერგავდა ინდივიდუალიზმს გაფართოებული ოჯახისგან განსხვავებით (საოჯახო კლანი); ისინი გამსჭვალული იყო კომუნალიზმის სულით და ახასიათებდა სხვა ცივილიზაციებსაც. ჩრდილო-დასავლური ევროპა ოჯახების შექმნის ახალი სისტემის წყალობით ასცდა მალთუსიანურ გაღატაკებას. ახალ სისტემას განასხვავებდა გვიანი ქორწინებები, საოჯახო მეურნეობების გარეთ დაუოჯახებელთა (ქალების, კაცების) დასაქმება და ცხოვრება სამუშაო ადგილის მიხედვით; ქორწინება კი ნიშნავდა საოჯახო მეურნეობათა დაყოფას.

ნუკლეარული ოჯახი ხელს უწყობდა შობადობის შემცირებას, მოზრდილი მოსახლეობის სრულ დასაქმებას, ფულადი ურთიერთობების განვითარებას, ნამატის შექმნას, რომელიც შეიძლება მიმართულიყო ინვესტიციებზე. ახალი სისტემა ასევე ხელს უწყობდა ახალგაზრდების დამოუკიდებლობას, ვინაიდან ცხოვრებაში წარმატება უპირველესად მათზე იყო დამოკიდებული და არა ახლო ნათესავების დახმარებაზე. ასეთი ოჯახები ემყარებოდა უფრო სახელშეკრულებო, ვიდრე ემოციურ ურთიერთობებს. „დასავლური სისტემა არ ემყარებოდა (მოზრდილები) ბავშვების პასუხისმგებლობას თავიანთ მშობლებზე ან პირიქით, რაც განასხვავებდა მას სხვა ევროაზიური სისტემებისგან“.

ხანდაზმულებს დახმარებას უწევდნენ მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებებით ან ქონების ივჯარით, ან ფასიან საფუძველზე. გარდა ამისა, უკვე XIII საუკუნეში და უფრო ადრეც ვითარდება არასაოჯახო მფარველობა. პასუხისმგებლობას ყველა ასაკის ღატაკზე თავის თავზე იღებდა ეკლესია, გილდია და მანორიული სისტემა.

ინდივიდუალიზმის და რაციონალიზმის სულის განვითარებას ხელს უწყობდა დასავლური ქრისტიანობის რეფორმაციაც, რამაც განაპირობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს, ასევე საზოგადოებრივი შეთანხმების თეორიის და პრაქტიკის გამიჯვნა. ამასთან ერთად, ეს ნიშნავდა შემდგომ შეუთანხმებლობას ქრისტიანობის აღმოსავლურ შტოსთან. კიევის რუსეთმა აირჩია ქრისტიანობის ბიზანტიური ვარიანტი, დაინახა რა მასში ავტოკრატიული მმართველობის საყრდენი. ამან გამოიწვია რუსეთის შედარებითი იზოლაცია დანარჩენი ევროპისგან, „რუსული ეჭვიანობის განვითარება დასავლეთის მიმართ“.

რუსეთის გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურება და მოსახლეობის დაბალი სიხშირე ხელს უწყობდა ისეთ გარემოს, „რომელშიც სახელმწიფოს შეუძლია იოლად ჩამოყალიბდეს, გადარჩეს ბრძოლაში, მაგრამ იშვიათად აყვავდეს“. ასეთი გარემო ხელს უწყობს ვრცელ და მყიფე (სუსტ) იმპერიებს, რომლებიც მოწყვლადია გარედან

თავდასხმისა და შიგნით ამბოხებებისთვის“. დ. ლალი ამ განზოგადების, რომელამდეც მივიდა ისტორიკოსი ფელიპე ფერნანდეს-არმესტო აბასიდების ხალიფატის ისტორიის შესწავლის საფუძველზე, რუსეთზე გავრცელებას შესაძლებლად მიიჩნევს, მით უმეტეს, რომ ფ. ფერნანდეს-არმესტომ მას „ევროპის არაევროპული იმპერია“ უწოდა.

რუსეთის მცდელობებს გადაელახა ჩამორჩენა, რომელიც წარმოიქმნა ლათინურ ქრისტიანულ სამყაროსთან დაშორების გამო, და „ეთამაშა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი მსოფლიოში, ენაცვლებოდა შედარებითი დაცემის პერიოდები“ – მიიჩნევს ავტორი, ემყარება რა პეტრე დიდის, ალექსანდრეს II-ისა და ი. სტალინის მიერ ჩატარებული რეფორმების გამოცდილებას.

ამასთან დაკავშირებით უკვე ნახსენები დ. ლალის დასკვნა, რომელიც ეფუძნება რიგი ქვეყნების დამწევი განვითარების თანამედროვე გამოცდილებას – მოდერნიზაციის შესაძლებლობას ვესტერნიზაციის გარეშე, ექვემდებარება კრიტიკულ შეფასებას.

3.6. ღირებულების როლი ეკონომიკის მოდერნიზაციის საქმეში

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ცივილიზაციათაშორისი ბრძოლა ძირითადად ეკონომიკურ სფეროში ვითარდება. ცივილიზაციას აქვს უნარი სხვა ცივილიზაციური სისტემებისგან ისესხოს იდეოლოგიის ინსტიტუტები და ელემენტები, რომლებიც მათ აძლევს კონკრეტულ უპირატესობას ევოლუციურ ბრძოლაში.

იმისათვის, რომ სხვათა გამოცდილებას ეზიარო, უნდა იცოდე მათი ღირებულებების სისტემა და მსოფლმხედველობის საფუძვლები, რომლებიც ეროვნულ კულტურაში, ცივილიზაციურ იდეოლოგიასა და რელიგიაში აისახება. მათგან უმთავრესი არის რელიგია. სწორედ რელიგიური სისტემები წარმოადგენს იდეოლოგიის ძირითად ელემენტს არსებული ცივილიზაციების უმეტესობისთვის. ამჟამად მოქმედი ცივილიზაციური რელიგიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია: ინდუიზმი, ბუდიზმი, დაოსიზმი, კონფუციანელობა, სინტოიზმი, იუდაიზმი, მუსლიმანობა, ქრისტიანობა (კათოლიციზმი, მართლმადიდებლობა, პროტესტანტობა). არსებობს არარელიგიური იდეოლოგიებიც, მაგალითად, წმინდა ამერიკულ ფილოსოფიად იქცა უ. ჯეიმსის პრაგმატიზმი.

პროფესორების ა. მოვსესიანის და ს. ოგნივცევის მოსაზრებით „თუ დასავლეთის ყველა მსოფლიო რელიგიებს სახელმწიფოებრიობის როლის კლების და ბაზრის და კერძო თავისუფლებათა როლის გაზრდის თვალსაზრისით განვალაგებთ, მაშინ ისინი გამწკრივდება შემდეგი სახით: მუსლიმანობა, მართლმადიდებლობა, კათოლიკობა,

პროტესტანტობა“. (მოვსესიანი ა.გ., ოგნივცევი ს.ბ. მსოფლიო ეკონომიკა, სახელმძღვანელო, ტომი I, თბილისი, 2003, გვ. 310.).

მბრძანებლურ-ადმინისტრაციულიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, ანუ ე.წ. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვა: რა როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკის მოდერნიზაციის საქმეში ღირებულებებმა, მათმა სისტემამ? ბევრ ქვეყანაში ეს საკითხი მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვან სფეროს განეკუთვნება. მისი ფუნდამენტური ანალიზი მოცემულია პროფესორ ე. იასინის ერთ-ერთ სტატიაში, რომლის დასაწყისში ავტორი აღნიშნავს: „ბევრს გაუჩნდა აზრი, რომ ჩვენ არაფერი გვიშველის, აყვავება ჩვენი ხვედრი არ არის: ასეთი ეროვნული ხასიათი გვაქვს, ასეთია რუსეთის კულტურა, რომელსაც ვერაფერს მოუხერხებ, ვერ გადააკეთებ. სხვაგვარადაც ლაპარაკობენ: რეფორმები უნდა ჩავატაროთ ისე, რომ გავითვალისწინოთ კულტურის თავისებურებები, ეროვნული ღირებულებები”. (Ясин Е. Модернизация экономики и система ценностей, "ВЭ", №4. – 2003, с. 5).

მართლაც, ეჭვს გარეშეა, რომ ეკონომიკის წარმატება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, მოხდება თუ არა აუცილებელი ცვლილებები კულტურაში, ღირებულებათა სისტემაში და თუ მოხდება, როგორი ტემპებით და რა მიმართულებებით. ეს ცვლილებები არსებითად წარმოქმნის არა მარტო მოდერნიზაციის წარმატების პირობას, მის სოციალურ კონტექსტს, არამედ, თუკი დავფიქრდებით, მის ყველაზე სიღრმისეულ შინაარს: ჩვენ თავად უნდა გავხდეთ სხვანაირები, რათა ქვეყანა ავაყვავოთ.

ე. იასინი რუსეთის ეკონომიკური მოდერნიზაციის საქმეში ღირებულებების როლის შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მთლიანობაში უნდა ვაღიაროთ, რომ დიდი დადებითი ძვრები არაა. რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება, რომ მოდერნიზაცია ადგილიდან არ დაიძვრება, სანამ არ დაიწყება რეალური ცვლილებები ღირებულებათა სისტემაში, არაფორმალურ ინსტიტუტებში, კულტურაში. შეიძლება იმის თქმა, რომ ესაა შემდგომი, ტრანსფორმაციის III ეტაპის ამოცანები? ნათელია ერთი რამ: ეს მარტო მთავრობის საქმე არ არის, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ მისი კი არა, არამედ მთელი საზოგადოების საქმეა.

გ. გრეფის პროგრამის დამუშავება 2000 წელს დაიწყო ღირებულებათა სისტემის განხილვით. ინიციატივა გამოავლინა „კლუბ 2015”-მა და პირადად ვ. ლოპუხინმა, რომელმაც გამოაქვეყნა სტატია, რომლიდანაც გამომდინარეობდა, რომ ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელია ნაყოფიერი ღირებულებათა სისტემა, და რომ ჩვენ ისტორიული მიზეზების გამო ამგვარ რამეს არ ვფლობთ (Лопухин В. Почему мы

бедны?, Эксперт, №1-2 – 2000. (Проблемы влияния национальных и религиозных традиций на поведение экономических агентов неоднократно поднимались на страницах нашего журнала. См., например: Вопросы Экономики, 1993, №8; 1994, №7; 1996, №9. – ავტ.). პროტესტანტებს გაუმართლათ, მათ პროტესტანტული ეთიკა აქვთ. სტრატეგიული დამუშავების ცენტრში, ერთ-ერთ სემინარზე მიტროპოლიტმა კირილმა დაადასტურა, რომ პროტესტანტული სისტემა და, საერთოდ, ლიბერალური ღირებულებები განსხვავდება მართლმადიდებლური ღირებულებებისაგან. ა. კონჩალოვსკიმ თავისი წინასიტყვაობა ლ. ჰარისონის წიგნის „ვინ ყვავის?“ რუსული თარგმანისათვის ასე დაასათაურა: „კულტურა – ეს ბედია. მაშ, რა ვქნათ ჩვენ, შევეგუოთ ბედს?“ (Ясин Е. Модернизация экономики и система ценностей, "ВЭ", №4. – 2003, с. 7).

ავტორიტეტთა აზრი ინსტიტუტების, ღირებულებების, კულტურის მდგრადობის შესახებ, უკიდურეს შემთხვევაში, ადამიანის ცხოვრების პერიოდთან მიმართებაში გაიყო. უმრავლესობა მათ უცვლელად, ან ნაკლებად ცვალებადად მიიჩნევს; ისინი, მისი აზრით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეზე (Вебер М. Протестантская этика и дух капитализма. М.: Прогресс, 1990; Норт Д. Институты. институциональные изменения и функционирование экономики. М.: Начала, 1997; Харрисон Л. Кто процветает? Препринт, 1992; Huntington S. The Clash of Cikilirations and the Remaking of the World Order. N. Y. Simon and Shuster, 1996). სხვები ფიქრობენ, რომ ისინი საკმაოდ ცვლადია ამა თუ იმ ფაქტორისდა მიხედვით, მაგალითად – ეკონომიკური, თუმცაღა დიდი ლაგით. (Инглхарт Р. Культура и демократия. В кн.: Культура имеет значение. М.: Московская школа политических исследований. – 2002).

მეორეთა რიცხვს მიეკუთვნებიან უპიტარესად ისინი, ვინც თავის დასკვნებს აფუძნებდა დასავლური საზოგადოების შესწავლაზე. მ. ვებერის ნაშრომთა შემდეგ განმტკიცდა წარმოდგენა პროტესტანტული ღირებულებების და მათი მნიშვნელოვანი როლის პროდუქტიულობის შესახებ დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების წარმატებაში. ყოველ შემთხვევაში, მრავალნაირი მიზეზის გამო აქ ეკონომიკა და ღირებულებათა სისტემა აღმოჩნდა უფრო დინამიური. პურიტანული მომჭირნეობა, რომელიც XVIII საუკუნისთვის იყო დამახასიათებელი, ცუდად ესადაგებოდა დღეს განვითარებულ ქვეყნებში გავრცელებულ ნორმას – „ბევრის გამომუშავება და ბევრის ხარჯვა“. მაგრამ პროტესტანტული ღირებულებები, როცა ეს იყო საჭირო, ხელს უწყობდა თავდაპირველ დაგროვებას, ხოლო პურიტანული მომჭირნეობა დღესაც საჭიროა. ცხადია ეკონომიკის კავშირი ობიექტურ და ცვალებად მოთხოვნებთან.

რ. ინგლჰარტი შენიშნავს: „ეკონომიკური განვითარება, როგორც წარმოგვიდგენია, ნამდვილადაა დაკავშირებული აბსოლუტური სოციალური ნორმებისგან ნაწინასწარმეტყველები დაშორების სინდრომთან სულ უფრო რაციონალური, მოქნილი, ნდობით მოსარგებლე პოსტმოდერნისტული ღირებულებების სასარგებლოდ“ (Инглхарт Р. Культура и демократия. В кн.: Культура имеет значение. М.: Московская школа политических исследований. – 2002, с. 108.)

მიუხედავად ამისა, დასავლური სისტემის ლიბერალური ღირებულებების რაღაც ზოგადი საფუძველი რჩება უცვლელი. ლ. ჰარისონი კულტურის ოთხ ფაქტორს გამოყოფს, რომელთა ხასიათზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი განვითარება. ესენია: „ნდობის რადიუსი” ანუ ერთობის გრძნობა; ეთიკური სისტემის სიმკაცრე; ხელისუფლების რეალიზაციის წესი; დამოკიდებულება შრომის, ინოვაციების, მომჭირნეობის და მოგების მიმართ (Харрисон Л. Кто процветает? Препринт, 1992). ნაყოფიერია ნდობის მაღალი დონე, ეთიკური სისტემა, რომელიც, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია რელიგიასთან (უფრო პროტესტანტულთან, ვიდრე კათოლიკურთან), დემოკრატია როგორც ხელისუფლების რეალიზაციის საშუალება, შრომის მოყვარეობა, განათლება, მიდრეკილება ინოვაციების, დანაზოგების მიმართ, მოგების მოწონება როგორც წარმატების გამოხატულება.

ვ. ლოპუხინი გამოყოფს ნდობას, პასუხისმგებლობასა და პიროვნებას. პიროვნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან დასავლურ ღირებულებათა სისტემაში ინდივიდუალიზმი, ადამიანის თავისუფლებები და უფლებები წახალისებულია, მაშინ როცა სხვა ეთიკურ სისტემებში, მათ შორის მართლმადიდებლურში, ანთროპოცენტრიზმი გაკიცხულია როგორც რელიგიური მსოფლმხედველობის საპირისპირო. ინდივიდუალიზმი ასევე ასოცირდება ეგოიზმთან, სისასტიკესთან სხვების მიმართ, იზოლაციასთან, ბრბოში მარტოობასთან. თუმცა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებელი პიროვნება ცუდად როდი ეთვისება ჰუმანიზმსა და სოლიდარობის მაღალ ხარისხს, თავისუფლება გულისხმობს სოციალურ პასუხისმგებლობას და შესაძლებელია მხოლოდ იმ ადამიანთა გარემოში, სადაც პატივს სცემენ თავის მსგავსთა უფლებებს.

ასეა თუ ისე, დასავლური ეკონომიკა და დასავლური კულტურა, მუდმივად რომ კრიტიკის ქვეშ იყო, მათ შორის შიგნიდანაც, უკვე 400 წელია, რაც თავის უპირატესობას გვიმტკიცებს მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაშიც, ახალშემოღებულ წესებშიც და სულიერი ღირებულებების შექმნაშიც.

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია გავარკვიოთ თუ რა კავშირი არსებობს სხვადასხვა ცივილიზაციებსა და მათ ეკონომიკურ განვითარებათა შორის. ა. ტოინბი ცივილიზაციებს

განსაზღვრავს, როგორც ქვეყნების და ხალხების ერთობას, რომელიც გაერთიანებულია საერთო კულტურით, ღირებულებებთ, ინსტიტუტებით (Тойнби А. Постижение истории. М.: Айрис-Пресс, 2002). ცივილიზაციათა ზრდა არის გამოწვევებზე პასუხების შედეგი: ეს პასუხები ქმნიან დაძაბულობას, რაც განვითარების იმპულსი ხდება. ცივილიზაციათა დაცემა კი განპირობებულია გამოწვევებზე პასუხის გაცემის უუნარობითა და შინაგანი წინააღმდეგობებრიობებით. ახლანდელი ცივილიზაციების უმრავლესობა კავშირს ავლენს ტრადიციულ რალიგიურ კონფესიებთან.

სქემა წარმოდგენილია თანამედროვე ცივილიზაციათა გამოყოფის სამი ვარიანტი, რომლებიც აგებულია სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე ცნობილი თანამედროვე მკვლევარების მიერ. ესენი არიან: ს. შვარცი (1990 წ.), გ. ჰოფსტედი (1988 წ.), რ. ინგლჰარტი (2000 წ.).

ა. ტოინბი გამოყოფდა კიდევ რუსულ მართლმადიდებლურ ცივილიზაციას, რომელშიც მნიშვნელოვან თავისებურებებს ხედავდა აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით.

სქემა №1.

თანამედროვე ცივილიზაციები

ს. შვარცი	**გ. ჰოფსტედი**	**რ. ინგლჰარტი**
დასავლეთევროპული	ჩრდილოური	პროტესტანტული
ინგლისურენოვანი	ინგლისურენოვანი	ინგლისურენოვანი
აღმოსავლეთევროპული	გერმანული	კათოლიკური ევროპა
ისლამური	ახლოაღმოსავლური	აღმოსავლეთი ევროპა (პოსტკომუნისტური მართლმადიდებლური)
აღმოსავლეთაზიური	განვითარებადი აზია განვითარებული აზია (იაპონია)	კონფუციანური სამხრეთ აზია
ლათინოამერიკული	განვითარებადი ლათინური ამერიკა განვითარებული	აფრიკა

	ლათინური ამერიკა	

მართლაც, არსებობს კი კავშირი ცივილიზაციათა კულტურულ-ღირებულებით სხვაობებსა და მათ ეკონომიკურ განვითარებას შორის? რამდენად ცვალებადია ცივილიზაციათა კულტურულ-ღირებულებითი თავისებურებები და რა ზომით შეიძლება იყოს ისინი განვითარებისთვის დაუძლეველი წინააღმდეგობა? ან, იქნებ პირიქით, ისინი თავად შეიცვლება, თუმცა დაგვიანებით, ეკონომიკასა და სხვა სფეროებში მომხდარ ცვლილებათა გავლენით? შესაძლებელია, მხოლოდ არაპირდაპირ განისაზღვროს უპირატესი ღირებულებები და მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მოხერხდეს ამა თუ იმ ცივილიზაციის ღირებულებებსა და მათ განვითარებას შორის კავშირის დადგენა. ისიც გასაგებია, რომ ამგვარად მიღებული დასკვნები პირობითია.

რ. ინგლჰარტი წარმოგვიდგენს ღირებულებათა მსოფლიო მიმოხილვას (World Values Surway), რომელიც უკვე 25 წელია ტარდება და მოიცავს 65 საზოგადოებაზე მეტს. ამ მიმოხილვაში ქვეყნები ლაგდება ჯერ ერთ ღერძზე – „გადარჩენა – თვითგამოხატვა“ და მერე კი – მეორეზე – „ტრადიციული ფასეულობები – სეკულარულ-რაციონალური ღირებულებები“. (Inglehart R. Modernization and Postmodernization: Cultural, Economic and Political Change in Forty-Three Societies. Princeton University Press, 1997.)

გარარჩენის ღირებულებები – ესაა ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოება; მატერიალური ღირებულებები, სხვაგვარად აზროვნების შეუწყნარებლობა, ქსენოფობია; ადამიანის თავისუფლებების და უფლებების დაბალი შეფასება, მზაობა ავტორიტარიზმის, მორჩილების, მეცნიერების და ტექნიკის მიმართ ყოვლისშემძლეობის რწმენის მიდრეკილების მიღებაზე.

თვითგამოხატვა, პირიქით, გულისხმობს პიროვნების მაღალ შეფასებას, თავისუფლებას, ადამიანის უფლებებს; არამატერიალურ ღირებულებებს; წარმატებას, ეკონომიით დაფიქრებულობას; სქესთა თანასწორობას. გადარჩენის პოლუსთან ახლოსაა პოსტკომუნისტური აღმოსავლეთევროპული, ასევე – აზიის და აფრიკის ქვეყნები, თვითგამოხატვის პოლუსთან კი – დასავლეთ ევროპა და ინგლისურენოვანი ქვეყნები. ყველა პირობითობის გათვალისწინებით გადარჩენის ღირებულებები ახლოსაა ღარიბ ქვეყნებთან, ხოლო თვითგამოხატვის ღირებულებები – მდიდრებთან.

ტრადიციული ღირებულებები – ესაა რელიგია; ოჯახი, ქვეყანა; მოწიწება ხელისუფლების მიმართ, აბსოლუტური სტანდარტები; სოციალური კონფორმიზმი, თანხმობა, ვიდრე ღია, პოლიტიკური კონფლიქტები.

სეკულარულ-რაციონალური ღირებულებები – რაციონალური ქცევა, წარმატების მიღწევა; უპირატესობის მინიჭება საერთო სახელმწიფოსათვის, რელიგიის მცირე როლი.

მეორე მიდგომა გადმოცემულია ს. შვარცის კვლევებში (კითხვარი 57 ღირებულების დასახელებით ვრცელდებოდა მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის 54 ქვეყანაში, აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყნის ჩათვლით). ეყრდნობოდა რა ღირებულებებს, რომლებიც სხვადასხვა კულტურის რელიგიური და ფილოსოფიური შრომების ანალიზისას გამოვლინდა, მან ისინი ბლოკებად დაავჯგუფა მოტივაციის ტიპების მიხედვით და წარმოადგინა პოლუსების სახით სამ ღერძზე: 1) კონსერვატიზმი – ავტონომია; 2) იერარქია – თანაბარუფლებიანობა; 3) ოსტატობა – ჰარმონია.

კონსერვატიზმი მოიცავს ისეთ ღირებულებათა არეებს, როგორიცაა უსაფრთხოება, კონფორმიზმი, ტრადიციები; პიროვნება განიხილება მიკუთვნებულ ჯგუფზე (კოლექტივიზმი). დაფასებულია სოციალური წესრიგი.

ავტონომიის შემთხვევაში ყურადღების ცენტრშია პიროვნება, რომელიც ისწრაფვის გამოაცხადოს თავისი შინაგანი თვისებები და იგი ამისკენაა წაქეზებული. განასხვავებენ ინტელექტურალურ (დამოუკიდებლობას, გონებაგახსნილობას, გამომგონებლობას) და აფექტურ (სიამოვნებისკენ სწრაფვას, გედონიზმს) ავტონომიას.

იერარქია ვარაუდობს სოციალური პასუხისმგებლობის მაღალ შეფასებას, რომელიც იერარქიულ სისტემაში პიროვნების მნიშვნელობითაა განსაზღვრული; იერარქიით უფროსისათვის დაქვემდებარებას და ვალდებულებების შესრულებას, რაც შეესაბამება იერარქიის წესებსა და პოზიციებს; იერაქია ხალისუფლების და სიმდიდრის განაწილებაში უთანასწორობის ლეგიტიმაციას ახდენს.

თანაბარუფლებიანობა – გულისხმობს იმას, რომ ყველა ინდივიდი თანაბარია მორალისა და კანონის წინაშე, რომელიც დადგენილია საერთო თანხმობით სოციალური პასუხისმგებლობა მიიღწევა სხვათა უფლებების აღიარებით, ასევე – საერთო შეხედულებათა ათვისებით სამართლიანობის, თავისუფლების, თანასწორობის, პატიოსნების და ვალდებულებების შესახებ.

ოსტატობა – არა უბრალოდ პროფესიონალიზმის და ცოდნის მაღალი შეფასებაა, არამედ საკუთარი და საზოგადო ინტერესების აქტიური ცვლილებებისაკენ სწრაფვაცაა (ამბიციები, წარმატება, გამბედაობა, მიღწევადობა).

ჰარმონია ნიშნავს სამყაროს აღქმას ისე, როგორუ ის არის, სწრაფვას უფრო შეინარჩუნოს, ვიდრე გადააკეთოს არსებული (ერთიანობა ბუნებასთან, მშვენიერების მაღალი შეფასება).

ამ კვლევის დასკვნები ამგვარია: ქვეყნები, სადაც შეფასებები – ავტონომია, თანასწორუფლებიანობა, ოსტატობა – მაღალია, ყველაზე მეტადაა განვითარებული, რაც მოსალოდნელიც იყო. და პირიქით, ქვეყნები, სადაც სჭარბობს ისეთი ღირებულებები, როგორიცაა კონსერვატიზმი, იერარქია და ჰარმონია – უმეტესწილად ღარიბია, მათი განვითარება სიძნელეებს აწყდება. ამგვარად, კავშირი ღირებულებებსა და ეკონომიკის განვითარების შორის, ამ და სხვა კვლევების დასკვნებით, შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, თუმცა ყოველთვის ნათელი როდია, რა არის მიზეზი და რა – შედეგი. ყველაზე უფრო სავარაუდოა როგორც ერთი, ისე მეორე.

როგორც 1992-1994 წლებში ს. შვარცის და ა. არდის (Schwartz S., Bardi A. Influences of daptation to Communist Rule on Value Priorities in Eastern Europe, _ Political sychology, vol. 18, №2.) მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, აღმოსავლეთ ევროპაში იერარქიის და კონსერვატიზმის ღირებულებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. ეს ახსნილ იქნა კომუნიზმის მემკვიდრეობით, რასაც ემატება ცხოვრების სივიწროვე, განპირობებული იერარქიით, ან პიროვნების და ქონების უსაფრთხოების პრობლემების გამძაფრება გარდამავალ პერიოდში. მსგავსი ღირებულებები აგრეთვე ძლიერია მართლმადიდებლურ ქვეყნებში.

თანამედროვე ეტაპზე კაცობრიობა სულ უფრო მეტად აღიქვამს თავის თავს ერთიან ორგანიზმად. ევროპა, ამერიკა და აზია, სულ უფრო მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს, თანდათან ქმნიან ერთიან კულტურას, ბიზნესის საერთო წესებს, ქცევის და განათლების სტანდარტებს. ამ ქვეყნების ხალხები ერთიანობასთან ერთად ინარჩუნებენ საკუთარი კულტურის ტრადიციებს და ამასთანავე უფრო მეტ იდენტიფიცირებას ახდენენ რაღაც ახალი ცივილიზაციური ერთიანობის დონეზე დამკვიდრებული და შემუშავებული „თამაშის წესებით“, რომელიც საშუალებას იძლევა თავისუფლად და თვითდაჯერებულად იმოქმედონ პლანეტის თითქმის ნებისმიერ მსხვილ ქალაქში. საქართველოს აქვს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება სხვადასხვა ერების თანაცხოვრებისა რომლებიც ქმიან რა ერთიან სოციალურ ორგანიზმს ასევე ინარჩუნებენ თავის ტრადიციებს, კულტურას, წეს-ჩვეულებებს და ზოგიერთ ინსტიტუტებს. ასეთი უნიკალური ვითარება განსაზღვრული იდეოლოგიური უზრუნველყოფის საფუძველზე უეჭველად მოუტანს ქვეყანას წარმატებებს და უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას.

დასკვნა

ყველაზე უმთავრესი დასკვნა ღირებულებების თემასთან დაკავშირებით, უფრო ზუსტად კი, ჩვენ მიერ გამორკვეული მასალებიდან მიღებული დასკვნა შემდეგში გამოიხატება: ღირებულებები ყველასათვის ერთნაირად მისაღები უნდა იყოს, ანუ ეს ისეთი იდეალური ფენომენია, რომლისკენაც, აღნიშნულის გამო, ყველა უნდა ილტვოდეს. სწორედ ამ მისწრაფებათა გზაზე ყველაზე მეტად დაწინაურდა ევროპა და ყველაზე სწორი და ყველასათვის მისაღები გზაც ევროპამ გაკვალა, მიაგნო მას, რაც ჩვენც წაგვადგება ისევე, როგორც მთელ კაცობრიობას. ამით საშუალება გვეძლევა, შეცდომების გარეშე, უფრო სწრაფად გავიზიაროთ ის ევროპული და ევროატლანტიკური ღირებულებები, რომლის გარეშეც ჩვენს პლანეტაზე ხანგრძლივი მშვიდობა და ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა ვერ დამყარდება და ვერ შენარჩუნდება. ამიტომ კაცობრიობის წარმატების მთავარი საწინდარი ამ ფასეულობების გავრცელებასა და დამკვიდრებაში ძევს. ეს არის დემოკრატიის, ადამიანთა უფლებების და სამართლიანობის ღირებულებები.